კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 28 (273) ◆ 10 – 16 ივლისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

რევაზ აღამია ასახელებს „წესიერ ხალხს“

– მინისტრების უმრავლესობა ნამდვილად წესიერი ხალხია...

– დეპუტატებზე ძნელია საუბარი... ოფიცრები ცოტ-ცოტას ქურდობენ.

...ნუ მოვატყუებთ უცხოელ პარტნიორებს, მერე ისინი ამბობენ – საქართველოში ყველანი მატყუარები და აფერისტები არიანო...

...ნუ შევუშინდებით რუსეთთან საეიზო რეჟიმის შემოღებას – ეს ჩვენთვის სასარგებლოც იქნება.

⇨ 33.3

„კვირის პალიტრის“ ჟურნალისტური ძიება მომავალშიც გაგრძელდება... ⇨ 33.8

სად გადაიხადა იგორ გიორგაძემ იუბილე

...მთავარია, მოინდომო კაცმა, მით უმეტეს, თუ სუსტი მოწინააღმდეგე გყავს... ⇨ 33.6

მკითხველთა უმრავლესობა ⇨ 33.31 პროსტიტუციის ლეგალიზების მომხრეა

დამატებითი კითხვა

ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი რურუასთან...

– ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების მეორე დღეს თქვენ საქართველო დატოვეთ... რატომ?

– თქვენს საძმოს „ბოროტებს“ ეახდნენ... რატომ?

– ვეფხვაძის ოჯახმა მკვლელობასთან დაკავშირებით თქვენ მოგიხსენიათ... რატომ?

– ადამიანის გატაცებაში და ფულის გამოძალვაში გდებენ ბრალს... რატომ? ⇨ 33.6

შპს „ევროამერიკან“-ი სვარეებაში მყოფი IBM 486 და Pentium-ის ბიპის კომპიუტერები



კომპლექტშია: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა

IBM 486 კომპლექტის მინიმალური ფასია 99$

Pentium კომპლექტის მინიმალური ფასია 135$

ფასს ემატება დღგ

დანარჩენი კომპლექტების ფასები დამოკიდებულია პარამეტრებზე. ანგარიშსწორება შესაბამისი კურსით ლარებში.

მის: ქ. თბილისი, ფირონსმანის ქ. №23 ☎94-28-33
ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 18 ☎2-21-16
ქ. გორი, ჭონქაძის ქ. №11 ☎2-73-90

ფირმა „ბერმუხა“

ბრგყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესაუბლიკის ფერიფერიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

სამწუხაროდ, გავუთანაბადი ივ მართლადიდებელ მოძღვარს

და კინაღამ დავიღუპე...

– სიმართლე გითხრათ, ვერც ვიფიქრებდი, თუ მასონები საქართველოში დღესაც იყვნენ...

– მასონი გამოდგა ის მოძღვარიც, თბილისში მეგობრის ჯვრისწერაზე რომ შევხვდი... რომ მიხვდა, მასონებზე ბევრი რამ ვიცოდი, დაიწყო ჩემი დევნა... ⇨ 33.12

ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორმა ამ თემაზე თბილისში მასალების მოძიება დაიწყო.

რეპორტაჟი პანკისის ხეობიდან...

– მთელი დღე ვეძებდით... გადაეცით კიტოვანს – გაანებე პანკისის ხეობას თავი და თუ ვაუკაცი ხარ, წადი აფხაზეთში, იომე, დაიბრუნე, მერე ოსებს წაართვი შენი ტერიტორია-თქო... დაწერეთ, თუ ჭკუას არ ისწავლი, შენს თავს გავუგზავნით შენს გულშემატკივრებს-თქო.

ჩვენს ჟურნალისტს ხიბრი ალდამოვის ხსენებამაც არ უშველა- ⇨ 33.7

სამხედრო თემაზე:

...რა მნიშვნელობა აქვს, ჯარისკაცს ამერიკული ფორმა ეცმევა თუ დახეული საბჭოთა შინელი, თუ მას ავტომატი თვეობით არ უსვრია და ტანკი სამ მეტრზე მეტ მანძილზე არ გაუტარებია...

...უარმიო ქვეყანა აღრე თუ გვიან დაიღუპება... ⇨ 33.9

საგვირაო

ტელეკინოფილმი 10 – 16 ივლისი

⇨ 33. 14-15

„გაჯანსაღების ბიუჯეტი“?!

- საქართველოს პრეზიდენტმა ზურაბ ნოღაიდელის შემოქმედებას – ახალ ბიუჯეტს „გაჯანსაღების ბიუჯეტი“ უწოდა... „გამაჯანსაღებელ“ ჯანმრთელობის დაცვის სისტემას კი დაფინანსება შეუმცირდა. ⇨ 33.5

– დამნაშავე ცოცხალი ან მკვდარი უნდა ი პოვოთ;

– დაიწყეთ ჩემი ნათესავებით...

– შეცვალეთ კონსტიტუცია... მომეცით უფლება და რამდენს დავიჭერ, დაგანახებთ..

ჯონი ხეცურიანს მოუნევს სტუმრების მიღება და გამასპინძლება?.. ⇨ 33.5-8

კვირას, 9 ივლისს, ზესტაფონში სამართალდამცავების მიერ ⇨ 33.2 მძევლების გასათავისუფლებლად განხორციელებული ოპერაციის დროს, დაიღუპა აკაკი ელიავა...

გუმგათის წვერიდა დაბზრჩა



ამ აღგილიდან თბილისის წმინდა მთა, მამადავითი ჩანდა...

ვინ არის დამნაშავე ისტორიული თბილისის დამახინჯებაში?

ვინ უნდა გასცეს პასუხი მომავალი თაობის მძიმე ბრალდებას? ⇨ 33.4

ექვსი დღე საფარში...

...ბოროტმოქმედები ყოველ მიზეზგარეშე უნდა დავაკავოთ, მათი მსხვერპლი ჩვენი შს მინისტრის ნათესავია... ⇨ 33.10

...მაშინვე შეიქმნა სპეცჯგუფი... ინსტრუქტაჟი ჩაგვიტარეს, თითოეული წამი და ნაბიჯი გავთვალეთ და ბინაში ჩავსაფრდით.

...ექვსი დღე-ღამე გავატარეთ საფარში... ღამის სამ საათზე ტელეფონმა დარეკა...

ALLIGATOR SERVIS

გთავაზობთ ავტომობილებზე სიგნალიზაციის, შუშის ამნევების, მაგნიტოფონის მონტაჟს

შეღავათიან ფასად

გარანტია 3-5 წლამდე

მის: ვაჟა-ფშაველას 37

ტ: 899-50-31-52

Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
ОБЩАЯ ГАЗЕТА
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
AIF
stern
СЕГОДНЯ
КАЮКВА
ИЗВЕСТИЯ
Труд
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
LE FIGARO Magazine
MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
daily
Le nouvel Observateur
ИТОГИ

იკითხეთ „კვირის პალიტრის“ ახალი ჟურნალი – „გზა“

დაიღუპა აკაკი ელიავა

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც შევიტყვეთ, რომ კვირას, 9 ივლისს, ზესტაფონში საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა საბუთების შემოწმების მიზნით, რეიდის დროს გააჩერეს თეთრი ფერის „ვოლგა“, რომლითაც, როგორც შემდეგ გაირკვა, აკაკი ელიავა და მისი თანამოაზრეები მცხეთიდან ზუგდიდში მიემგზავრებოდნენ. მათ არც უცდიათ დამალვა, რომ შეიარაღებულები იყვნენ. პოლიციელებმა მათ რაიონულ სამმართველოში წაყოლა მოსთხოვეს. პოლიციაში მათთვის იარაღის ჩამორთმევას ცდილობდნენ. თუმცა ელიავამ, მისმა თანაშემწემ ზურაბ გვაზავამ და სამმა თანმხლებმა პირმა იარაღის ჩაბარებაზე უარი განაცხადეს და მხოლოდ ნომრების დაფიქსირებას დათანხმდნენ. ამასთან იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის რუბენ ასანიძის სასწრაფოდ მისვლა მოითხოვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ასანიძე მართლაც ჩავიდა ზესტაფონში, მასთან ერთად იყვნენ ზესტაფონის პოლიციის უფროსი და ამავე რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსი. ელიავამ მხოლოდ მათთან ისურვა საუბარი — „მოწმეების გარეშე“. მას შემდეგ კი, რაც სხვა პოლიციელებმა კაბინეტი დატოვეს, იარაღის ჩაბარების მაგივრად, მასპინძლები მძევლებად აიყვანა.

ერთ-ერთ მათგანს ელიავამ კაბინეტიდან გამოსვლისა და დაბრუნების საშუალება მისცა, სწორედ მან გამოიტანა ინფორმაცია ელიავას მოთხოვნების შესახებ: განუიარაღებლად გაათავისუფლონ და მისცენ მას და მის მხლებლებს ზუგდიდში უსაფრთხოდ დაბრუნების საშუალება. ელიავა აგრეთვე ითხოვდა სამეგრელოს სამხარეო პოლიციის უფროსის, გერგიას ზესტაფონში ჩასვლას.

მაღალჩინოსანი სამართალდამცავების მიერ ელიავასთან გაიმართა მოლაპარაკება რომელიც 5 საათს გაგრძელდა. კახა თარგამაძის თქმით, მოლაპარაკების მიუხედავად, დაახლოებით 23 საათსა და 15 წუთზე ელიავამ სცადა ზესტაფონის პოლიციის შენობის უკანა (სახანძრო) გასასვლელიდან მძევლებთან ერთად გასვლა. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთო უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმი. — დაყარეთ იარაღი, ამ ბრძანებას ელიავა და მისი ჯგუფის წევრები არ დაემორჩილნენ. ვინაიდან მძევლების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, გაიხსნა ცეცხლი, რის შედეგადაც დაიღუპა აკაკი ელიავა, დაიჭრა მისი ჯგუფის წევრი გვილავა, სპეცრაზმის ორი თანამშრომელი და ერთი მძევალი, — განაცხადა შს მინისტრმა.

ელიავას დაღუპვის ფაქტი, რამოდენიმე საათში დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებმაც დაადასტურეს.

პრეზიდენტმა მწვანე შუქი აანთო

რომ იტყვიან, ნავსი გატყდა და კორუფციისა და საბიუჯეტო კატასტროფის შედეგად, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა პრეზიდენტმა მწვანე შუქი აუნთო თავის ერთგულ ქვეშევრდომთ, რათა ფართომასშტაბიანი შტურმი წამოეწყოთ კორუმპირებულ ჩინოვნიკთა წინააღმდეგ, რაც ჯერჯერობით, ბუნებრივია, არ ნიშნავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს მხოლოდ დასაწყისია და ამ ფრონტის ავანგარდში მოგვევლინა კონტროლის პალატის ახალი შეფი სულხან მოლაშვილი, რომელმაც „გარეწრები“ უწოდა იმ ათამდე მოქმედ „ენერგომამა“ ჩინოვნიკს (უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტის მიერ უკვე განაჩენგამოტანილ პირებს), რომელთა „წყალობითაც“, მოლაშვილის თქმით, „განადგურდა და გაპარტახდა საქართველოს ენერგოსისტემა“. მოლაშვილის მიერ „გარეწრების საჯარო მხილებას“ კი ის მოჰყვა, რომ „გარეწრებმა“ და მათმა მხარდამჭერებმა უმალ მიმართეს დემოკრატიის ერთ-ერთ პრინციპს — უდანაშაულობის პრეზუმფციას და ზოგიერთი იქით დაემუქრა მოლაშვილს სასამართლოში ჩივილით — ცილისწამებისთვის, ზოგიც საკუთარ დამსახურებაზე ალაპარაკდა, მაგრამ საეჭვოა, ამით რაიმე გამოვიდეს, მით უმეტეს, რომ შევარდნაძე პირდაპირ დაემუქრა დაჭერით არა მხოლოდ ამ „გარეწრებს“ არამედ საკუთარ ახლობელ და შორეულ ნათესავებსაც. ეს, ფაქტობრივად, საყვედური და გაფრთხილებაც იყო სამართალდამცავთათვის, რომელთა დანაშაულებრივი უსუსურობისა და კორუმპირებულობის გამო, კორუფციამ ქვეყანაში ფანტასტიკურ მასშტაბს მიაღწია! მოლაშვილი სამართალდამცავებსაც გადასწვდა და მოითხოვა იმის გარკვევა, თუ რატომ და რა მიზეზით არ აღწევდა საქმეები პროკურატურიდან სასამართლომდე...

„ემთავრობას მასმედია აღარ სჭირდება?!“

მთავრობის დახურულ სხდომაზე ხელიდან წასული ბიუჯეტის (სხვა სიტყვა აღარ შეესაბამება ამ ე.წ. 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს) „პარამეტრებიც“ განიხილეს და, რომ იტყვიან, „სეკვესტრ-შეკვესტრეს“, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდათ! ამ ე.წ. ბიუჯეტს 11 ივლისს პარლამენტის საგანგებო სხდომას წარუდგენენ დასამტკიცებლად და, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანას ექნება „რეალური ბიუჯეტი“...

მთავრობის ამ დახურულ სხდომაზე ერთი „ღირსშესანიშნავი“ ამბავიც მოხდა. პრეზიდენტის ახალმა პრესმდივანმა, პროფესიით დიპლომატმა, არათუ მარტო არაჟურნალისტური, არაკოლეგიალური, არამედ არადიპლომატიური გადაწყვეტილებაც მიიღო და მთავრობის სხდომაზე მხოლოდ I არხის ჟურნალისტები შეუშვა, თავისუფალი პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტები კი კარს მიღმა დაგვტოვა! აქ შეგვეძლო გაცილებით მძაფრი შეფასებების გამოთქმაც „დიპლომატი კოლეგისადმი“, მაგრამ ამჯერად ჩვენ გამოვიჩენთ კოლეგიალობას და შევუნდობთ ამ სისუსტეს. ისე, თუ დახურულ სხდომაზეა ლაპარაკი, მთელ მსოფლიოშია მიღებული, რომ მას არც თავისუფალი მედიის წარმომადგენლები არ უნდა დაესწრონ... როგორი „ამომწურავი“ ინფორმაცია მიიღო საზოგადოებამ მთავრობის სხდომაზე განვითარებული მოვლენების შესახებ I არხის მეშვეობით და თავად პრეზიდენტის პრესმდივნის მიერ გამართულ, ე. წ. საგანგებო ბრიფინგისგან, ამაში იმავე საღამოს დარწმუნდა ტელეეკრანთან მყოფი მაყურებელი... ხოლო ის, რომ „მთავრობას მასმედია აღარ სჭირდება“, როგორც ამას აცხადებს პრეზიდენტის პრესსამდივნო, ეს კიდევ საკითხავია, ვის ვინ სჭირდება ქვეყნის და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე. სხვათა შორის, ძალიან საეჭვოა, რომ ასეთი პრესსამდივნო (რომელიც გაურბის მასმედიასთან საუბარს) სჭირდებოდეს თავად პრეზიდენტს!

ხოშტარია „დაიმლერ-კრაისლერს“ ეჩივის

1995 წელს ქართველმა გამომგონებელმა გივი ხოშტარიამ დააპატენტა თავისი ახალი გამოგონება — ავტომობილის უკანა ხედვის მინის „სასარგებლო მოდელი“ თავისი ადრინდელი ანალოგებისგან იმით განსხვავდება, რომ მასში ოპტიკური სიგნალიზაციის სისტემაა ჩამონტაჟებული.

1999 წლიდან გერმანულმა ავტოკონცერნმა „დაიმლერ-კრაისლერმა“ მის მიერ გამოშვებული, თითქმის ყველა ავტომობილის სიგნალიზაციის ამ სისტემით აღჭურვა დაიწყო. ქართველმა გამომგონებელმა სარჩელი შეიტანა „დაიმლერ-კრაისლერისა“ და ქართული საშუამავლო ფირმა „აკას“ წინააღმდეგ, რომელიც გერმანული ავტოკონცერნის პროდუქციის იმპორტირებას ეწევა საქართველოში. როგორც აღმოჩნდა, ხოშტარიას გამოგონება მხოლოდ საქართველოშია რეგისტრირებული და მისი საავტორო უფლების შელახვაზეც მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შეიძლება საუბარი. სწორედ ამიტომ ითვლება ფირმა „აკა“ მთავარ მოპასუხედ, ხოლო „დაიმლერ-კრაისლერი“, გამომგონებლის აზრით, სასამართლო განხილვაზე, რომელიც 10 ივლისს გაგრძელდება, მხოლოდ თანამოპასუხედ წარდგება.

სასამართლოს პირველ სხდომაზე ფირმა „აკამ“ უარი განაცხადა გამომგონებლისათვის კომპენსაციის გადახდაზე, რაც იმით ახსნა, რომ იგი არის მხოლოდ შუამავალი გერმანული ავტომობილების საქართველოში იმპორტისა და არა „დაიმლერ-კრაისლერის“ გენერალური წარმომადგენელი.

ისე, საკითხავია, რა აზრი აქვს გამოგონების საქართველოში რეგისტრირებას, თუ მარეგისტრირებელ ორგანოს არა აქვს უფლება და საშუალება, რომ ინფორმაცია უცხოეთში გაავრცელოს და გამომგონებლის საავტორო უფლება მთელ მსოფლიოში იქნეს დაცული.

ისევ პენსიები...

სენაკში შეიძლება ახალი სკანდალი დაიწყოს, რადგან ახლახან მოტყუებული და გაძარცული პენსიონერები, რომლებიც კუთვნილი პენსიების მიღებას და ქურდი ჩინოვნიკების დასჯას მოითხოვდნენ, კვლავ ქუჩაში მასობრივ გამოსვლას აპირებენ. საქმე ის არის, რომ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს წევრმა მამუკა სონღულაშვილმა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა საპენსიო ფონდის სენაკის განყოფილების უფროსი ვალია გვასალია, რომელსაც საფოსტო ბანკის სენაკის ფილიალის უფროსთან ერთად ბრალი ედება პენსიონერთა თანხების გაფლანგვაში. ისინი შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახლახან დააკავა და რა მოტივით თუ არგუმენტებით გაათავისუფლა მოსამართლემ დაკავებულები, ჯერჯერობით, გაურკვეველია. პროკურატურა სონღულაშვილის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს საოლქო სასამართლოში.

რეგიონული მოხელეები კუზეკს ითვლიან?!

მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელებში სულ უფრო ძლიერდება აგრესიული განწყობილება გამგებლებისა და გუბერნატორების მიმართ, რომელთა „უსუსურობასა და გულგრილობას“ აბრალებენ რეგიონში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას. „მოქალაქეებს“ მიაჩნიათ, რომ ეს რეგიონული მოხელეები გაზულუქდნენ და ბუზების თვლის გარდა, სხვას აღარაფერს აკეთებენ, შესაბამისად, დღის წესრიგში აყენებენ ამ ჩინოვნიკთა თანამდებობებიდან მოხსნის საკითხს. ედვარდ სურმანიძის განცხადებით, „უამრავი ფაქტობრივი მასალა არსებობს იმის შესახებ, რომ ხელისუფლების ცალკეული შტოები ამორფულ მდგომარეობაში არიან, მიეჩვივნენ უსაქმურობას და რომ ეს ეხება ზოგიერთ გუბერნატორს, ასევე ზოგიერთ გამგებელს, რომლებიც დაბერდნენ თავიანთ სკამებზე და არანაირი ინიციატივა მათგან აღარ მოდის“. სურმანიძე მოითხოვს ამ პირთა დაუყოვნებლივ შეცვლას, თუმცა კანცელარიაში ამ ცვლილებებზე ჯერ არ საუბრობენ. უცნობია პრეზიდენტის პოზიციაც. აი, იმერეთის გუბერნატორი კი დარწმუნებულია, რომ თუ „მოქალაქეებს“ ვინმეს მოხსნა სურთ, ერთ-ერთი პირველი კანდიდატი თემურ შაშიაშვილი იქნება!

კიდევ ერთი უცნობი ვირუსი...

ზაფხულის პაპანაქებასთან ერთად, დღემდე დაუდგენელი დაავადება მოედო ჭიათურასა და საჩხერეს, სადაც 60-მდე ბავშვი და მოზარდი (სამიდან 14 წლამდე) მოათავსეს უკვე საავადმყოფოში. დაავადების დიაგნოზი, ჯერჯერობით, უცნობია ჯანდაცვის სამინისტროსთვისაც. დაავადებას თვლების წვა და ტკივილი ახასიათებს, რომელიც შემდეგ საფეთქლებისა და კეფის არეში ვრცელდება. შედეგად, ავადმყოფი სუსტდება და არაქმედითუნარიანი ხდება გარკვეული დროის მანძილზე. ექიმებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ დაავადება მიაკუთვნეს ენტეროვირუსულ ინფექციათა ჯგუფს, თუმცა კონკრეტულად რომელი ინფექციაა, ამას ალბათ თბილისიდან ჩასული სპეციალისტები დაადგენენ...

არძინგას გასაჭირი!!

დიდი გასაჭირი ადგას ვლადისლავ არძინბას, რომელიც აგერ უკვე მერამდენე წელია იმედის თვალით შეჰყურებს ყოველ საკურორტო სეზონს და რომლის განკარგულებითაც „სარეკლამო პროკლამაციებითაა“ აჭრელებული რუსეთის ქალაქები. ისინი კი გვაუწყებენ, რომ აფხაზეთში შესანიშნავი პირობებია ჯანმრთელობის გაკაჟებისა და დასვენებისათვის, თანაც უაღრესად ხელმისაწვდომ ფასებშიო. ამ ანკესზე რუსეთში არავინ ეგება და აფხაზეთში დასასვენებლად მარტო რუსი სამხედროები თუ ჩადიან ოჯახებითურთ. თუმცა ამ ბოლო დროს ამ კატეგორიის დამსვენებლებიც გარბიან, რადგან გახშირდა ტურისტებზე თავდასხმის ფაქტები, რუს ტურისტთა დასვენების კერების შორიახლო კი ამას წინათ რამდენიმე აფეთქებაც მოხდა. სასოწარკვეთილ არძინბას ბოდიშიც კი მოუხდია სტუმრებისათვის, მაგრამ თავდასხმებს და აფეთქებებს რომ ბოდიში არ შველის, რუსებზე კარგად ეს ვის მოეხსენება?!

„დინამოს“ აქციები ჩამოართვეს

(კავკასს-პრესი) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ შოკოლადის ფაბრიკა „მზიურის“ აქციათა 35% ჩამოერთვა. აქციები კლუბს 1995 წელს გადაეცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

თუმცა კლუბმა ვერ შეძლო ვერც ერთი ამოცანის გადაჭრა და დღეს საქართველოს ათგზის ჩემპიონს დუხჭირი ცხოვრება ელის. FIFA-ს გადაწყვეტილებით, მას აკრძალული აქვს ფეხბურთელთა ყიდვა და გაყიდვა განსაკუთრებულ განკარგულებამდე. ამით FIFA-მ დასაჯა ქართული კლუბი იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა არ ისურვა თბილისის „მრეტებისათვის“ 300 ათასი დოლარის გადახდა. აღნიშნული თანხა „დინამოს“ გიორგი ქინქლაძის „მანჩესტერ სითიში“ 1996 წელს გადასვლისათვის უნდა გადაეხადა.

მზეზე დიდხანს ნუ გაჩერდებით!

(კავკასს-პრესი) მზის გამოსხივების მაქსიმალურ რადიოაქტიურობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური ქვეყნის მოსახლეობას ურჩევს, რომ ამ სეზონის განმავლობაში მზის ქვეშ დიდხანს არ დაჰყონ.

მზის გამოსხივების მაქსიმალური რადიოაქტიურობა, რომელიც 11 წელიწადში ერთხელ შეიმჩნევა, პიკს ივლისში მიაღწევს.

მზის ამგვარი აქტიურობის პერიოდში რეკომენდებული არ არის დიდხანს მზეზე ყოფნა. მზის გამოსხივების აქტიურობა თანდათან დაიწევს და მინიმალურ ზღვარს 5,5 წლის შემდგომ მიაღწევს. ამჟამად, საქართველოს სანაპიროებზე რადიაციის გამოსხივების ინტენსიურობა შეადგენს დაახლოებით 10-12 მიკრორენტგენს საათში. ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებში გამოსხივების ინტენსიურობა გაზრდილია, თუმცა ის ჯანმრთელობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს.

„ეგლისთვის ცხვრის ჩაბარება შეიძლება?!“

(გეა) კითხვას სვამს ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია, რომელიც ეჭვის თვალით უყურებს პრეზიდენტის მიერ საკუთარი ნათესავების საქმიანობის შესწავლის კორუმპირებული სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის დავალებას, რადგან, როგორც მან განაცხადა, რეალურ თანხებთან დაკავშირებული არც ერთი დანაშაული არ ხორციელდება ძალისმიერი სტრუქტურების „წილში ჩასმის“ გარეშე. მოწილე სტრუქტურებს შორის სარიშვილი-ჭანტურია, პირველ რიგში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ასახელებს. მისი აზრით, სამართალდამცავი სტრუქტურები პრეზიდენტის ნათესავებს საფარველად იყენებენ, რომლებსაც თითქოს შემდგომში ზემოდან პასუხის მოთხოვნის შიშით ვერ ეხებიან.

სარიშვილი-ჭანტურიას პრეზიდენტის გულწრფელობისა არ სჯერა, რადგან მან ნუგზარ შევარდნაძის და სხვა ნათესავების საქმიანობის შესწავლა საგადასახადო შემოსავლების მინისტრს მიხეილ მაჭავარიანსა და შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს დაავალა. „მაჭავარიანს ამ შემთხვევაში გამოვრიცხავ, მაგრამ ქვეყანაში არც ერთი ბიზნესი არ არსებობს „თეთრისგან“ ოდნავ მაინც გადახვეული, რომ წილში შინაგან საქმეთა მინისტრი არ იყოს“, — განაცხადა მან. მისივე აზრით, ნათესავებთან დაკავშირებულ სიტუაციამდე საქმე თვითონ პრეზიდენტის პოლიტიკამ მიიყვანა.

იოსელიანეა ზუგდიდში მოლაპარაკებები გამართა

(კავკასს-პრესი) „მხედრიონის“ ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა ზუგდიდში მოლაპარაკებები გამართა სხვადასხვა სახის სამხედრო ფორმირებებსა და დაჯგუფებებთან. ჯაბა იოსელიანი შეხვდა პარტიზანული რაზმების წევრებს, ზვიადისტებს, ეროვნული გვარდიის ვეტერანთა საბჭოს წარმომადგენლებს. შეხვედრების დროს განიხილეს შესაძლო ალიანსის საკითხი იმ ძალებისა, რომლებიც საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვით არიან დაინტერესებულნი, აგრეთვე, მდინარე ენგურზე ადმინისტრაციული საზღვრის დაცვის საკითხი, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, აფხაზეთს დანარჩენი საქართველოსგან აცალკევებს.

შუახეველი ათლეტი გინესის წიგნში

(გეა) შუახეველი ნუგზარ გოგრაჭაძე გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც იშვიათი ძალის მქონე პიროვნება. მან 17 სმ სიმაღლეზე ასწია 170 კგ ტვირთი. ნუგზარ გოგრაჭაძე საქართველოს ჩემპიონი კარატეში და ასევე თბილისის ათლეტკლუბის წევრია. უახლოეს მომავალში იგი ნორვეგიაში გაემგზავრება ათლეტთა შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

დაკაკავეს ჩეჩენი სნაიპერი ქალი

(კავკასს-პრესი) გროზნოში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული სპეციოპერაციის დროს დაკავეს გამოცდილი ჩეჩენი სნაიპერი ქალი. სნაიპერი, რომლის ვინაობასაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ასახელებენ, არის იჩქერიის რესპუბლიკის შარიათის უშიშროების მაიორი.

იგი 35 წლისაა და 1994-1996 წლებში მონაწილეობდა ჩეჩნეთის პირველ კამპანიაში. პირველ რიგში, ეს ქალი გროზნოში ანადგურებდა იმ ჩეჩნებს, რომლებიც რუსეთის ფედერალურ ძალებს აქტიურ დახმარებას უწევდნენ.

ინგლისის პრემიერ-მინისტრის ვაჟს დაჯარიმებენ

ქართველი კანონმდებლებისა და ხელისუფალთათვის ჭკუის სასწავლებელი ფაქტი მოხდა ინგლისში. პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის 16 წლის ვაჟიშვილი იუანი, რომელიც სკოლის დამთავრებისადმი მიძღვნილ საღამოზე გაიღეშა, პოლიციამ შუა ქუჩაში იპოვა უგონოდ მთვრალი. ბუნებრივია, იგი პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს და გამოაფხიზლეს კიდეც. ამ შემთხვევამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ტონი ბლერი, რადგან ერთი თვით ადრე მან თავად წამოაყენა წინადადება პარლამენტში, რათა შესაბამისი კანონით ადგილზე დაჯარიმონ მთვრალი არასრულწლოვანები. კანონი უკვე მოქმედებს და ბლერმაც ტელევიზიით გამოსვლისას საჯაროდ დააფიქსირა, რომ მისმა შვილმა დაარღვია კანონი და პოლიციამაც კანონის შესაბამისად უნდა იმოქმედოს...

ლონდონის პოლიცია ამ დღეებში გამოუტანს „განაჩენს“ და დააჯარიმებს პრემიერის ვაჟს, რომელიც საშინლად დარცხვენილია და „განაჩენამდე“ შინიდან გასვლას არ აპირებს!

რუსეთი კმაყოფილია...

(რუსული პრესის მიხედვით) დუშამბეში გაიმართა „შანხაის ხუთეულის“ რიგით მეხუთე შეხვედრა. რუსეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის და ჩინეთის მთავრობების ლიდერებმა განიხილეს რეგიონული უსაფრთხოების საკითხები და ხელი მოაწერეს შემაჯამებელ დეკლარაციას. რუსეთი შეხვედრით კმაყოფილია: პარტნიორებმა მხარი დაუჭირეს მის პოლიტიკას ჩეჩნეთში, ვლადიმირ პუტინი კი საბოლოოდ მოელაპარაკა ტაჯიკეთის მთავრობის მეთაურს, ემმალი რახმონოვს რუსული სამხედრო ბაზის ტაჯიკეთში დაფუძნების შესახებ.

სხვათა შორის, „შანხაის ხუთეულთან“, რომელიც ამიერიდან ფორუმის სახელით იქნება ცნობილი, შეერთების სურვილი „მორიდებით“ გამოთქვა შეხვედრაზე მიწვეულმა უზბეკეთის ხელისუფლების ლიდერმა ქარიმოვმა. უზბეკეთის პრეზიდენტმა დამსწრეთ შეახსენა, რომ მის ქვეყანას ცენტრალური ადგილი უჭირავს ცენტრალურ აზიაში და რომ ტაშკენტის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი რეგიონალური საკითხის გადაჭრა. შანხაის ფორუმთან მუშაობა სურთ, აგრეთვე, ირანსა და ინდოეთს, მით უმეტეს, რომ შემაჯამებელ სიტყვაში ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, შანხაის ფორუმი ჩაკეტილი კლუბი არ არისო.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა რეკორდსმენია

(რუსული პრესის მიხედვით) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შიდსი მძვინვარებს — აქ ინფიცირებულთა რაოდენობა 4,2 მლნ კაცს აღწევს, რაც მოსახლეობის 10%-ს შეადგენს. მთავრობა აქტიურ პროპაგანდას ეწევა და მოუწოდებს ხალხს, იხმარონ კონტრაცეპტივები; ამ გზით ხელისუფლება ცდილობს, შეაჩეროს დაავადების გავრცელება. გაფრთხილება — ერთადერთი საშუალებაა თავის დასაზღვევად, მაგრამ მოსახლეობის გაუნათლებელ ფენებში, განსაკუთრებით, მივარდნილ რეგიონებში, ეს ზომა არ მოქმედებს.

ამასთან დაკავშირებით, ქალაქ დურბანში გაიმართება ყოველწლიური, რიგით მე-13 კონფერენცია, მიძღვნილი შიდსის პრობლემებისადმი. სხვათა შორის, კონფერენციაზე ლაპარაკი იქნება იმ პირთა შესახებაც, ვინც ინფიცირების შედეგად საზოგადოებამ გარიყა.

ანტივირუსული პროგრამისა და ნდობის სამსახურების აქტივისტები განმარტებით საუბრებს ატარებენ შიდსის ვირუსით ინფიცირებულებსა და მათ ახლობლებთან, მაგრამ, ჯერჯერობით, წარუმატებლად.

„არ ღირს საქართველოში მუშაობა, იქ ყველა მაჯყუარა და აფერისტია“...

საქართველოს მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოსთვის, როგორც წესი, დგება მომენტი, როდესაც უკვე აზრი აქვს დაკარგული ბევრ ფასეულობას, თვით პოლიტიკასაც კი, და ადამიანები, მოსახლეობა შეპყრობილნი არიან ერთადერთი — გადარჩენის ინსტინქტით! საუბედუროდ, ეს „მომენტი“ ქართველებს წლობით გაგვიგრძელდა, ხოლო ამ კატასტროფული რეალობის მუსირება თავისუფალ პრესაში, პოლიტიკოსთა თუ რიგით ადამიანთა მსჯელობაში, მოწოდებებში საქართველოს ხელისუფლებისთვის რჩებოდა „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“. ხოლო თუ ადრე ადამიანებს მაინც ჰქონდათ მცირეოდენი იმედი ხვალინდელი დღისა, ამჟამად ამ იმედმაც, რომ იტყვიან, „გაურკვეველ გრძელვადიან პერსპექტივაში“ გადაინაცვლა (არ მინდა ვთქვა, საბოლოოდ გაქრა-მეთქი). შედეგად — ადამიანები უკვე არათუ საარსებო მინიმუმს ითხოვენ, არამედ იმუქრებიან, საშიში ლოზუნგებით გამოდიან და კატეგორიულად მოითხოვენ მორალურ დაკმაყოფილებასაც, ანუ იმ ხელისუფალთა სასტიკად დასჯას, ვისაც ქვეყნის გატიალებაში მიუძღვის ბრალი... ეს, როგორც იქნა, ხელისუფლებამაც იყნოსა, თუ აყნოსვინეს (ამას მნიშვნელობა არ აქვს) და პირველი მიზერული ნაბიჯების გადადგმაც დაიწყო მდგომარეობის შესამსუბუქებლად... დიახ, დადგა დრო „ქვების შეგროვებისა“ და სანამ ამ ქვებს ნატურალურად დაუშენენ სახელისუფლებო „ციტადელებს“ (ფიცრები უკვე მიზიდეს რიგ უწყებათა კარის ასაჭედად), სჯობს გონს მოეგონ... არადა ყველა შანსი და საშუალება ხელთ ჰქონდათ, რათა საქართველო სულ სხვა სიმაღლეზე ასულიყო და დღეს სხვა პრობლემების გადაჭრაზე ეზრუნა... ამ და სხვა საკითხებზე, ვფიქრობ, უპრიანია თავად მმართველი პარტიის წარმომადგენლის შეფასებები. მოვუსმინოთ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს **რევაზ ადამიას:**

— საარჩევნო კამპანიების დროს ინტენსიურად მქონდა ურთიერთობა მოსახლეობასთან და ვიცი, რომ მათთვის უპირველესი პრობლემა არის კორუფციის აღმოფხვრა; ეს გახლავთ უფრო მეტი, ვიდრე დაურიგებელი პენსიები და ხელფასებია. ხალხი ითხოვდა და ითხოვს, — რატომ არავინ ისჯება სახელმწიფოშიო! კი, მათ ნამდვილად არ „სწყურიათ სისხლი“ და არც, რაც შეიძლება მეტი ხალხის ციხეში გაშვება უნდათ. მოსახლეობას სურს წესრიგი! 1994-95 წლებში ამ ხელისუფლებას მოსახლეობა უსაზღვროდ ენდო სწორედ იმიტომ, რომ მაშინ ხელისუფლებამ შეძლო აღეკვეთა ყველა სახის ყაჩაღის — „მხედრონელთა“, გვარდიის, თუ ამა თუ იმ შეიარაღებული დაჯგუფების ბანდიტების თარეში. ისინი წლების მანძილზე ბატონობდნენ სახელმწიფოში. დღესაც იმავე პროცესთან გვაქვს საქმე, ანუ გარკვეული ეტაპის გავლის შემდეგ დადგა დრო გადამწყვეტი მოქმედებისა.

— და ამ „გარკვეულ ეტაპში“ რატომ არ დაისაჯა კანონის მთელი სიმკაცრით, თუნდაც ერთი მაღალი ჩინის თანამდებობის პირი? ხომ ფაქტია, რომ ამ „გარკვეულ ეტაპში“ ჩინოვნიკებმა უზარმაზარი კაპიტალი დააგროვეს ხალხის ხარჯზე?

— რატომ და როგორ მოხდა ასე, ეს დიდი თემაა, მაგრამ საქმე ის არის, თვითონ სახელმწიფო (ვგულისხმობ სახელმწიფოს, როგორც სტრუქტურულ წარმონაქმნსა და არა როგორც ერის ერთობლიობას) გახდა ჩვენი განვითარების დამამუხრუჭებელი. ფაქტობრივად, სახელმწიფო ჩინოვნიკებმა და სტრუქტურებმა შეცვალეს ავტომატიანი ყაჩაღები და „იკისრეს“ მათი როლი არა ავტომატით, არამედ უკვე კალმით, ლიცენზიებით, სერტიფიკატებით, ატესტატებით და ა.შ. ანუ გასაქანი მიეცა „ცივილიზებული“ გამოძალვის პროცესს, რომელსაც ადგილი აქვს ხელისუფლების ყველა საფეხურზე, დაწყებული მაღალი ეშელონებიდან — დამთავრებული წვრილი ჩინოსნებით. ნებისმიერი საგადასახადოს ინსპექტორი ჩამოყალიბებული მექრთამეა. ახლახან კერძო მაღაზიების, საქმეების მქონე ახალგაზრდა ბიზნესმენებმა მითხრეს, — ინსპექტორები გვეუბნებიან: აქამდე ხომ უხდიდი 500 დოლარს სახელმწიფოს და 500-საც მე მაძლევდი. ახლა გეგმა გაგვიზარდეს და, შესაბამისად, 1.000 დოლარი ბიუჯეტში უნდა შეიტანო და 500 კვლავ მე უნდა ჩამიდო ჯიბეშიო! ბიზნესმენი უარს ეუბნება, — აღარაფერს მოგცემ, მხოლოდ ბიუჯეტში შევიტან 1.000 დოლარსო! ამაზე ინსპექტორი პასუხობს — მე გადამიხადე 200 დოლარი და სახელმწიფოს კაპიკსაც ნუ მისცემო! ხედავ, რა ხდება?! საუბედუროდ, სახელმწიფო სტრუქტურაა ასეთი, პრობლემა ის კი აღარ არის მხოლოდ, რომ რომელიმე ხელმძღვანელი იპარავს, არა, მისი ყველა დონის წვრილწვრილი ჩინოვნიკი ქურდობს, რასაც, საბოლოოდ, კატასტროფამდე მივყავართ.

— თავის დროზე თუნდაც გია ბარამიძის ანტიკორუფციული კომისიის მიერ მაღალ ეშელონებში გამოვლენილი კორუფციის ფაქტებს რომ მოჰყოლოდა გაგრძელება უკვე პროკურატურასა და სასამართლოში და მაშინ მოხსნილი ხუთი მინისტრი, 10-20-30 კორუმპირებული ჩინოვნიკი, წვრილწვრილი ქვეშევრდომებითურთ, ციხეში წასულიყო, დღეს ალბათ არ ვილაპარაკებდით მოსალოდნელ კატასტროფაზე. რატომ არ გაკეთდა ეს?

— რა თქმა უნდა, დღეს ბევრად უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით. ხოლო ეს რომ ასე არ მოხდა, ამას შეიძლება ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური სირთულეები, კერძოდ, ერთი არჩევნები, მეორე არჩევნები და მიდგომაც ისეთი იყო, რომ ამ ხალხის დაპატიმრება თითქოსდა გამოიწვევდა ხელისუფლების ერთგვარ დისკრედიტაციას და ა.შ. თუმცა, ვფიქრობ, საქმე პირიქითაა. ასეთი ადამიანების გამოვლენა-დასჯა ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხს ამაღლებს... აუცილებელია ის პროცესი, რომელიც ამჟამად დაიწყო. ეს უნდა იქცეს ცხოვრების წესად და მივესალმები კონტროლის პალატის აქტიურ პოზიციას. სამწუხაროდ, დღეს არც მეწარმეა მიჩვეული გადასახადის გადახდას და აცხადებს: თუ ყველაფერი გადავიხადე, მაშინ ვერ ვიქნები მეწარმე და ბიზნესზე ხელი უნდა ავიღოო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საფინანსო-ეკონომიკური სისტემა არასწორად არის აწყობილი, რაშიც დიდი ბრალი მიუძღვით ამ სისტემის შემქმნელ ადამიანებს, იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ სისტემის აწყობაში გვეხმარებოდნენ და არ ითვალისწინებდნენ ქვეყნის სპეციფიკას, ტრადიციას, გარდამავალი პერიოდის სირთულეებს და ა.შ. ტრადიცია კი ისეთი გვქონდა, რომ ნებისმიერი მოქალაქისთვის გადასახადის გადახდა აუცილებლობა არასოდეს ყოფილა. პირიქით, ვინც ბევრს ჰპარავდა სახელმწიფოს, ის „კაი ბიჭად“ იყო მიჩნეული. საბჭოური მენტალიტეტი არ შეცვლილა ან თუ შეიცვალა, მხოლოდ ახალგაზრდა თაობისა, რომელმაც გაითავისა პრინციპი — საზოგადოება ნიშნავს არა მარტო თავისუფლებებს, არამედ ვალდებულებებსაც. ხოლო იმ შეგნებით, ოღონდ მე ვიყო კარგად და დანარჩენებს თავში ქვა უხლიათო, ვერც ერთი საზოგადოება და სახელმწიფო ვერ არსებობს...

— ბუნებრივია, კორუფციამ, საფინანსო კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, უშიშროებას. დაუცველია საზღვრები, არ არსებობენ ბრძოლისუნარიანი არმია და სხვა სამსახურები; ყოველ შემთხვევაში, ისინი ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას და კვლავ ისმის კითხვა — რატომ?!

— დიახ, ძალიან დააზარალა ყოველივე ამან ჩვენი თავდაცვისუნარიანობა და უშიშროება, მაგრამ მე მაინც არ ვიტყოდი, რომ არაფერი არსებობს. გვყავს საჯარისო ფორმირებები, რომლებიც კარგად არიან აღჭურვილნი, ბევრ ნაწილს კვებაც ნორმალური აქვს, ბევრს — ცუდი. რადგანაც ფინანსთა სამინისტრო არ აძლევს შესაბამის სახსრებს თავდაცვის სამინისტროს, იქაც ჩინოვნიკები თუ ოფიცრები ცოტ-ცოტას ქურდობენ... ეს მტკივნეული პროცესია ნამდვილი არმიის ჩამოყალიბების გზაზე. იგივე ითქმის საზღვრის დაცვაზეც, რომელიც დღეს ფრაგმენტულად არის დაცული; თუმცა საზღვაო საზღვარზე შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. მოგეხსენებათ, ჩვენს უნებართვოდ დააკავეს სოხუმისკენ მიმავალი ხუთი გემი, რომელთაგან ერთი დღემდე არ გაუთავისუფლებიათ... დაფინანსების თვალსაზრისით უშიშროების სამსახურსაც აქვს პრობლემა, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ იგი სრულებით არ მუშაობს. მთავრობის სხდომაზე ვახტანგ ქუთათელაძემ სერიოზული განცხადებები გააკეთა ეკონომიკურ და სხვა სახის დანაშაულებებზე, რომლებიც არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებებს... მე არა ვარ პესიმისტურად განწყობილი. მთავარია პოლიტიკური ნება, რათა სახელმწიფო სტრუქტურები არ გაიტეხოს მექრთამეებით, ვინც დასასჯელია, დაისაჯოს, რათა გაჩნდეს ნდობის ფაქტორი. ხელისუფლებას ნამდვილად სურს ქვეყნის გაძლიერება-განვითარება დასავლური მოდელით და არა ლათინური ამერიკის ბანან-ჯუჯური ქვეყნის დონეზე, სადაც კლანები მბრძანებლობენ...

— ვახტანგ ქუთათელაძის გამოსვლა ახსენეთ და, ცოტა „უცნაური“ არ არის, რომ უშიშროების მინისტრი რაღაც მაღაზიების, სუპერმარკეტებისა და ფირმების მიერ დამალულ გადასახადებზე ლაპარაკობდა? ეს არის უშიშროების სამსახურის და მინისტრის ფუნქცია (იხ. გვ.6 — რედ.)?

— გეთანხმებით, არ არის მისი ფუნქცია. ეს საგადასახადო სისტემის საქმეა, მაგრამ საუბედუროდ, საგადასახადო სისტემა არის დამპალი! ამით სულაც არ ვაყენებ ჩრდილს ბატონ მიშა ჩიკვილაძეს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, წესიერი ადამიანია. პრობლემა სისტემაშია, რომელიც არასწორი პრინციპითაა აგებული ისევე, როგორც თავად საგადასახადო კანონმდებლობა — ის დაფუძნებულია სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ამერიკელი ექსპერტების რჩევებზე. ქართველმა პარტნიორებმა ვერ გაათავისებინეს მათ აქაური სპეციფიკა, რეალობა. საგადასახადო ზეწოლა მთლიანად მეწარმეზეა და ისიც ეძებს ე.წ. „კრიშას“. ამ „კრიშების“ ძებნა მეწარმის სურვილი კი არ არის, არამედ სისტემის გამო იძულებით გადადგმული ნაბიჯია, რათა „კრიშას“ მისცეს ქრთამი და ნაკლები გადაუხადოს ბიუჯეტს.

— „კვირის პალიტრისთვის“ მოცემულ საახალწლო ინტერვიუში, როდესაც საუბარი შეეხო აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებულ კორუფციას, ედუარდ შევარდნაძემ განგვიცხადა, რომ მისი ინფორმაციით, კორუფციის ხარისხი უფრო მეტია პარლამენტში, ვიდრე მთავრობაში. სხვათა შორის, ეს თემა ძალიან აქტიურად მუსირებდა ამ დღეებში მოქკავშირის სათათბიროს სხდომაზეც, სადაც უკვე თავად მოქალაქეთა კავშირის წევრები, ინტელიგენციის წარმომადგენლები ალაპარაკდნენ პარლამენტართა კორუმპირებულობაზე...

— ძნელია, პროცენტული და ხარისხობრივი გათვლა, თუ სად მეტია კორუფცია, მთავრობაში თუ პარლამენტში... ჯერ ერთი, მინისტრთა უმრავლესობა ნამდვილად წესიერი ხალხია და არა მგონია, ვინმე დაიჭვოს ირაკლი მენაღარიშვილის, მიშა მაჭავარიანის, ზურაბ ნოღაიდელის, მიშა უკლებას, დათო მირცხულავას, მერაბ ჩხენკელის წესიერებამ. სწორედ სისტემა ქმნის ისეთ ატმოსფეროს, რომ საშუალო და დაბალი დონის ჩინოსნები არიან ყველაზე კორუმპირებულნი. დიდი სისტემური შეცდომა იქნა დაშვებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების საკითხისადმი მიდგომისას, როცა გადაწყდა — ჩამოვაყალიბოთ ე.წ. რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა! მაგრამ არ შეიძლება იმისი რეგულირება, რაც ჯერ არ არსებობს. ჯერ საბაზრო ეკონომიკა უნდა ფუნქციონირებდეს და შემდეგ გაიაზროს სახელმწიფომ, როგორ დაარეგულიროს ის, რათა არ გამოიწვიოს მისი შეფერხება...

რაც შეეხება კორუფციას პარლამენტში, დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტის აპარატი არის კარგი! დეპუტატებზე კი ძნელია საუბარი. თუმცა საზოგადოებამ კარგად იცის ბევრი ამბავი, რომელშიც დეპუტატები არიან გარეულნი. უშიშროების მინისტრმაც უკვე დაასახელა მათი გვარები, მაგრამ ეს საქმეები არ არის დაკავშირებული საპარლამენტო საქმიანობასთან. მათი უმრავლესობა ადრე მთავრობაში, ადგილობრივ ხელისუფლებაში, ან კრიმინალურ ბიზნესში იყო, საიდანაც პარლამენტში იმუნიტეტის მისაღებად მოვიდა... ალბათ არსებობს ამა თუ იმ საკითხის ბინძური ლობირებაც პარლამენტში, მაგრამ საკითხის დასმა — პარლამენტია უფრო კორუმპირებული თუ მთავრობა — არ მიმაჩნია სწორად. პარლამენტი, როგორც ინსტიტუტი, ნამდვილად არ არის კორუმპირებული, რასაც ვერ ვიტყვი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე...



— საფინანსო-ეკონომიკური კრიზისით მოცულ ჩვენს საზოგადოებას საერთოდ აღარ ახსოვს და მგონი, აღარც აინტერესებს ისეთი პრობლემები, როგორიცაა, ვთქვათ, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა. არადა არც ამ ფრონტზეა რიგზე ყველაფერი... იმის გარდა, რომ რუსები არ აპირებენ გუდაუთის ბაზის გატანას და აქ რუსულ-ქართულ მხარეს შორის რაღაც გარიგების პერსპექტივაზეცაა უკვე კულუარული საუბარი, იმავდროულად, ჩემთვის ცნობილია, რომ რუსები ვაზიანის სამხედრო აეროდრომს არ თვლიან ვაზიანის ბაზის ნაწილად და მოითხოვენ მისით კვლავაც სარგებლობას. ამის თაობაზე რას იტყვი?

— ჩანს, ამ მოლაპარაკების პროცესში მთავარი არის ის, რომ რუსეთის დელეგაციამ არაერთხელ დააფიქსირა — ის შეასრულებს სტამბოლის სამიტზე ნაკისრ ვალდებულებებს. ვაზიანის ბაზის გატანაზე გადაულახავი პრობლემები არ შეიმჩნევა, უკვე 1 აგვისტოდან უნდა დაიწყოს ტექნიკის გატანა. აეროდრომის თაობაზე რუსული მხარის პოზიცია ნამდვილად ასეთია — აეროდრომი არ არის ვაზიანის სამხედრო ბაზის შემადგენელი ნაწილი და იგი უნდა დარჩეს რუსებს, რათა მისი მეშვეობით მოამარაგონ ახალქალაქისა და ბათუმის ბაზები. ჩვენი პოზიცია ნათელია: აეროდრომი ბაზის ნაწილია, არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია და რომც არ იყოს, აეროდრომიც და ყველა ის ობიექტი არის საქართველოს საკუთრება. თუ რუსებს სჭირდებათ აეროდრომი ბაზების მოსამარაგებლად, მზად ვართ, დავეხმაროთ და მივცეთ უფლება, ისარგებლონ აეროდრომით. ოღონდ, სასყიდლით თუ უსასყიდლოდ, ეს უკვე მოლაპარაკების საგანია. გუდაუთაში გაცილებით რთულადაა საქმე. რუსებს სურთ იქ დარჩენა და საამისოდ მოჰყავთ უსუსური არგუმენტი: არძინბა კატეგორიული წინააღმდეგია ბაზის გატანისა და რუსებს შეიძლება დაემუქროს შეიარაღებული საფრთხე აფხაზების მხრიდანო(!). ეს თითიდან გამოწოვილი არგუმენტია, რადგან გამოცდილებით ვიცით, ყოველგვარი ექსცესების გარეშე როგორ დატოვეს რუსმა მესაზღვრეებმა აფხაზეთი. რუსებმა ისიც თქვეს, — აფხაზი ქალები და ბავშვები დაწვებიან ლიანდაგებზე და არ გაგვიშვებენო(!). საბოლოოდ, საქმემ ისეთი კომიკური ხასიათი მიიღო, რომ მე შევთავაზე: რადგან რუსები ასე დაუცველები და შეშინებულნი არიან, მათ დასაცავად ნატოს ჯარებს მოვუხმოთ-მეთქი! ბუნებრივია, ამას სერიოზულად არავინ მიიღებს, მაგრამ შევთავაზეთ სერიოზული ვარიანტი — გაიტანეთ თქვენი ბაზა საჰაერო გზით და ბომბორას აეროდრომის საშუალებით, რომელსაც თავისუფლად შეუძლია მიიღოს „რუსლანის“ ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავები, ან გადით ზღვითო! მოგეხსენებათ, გუდაუთის ბაზა სანაპიროზეა განლაგებული და მთელი ბაზის გაყვანა 3-4 სადესანტო გემითაა შესაძლებელი. მაგრამ რუსები მაინც თავისაზე დგანან და ვფიქრობ, ეს საკითხი საგანგებო მსჯელობის საგანი გახდება ვენაში, სადაც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების ფაგლებში ჩვენ გავამკაცრებთ ჩვენს პოზიციას, მოვითხოვთ საერთაშორისო მონიტორინგს გუდაუთის ბაზის გატანასთან დაკავშირებით. ვნახოთ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, რუსეთი მაინც აფიქსირებს, რომ 2001 წლის 1 ივლისამდე გაიტანს გუდაუთის და ვაზიანის ბაზებს და მართალია, ცდილობს ამ პროცესს დაუკავშიროს კონფლიქტის ზონაში მდგარი სამშვიდობო ძალების მომარაგებისათვის რაღაც „ცენტრის“ არსებობა გუდაუთაში, მაგრამ ჩვენი პოზიცია აქაც ხისტია — გუდაუთის ბაზა მთლიანად უნდა გავიდეს და დაიხუროს. საიდან მომარაგდებიან სამშვიდობო ძალები, ეს სხვა თემაა და სხვა მოლაპარაკებათა საგანი! ხოლო თუ სტამბოლის შეთანხმება არ შესრულდება, ჩვენ კიდევ უფრო გავამკაცრებთ პოზიციას და აქ რაიმე კომპრომისზე, გარიგებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება. მეტიც, ყველა მოლაპარაკებაზე მოვითხოვთ საქართველოდან უკანონოდ გატანილი ტექნიკის დაბრუნებას...

— როგორც ცნობილია, რუსები ითხოვენ ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების 25 წლით შენარჩუნებას...

— ამ ბაზებზე მოლაპარაკება ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ჩვენ უკვე გავცვალეთ ოქმების პროექტები. ჩვენი პოზიცია ასეთია: ბათუმის და ახალქალაქის ბაზების გატანა უნდა დამთავრდეს 2002 წლის 31 დეკემბერს! რუსების პოზიცია აბსოლუტურად მიუღებელია. ისინი ითხოვენ, რომ ეს ორი ბაზა უნდა დარჩეს 25 წლით და შემდეგ — ვადის ავტომატურად გაგრძელებით, ანუ... სამუდამოდ! ასეთი პოზიცია კი მხოლოდ ღიმილის მომგვრელია ჩვენთვის...

— ამ და, საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების ფონზე, უალრესად რთული და საინტერესო პროცესები მიმდინარეობს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ახლახან „შანხაის ხუთეულის“ სამიტმა დააადასტურა, რომ რუსეთი და ჩინეთი აძლიერებენ თავიანთ გავლენას შუა აზიის ქვეყნებზე, მაშინ, როცა აშშ-ის პოლიტიკა ერთგვარად მარცხდება... ჩვენს საზოგადოებაშიც არაერთგვაროვანია დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის მიმართ...

— არ მესმის, რა ყრია ამ პრორუსულ ორიენტაციაში და რას გვიკეთებს რუსეთი! ან რაიმე კარგი გაგვიკეთა ბოლო 10 წლის მანძილზე? რატომ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ პუტინის მოსვლით უკეთესი გახდება რუსეთი. არ მესმის და ვერც ვხედავ ვერაფერ სასიკეთოს: როგორც არ უნდოდათ აფხაზეთის დათმობა, დღესაც ისევე არ სურთ მისი დაბრუნება? მოსკოვი საქართველოში არანაირი ინვესტიციის დაბანდებას არ ცდილობს, პირიქით, პერიოდულად გვემუქრება — საქართველო რაღაცას უმზადებს რუსეთს, ბოევიკებით და „სტინგერებით“ და ა.შ. ეხმარება ჩეჩნეთსო... ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა პუტინმა, დაიწყო საუბარი სავიზო რეჟიმზე და შემდეგ რუსეთმა ამ იდეის ინიციატორობა მე და ვალერი ჩხეიძეს დაგვაბრალა. მართალია, მე არ მეკუთვნოდა ეს იდეა, მაგრამ პირადად მიმაჩნია, რომ სავიზო რეჟიმი სასარგებლო იქნება საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გასაძლიერებლად. ბოლოს და ბოლოს, ამით რუსებს მოეხსენებათ სინდრომი, რომ „საქართველო ჩვენია და მას არსადაც არ გავუშვებთო“, რაც დღემდე მძლავრობს კიდეც მათში!

რაც შეეხება კავკასიას, კერძოდ, საქართველოს და შუა აზიას, შუა აზიაში ნამდვილად იგრძნობა რუსეთის პოლიტიკის გაძლიერება, იზრდება სამხედრო პრესიც ყირგიზეთის, ყაზახეთის და თუნდაც უბზეკეთის მიმართ. მომავალ ათწლეულში სერიოზულად გაიზრდება ჩინეთის გავლენაც. ვფიქრობ, რომ ბოლო ერთ წელიწადში სერიოზული შეცდომები დაუშვა აშშ-ის დიპლომატიამ შუა აზიაში და დაკარგა კიდეც მათზე გავლენა. ძნელი სათქმელია, რა მიზეზებით მოხდა ეს, მაგრამ აშკარაა ვაშინგტონის პოზიციის შესუსტება ამ რეგიონში, თუმცა პერსპექტივაში ამერიკა იტყვის თავის სიტყვას, რადგან არც რუსეთს და არც ჩინეთს არ გააჩნიათ ის ეკონომიკური პოტენციალი, რომლითაც შეუძლიათ მიიზიდონ ეს ქვეყნები. არადა ამერიკის გავლენის გაძლიერება შუა აზიაზე, სტრატეგიულად აუცილებელია, რათა დაბალანსოს რუსეთისა და ჩინეთის ინტერესები — რუსეთიც და ჩინეთიც ხომ ტრადიციულად ხასიათდებიან გაფართოების ტენდენციით. ამერიკა არის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ამ ორი ქვეყნის მისწრაფებების დაბალანსება, რაც გამოიწვევს მაქსიმალურად უსაფრთხო სისტემის ჩამოყალიბებას ევრაზიულ სივრცეში... ამის გათვალისწინება მართებს საქართველოსაც და ის ტენდენცია, რომ ამერიკამ არაფერი გაგვიკეთა და მოდით, რუსეთისკენ შევბრუნდეთო, არის დიდი შეცდომა. მეტიც, ეს არის რუსეთის სპეცსამსახურების ნამუშევრის შედეგიც... ხოლო ის, რომ თითქოს დასავლეთმა ხელი აიღო ჩვენზე, არ შეესაბამება სიმართლეს. მაშინ არ იქნებოდა არც ბაქო-ჯეიჰანი, არც ჩვენი თავდაცვითი სისტემისა და უსაფრთხოებისთვის გაზრდილი დახმარებები და ა.შ. ბუნებრივია, ამ პროცესს ხელს უშლის კორუფცია, როცა აქ ჩამოსულ ინვესტორებს პირდაპირ სთხოვენ წილს, ატყუებენ უცხოელ პარტნიორებს, რომლებიც შემდეგ დასავლეთში ავრცელებენ ინფორმაციას, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი ან ორი კაცი კი არ არის ცუდი, არამედ საერთოდ არ ღირს იქ მუშაობა, რადგან ყველანი მატყუარები და აფერისტები არიანო... ეს ცუდად მოქმედებს საინვესტიციო კლიმატზე, მაგრამ სულაც არ ნიშნავს, რომ ამერიკას თავისი ინტერესები აღარა აქვს აქ და საერთოდ ხელი აიღო ჩვენზე...

ზურაბ მჭედლიშვილი

პეტრე-პავლეს ხსენება



12 ივლისს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს წმიდათა მოციქულთა თავთა — პეტრესა და პავლეს ხსენების დღეს.

წმინდა პეტრე მოციქული იყო გალილეველი მეთევზის იონას ძე და მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ძმა. პეტრემ პირველმა აღიარა იესო ქრისტე ძედ ღვთისად, რის გამოც უფალმა მას „კლდე“ უწოდა. მაცხოვარმა, თავის ამქვეყნად ყოფნაშივე უწინასწარმეტყველა პეტრეს, რომ იგი მრავალ მორწმუნეს შემოიკრებდა და ადამიანთა გულებს მოინადირებდა. მაგრამ ამ სიტყვების აღსრულებამდე პეტრემ ადამიანური სისუსტე გამოიჩინა და მაცხოვარი სამჯერ უარყო, რასაც სიკვდილამდე ძლიერ ნანობდა. მიუხედავად ამისა, მაცხოვარმა არ მიატოვა საყვარელი მოწაფე და ამაღლებამდე ტიბერიის ზღვასთან გამოეცხადა სხვა მოციქულებთან ერთად სათევზაოდ გასულ პეტრეს. მაცხოვარმა სამჯერ გაუმეორა პეტრეს: „დამწყემსე ცხოვარნი ჩემნი“ და მიუთითა, რომ ამ გზით შეძლებდა გამოესყიდა თავისი შეცოდებანი. ამიერიდან პეტრე ღვთის სიტყვის მხურვალე მქადაგებელი შეიქნა, ქრისტეს მოძღვრებას იგი რომში, ჯვარზე უკუღმა მიმსჭვალული, სულის ამოხდომამდე ქადაგებდა.

წმინდა მოციქული პავლე წარმოშობით ებრაელი, საზოგადოების მაღალი ფენიდან იყო. იგი სიყრმეშივე განისწავლა ებრაულ სჯულსა და საერო მეცნიერებებში. თავდაპირველად, პავლეს ისე სძულდა ქრისტიანები, რომ თავად სდევნიდა მათ. იგი მონაწილეობდა სტეფანე პირველდიაკონის ჩაქოლვაში. ქრისტიანთა დატყვევების სურვილით გამსჭვალული პავლე ერთ დღეს დამასკოსაკენ გაემგზავრა. გზაში თავად უფალი გამოეცხადა და ამ დიდმა ხილვამ შთააგონა, მონათლულიყო. მას შემდეგ ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი პავლე მტკიცე აღმსარებელი და უფლის გამორჩეული მოწაფე შეიქნა. მან თავის მოწაფეებთან ერთად მრავალ ქვეყანაში იქადაგა ქრისტეს რჯული და ახალი ეკლესიები დააარსა.

პავლე მოციქულს თავი მოკვეთეს რომში, ახ. წ.აღ.-ით 67 წელს, იმპერატორ ნერონის დროს. მან დაგვიტოვა 14 ეპისტოლე, რომლებიც „ახალი აღთქმის“ წიგნებშიც შედის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი დიდი საეკლესიო მამა სრულიად განსხვავებული გზით მივიდა უფალთან, მათი ღვაწლი გამორჩეულია და მართლმადიდებელი სამწყსო განსაკუთრებული ზეიმით მოიხსენიებს მათ.

13 ივნისს აღინიშნება ათორმეტ მოციქულთა ხსენება და არის სვეტიცხოვლობა, ვინაიდან ეს ტაძარი ათორმეტ მოციქულთა სახელზე არის ნაკურთხი. ჩატარდება მდინარეში ნათლობა.

ანა ჩხეიძე

ავლაბარი და ისანი

დედაქალაქის ორ უძველეს უბანს, ისანს და ავლაბარს, ხშირად აიგივებენ, მაგრამ ეს არ არის სწორი. ისნის ციხესიმაგრეს ეკავა მცირე ტერიტორია — მეტეხის ტაძრის ირგვლივები. ავლაბარი მე-18 საუკუნემდე ისანს ემიჯნებოდა და სულ 8 ჰა-ს შეადგენდა. იგი თავდაცვითი თხრილით იყო გამოყოფილი ქალაქისგან. მას გალავანი შემოავლეს ერეკლე II-ის მეფობის დროს. ვახუშტი ბატონიშვილი თბილისის 1735 წლის გეგმაზე ამ ნაწილს უწოდებს ავლაბარს და ისანს. აღნიშნული ტერიტორია დღეს იფარგლება მეტეხის ტაძრის კედლით, ქეთევან წამებულის მოედნით და მუკუზნის ქუჩით. ამავე გეგმაზე დატანილია უბნები თავდაცვის თხრილის გარეთაც, ე.წ. გარე ავლაბარი, რომელიც განლაგებული იყო დაახლოებით ბარათაშვილის აღმართსა და მესხიშვილის ქუჩას შორის.

პლატონ იოსელიანის მტკიცებით, ციხესიმაგრე და ეკლესია მიეკუთვნება V ს.-ს, ვახტანგ გორგასლის ეპოქას. იოანე საბანისძე (VIIIს.) ამ ადგილებში მოიხსენიებს საპყრობილე-დილეგს და სასაფლაო-საგოდებელს.

XII-XIIIს.ს-ში ისნის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან ციხეში იდგა მეფის სასახლე და ტაძარი. მონღოლების პირველი დაცემის შედეგად მეტეხის ტაძარი და სასახლე დაინგრა, რომელიც აღადგინა დემეტრე თავდადებულმა. მომდევნო საუკუნეებში აქ უკვე აღარ არის მეფის სასახლე, მან მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე — კალაში გადაინაცვლა. ისანი თავდაცვით მნიშვნელობას ინარჩუნებს. 1658 წ. ვახტანგ V-მ (შაჰ-ნავაზმა) მეტეხის ტაძარი თოფის წამლის საწყობად გადააკეთა. მე-18 საუკუნემდე ციტადელში უცხოელები იდგნენ. 1748 წელს იგი ხელთ იგდო ერეკლე II-მ. ამის შესახებ გვამცნობს აღმოსავლეთ ფასადის ნარწერა, — მეფე ერეკლემ ეს ციხე მტერთა წაართო ძალადო და სხვ.

ერეკლემ აღადგინა ციხე და ეკლესია. აქვე დააარსა სასულიერო სასწავლებელი. მეტეხის ტაძარმა ძირითადად შეინარჩუნა XIII ს-ის. სახე, მაგრამ მას შეკეთება-გადაკეთებათა კვალიც ატყვია.

1795 წ. აღა მაჰმად-ხანის შემოსევამ დააკცია ციხე და მის ადგილას 1819 წ. აიგო საპყრობილე, რომელიც ჩვენს დროში დაანგრიეს.

ისანი არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გამაგრებულ ადგილს, ციხესიმაგრეს. ასე რომ, ისნის სამეფო სასახლე საუკუნეთა მანძილზე უკვალოდ გაქრა, ხოლო დემეტრეს დროინდელმა ტაძარმა, თუმცა გადაკეთებული სახით, მაინც დღემდე მოაღწია.



თანამედროვე ავლაბრის ტერიტორია ოდესღაც ტყეებით იყო დაფარული. ამაზე მეტყველებს ზოგიერთი ტოპონიმი, აგრეთვე მე-14 საუკუნის ნაჩუქრობის სიგელი, რომელშიც პირველად იხსენიება „ავლაბარი“. მასში ლაპარაკია „ავლაბრის ტყეებზე“. ავლაბარი მნიშვნელოვნად გაიზარდა მე-17 საუკუნეში, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც თავდაცვითი თხრილის მიღმა იყო გაშლილი. ამ ადგილას ვახუშტი ბატონიშვილი უჩვენებს ორ ეკლესიას: სომხურს და ბერძნულს. უკანასკნელი წმ. მარიამის სახელს ატარებდა. მას გარს ერტყმოდა ქართული სასაფლაო. ეს ნაჩვენებია პორუჩიკ ჩუიკოს 1800 წლის გეგმაზეც. ვახუშტი თავის გეგმაზე მახათის მთის ძირას აღნიშნავს „მელიქის ტაძარს“ და „ბეპბუტის ბაღს“.

ავლაბარში სახლდებოდნენ მეფეთა და აზნაურთა ყმები. აქ ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, ბერძნები, სპარსელები. პლატონ იოსელიანის ცნობით, ავლაბარში სასახლეები ჰქონდათ სამეგრელოს და გურიის თავადებს. 1785 წლის გეგმაზე აღნიშნულია უფლისწულ გიორგის სახლი. მე-18 ს-ის 70-იან წლებში დარეჯან დედოფალმა ავლაბრის გალავნის ერთ-ერთ ბურჯზე ააგო სასახლე „საჩინო“. შემორჩენილია კარის ეკლესია. ერეკლე II-ის მიერ აგებული ციხე-გალავნიდან დღემდე მოაღწია მცირე ნაწილმა ავლაბრის მაღლობზე.

მე-18 საუკუნეში ლეკების თავდასხმებმა და შავი ჭირის ეპიდემიამ ავლაბარი დააცარიელა. ერეკლეს სიკვდილის შემდეგ გიორგი XII-მ ავლაბარში ჩამოასახლა ერევნელი და ლორეს სომხობა. 1775 წ. ქალაქის გალავნის შიგნით აიგო დიდი სომხური ეკლესია შამხორეცოცი.

პორუჩიკ ჩუიკოს გეგმაზე ფერებით გამოყოფილია ქალაქის ის ნაწილები, რომელიც მთლიანად გაანადგურა აღა მაჰმად-ხანმა. მათ შორის ავლაბრის დიდი ტერიტორიაც გალავნის გარეთ.

ავლაბრის ცენტრად ითვლებოდა კახეთის (ქეთევან წამებულის) მოედანი, რომელიც დაარსდა ავლაბრის გალავნის კარიბჭესთან.

არსებობს რამდენიმე მოსაზრება, თუ რას ნიშნავს სახელწოდება „ავლაბარი“. ერთ-ერთი ვერსიით, ეს სიტყვა ნიშნავს ქალაქის გალავანს მიღმა ადგილს („ბარე“ — კედელი, ზღუდე; „ხავალი“ — ადგილი). მართლაც, ასეთი განმარტება ზუსტად გამოხატავს თბილისის მარცხენა სანაპიროს შუა საუკუნეების სტრუქტურას — ავლაბარი მდებარეობდა ისნის ციხესიმაგრის გალავნის მიღმა.

გალაქტიონ ტაგანაშვილი

„ახალი ქართველები“ ახალ თბილისს აშენებენ

ხალხი ბრძენია... კანონები მით უფრო, მხოლოდ შემსრულებელს აკლია ზნეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცივილიზებულ საზოგადოებამდე შორს ვართ.

ვინ არის დამნაშავე ისტორიული თბილისის დამახინჯებაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის კლუბ „ჟურნალისტის ტრიბუნაში“ არქიტექტორები, მერიის თავკაცები და ჟურნალისტები.

დისკუსიაზე გაგონილ ანდაზას მოვიშველიებ და გეტყვით, რომ „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“. ეს გულდასაწყვეტი ფრაზა თქვეს იმათ, ვისი ვიზის გარეშეც არ უნდა მოხდეს ამ უგვანო შენობა-ნაგებობებით დამახინჯება არამცთუ ძველი თბილისის, რომელიც უკვე ნაკრძალად არის გამოცხადებული, არამედ ნებისმიერი უბნისა.

„ახალმა ქართველმა“ ფულით შეუტია ძველ თბილისს და დაანგრია (მიდი და ახალე თავი კედელს) და კიდევ, კონსტიტუცია, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციას ეყრდნობა და რომელშიც თეთრზე შავით წერია, საქართველოში მინები არ იყიდებაო. ამას უკომენტაროდ ვტოვებთ. დღეს თბილისში გაყიდულია მიწის 80%, იყიდება ტროტუარებიც. დამეთანხმებით, გულშემატკივართათვის ეს ძნელი სათქმელიცაა და ძნელი მოსასმენიც. არადა, ამ საინტერესო დისკუსიაზე ქართველი ხუროთმოძღვრებისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკამ ეროვნულ კულტურას ახალი იმპულსები შესძინა. ცხადია, ძველი ამორტიზებული შენობები უნდა დაინგრეს, სახლები, სადაც ცხოვრება შეუძლებელია, ახლით უნდა



კიდეც. ეს აქაც ითქვა და უკვე საზოგადოებრივ აზრადაც ჩამოყალიბდა, თუმცა, მაინც რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ჟურნალისტებს პრესრელიზთან ერთად დაგვირიგეს დანვრილებითი ნუსხა ყველა იმ „მონსტრი“ შენობისა, რომელმაც დაამახინჯა დედა-თბილისი: აბანოთუბანში, გორგასლის ქუჩის დასაწყისში, სოლოლაკში, კომკავშირის ხეივანში, აღმაშენებლის გამზირზე, № 75-ში, ასათიანის № 14-ში, ლესელიძის № 17-ში, ვაკის პარკში, მთაწმინდის № 14-ში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, ყიფიანის № 29-ში. ყველა ამ ობიექტის შპს მშენებელს ხელში ბეჭდიანი პროექტი უჭირავს, რომელსაც ავტორიც ჰყავს და მხარდამჭერიც. მხარდამჭერად ყველგან დავით ახვლედიანი ფიგურირებს, გარდა მამადავითის მთაზე ნამოჭიმული შენობისა, რომელმაც მამადავითის ეკლესია უკვე დაფარა. ამ დოკუმენტში ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ არც ერთი პროექტი „ძეგლთა დაცვაში“ არ შეთანხმებულა.

ეს კიდევ არაფერი. მათვე წინ დაგვიდეს კანონი, 1998 წლის 14 აპრილის პრეზიდენტის ხელმოწერით: კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ, რომლის თანახმადაც: თანამდებობის პირს, უფლება ეძლევა თავად დააპროექტოს სახლი შეიცვალოს, მაგრამ დაცული უნდა იყოს სტილი და მასშტაბები. ძველ თბილისში სახლები ორ კატეგორიად არის დაყოფილი: „შენობა-ძეგლი“ და „ფონი-ნაგებობა“. თუ შენობა-ძეგლი დაზიანდა, იგი ზუსტი ასლით უნდა აღდგეს. ფონური ნაგებობები კი შეიძლება დაინგრეს და არქიტექტურული სტილის დაცვით იმავე ზომისა და მასშტაბის ახალი შენობები აშენდეს.

დღეს კი საერთო გაჭირვების ფონზე, როცა მერიას არ გააჩნია სახსრები, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესებით იმოქმედოს, უკვე ინვესტორი მოქმედებს მგლური კანონითა და მადით, ანგრევს ამორტიზებული, დაძველებული წყალკანალიზაციით დახავსებულ კედლებს და იმ ზომის შენობას იწყებს, რომ დააკმაყოფილოს მაცხოვრებლები, ოჯახის ყველა წევრს ცალ-ცალკე აუშენოს აპარტამენტები და იმდენი ბინა გაყიდოს, დანახარჯიც აინაზღაუროს და მოგებაც ნახოს. ეს უკვე კარგად აპრობირებული ის გაკვალული ბილიკია, რომელმაც დაანგრია ძველი თბილისი და ერთეულები მილიონერებად აქცია.

აქ შეიძლება წერტილიც დაგვესვა და საფიქრალი მკითხველისთვის დაგვეტოვებინა, მაგრამ არ მასვენებს ერთი კითხვა, დაწერილი კანონებიდან ხომ მხოლოდ იმას ვიცავთ, რაც ჩვენს ინტერესებშია. იქნებ დაუწერელმა კანონებმა გაგვიღვიძოს პატივისცემა დედათბილისისადმი და ეროვნული ღირსება. ამის გარეშე ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ცივილიზებული საზოგადოება.

P.S. ხალხი ბრძენიაო, ზემოთ ვამბობდით და მინდა ამითვე დავასრულო. ამას წინათ ფუნიკულიორის ვაგონს ბორბალი რომ ამოუვარდა რელსიდან და ამომავალი მზის ქვეყნის ტრავმირებულ ტურისტებთან თავი შევირცხვინეთ, იქვე ფუნიკულიორის სადგურის შესასვლელში მდგარმა ხელგაწვდილმა მოხუცებმა, რომელთა სანდომიანი სახეები უფლებას არ მაძლევდა არ მომესმინა, ისიც კი თქვეს, ამ უზარმაზარი შენობის საძირკვლის გაჭრამ და შიგ ტონობით ბეტონის ჩასხმამ შეარყია მთის ქანები და რელსებმაც განიცადესო დეფორმაცია. მოხუცების ნათქვამში გულისტკივილიც იყო და ადამიანური ლოგიკაც. თუ მშიერი მოხუცი ამდენს განჭვრეტს დღეს, მომავალი თაობის მძიმე ბრალდებას ვინ უნდა გასცეს პასუხი? ღმერთის წყალობით და დროის გადმოსახედიდან უფრო ნათელი გახდება მტყუან-მართალი.

დოდო იორდანიშვილი

მეძავი მაინც ბვივარგოდეს...

მოპასანის „ლამაზი მეგობარი“ ვისაც წაუკითხავს, აუცილებლად ეხსომება რაშელი-მეძავი, რომელიც კაცს არ გაუშვებდა თუ მოეწონებოდა. საერთოდ პარიზული ბოჰემა, ყოველ შემთხვევაში მხატვრულ ლიტერატურაში, წარმოუდგენელიც კია მეძავების გარეშე და მწერლის ოსტატობიდან გამომდინარე, სიმპათიითაც კი შეიძლება განეწყოს მათდამი ადამიანი.

რემარკის „სამ მეგობარშიც“ ვხვდებით „სიძვის დიაცებს“, რომლებსაც თავიანთი პროფესიის მიუხედავად, თავისებური ღირსება და პატივიც შენარჩუნებული აქვთ, მეგობრობაც იციან, სიყვარულიც და ცხოვრების მიზნადაც ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება დაუსახავთ ან ფრანგულ „ძველ თოფში“ ულამაზესი რომი შნაიდერის განსახიერებული გმირი გაიხსენეთ...

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამ ხალხშიც შეიძლება რაღაც კეთილი მარცვლის პოვნა.

ახლა თბილისში გავისეირნოთ და ჩვენი „ეროვნული“ ბოზები ვნახოთ: რკინიგზის სადგური, თამარ მეფის (ყოფილი ჩელუსკინელების) ქუჩა — გმირთა მოედნიდან ხიდამდე, მტკვრის თითქმის მთელი სანაპირო... ნუთუ ან მერს, ან სხვა „ხელმძღვანელ ამხანაგს“, ან თუნდაც ქალაქის სანიტარულ წესრიგზე პასუხისმგებელს არ უნახავს ამ ქუჩების კიდეზე მდგარი და სამლარიანი(!) კლიენტის მომლოდინე ქალისმაგვარი არსებები?! ნურავინ მეტყვის ახლა: „როგორ ლაპარაკობ, ეს ადამიანის ღირსების შელახვაა, ცოდვა არ არის? — შიაო“, „იქ დგომა კი არ სიამოვნებსო“, „რა უგულო ხარო...“

არ გვინდა ნიანგის ცრემლების ღვრა — ვიყავი იქ და მათაც ველაპარაკე დღეში ერთ ან ორ „კლიენტს“ თუ გამოვიჭერთ და პოლიციელისთვის „თავიანთი“ წილის მიცემის შემდეგ 2-3 ლარი გვრჩებაო. შევთავაზე დამლაგებლად მოგანყოს და ხუთი ლარი გექნება დღეში-მეთქი — კინაღამ ხელში ჩამაკვდა, იმდენი იცინა. ჰოდა, ყველას მივმართავ, მათ შორის ჩემს კოლეგებსაც, რომლებიც თითქმის ყოველდღე გვაცნობენ მათ ბიოგრაფიებს: როგორი ლამაზი და ჭკვიანი იყო, როგორ გააუპატიურა ვიღაც ვერაგმა და შემდეგ ცოლად არ მოიყვანა, როგორ აღარ შეუშვა სახლში უგულო მამამ, როგორ მიიყვანეს შემთხვევით გაცნობილებმა სადღაც სამუშაოდ და ორი თვის შემდეგ როგორ გაიგო, რომ ბორდელი ყოფილა...

დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი: ეს არის უდიდესი სირცხვილი, საფრთხე და სიმახინჯე ისედაც გაუბედურებული ქვეყნის დედაქალაქისთვის — საფრთხე, რადგან მათი კლიენტები ძირითადად უფულო მოზარდები არიან, რომლებიც ნაკლებად ფიქრობენ დაავადების „აკიდებაზე“, და სირცხვილი, რადგან სანაპიროსა და ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე როსკიპები არ უნდა იდგნენ და თუ იდგებიან, ისეთები მაინც, რომ ქალებს ოდნავ მაინც ჩამოჰგავდნენ (აქ გარეგნობას ყველაზე ნაკლებად ვგულისხმობ), თორემ ამას წინათ გერმანელი სტუმარი მიმყავდა თავის საელჩოში — ფეხით გავიაროთო და „თამარ მეფის გოგოების“ (როგორ მოგწონთ? — თავის თავს სწორედ ასე უწოდებენ) დანახვის შემდეგ, მათ რომ გავცდით, სიბრალულითა თუ ზიზღით სავსე მზერა ვერ მოწყვიტა და უკან-უკან ყურებით ხიდზე გადასვლისას, კინაღამ მტკვარში გადავარდა...

რადგან მწერლებით დავიწყე, ლიტერატურითვე დავამთავრებ და ერთ ეპიზოდს გაგახსენებთ ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამიდან“:

„კიროვის პარკში“ შეკრებილი ბიჭები ახალმოსულ მეგობარს ეკითხებიან, — ახალი რა იციო. „ამერიკის ხმამ გადმოსცა, ესპანური ჭიანჭველას წვენს თმა ამოჰყავს თურმე“ — უმალ უპასუხა მანაც.

„ამის დედა ვატირე, — ჩვენი ჭიანჭველაც რომ არ ვარგა...“ — სინანულით ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა და მელოტ თავზე გადაისვა ხელი...

სწორედ ეს ფრაზა ამეკვიატა თამარ მეფის ქუჩიდან რედაქციისაკენ მომავალს: „ამის დედა ვატირე, — ჩვენი ბოზიც რომ არ ვარგა...“

ზვიად გურული

ეხილავი, აქამდე აბსტრაქტულ არსებად მიჩნეული კორუფცია გამოიკვეთა და ალბათ მალე (იმედია) ხორცშესხმული, განსხეულებული წარმოგვიდგება. ზოგი უწყების ბოლოდროინდელი გამოცოცხლების წყალობით, ბოლოს და ბოლოს, დადგინდა ამ (ვითომდა) უხილავი არსების გარეგნული ნიშნები და ადგილსამყოფელი. კორუფციის გარეგნობაზე ჯერ არაფერს ვიტყვით, მაგრამ ადგილსამყოფელს კი გაგიმხელთ — ის ყველგან არის (თუმცა ამის აღიარება ზოგს არ უნდა), დიახ, ყველგან და ნებისმიერი ჩვენგანი მას დღეში რამდენჯერმეც ხვდება, მაგრამ ვერ ვცნობთ, იმიტომ, რომ შევეჩვიეთ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ, გადამწყვეტ ფაზაში შედის. მთავრობის სხდომაზე შევარდნაძემ ყველა უწყების ხელმძღვანელთა გასაგონად თქვა, — გამოსვლები შედეგებზე უნდა იყოს ორიენტირებული, თუ რამდენი თანხა დაუბრუნდა სახელმწიფოს, რამდენია გასამართლებული, რამდენია დაპატიმრებულიო და კორუმპირებულებს „მონანიების სავანეში“ მიუჩინა ადგილი — ასეთი ადამიანების მასპინძელი ჯონი ხეცურიანი იქნებაო.

დამნაშავე ცოცხალი ან მკვდარი უნდა იპოვოთ, სახელმწიფოს თანხა არ უნდა დაეკარგოს, — მკაცრად მოითხოვს შევარდნაძე და ძალოვნებს უპირველეს ყოვლისა საკუთარი სანათესაოსკენ მიუთითებს: „დაიწყეთ ჩემი ნათესავებით, თუ რომელიმე რამეს აშავებს. მე არ შემიძლია კაცის დაჭერა, სამწუხაროდ, არ მაქვს ამის უფლება. შეცვალეთ კონსტიტუცია, მომეცით უფლება და რამდენს დავიჭერ, აი მაშინ დაგანახვებთ, მათ შორის ნათესავებსაც. არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. თქვას ვინმემ, შორეული ან ახლო ნათესავის გამოძახების და დაკითხვის გამო თუ ჰქონია რაიმე რეაქცია შევარდნაძეს ან უკმაყოფილება თუ გამოუხატავს?!“

მთავრობის სხდომაზე უშიშროების მინისტრმა პრეზიდენტის ნათესავები არა, მაგრამ რამდენიმე „წონიანი“ ფიგურა უკვე დაასახელა — ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელაშვილი და თბილისის ყოფილი პრემიერი კოტე კაპანაძე (ფირმები „ხაშური“ და „კაესტი“). ამ უკანასკნელმა თავისი საქმიანობით იმდენად „მოხიბლა“ პრეზიდენტი, რომ შევარდნაძემ იგი „ჩვენი დროის გმირად“ შერაცხა. კოტე კაპანაძის მრავალფეროვან საქმიანობაში განსაკუთრებით „წარმატებული“ ნავთობისა და სპირტის ბიზნესი აღმოჩნდა, რის გამოც სახელმწიფომ რამდენიმე მილიონი ლარი იზარალა. როგორც შევიტყვეთ, ყოფილ პრემიერს მალე მოუწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა.

უშიშროება ერთი წელია, ეკონომიკური დანაშაულის ფაქტებს იძიებს და „პატარა აღმოჩენა“ გააკეთა. თურმე ჩვენი „ჯი-ვი-ეს“-ის ჩამოსხმული „ხვანჭკარა“ და „საფერავი“ შემოტანილ ფრანგულ „სავინიონსა“ და „ბორდოზე“ ძვირი. ხოლო თვალისმომჭრელი და პომპეზური სუპერმარკეტები „ბიგ-ბენი,“ „ფლამინგო“, „ბადენ-ბადენი“, „ევროცენტრი“, რომელთა უკან საკმაოდ გავლენიანი აღმასრულებლები და კანონმდებლები დგანან, არაკეთილსინდისიერი გადამხდელები ყოფილან. მათ შორის ყველაზე „პატიოსანს“ — „ევროცენტრს“, ბიუჯეტში ყოველწლიურად 47 ათასი ლარი შეაქვს. „რასაც ეს სუპერმარკეტები თვეში იხდიან, ის თანხა ყოველდღიურად უნდა შეჰქონდეთ ბიუჯეტში“, — ასეთია ქუთათელაძის ვერდიქტი.

თბილისთან დააკავეს ერგნეთის ბაზრობიდან მომავალი „კამაზი“, რომელსაც ვითომ (ოფიციალური საბუთებით) შვრიის ბურღული („ჰერკულესი“) გადმოჰქონდა. სინამდვილეში 20 ტონიანი სატვირთო დელიკატესებით — წითელი ხიზილალით, ბეკონით, შებოლილი შაშხით, კიბორჩხალის ჩხირებით, ზეთისხილითა და ჰოლანდიური ყველით იყო სავსე. 120 ათასი ლარის ღირებულების საქონლის ადრესატები სუპერმარკეტები იყვნენ, რომელთა დასახელება და მფლობელთა ვინაობა უშიშროებისთვის უკვე ცნობილია. ქუთათელაძე იმასაც არ ფარავს, რომ ასეთი კონტრაბანდის შემოტანა ქვეყანაში მხოლოდ თანამდებობის პირთა ჩარევით ხერხდება. და კიდევ ერთი ნონსენსი — ტვირთს იმ ორგანოს თანამშრომელი აცილებდა, რომელსაც უშუალოდ ევალება კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა. მისი გვარი, სამწუხაროდ, ქუთათელაძემ არ დაასახელა.

უშიშროების სამსახურის მონაცემებით, სახელმწიფომ მილიონობით ლარი იზარალა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მანიპულაციით („კვირის პალიტრა“ ამის შესახებ წერდა ა.წ. №22-ში).

პრეზიდენტმა საგადასახადოს შეფს მიხეილ ჩიკვილაძეს „ძალიან სთხოვა“ ყველა ორგანიზაციის გულდასმით შემოწმება, რადგან ბევრი ვითომდა უწყინარი ფირმის უკან არცთუ სუფთა საქმეები კეთდება. როგორც ჩანს, შემოწმებას ვერც პრეზიდენტის რეზიდენცია — სახელმწიფო კანცელარია ასცდება. „პეტრე, ჭკუით იყავი“, — გაფრთხილა შევარდნაძემ კანცელარიის შეფი და ამით აგრძნობინა, თუ ყველაფერი წესრიგში არ გექნება, ჩემი კეთილგანწყობა ვერ გიშველისო.

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

რა ქნას უქონელმა ადამიანმა, როელსაც მოულოდნელად კუჭი გაუსკდა?

ეკვე რამდენიმე წელია, საქართველოში ჯანდაცვის სისტემის რეფორმა მიმდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე საუბარი დღემდე არ შეწყვეტილა, მხოლოდ საუბარი — რადგან იმ აბდაუბდას, რაც დღეს საქართველოს საავადმყოფოებში ხდება, რეფორმას ვერაფრით უწოდებს საღად მოაზროვნე კაცი. რეფორმა ხომ თავისთავად ისეთ ცვლილებებს უნდა გულისხმობდეს, რომელიც თავის თავში რაღაცის გაუმჯობესებას, უკეთესისკენ შემოტრიალებას შეიცავს.

და აი, სულ ახლახან ამ ე.წ. რეფორმის ახალი ეტაპის დაწყება „გვახარა“ ჩვენმა ხელისუფლებამ — ბიუჯეტის სეკვესტრია საჭირო და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების შემცირების გარეშე არაფერი გამოვაო (ვითომ მართლა რამე გამოვა).

ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კლინიკის — სააქციო საზოგადოება „ტრავმატოლოგის“ უფროსი ტრავმატოლოგ-ორთოპედი ბატონი **ვალტერ კაპანაძე**:

— საერთოდ, ჩვენთან რეფორმა, ამ სიტყვის ნორმალური, ცივილიზებული გაგებითაც კი, წარმოუდგენელია და მით უმეტეს ისეთი „რეფორმა“, როგორიც საქართველოში „განხორციელდა“ — ეს რეფორმა არ არის, ეს არის ხალხის განირვა, ხოლო ბოლო გადაწყვეტილება დაფინანსების ფაქტობრივად მთლიანად შეწყვეტის შესახებ დაწყებული „რეფორმის“ „ღირსეული“ დაგვირგვინებაა. დღეს ყველა „თორმეტ-ლარიანი პენსიონერი“ პოტენციური მიცვალებულია და სამწუხაროდ ამას სულ მალე დავინახავთ. ვისაც ფული აქვს, სერიოზული ოპერაციებისათვის ევროპაში ან უფრო შორსაც კი მიემგზავრება, მით უმეტეს, რომ ხარჯი იმაზე ბევრად მეტი არ ექნება, ვიდრე საქართველოს კლინიკებში. ხოლო დანარჩენს ავადმყოფობის უფლებაც კი ერთმევა. ექსტრემალურ შემთხვევებს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ონკოლოგიურ ავადმყოფებს რა ვუყოთ. დღეს სახელმწიფოს მიერ მხოლოდ მშობიარობა ფინანსდება. ცხადია, ეს თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ თუ მაინცდამაინც ერთი „მიმართულება“ უნდა დაფინანსდეს, ვფიქრობ ეს ექსტრემალური შემთხვევები უნდა იყოს — მშობიარე ქალი მანამდე ცხრა თვის განმავლობაში ფეხმძიმედ არის და ამ დროში ოჯახს იმ სამასი თუ ოთხასი ლარის შეგროვების დრო აქვს. მაგრამ რა უნდა ქნას უქონელმა ადამიანმა, რომელსაც მოულოდნელად კუჭი გაუსკდა ან აპენდიციტის ოპერაცია დასჭირდა? ან თუნდაც ავტოკატასტროფის შემდეგ ჩემთან მოყვანილმა ავადმყოფმა, რომელსაც მრავალჯერადი მოტეხილობა აქვს და შოკში იმყოფება?! მხოლოდ ერთ დღეში — მარტო შოკიდან გამოსაყვანად, გადასხმებს, გამაყუჩებლებს და ბოლოს სისხლს, ორასი-სამასი ლარი სჭირდება. ვიმეორებ: აქ მხოლოდ პრეპარატებს ვგულისხმობ. ცალკე საკითხია ექიმების უსაფრთხოება — თუ, ღმერთმა დაიფაროს და, ავადმყოფი დაიღუპა, ვერავინ იტყვის, რას მოიმოქმედებს გამწარებული ჭირისუფალი, იგი ხომ უეჭველად იმას იფიქრებს, რომ ავადმყოფს უფულობის გამო არ ჩაუტარდა შესაბამისი მკურნალობა.

— მაშ, როგორ იქცევით ხოლმე ასეთ შემთხვევებში?

— ჯერჯერობით, იმ ავადმყოფების მიერ გადახდილი ფულით შეძენილი შესახვევი მასალა და პრეპარატები, რომლებსაც მკურნალობის ღირებულების გადახდა შეეძლოთ, კიდევ გვქონდა, თაბაშირი ჰუმანიტარული წყაროებით შემოდიოდა. ამიერიდან რა იქნება, ძნელი სათქმელია — გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

— ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ რეფორმა საჭირო არ იყო?

— ასეთი სახით არავითარ შემთხვევაში. ესენი ჩავიდნენ ევროპაში, ნახეს იქაური გაწკრიალებული საავადმყოფოები, აქაც ისეთივე მოუნდათ და ჩათვალეს, რომ ამის მიღწევის ერთადერთი და უეჭველი გზა ფასიანი სამედიცინო მომსახურებაა. თუმცა, რატომღაც არ ითვალისწინებენ იმას, რომ დასავლეთში უფასო კლინიკებიც არსებობს და საერთოდ მედიცინა მოგებიან ბიზნესად არც ერთ ქვეყანაში არ ითვლება. ჩვენთან კი ამ „ბიზნესით“ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება გადაწყვიტეს.

— როგორ ნაწილდება ავადმყოფის მიერ გადახდილი თანხა, ვთქვათ, 1.000 ლარი?

— საავადმყოფოში დაახლოებით 200-250 ლარი რჩება. აქედან ორ-ორი ან სამ-სამი ლარი უმცროს სამედიცინო პერსონალს ერგება, ქირურგს (თუ ამავე დროს იგი ოპერაციის შემდგომ პერიოდში მკურნალი ექიმიც იქნება) — 20-25 ლარი: დანარჩენი პრეპარატებსა და მასალებზე მიდის. ახლა სრულიად არალოგიკური, საათობრივი ანაზღაურება შემოიღეს ქირურგებისათვის. თანხის სამი მეოთხედი, როგორც უკვე გითხარით, „ზემოთ“ ირიცხება და მერე სად მიდის, ჟურნალისტები ხართ და იქნებ თქვენ მაინც გაიგოთ.

— რა გვეშველება? რაში ხედავთ გამოსავალს?

— ნაწილობრივ მაინც უნდა აღდგეს უფასო სამედიცინო მომსახურება, ხოლო საავადმყოფოებში გადახდილი თანხიდან — ე.ი. ფასიანი „სექტორიდან“ უფრო მეტი უნდა დაგვიტოვონ. ბოლოს და ბოლოს, საპენსიო ფონდს, დღგ-ს, საგზაო გადასახადს და კიდევ ათას სხვას რომ ზუსტად ისევე გვახდევინებენ სამედიცინო დაწესებულებებს, როგორც ვთქვათ საწვავის იმპორტიორ ფირმას, ამ საკითხში მაინც არ შეიძლება რაიმე შეღავათის დაშვება? — სწორედ ამ დაზოგილი თანხით შეიძლება უპოვარი მოსახლეობისათვის ფონდის შექმნა, რაც მედიკამენტებით მაინც უზრუნველყოფს მას, ხოლო ექიმები, მერწმუნეთ, უარს არ იტყვიან უფასოდ მოემსახურონ მათ. მით უმეტეს, რომ ზემოთაც გითხარით, გადახდის შემთხვევაშიც არ „ავშენდებით“.

— ეს აზრი თქვენ ან რომელიმე თქვენს კოლეგას თუ შეუთავაზებია „ზემდგომი ორგანოებისათვის“?

— სანამ რამეს გადაწყვეტენ, აზრი მანამდე უნდა გვკითხონ. ახლა გადაწყვეტილება მიღებულია და მით უმეტეს არ აინტერესებთ ჩვენი შეხედულება.

მაშ ასე, „რეფორმა“ მალე დამთავრდება — ქართულმა სახელმწიფომ ისეთი რამ გააკეთა, რომ „დიდ კომბინატორს“ — ოსტაპ ბენდერსაც კი შეშურდებოდა: ელემენტარული არითმეტიკაა იმის დასათვლელად საჭირო, რომ უმცირესი სამედიცინო მომსახურებისთვისაც კი პენსიონერმა 6-7 წლის პენსიის ტოლფასი თანხა უნდა გადაიხადოს (მე შენ გეტყვი და ისეთი ცხოვრება აქვთ, რომ ექიმი არ დასჭირდებათ). ჰოდა ასე: შეატანინებენ ფულს ბიუჯეტში და შემდეგ თორმეტ-თორმეტ ლარობით გამოუზოგავენ 5 წლის განმავლობაში — არც დაუგვიანებენ და არც არაფერს დაუქვითავენ.

ზვიად გურული

„ამას დავარქმევდი გაჯანსაღების ბიუჯეტს...“

ეღრუბლო მომავალი რომ არ ექნებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ ვაი-ვაგლახით დამტკიცებულ 2000 წლის ბიუჯეტს, თავიდანვე აშკარა იყო. ხელისუფლებამ პრობლემიდან გამოსავალი, პრაქტიკულად, ახალი ბიუჯეტის ჩამოყალიბების გზით მოძებნა, რომელიც ახალი ფინანსთა მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის შემოქმედებას წარმოადგენს.

პარლამენტს 300 მლნ-ით შემცირებული ბიუჯეტის დამტკიცება უწევს. ეს ყოველივე ძალიან ჰგავს ისეთ სიტუაციას, როცა უგერგილო კაცი ცხენზე ვერ ჯდება და რადგან წამდაუწუმ ძირს ეპერტყება, გადაწყვეტს სამარცხვინო, მაგრამ მისთვის უფრო მოსახერხებელ და საიმედო სუბიექტზე, — ვირზე ამხედრდეს და ისე წაჩაქჩაქდეს თავის გზაზე. ხოლო რამდენად აღიდგენს შელახულ ავტორიტეტს ამგვარი ცვლილების გზით წასული ხელისუფლება საკუთარი მოსახლეობისა თუ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების თვალში, ერთობ სადავო საკითხია.

ახალი ბიუჯეტის პროექტით გამოწვეულმა ციებ-ცხელებამ, რომელმაც პიკს გასული კვირის ბოლოს მიაღწია, უკანა პლანზე გადასწია ყველა პოლიტიკური საკითხი.

ნოღაიდელის ამ საბიუჯეტო სიახლეს, პირველი მძაფრი რეაქცია ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრისგან მოჰყვა, რომლის სამინისტროსაც 60%-ით უმცირდება დაფინანსება. ავთანდილ ჯორბენაძეს არც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია ჩამორჩა სიმძაფრეში და სასამართლოების დახურვასა და სასამართლო რეფორმის დასამრეგზაზე ალაპარაკდა.

გენერალური პროკურორი კი უფრო შორს წავიდა და პროკურატურის დაფინანსების შემცირების მიღმა საეჭვო ვითარებაც არ გამორიცხა: „მესმის, რომ მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ პროკურატურის დაფინანსების ასე ხელაღებით შემცირება ალბათ გაუმართლებელია. ვფიქრობ, რომ პროკურატურა დისკრიმინაციულ ვითარებაში აღმოჩნდა... ხანდახან ეჭვიც კი მეპარება ხელოვნურად ხომ არ კეთდება ეს ამბავი“ — განაცხადა ჯამლეთ ბაბილაშვილმა. ფაქტობრივად, ოთხშაბათის სამთავრობო სხდომაზე მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება მძაფრი პროტესტით შეხვდა ბიუჯეტის ახალ ვარიანტს. ამის შემდგომ მმართველი პარტია შეიკრიბა კანცელარიაში. შეკრების ოფიციალური მიზეზი მოქალაქეთა კავშირის წინასაარჩევნოდ დადებულ ვალდებულებებზე საუბარი იყო, თუმცა ამ შეხვედრაზე მთავარი საკითხი ახალი ბიუჯეტი აღმოჩნდა. მმართველმა პარტიამ ბიუჯეტის შეკვეცასთან დაკავშირებით სრული ერთსულოვნება მოითხოვა.

ბიუჯეტთან დაკავშირებულმა ვნებათაღელვამ აღმასრულებელი ხელისუფლებიდან მოსახლეობაშიც გადაინაცვლა. პარასკევს, როდესაც საგანგებო თათბირი პრეზიდენტთან სულ რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, კანცელარიის შენობას საპროტესტო აქციის მონაწილენი მიაწყდნენ, რომლებიც თავისი დაბეჩავებული ყოფის გამო თავს „თბილისელ ლტოლვილებს“ უწოდებდნენ. გაღიზიანებული ხალხი ნოღაიდელის კაბინეტის კარის აჭედვით დაიმუქრა. ამავდროულად ფინანსთა სამინისტროს შენობასთან თბილტრანსის მძღოლების და მათი ოჯახების აქცია მიმდინარეობდა. აქციას თვალყურს პოლიციაც ადევნებდა მიშა სარალიძის ხელმძღვანელობით და, უნდა ითქვას, უჩვეულო გულისხმიერებას იჩენდა აქციის მონაწილეთა მიმართ. უფრო მეტიც, პოლიცია აშკარად მათ მხარეს იყო და ფინანსთა სამინისტროს მაინცდამაინც თბილად არ იხსენიებდა. სავსებით შესაძლებელია, რომ პოლიციის ასეთი გულჩვილობა და თანადგომა ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ ამხედრებული საქტრანსის მძღოლების მიმართ, გარკვეულწილად დაკავშირებული იყო ფინანსთა სამინისტროს მიერ ფინანსების 25 მლნ ლარიანი შემცირებით აღშფოთებული შსს მინისტრის მძაფრ საპროტესტო რეაქციასთან, რომელიც სწორედ იმ დროს ისეთი მონდომებით უტევდა ზურაბ ნოღაიდელს კანცელარიაში, რომ შემდეგ პრეზიდენტმა ითხოვა, — იქნებ 2-3 მილიონი გამოიძებნოს დამატებით და მერე როგორ მოიქცევა პოლიცია, იმის მიხედვით ვნახოთო. სწორედ ისე — ბავშვს რომ გააბრაზებენ, აატირებენ და მერე იძულებულნი არიან ერთი ცალი კანფეტი მისცენ დასამშვიდებლად და, თანაც რომ ეტყვიან, თუ კარგად მოიქცევი, კიდევ მოგცემთო.

მიუხედავად აღმასრულებელთა ასეთი კრიტიკული დამოკიდებულებისა, პარასკევის სხდომიდან ყველანი ბედს შეგუებულნი გამოვიდნენ. ნოღაიდელმა ცოტა დათმო ბიუჯეტის პროექტის პირველი ვარიანტიდან, — რამდენიმე პროცენტით გაზარდა ძალოვანი, კულტურის, განათლების და კიდევ რამდენიმე უწყების დაფინანსება, მაგრამ ამით არსებითად არაფერი შეცვლილა. მან თავისი გაიტანა, ჯერი პარლამენტზეა, რომელიც, ამ პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ფინანსთა მინისტრთან ერთად გაინაწილებს პასუხისმგებლობას მოსალოდნელ შედეგებზე.

ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით, საინტერესო იყო იმერეთის გუბერნატორის კომენტარი: „მე ვთქვი, რომ ქვეყანას აქვს რეზერვები და პირიქით, უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი. მისი სეკვესტრი პირდაპირ ხელის შეწყობა იქნება იმათთვის, ვინც კორუფციაშია გარეული...“

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი თემურის ამ ნათქვამში არის რაღაც ნიშანდობლივი და დამაფიქრებელი, პრეზიდენტმა ახალი ფინანსთა მინისტრის ასეთი ნაბიჯი საკმაოდ დადებითად შეაფასა. მან განაცხადა: „ამ ბიუჯეტის მიღება კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის პირველი ნაბიჯია. ამას დავარქმევდი გაჯანსაღების ბიუჯეტს“.

დასასრულისთვის მინდა გურამ დოჩანაშვილის ლიტერატურის ძლიერ მოყვარული გმირი — ვასიკო კეჟერაძე გავიხსენო, რომელიც ერთ-ერთი კვლევითი დაწესებულების უმცროს მეცნიერ-თანამშრომელს ეუბნება: „მარშალმა ედმონდო ბენტანკურმაც კარგად დაიწყო, მაგრამ როგორც დაამთავრა, ყველამ კარგად ვიცით...“

თუ პრეზიდენტის შეფასებიდან გამოვალთ, ახალმა ფინანსთა მინისტრმაც კარგად დაიწყო. ხოლო ედმონდო ბენტანკურისგან განსხვავებული ფინალი ექნება თუ არა, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

მამუკა გიორგაძე

„ჯასტელს“ მსგავსი დავა აზერბაიჯანშიც ჰქონია...

ფირმა „კასტელის“ ადვოკატმა ჟან-პოლ ლა ფრანსმა სასტუმრო შერატონ-პალასში პრესკონფერენციაზე მიწვეული ჟურნალისტები ზუსტად ერთი საათი გვალოდინა. არც ბოდიში მოუხდია და არც დაგვიანების მიზეზი უთქვამს... პირდაპირ შეტევაზე გადმოვიდა. ეს საქციელი ცოტა არ იყოს, ფრანგისაგან გვიკვირს, თორემ სხვა ქვეყანაში ერთი საათით დაგვიანებით მისულს — იქ ჟურნალისტები კი არა, დარბაზიც დაკეტილი დახვდებოდა. ესეც ჩვენი დოყლაპიობა. არადა, ჩემი გულალალობით იმასაც ვფიქრობდი, სიტუაციის განმუხტვისა და კარგი განწყობილებისათვის უპირველესად ფრანგი ფეხბურთელების უპრეცედენტო გამარჯვებას მივულოცავდი და იმასაც დავამუნათებდი, ერთ კათხა ლუდზე როგორ არ მოუყარა თავი, იმ გულმხურვალე გულშემატკივრების ნაწილს მაინც, ვინც აგრერიგად გაგვახარა ფრანგების გამარჯვებამ-მეთქი.... ადვოკატი განრისხებული ჩანდა.

ბოდიშის მოხდას ვინღა ჩიოდა, ადვოკატი ისე განრისხებული და დიდაქტიკური ტონით გვმოძღვრავდა, ვიფიქრე, თავი ჯუნგლებში ხომ არ ჰგონია-მეთქი (კაპიტალიზმის ჯუნგლებზეა საუბარი), მაგრამ ამაშიც მოვტყუვდი. ჟან-პოლ ლა ფრანსმა საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა — ჩვენ საქართველო ძალიან მოგვწონა, განსაკუთრებით ქართული სტუმართმოყვარეობა და არსადაც არ ვაპირებთ წასვლასო...

სწორედ ამან დაგვღუპაო, — იყო რეპლიკა დარბაზიდან.

ეს ქვეყანა თოფაძის სამეფო არ გახლავთ — ამ მოულოდნელმა ფრაზამაც გაიჟღერა. არადა დღეს უკვე ასეთად ეჩვენებათ ფრანგ პარტნიორებს, ოდესღაც ათას ბიზნესმენსა თუ მრეწველში თავისი გემოვნებით ამორჩეული გოგი თოფაძე. და აი, როგორს ხედავენ ისინი: წარმოიდგინეთ ოთახი, რომელსაც ორი კარი აქვს. ერთი კარიდან შედიხარ დატვირთული ჩემოდნებით, მეორე კარიდან გამოდიხარ ცარიელი. და აი, რა მოიაზრება ამ ჩემოდნებში. ფრანგების მხრიდან ორ ნაწილად გაღებული თანხა: პირველი 13 მლნ სამასი ათასი დოლარი, მეორე 20 მლნ, რომლითაც მთლიანად ააშენეს ლილოს ქარხანა. ფრანგი ადვოკატის თქმით, გოგი თოფაძე მხოლოდ კამოს ქუჩაზე მდებარე ლუდის ქარხნით შემოვიდა წილში, რომელიც 6 მლნ დოლარად შეაფასა. როგორც მე გავარკვიეო, ოდესღაც მას ეს ქარხანა 29 ათას დოლარად შეუძენიაო, ამბობს ფრანგული მხარე და კიდევ ერთი ბრალდება: რუსთავის ლუდის ქარხნის დირექტორი შეუძლებელია ჩვენი ფირმა „ყაზბეგი-კასტელის“ გენერალური დირექტორიც იყოს, რადგან ჩვენ კონკურენტები ვართ. დაბოლოს, აქ უკვე ადვოკატი ტონს უწევს, და მის სიტყვებს თავის მართლების ელფერი აქვს. — ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, რატომ უნდა იყოს პოლიტიკოსი, ანუ საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ჩვენი გენერალური დირექტორიო. სწორედ ამ პრობლემებზე ვერ შევთანხმდით და უნდა მივმართოთ სასამართლოსო. პირველი შეკითხვა დარბაზიდან სწორედ სასამართლოს შეეხებოდა.

— ხელშეკრულებაში არის თუ არა მითითებული თქვენ შორის დავის შემთხვევაში, რომელი ქვეყნის სასამართლო გაარჩევს საქმეს. პასუხი ცალსახა იყო. ფირმა „ყაზბეგი-კასტელი“ თბილისშია რეგისტრირებული და ვიტოვებთ უფლებას საქართველოს იურისპრუდენცია ჩავრიოთო. არადა, სად, სად და საფრანგეთში კანონი ნამდვილად კანონობს. რატომ ირჩევენ ფრანგები საქართველოს გაუგებარია. სხვა რომ არაფერი, ამ დარგში, ანუ ბიზნესისა და აუდიტის საქმეში ცოტა არ იყოს გამოცდილება ნაკლები აქვთ ქართველ სამართალდამცველებს, რის გამოც დავა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

პრესკონფერენციაზე ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოეფინა ნათელი, რომელიც ღერძია ამ საქმის სამართლიანობის დადგენაში: ფრანგების მიერ გაღებული თანხა ინვესტიცია იყო თუ კრედიტი? გაირკვა, რომ ეს ექვსწლიანი კრედიტი ყოფილა, რომელიც ორივე მხარემ უნდა გადაიხადოს პროცენტებით.

კითხვა-პასუხი, შესაძლოა, მეორე დილამდე გაგრძელებულიყო, თემა ამოუწურავია. ფრანგებს არა მარტო სახლი უნდა უქირავო, მებაღისა და მანქანის გასაჩერებელი ქირაც უნდა გადაუხადო. ასევე, თუ საფრანგეთიდან ვინმე ესტუმრება (ოჯახის წევრი), მისი მგზავრობის ფულიც უნდა გაიღო. არადა, თავად სკრუპულოზულად აქვთ აღრიცხული რა თანხაა გადარიცხული თოფაძის მობილურზე და რა მარკის მანქანაა თოფაძის მფლობელობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, კითხვა-პასუხი შესაძლოა არ დამთავრებულიყო, რომ არა ერთი ფაქტი, რამაც ყველას ცივი წყალი გადაგვასხა და ერთიანად გამოგვაფხიზლა: „კასტელს“ მსგავსი დავა აზერბაიჯანშიც ჰქონია, იქაც გაჯიუტებულა, ძალიან მოგვწონს აზერბაიჯანიო და იმდენი უბრძოლია აზერბაიჯანელ პარტნიორთან, რომ გაუმარჯვია კიდეც და დღეს აზერბაიჯანში ფირმა „კასტელის“ ბატონ-პატრონები მხოლოდ ფრანგები არიან.

„ეგრე არ არის, თაყაო, შენ რომ ყანები გაყავო“ — დაიძახა ვიღაცამ დარბაზში და დავიშალენით.

ცხადია ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს. მთავარია, საით გადაიხრება თემიდას სასწორი.

დოდო იორდანიშვილი

ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი რურუასთან

ამერიკაში დაკავებული, ვერის ყოფილი „საძმოელი“, ჯაბა იოსელიანის დაცვის ყოფილი წევრი გიორგი რურუა, მეტსახელად „ჟორიკა“, ორთაჭალაში მდებარე №5 იზოლატორის საკანში მარტო ზის. გასულ კვირას საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა გიორგი რურუას ადვოკატის, გოგმარ გაბუნიას შუამდგომლობა, გაეთავისუფლებინათ რურუა თავდებით. მოსამართლე იური გაბისონიამ პარლამენტარების 34-კაციანი მხარდამჭერი ხელმოწერა ბათილად ცნო.

გიორგი რურუას ბრალდება ადამიანის გატაცებასა და თანხის გამოძალვაში ადანაშაულებს. გოგმარ გაბუნიას განცხადებით, ბრალდებას არანაირი მტკიცებულებები არ გააჩნია რურუას წინააღმდეგ. მაგრამ ხუთი წლის შემდეგ ამერიკიდან ჩამოყვანილ ძებნილს სასამართლო ვერ შეელია და არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღო.

უფრო მეტიც, ადვოკატი უარყოფს, რომ გიორგი რურუა ინტერპოლს არ დაუკავებია. „მე ხელთ მაქვს საბუთები, სადაც აღნიშნულია, რომ იგი ამერიკიდან სავიზო რეჟიმის დარღვევის გამო გამოაგდეს და საქართველოსთვის, როგორც დამნაშავე, არ გადმოუციათ. რაც შეეხება ბადრაგის გამოყოლებას, გამოაყოლეს იმიტომ, რომ რურუას სხვა ქვეყანაში არ შეეხვია. ექსტრადაცია რომ მომხდარიყო, მაშინ იქ სასამართლო უნდა მოეწვიათ. ასეთი რამ არ ყოფილა“, — აცხადებს გოგმარ გაბუნია.

ასეა თუ ისე, გიორგი რურუაზე საზოგადოების გარკვეულ ნაწილში საკმაოდ უსიამოვნო ხმები დადის. თავად რურუა ყველა მათგანს ჭორს უწოდებს.

როგორც ამბობენ, თავად ჯაბა იოსელიანი ერთ დროს თავისი დაცვის წევრის დაპატიმრებას მეტად განიცდის.

დღესდღეობით, გიორგი რურუა წლების შემდეგ იმ ბედისწერის გზას გადის, რაც მხედრიონელთა უმრავლესობამ უკვე გაიარა.

„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს გიორგი რურუასთან, რომელიც უნდა ითქვას, რომ საკმაოდ სიტყვაძუნწი აღმოჩნდა.

— გავრცელებული ინფორმაციით, ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების მერე დღესვე თქვენ საქართველო დატოვეთ, რატომ?

— ეს არ არის მართალი. მე ბატონი ჯაბას დაპატიმრებამდე ბევრად ადრე, სექტემბერში წავედი, ის კი ნოემბერში დაიკავეს. დაიწყო მხედრიონელების დევნა, მაგრამ მე დასამალად არ წავსულვარ, სწავლის გაგრძელება მინდოდა. მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბოლოს ასე გამოვიდა. თუმცა ახლა აქ ვაპირებ იურიდიული ფაკულტეტზე სწავლას. თავის დროზე პირველი კურსი დავხურე. იმედი მაქვს, აღმადგენენ.

— ამბობენ, ვერის ცნობილი საძმოს წევრი იყავით, რომელიც კარგი რეპუტაციით ნამდვილად არ სარგებლობდა...

— არავითარი ვერის საძმო არ არსებულა. ეს იყო ჩვენი სამეგობრო. იქიდან, ჩემ გარდა, „მხედრიონში“ არავინ იყო.

— სხვათა შორის, ამ საძმოს „ბოროტებს“ ეძახდნენ. რატომ?

— არ ვიცი. მართალი რომ გითხრათ, ეს სახელი მაშინ ჟურნალისტებისა და გაზეთების საშუალებით გავიგე. ჩვენ არ შეგვირქმევია. რატომ გვეძახდნენ, არც ეს ვიცი. ეს ჰკითხეთ მათ, ვინც ასე გვახსენებდა. არ მსიამოვნებდა ასეთი მეტსახელი.

— რამდენადაც მახსოვს, არსენა მიქელაძის მკვლელობიდან დახლოებით ათი დღის შემდეგ მოკლეს ცნობილი მხედრიონელები — ვეფხვაძე და სვანაძე. რაიმე კავშირი თუ არის ამ მკვლელობებს შორის? სხვათა შორის, ვეფხვაძის ოჯახმა ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ეჭვმიტანილად თქვენც მოგიხსენიათ...

— ამ მკვლელობებს შორის ვერანაირ კავშირს ვერ ვხედავ. ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ. რაც შეეხება ეჭვმიტანილობას — ზაზა და გია ჩემი უფროსი მეგობრები იყვნენ და ასეთადვე დარჩებიან. ეს არის ჭორები. სრული აბსურდია. მე მათი ოჯახის წევრებთან შეხების წერტილი მაქვს. არ მჯერა, რომ ვეფხვაძის ოჯახი ჩემზე ამას ამბობდეს.

— სამართალდამცავების მიერ გავრცელებული ვერსიით, წინა დღეს იმ მანქანაში განახეს, რომელიც გია გულუას მკვლელობის ადგილზე დააფიქსირეს. რა ალიბი გაქვთ ამასთან დაკავშირებით?

— სანამ გამოძიება არ დამთავრდება, ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

— ამერიკაში რომელ შტატში ცხოვრობდით, რას აკეთებდით?

— 1995 წლიდან ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში ვცხოვრობდი. ვმუშაობდი ისე, როგორც იქაური ამერიკელები და აქედან ჩასული ქართველები მუშაობენ. რამდენიმეჯერ სამსახურის გამოცვლა მომიწია. კონკრეტულად რა ვაკეთებდი, ამის დაკონკრეტება ჯერ არ მინდა. ისე, კარგი ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე. ცხოვრება იქაც რთულია, მაგრამ სასიამოვნო. შორიდან როგორც ჩანს, რომ იქ დამკვიდრება ძნელია, არც ასეა საქმე. თუ ნორმალურად მოინდომებ, ყველაფერს გააკეთებ.

— მექსიკაში რაღა გინდოდათ?

— ეს არასწორი ინფორმაციაა. მე მექსიკის საზღვართან არავის დავუკავებივარ. დამაკავეს ატლანტაში.

— რა ვითარებაში დაგაკავეს?

— ჩვეულებრივად შინიდან მანქანით გამოვედი. კოლეჯში მივდიოდით მე და ჩემი მეგობარი. ენების სპეციალობით ვსწავლობდი. იქვე ახლოს დამაკავეს. მათ ჩემთვის არაფერი უთქვამთ. პოლიციიდან იუსტიციის დეპარტამენტში გადამიყვანეს. იქ უკვე გარკვეული იყო, რომ მე ვიძებნებოდი და თან სავიზო რეჟიმი მქონდა დარღვეული. თუმცა მოხდა ჩემი დეპორტაცია და არა ექსტრადაცია. ექსტრადაციის დროს ჩემი სასამართლო უნდა ჩატარებულიყო. ასეთი რამ არ ყოფილა.



ჯაბა იოსელიანი და გიორგი რურუა

— თქვენ სხვისი გვარითა და სახელით იმალებოდით, რომელიც მსახიობია, რეალური პიროვნებაა. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ეს გვარი და სახელი?

— დავით კურცხალია, ხომ? ეს შემთხვევითი დამთხვევაა.

— როგორც ამბობენ, მხედრიონელების ერთერთი შეკრების დროს თქვენს სახლში შემთხვევითი გასროლის შედეგად მანდილოსანი დაიღუპა. რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?

— ასეთი რამ არ ყოფილა.

— თქვენ ადამიანის გატაცებასა და ფულის გამოძალვაში გდებენ ბრალს. ვინ გაიტაცეთ?

— ეს არის აბსურდი. არავითარი გატაცება არ ყოფილა. ეს სასამართლოზე გამოჩნდება. ამ შემთხვევაში ჩემს უფლებას გამოვიყენებ და კითხვაზე არ გიპასუხებთ.

— „ჟორიკა“ ვინ შეგარქვათ?

— ბავშვობაში უფროსმა მეგობრებმა შემარქვეს. ისე, რატომ გამახვილდა ყურადღება „ჟორიკაზე“, არ ვიცი. არ მსიამოვნებს, როცა ასე მახსენებენ. ჩემი სახელია გიორგი და არა „ჟორიკა“!

— ამჟამად რა პირობები გაქვთ?

— ნორმალური პირობებია. მარტო ვარ. საკანს ფანჯარა აქვს, საიდანაც ცის ნაგლეჯი მოჩანს.

— რას მოელით და რაიმეს იმედი თუ გაქვთ?

— იმის იმედი მაქვს, რომ სასამართლო რეფორმამ ტყუილუბრალოდ არ ჩაიარა და ალბათ სიმართლე გამოჩნდება.

— საქართველო თუ გენატრებოდათ?

— როგორ არა, ძალიან. თუმცა აქ ჩამოსვლის შემდეგ არავის ნახვის საშუალება არ მომეცა.

მარინა მამისაშვილი

სად გადაიხადა იგორ გიორგაძემ დაბადების დღე ?..

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე, უკანასკნელი სამი თვის მანძილზე, ზედიზედ სამი დღე თუ იქნებოდა თბილისში. დროის ამ მონაკვეთში, პანტელეიმონ ივანოვიჩმა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის ქვეყნების უმეტესობა შემოიარა, სადაც კომუნისტთა ყრილობებსა და კონფერენციებს ესწრებოდა. თბილისში არც მისი მეუღლე, ქალბატონი ვალენტინა იყო. ამბობდნენ, სამტრედიაშიაო, თუმცა... მოკლედ, გიორგაძეების მთელი ოჯახი (შეგახსენებთ, რომ ბატონი პანტელეიმონის ქალიშვილი მარინა მოსკოვში ცხოვრობს) საეჭვოდ იყო გაუჩინარებული.

და მარინა, იგორ გიორგაძე, დედა ვალენტინა და პანტელეიმონ გიორგაძე

ამჟამად, ქვეყნის პირველი კომუნისტი თბილისშია. მეც ვისარგებლე შემთხვევით და...

— ამ ბოლო დროს, საკმაოდ ბევრს საუბრობენ შედგომით მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს საშიშროება?

— საშიშროება რეალურია, თუმცა ეს არ იქნება სოციალური აფეთქება, რადგან მშრომელი ხალხი არასოდეს აწყობს მას. სოციალური აფეთქება ყოველთვის მთავრობის მიერაა პროვოცირებული. მოსახლეობა რომ აუცილებლად მოსთხოვს პასუხს ჩვენს ხელისუფლებას, თავისი საქციელისთვის, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მაინცდამაინც შედეგიანი არც ეს იქნება, რადგან მთავრობის წევრებს ჩემოდნები აქვთ უკვე გამზადებული გასაქცევად.

— კულუარული ინფორმაციით, სასექტემბრო ბუნტის ორგანიზატორები პოლიტიკური პარტიები არიან. მათ შორის, პატიაშვილი-გიორგაძე-მარგიანის ტანდემსაც ასახელებენ...

— ამას ხალხის მოსატყუებლად ამბობენ. თორემ რისი ძალა აქვთ პატიაშვილს ან მარგიანს. ამ უკანასკნელს პარტია არ დაუტოვებია, რომ იქ არ ყოფილიყო. არავითარი სერიოზული ძალა ეგ არ არის. რა განსხვავებაა მათსა და შევარდნაძის პროგრამას შორის. აბსოლუტურად არაფერი. დღეს საქართველოში 166 პოლიტიკური პარტია და ორგანიზაციაა და ყველას თითქმის ერთნაირი პროგრამა აქვთ.

— თქვენი ვაჟი საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებდა მომავალს და აცხადებდა, რომ ის და მისი თანამოაზრენი აუცილებლად მოვლენ ხელისუფლებაში. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ მართლა ასეთი არეულობა დაიწყო საქართველოში, ეს ხომ არ იქნება თქვენი ვაჟის ჩანაფიქრის განხორციელების წინაპირობა?

— რატომ არ ქნას ღმერთმა. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ იგორი თავის მრავალრიცხოვან მომხრეებთან ერთად, აუცილებლად მოვა ხელისუფლებაში. საკითხავია, როდის? იგორისთვის უახლოესი მომავალი დროის სხვა მონაკვეთია, ჩემთვის სხვა. საქართველო უპატრონოდაა მიტოვებული და ძლიერი მმართველი სჭირდება. ხომ ხედავთ, ყველამ მიგვატოვა, — სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა, დასავლეთმა... ვფიქრობ, იგორს შეუძლია ამ სიტუაციიდან გამოიყვანოს საქართველო.

— ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თქვენი ვაჟი ამჟამად ბეირუთში იმყოფება. თანაც 23 ივნისს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე იზეიმა. მიულოცეთ დაბადების დღე?

— ჯერ იგორის ადგილსამყოფელიდან დავიწყოთ. მგონია მე და უშიშროება ერთ საქმეს ვაკეთებთ. როდესაც მეკითხებიან, სად არის იგორიო, ხან რომელ ქალაქს ვპასუხობ, ხან რომელს. ასეა უშიშროებაც, ხან ერთ ინფორმაციას ავრცელებს, ხან მეორეს, რათა ხალხმა იფიქროს მუშაობენო. დაბადების დღე სულაც არ იყო საჭირო, იგორთან რომ დამერეკა. 23 ივნისი კი, ერთად აღვნიშნეთ, მთელმა ოჯახმა.

— ეი. გინდათ თქვათ, რომ იგორს შეხვდით?

— არა მარტო მე. იქ ჩემი მეუღლეც იყო და ჩემი ქალიშვილიც. ჩვენ ამის დამადასტურებელი ფოტოებიც გვაქვს.

— კი მაგრამ, როგორ მოახერხეთ შეხვედრა?

— ო, ეს ჩვენი საიდუმლოა. უფრო ზუსტად, ჩვენ კი არა, იმან მოახერხა ჩვენთან შეხვედრა.

— იქნებ გვითხრათ სად შეხვდით ერთმანეთს?

— ამას ყველა გაიგებს უახლოეს მომავალში.

— საინტერესოა, როგორი იყო თქვენი შეხვედრა?

— ვინაიდან მე ადრეც მრავალჯერ შევხვედრივარ, იმდენად არ განმიცდია. აი, დედამისი და მისი და კი... ჩემმა მეუღლემ ემოციებს ვერ გაუძლო და ტირილი დაიწყო...

— როგორც ცნობილია, თქვენი თითოეული ნაბიჯი უშიშროების მიერ კონტროლდება. ფოტოებიდან ჩანს, რომ თქვენ გარდა შეხვედრას თქვენი მეუღლე და ქალიშვილი ესწრებოდნენ, რომელთა ასავალ-დასავალიც კარგად უნდა იცოდეს შესაბამისმა სტრუქტურამ. ეი. უშიშროებამ იცის შეხვედრის ადგილი?

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ წესით უნდა იცოდნენ.

— თქვენი ქალიშვილი მარინა ხომ მოსკოვში ცხოვრობს?

— სასწავლო წლის დაწყებიდან მის დამთავრებამდე იქ არიან, მაგრამ, თვეზე მეტია მისი ოჯახი თბილისში იმყოფება.

ალბათ მკითხველს ახსოვს, პანტელეიმონ გიორგაძესთან რამდენჯერმე მქონდა დიალოგი, სადაც ხშირად უთქვამს, იგორი საქართველოშიაო. როგორც ზემოთ ითქვა, ამას ჭკუის ასაბნევად ამბობდა თურმე. ახლაც იგივე შთაბეჭდილება დამრჩებოდა, რომ არა ფოტოები. მართალია, გამორიცხული არ არის, თვითონ წასულიყვნენ ოჯახის წევრთან შესახვედრად. რა ხდება სინამდვილეში, ალბათ მათ გარდა არავინ იცის.

ამ დღეებში ბატონ პანტელეიმონთან, თავად იგორი გიორგაძესთან სატელეფონო დიალოგის საშუალებაც მომეცა, რომლის ფრაგმენტს აქვე შემოგთავაზებთ.

— ბატონო იგორ, სად გადაიხადეთ დაბადების დღე და ვისთან ერთად?

— სად გადავიხადე, ცოტა არაკორექტული კითხვაა. ვისთან ერთად და ჩემს საყვარელ ხალხთან, მათ შორის ოჯახის წევრებთან.

— როგორ მოახერხეთ ამ შეხვედრის ორგანიზება?

— შეუძლებელი არაფერია. მთავარია მოინდომო კაცმა. მით უმეტეს, თუ სუსტი მოწინააღმდეგე გყავს.

— გმადლობთ.

დამეთანხმებით, ძნელია ამ აბრაკა-დაბრადან სწორი დასკვნა გამოვიტანოთ. იმასაც მიხვდებოდით, რომ სიტუაცია მეტად გაურკვეველია (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის). დაველოდოთ მოვლენების განვითარებას ქართულ პოლიტიკაში, სადაც დღითი დღე უფრო აღწევს ზაფხულის ხვატი.

ზურა ქაჩლიშვილი

ხეპოტაჟი „ამაოების ბაზრიდან“

„კიტოვანი თუ არ მოგვეშვება, ჩავალთ და მძევლად წამოვიყვანთ...“

30 ივნისს, რედაქციის დავალებით, პანკისის ხეობაში წავედით. ამის მიზეზი კი, ამ ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციები იყო, რომლებიც პანკისში არსებულ ქაოსურ სიტუაციას იუწყებოდნენ. დუისში დაუბრკოლებლად ავედით.

ხეობაში შესვლისთანავე უპირველესად იგრძნობთ და დაინახავთ, რომ აქ თითქმის მთლიანად მოშლილი ან უგულებელყოფილია სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპები. ვერ ნახავთ ვერც პოლიციელს, ვერც ჯარისკაცს, არც საგადასახადო სამსახური მოქმედებს, სოფლის გამგებელი საძებნელია. ერთადერთი, რაც საზოგადოების ცხოვრებაზე მიგანიშნებთ, ბაზარია, „ამაოების ბაზარი“, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ახმეტელებიც ვაჭრობენ. იქვეა კაფე, სადაც ჩებურეკი, ხაჭაპური და ხინკალი იყიდება. თუმცა, თბილისურ კაფებარებს შეჩვეულ ქალაქელს მხოლოდ ღიმილს მოჰგვრის ამგვარი შენობის დანახვა. თავად ბაზარში კი ყველაფერი იყიდება — კვების პროდუქტებიც და სამკაულებიც.

ჩეჩნეთის დროშა სოფ. დუისში

ზურა ქაჩლიშვილი: — ბაზრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აღმოჩნდა ჩემი ნაცნობი მუხმად ქავთარაშვილი, რომელმაც ჩემი მივლინების პირველ ეტაპზე მეგზურობა და მასპინძლობა გამიწია. დუისის გამგებელი მახმუდ მანგოშვილი დაახლოებით ერთი თვის წინ გარდაცვლილა და ახლა მის მოვალეობას მოადგილე ასრულებს. კიდევ ერთი სიახლეა დუისში — სოფლის ცენტრში ვაჰაბიტები მეჩეთს აშენებენ, რადგან მათი რელიგიური მიმდინარეობა ნაწილობრივ განსხვავდება ტრადიციული მუსლიმანობისაგან. თუმცა, მშენებარე მეჩეთისათვის სურათის გადაღებამ საკმაოდ ააღელვა ვაჰაბიტები და რატომღაც პროვოკატორობა დამაბრალეს. დაძაბული დიალოგი ჩემმა მასპინძელმა განმუხტა, რომელმაც ვაჰაბიტებს ქისტურად აუხსნა (როგორც შემდეგ მითხრა), — ჩემი სტუმარია და თავი დაანებეთო. იქვე ჩეჩენი დევნილები ისხდნენ, რითაც ვისარგებლე და რამდენიმე მათგანს ინტერვიუ ჩამოვართვი.

მერაბ ალდამოვი: ყველაზე დიდი ბიზნესი ომია, სადაც იყიდება ადამიანთა ორგანოები, ჩამოიწერება ტექნიკა — თუ აფეთქდა ორი „ბეტეერი“, წერენ ათს... სწორედ ამიტომ დაიწყეს ეს ომი ელცინმა, ბერეზოვსკიმ, ჩერნომირდინმა... რამდენიც გინდათ იმდენი ფაქტი ვიცი, მოკლულს ორგანოებს რომ ჭრიდნენ. თავში ტყვიით მკვდარ მეომარს გული და თირკმელი ხომ საღი რჩება? რუსებმა, 1994 წელს ჩეჩნეთიდან რომ გადიოდნენ, რატომ არ წაიღეს იარაღი? იმიტომ, რომ შემდეგ საბაბი ჰქონოდათ, ჩეჩნეთში იარაღი და ტერორისტები არიანო. როგორ ფიქრობთ, რატომ არ ეომება რუსეთი ყაზახეთს ან სხვას და მხოლოდ ჩვენ? იმიტომ, რომ ყველაზე ძვირფასი ნავთობი ჩვენ გვაქვს.

გამსახურდია და დუდაევი გაერთიანებულ კავკასიაზე ოცნებობდნენ, მაგრამ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, ეს პიროვნებები გზიდან რომ ჩამოეცილებინა. ხომ გაგიგიათ, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო. ბერეზოვსკის პროვოცირებული იყო ყველაფერი. გახსოვთ, ალბათ, ბაბიკი რომ დაიკარგა ომში. მთელი ძალოვანი სტრუქტურები ეძებდნენ. ჩამოვიდა ბერეზოვსკი და მეორე დღესვე იპოვა. თუ გარკვეულ ჯგუფებთან არ იყო შეკრული, როგორ მოახერხა ეს? მაგრამ გარწმუნებთ, ჩეჩნეთ-რუსეთის ომი ჯერ არ დასრულებულა. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და ჩეჩენი მოსახლეობის სახელით, მადლობას ვუხდი ბატონ შევარდნაძეს, რომელიც ამ გასაჭირში გვერდში დაგვიდგა.

— ახალ გუბერნატორ ბიძინა სონღულაშვილზე რას იტყოდით?

— იყო ამოსული. თქვა, ყოველგვარ დანაშაულს ბოლო უნდა მოეღოსო, მაგრამ ჯერჯერობით საქმით არაფერი გაკეთებულა.

— ვისი წყალობით სულდგმულობთ?

— ჩვენი მუსლიმანი ძმები და საერთაშორისო ორგანიზაციები გვეხმარებიან. ირანი და თურქეთი გვეხმარება.

— თავდაცვის ყოფილი მინისტრი, თენგიზ კიტოვანი აცხადებს, პანკისის ხეობაში 2.000-მდე ბოევიკია, რომელთა მხრიდანაც დესტაბილიზაციაა მოსალოდნელი.

— წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ასეა კიტოვანის საქმე. ეგ, მოგეხსენებათ, ხელმოცარული პოლიტიკოსია, რომელიც რეიტინგის ამაღლებას ცდილობს და ამიტომაც ასხამს ჩამქრალ ცეცხლზე ნავთს.

— კიტოვანის გარდა, სხვებიც უკმაყოფილონი არიან ჩეჩენი დევნილებით... საქართველოს 300 ათასი თავისი ლტოლვილი ჰყავს შესანახი...

— (სიტყვას მაწყვეტინებს) იმას რატომ არ ამბობენ, ვინ ინახავს ჩეჩენ ლტოლვილებს? ის კი არა, ბათუმიდან 10 მანქანა დახმარება რომ მოდის, 3 თბილისამდე იკარგება, 3 მას შემდეგ. ჩვენამდე აღწევს მხოლოდ ოთხი. არავის აწუხებს, სად მიდის ეს 6 მანქანა. თბილისის ბაზრები კი სავსეა ჩვენთვის წამოსული დახმარებებით. ბათუმიდან გამოგზავნილი 1.300 გენერატორი და ხის 400 ელექტროსაჭრელი ზემო აღვანის საწყობში იდგა. ყველაფერს კი ადგილობრივი მაფია აკეთებს.

— თქვენი აზრით, ვინ აკეთებს ამას?

— ვინ და, შინაგან საქმეთა ორგანოები. ჩვენთან მომავალ ტვირთს აჩერებენ გზებზე, კარგ საქონელს თვითონ იტოვებენ, ჩვენთან კი ნარჩენებს გზავნიან.

— პუტინის მიერ დანიშნულ კადიროვზე რა შთაბეჭდილება გაქვთ?

— ჯერ ერთი, არც ერთი ნაღდი ჩეჩენი მას არ სცნობს. მეორეც, ეს არის მორიგი სატყუარა — ვითომდა ჩეჩნეთში სიმშვიდეაო და დასაბრუნებლად სრული უსაფრთხოების გარანტიას მოგვცემენ. იქ დარჩენილი მეგობრები გვითვლიან, ეს დეზინფორმაციაა და თავი შეიკავეთო... მასხადოვმა კადიროვი ხალხის მტრად გამოაცხადა და დახვრეტა მიუსაჯა. 1994-96 წლებში ის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა, ახლა დრო იშოვა და სათავისოდ გამოიყენა. ჩეჩნები მოსიარულე მიცვალებულს ვეძახით.

— წელან ბოევიკები ვახსენეთ, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, გინდათ თქვათ, რომ ისინი პანკისის ხეობაში არ არიან?

კითხვაზე პასუხის გაცემა ერთ-ერთმა დევნილმა **ადამ მაგამაევმა** ისურვა:

— არავითარი ბოევიკი არ არის ხეობაში. ამ პროვოკაციას რუსები ავრცელებენ და ქართველებიც უწყობენ ხელს, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტრო. წარამარა იმეორებენ, — პანკისის ხეობაში ქურდები, ყაჩაღები, ნარკომანები, ბანდიტები არიანო. მე თუ ქურდი ვარ, გამოდი და თქვი — ადამ მაგამაევი ქურდიაო და მთელ ხეობას ნუ მოსცხებ ჩირქს. ბანდიტი და ყაჩაღი ყველგან არის, მაგრამ რატომ მოადგნენ მაინცდამაინც პანკისის ხეობას, ვერ ვხვდები. ეს ყველაფერი რუსეთის ინტერესებს ემსახურება.

აღნიშნული დიალოგი ჩეჩენ დევნილებსა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გვიანობამდე გაგრძელდა, რის შემდეგ ბატონმა მუხმად ქავთარაშვილმა ოჯახში მიმიწვია. სტუმარმასპინძლობის ტრადიციას, ჩვენი არ იყოს, იქაც დიდ პატივს სცემენ. სახელდახელოდ სუფრა გაშალეს. კარგა ხანს შემოვრჩით სუფრას მე და ბატონი მუხმადი.

დაწოლამდე რამდენჯერმე ავტომატების სროლის ხმა გავიგე, რამაც, რაღა თქმა უნდა, დამაინტერესა, თუმცა მასპინძელმა სიტყვა ბანზე ამიგდო. მივხვდი, პასუხის გაცემა არ სურდა და აღარც მე ჩავაცივდი. სამაგიეროდ, დილით გავიგე, რომ თურმე ძმას ძმა მოუკლავს. თუმცა ზუსტი მიზეზი არავინ იცოდა.

იმ დღეს ხეობაში მსხვერპლს სწირავდნენ ჩეჩნები და ქისტები. დაკლეს ოთხი ძროხა. ხორცი ოთხ დიდ ქვაბში ჩაყარეს და ცეცხლზე შემოდგეს. მარილის ჩაყრამდე ქალები ჯგუფად დასხდნენ და სავედრებელი რიტუალი დაიწყეს. მამაკაცებმა წრე შეკრეს. თურმე, ალაჰს მტრის დამარცხებას, საკუთარ ძლიერებას და ყოველივე კარგს ევედრებოდნენ, მათ შორის წვიმასაც. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ადგილს, სადაც რიტუალი ტარდებოდა, ჩეჩნეთის დროშები ამკობდა.

რიტუალის დაწყებამდე ჩემთან მამაკაცთა საკმაოდ დიდი ჯგუფი მოვიდა, რომლებმაც საკუთარი აზრის დაფიქსირება მთხოვეს:

— მთელი დღე გეძებდით. გვინდა ჩვენი მოსახლეობის სახელით, გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია იმ ცილისმწამებლური განცხადებების გამო, რომელსაც ჩვენი მისამართით აკეთებს ზოგიერთი პიროვნება და განსაკუთრებით თენგიზ კიტოვანი. გადაეცი (კიტოვანს, — ზ.ქ.), — გაანებე პანკისის ხეობას თავი და თუ ვაჟკაცი ხარ, ჩადი აფხაზეთში, იომე, დაიბრუნე, მერე ოსებს წაართვი შენი ტერიტორიათქო. წუხელ რადიოთი ვუსმენდი. თქვა, — თუ საქართველოს მთავრობა ხელს არ შემიშლის, 3 ათასი მეომრით შევალ პანკისის ხეობაში და მოსახლეობას დავესხმები თავსო. რატომ, რა დავუშავეთ?

იმ დღეს ხეობაში მსხვერპლს სწირავდნენ

გადაეცი, გაანებე ასეთი რაღაცების წერას თავი, თორემ მანდ მოგკითხავთ პასუხს-თქო.

— კიტოვანი აცხადებს, რომ თავად იყო პანკისის ხეობაში და პირადად ნახა ბოევიკები. თქვენ თუ შეხვდით მას?

— ნეტა შევხვედროდი და როგორ წავიდოდა აქედან, ნახავდა.

— დაწერე, ასე ამბობენ, ჭკუას თუ არ ისწავლი, აქ ამოგიყვანთ და შენს თავს გავუგზავნით გულშემატკივრებსო.

— გავაკეთებთ, ნაღდად გავაკეთებთ, თუ არ მოგვეშვება, ჩავალთ და მძევლად წამოვიყვანთ.

აი, დაახლოებით ეს უნდოდა ჩემთვის ეთქვა პანკისელ მოსახლეობას.

შაბათ საღამოს დავემშვიდობე მოსახლეობას

აქ მეჩეთი შენდება

ვანი. გადაეცი (კიტოვანს, — ზ.ქ.), — გაანებე პანკისის ხეობას თავი და თუ ვაჟკაცი ხარ, ჩადი აფხაზეთში, იომე, დაიბრუნე, მერე ოსებს წაართვი შენი ტერიტორიათქო. წუხელ რადიოთი ვუსმენდი. თქვა, — თუ საქართველოს მთავრობა ხელს არ შემიშლის, 3 ათასი მეომრით შევალ პანკისის ხეობაში და მოსახლეობას დავესხმები თავსო. რატომ, რა დავუშავეთ?

გადაეცი, გაანებე ასეთი რაღაცების წერას თავი, თორემ მანდ მოგკითხავთ პასუხს-თქო.

— კიტოვანი აცხადებს, რომ თავად იყო პანკისის ხეობაში და პირადად ნახა ბოევიკები. თქვენ თუ შეხვდით მას?

— ნეტა შევხვედროდი და როგორ წავიდოდა აქედან, ნახავდა.

— დაწერე, ასე ამბობენ, ჭკუას თუ არ ისწავლი, აქ ამოგიყვანთ და შენს თავს გავუგზავნით გულშემატკივრებსო.

— გავაკეთებთ, ნაღდად გავაკეთებთ, თუ არ მოგვეშვება, ჩავალთ და მძევლად წამოვიყვანთ.

აი, დაახლოებით ეს უნდოდა ჩემთვის ეთქვა პანკისელ მოსახლეობას.

შაბათ საღამოს დავემშვიდობე მოსახლეობას

იმ დღეს ხეობაში მსხვერპლს სწირავდნენ

და კახეთში ჩამოვედი. თუმცა ცნობის წადილმა თავისი გაიტანა და ორშაბათს, დილით, კვლავ დავბრუნდი დუისში, ოღონდ იმ ფიქრით, რომ ნაცნობებს არ შევხვდებოდი და უცხო პირებისაგან გავიგებდი იქ არსებულ ვითარებას. ამიტომ ტრანსპორტიდან სოფლის თავში ჩამოვედი, გადავკვეთე სოფელი და ალაზნის სანაპიროს გავუყევი. უცებ თეთრი ფერის „ვაზ 2106“-ის მარკის უცხოურნომრიანი მანქანა გაჩერდა. საჭესთან მჯდომი ჩეჩენი შევიცანი (გვერდითაც ეჯდა ერთი, მაგრამ მისი ვინაობა ჩემთვის უცნობია).

— სალამ ალეიქუმ, ჟურნალისტ, — მომმართა ნაცნობმა.

მე რუსულად მივესალმე. მკითხა, — საით მიდიხარო და წაყვანა შემომთავაზა. ერთხანს ვიუარე, მაგრამ ბოლოს მანქანაში ჩავჯექი.

— შენ გუშინწინ ხომ წახვედი, აქ რაღა გინდა? — დაინტერესდა ჩეჩენი.

— დასარეკი მქონდა, თანაც საქმე ბოლომდე ვერ გავაკეთე და ამოვბრუნდი.

— ბოევიკებს ხომ არ ეძებ? — დაეჭვდა.

— მითხრეს, არ არიანო. რა, არიან?

— რამდენიც გინდა. შეხვდები?

— თუ მათაც ენდომებათ, სიამოვნებით.

— მერე არ გეშინია?

— მე მგონია, რომ უდანაშაულო ხალხს არ უნდა ერჩოდნენ.

ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ „ბოევიკებს“ შევხვედროდით. გზაში კიდევ ერთი მამაკაცი ჩაგვიჯდა მანქანაში. გადავიარეთ ალაზნის ხიდი და მანქანამ გეზი მარცხნივ აიღო. საკმაო მანძილის გავლის შემდეგ, ასფალტიანი გზიდან ტყისკენ გადავუხვიეთ. მძღოლმა შემთავაზა, — გადმოდი, ცოტა ფეხით გავიაროთ და ვნახავთო. ცოტა გავიარეთ და ჩეჩენი კვლავ მომიბრუნდა, — ე.ი. ბოევიკებთან შეხვედრისა არ გეშინია? ჩემი პასუხიც იგივე იყო. ჰოდა, მე ვარ ბოევიკი. მოდი და ჩაიწერე ინტერვიუ.

— კი მაგრამ, თუ თქვენ ხართ, ამხელა გზის გამოვლა რაღა საჭირო იყო?

ამ დროს მისმა მეგობარმა (რომელიც ბოლოს ჩაჯდა მანქანაში) ჩანთა გამომართვა და გახსნა. მოისმინა დიქტოფონით ჩაწერილი აუდიოკასეტები, რატომღაც ერთი მათგანი არ მოეწონა და გადატეხა. ფოტოაპარატი გამომართვა, — და ტყისკენ ისროლა. ვიფიქრე, დიქტოფონიც არ გამიტეხოს-მეთქი და თვითონ ამოვიღე ელემენტები, გადავყარე და ვთხოვე, არ გატეხოთ-მეთქი. შემდეგ მითხრეს, — შენ კიტოვანის გამოგზავნილი იქნები, გინდა დაწერო, რომ პანკისში ჩეჩენი ბოევიკები არიანო.

სიტყვიერს ფიზიკური შეურაცხყოფა მოჰყვა.

ვიფიქრე, იქნებ საერთო ნაცნობი გამოგვიჩნდეს-მეთქი და ჩამოთვლა დავიწყე — დუისის გამგებელს ვიცნობდი, უხუცესს ვიცნობ, რამდენიმე ვაჰაბიტს, ხიზრი ალდამოვს, მისგან ინტერვიუებიც მაქვს აღებული, მაგრამ ამ უკანასკნელის ხსენებამ უფრო გაამწარა ისინი და საკმაოდ უწმაწურადაც მოიხსენიეს. შემდეგ მკითხა, სტატიებს რომელი ხელით წერო. მარჯვენათი-მეთქი, ვუპასუხე. დამიჭირა ხელი, — ამით უნდა დაწერო, რომ პანკისში ბოევიკები არიანო? და ახალმოკიდებული სიგარეტი ხელზე დამაწვა. ბოლოს მითხრეს, — ზემოთ წადი, იქ არიან ბოევიკებიო და იარაღი ამოიღეს. სხვა გზა არ მქონდა და მეც მათ მიერ ნაჩვენებ ბილიკს დავადექი.

თუმცა გამორიცხული არაფერია. მათ შორის არც ის, რომ ჩემი „ნაცნობი“ არც ბოევიკია და არც ჩეჩენი პატრიოტი. პირიქით, თავისი ქმედებით, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და უბრალოდ არეულობის გამოწვევა უნდა. აი, თუ არ არიან პანკისში ბოევიკებიო, დაბეჯითებით ნამდვილად არაფრის თქმა არ შემიძლია.

დაახლოებით დილის 7.30 სთ იქნებოდა, ახმეტის საგუშაგოსთან რომ მივედი, საიდანაც რაიონის პოლიციაში ჩავედი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ახმეტის პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ყაჩაღობის მუხლით. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ნივთმტკიცებები. ცნობილია იმ პიროვნების ვინაობა, რომელსაც ზემოთ „ნაცნობად“ მოვიხსენიებდი, მაგრამ იმის გამო, რომ მასზე ძებნაა გამოცხადებული, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მის ვინაობას არ ვასახელებ. თუმცა პოლიციას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში დააკავებენ მას და მის თანამზრახველებს.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო ახმეტის რაიონის პოლიციას, დახმარებისათვის.

ფირუზ ფურცელაძე: — ცხადია, ბოროტმოქმედი ყველა რჯულში და ჯილაგში შეიძლება იყოს. კრიმინალებს არც ეროვნული დოგმები ზღუდავს და არც სარწმუნოებრივი პრინციპები, მაგრამ განა რა გახდა ერთი მუჭა ქურდბაცაცების ალაგმვა, რომელთა გამოც ხშირად მთლიანად ხეობის მცხოვრებლებზე ტეხენ იდეოლოგიურ ჯოხს და ხელს უწყობენ ერთა შორის შუღლისა და სიძულვილის გაღვივებას?!

დაუსჯელობით გათამამებულებმა ბოლო დროს ადამიანებსაც მიჰყვეს ხელი. ჯერ იყო და ყარაჯალელი აზერბაიჯანული ეროვნების მოქალაქე დაიკარგა, შემდეგ მატნელი შოთა მანუჩარაშვილი გაუჩინარდა. ორი თვე გადის და მათი ასავალ-დასავალი თითქმის უცნობია. მდუმარე ოფიციოზი კი კვლავ მდუმარებისკენ მოუწოდებს ყველას, ერთნი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მეორენი კი რაღაც „მთავარის“ გამო. თუმცა ვერც იმ „მთავარს“ ასახელებენ.

კულმინაციას მიაღწია მოსახლეობის განწყობილებაც, რაზეც ჩვენი მატნელი რესპონდენტის სიტყვებიც მოწმობს.

ნუგზარ ვ-შვილი: „ამოგვივიდა ყელში უკვე ამათი დემაგოგია. ხან რითი „გვამშვიდებენ“ და ხან რითი. პოლიცია ჩვენ ვერ გვიცავს და დამნაშავესაც ვერ პოულობენ.

წესრიგის დამყარება რომ უნდოდეთ, ჯერ პოლიციის ქვეგანყოფილებას შექმნიდნენ დუისში ზარ-ზეიმით და სამი დღის შემდეგ იქიდან გამოიყვანდნენ? 60 პოლიციელი დაუმატეს ახმეტის პოლიციას, მაგრამ რად გინდა?! ხელფასს თვეობით იმათაც არ აძლევდნენ, ვინც ჰყავდათ და უხელფასო პოლიციელმა ოჯახის შენახვაზე იმტვრიოს თავი თუ ჩემს გასაჭირზე?!

ხალხმა საერთოდ დაკარგა უკვე ამათი რწმენა. ყველა იარაღს ყიდულობს. ჯერ კიდევ ვითმენთ რაღაცებს, მაგრამ ერთი თოფიც რომ გავარდეს, არავინ იცის, ამას რა მოჰყვება“.

სხვათა შორის, ამ დაძაბულობას ჩეჩენი ლტოლვილებიც გრძნობენ. ვისთანაც მოვახერხე საუბარი, ყველა დიდად მადლიერია უანგარო დახმარებისა და ისიც არ დაუმალავთ, უხერხულობას რომ განიცდიან იმ პრობლემების გამო, რაც მათი მიზეზით შეექმნა ადგილობრივ მოსახლეობას. ამიტომაც გვთხოვეს, ხმა მიაწვდინეთ საქართველოს ხელისუფლებას, იქნებ აქედან მოშორებით დაუსახლებელი ადგილი გამოგვიყონ და იქ დავბანაკდებით, რათა სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობამდე ზედმეტი თავსატეხი არ შეგიქმნათო. რამდენიმე ოჯახი, ვისაც ამის საშუალება ჰქონდა, უკვე გასცლია აქაურობას, ზოგიც ახლა აპირებს წასვლას, მაგრამ უმრავლესობის ბედით ალბათ ისევ ჩვენი ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს და რაც შეიძლება მალე. ახმეტის მერმა, **ზაქრო ძინძლაძემ** მაღალჩინოსნები იქით დაადანაშაულა პანკისის ხეობაში დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობაში:

— ყველაფერი იქიდან მოდის, რომ სამხარეო ადმინისტრაციის მითითებით დუისიდან გამოიყვანეს პოლიციის ქვეგანყოფილება და ხეობის შესასვლელში გახსნეს პოსტი სპეცრაზმელებისთვის. ამით თვითონვე გაავლეს საზღვარი თავიანთი იურისდიქციის მოქმედების სფეროზე და აღიარეს, რომ დუისში რაიონის პოლიციას არაფერი ესაქმებოდა. რითაც არა მარტო კრიმინალებს გაუხსნეს ხელ-ფეხი, დანარჩენ მოსახლეობასაც მისცეს სტიმული — ექურდათ და ეყაჩაღათ. მალე იქიდან სპეცრაზმელებიც გამოყარეს და ახლა განიარაღებულნი ახმეტაში სხედან და თავს ირთობენ დომინოს თამაშით.

ხელისუფლება ხან იმით იმშვიდებს თავს, ახმეტაში განსაკუთრებული არაფერი ხდებაო, ხანაც მოსახლეობის ფსიქოლოგიური ზეწოლის მიზნით გაჰყვირის — პანკისში საქართველოს ბედ-იღბალი წყდებაო! მერედა, შე დალოცვილო, საქართველოს ბედიღბალს 60 უხელფასო და ხელფეხშებორკილი პოლიციელის დამატებით გინდა უშველო?

შექმნილი ვითარება მაძლევს საბაბს ვთქვა, რომ პანკისში სიტუაციის გამწვავება პოლიტიკური მოტივებით კი არ ხდება, როგორც ამას სახავენ, არამედ აქ უკვე დიდი ხანია, ნარკობარონთა ინტერესები დომინირებს. და სიტუაციასაც ისინი „აკონტროლებენ“. ხომ ცნობილია, რომ ნარკობიზნესის მამამთავარნი ყოველთვის ხელისუფლების მაღალზურგიან სავარძლებში იყვნენ მოკალათებულნი. სწორედ ისინი წარმართავენ სასურველ პოლიტიკას პანკისშიც და ვერც ადგილობრივი ხელისუფლება და ვერც პოლიცია მათ, ცხადია, ხელს ვერ შეუშლის.

— მაგ მოსაზრების განსამტკიცებლად რა არგუმენტი გაგაჩნიათ?

— თუნდაც ის, რომ დედაქალაქში თითქმის ყოველდღე აკავებენ პანკისიდან ჩამოტანილი ნარკოტიკების რეალიზატორებს თუ მომხმარებლებს. ამ დროს ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხეობაში პოლიცია არ შევიდეს. დათვის დაჭერა ბუნაგში უფრო იოლია თუ უღრან ტყეში?

ვისაც ხელს არ აძლევს წესრიგი ხეობაში, მასვე არ ეჭაშნიკება ლტოლვილების აქედან გაყვანაც, რადგან ამით ნარკოტიკების საქარავნო გზის ჯაჭვი გაწყდება.

ამიტომ ხდება, რომ ისევე, როგორც ბევრ სხვა საკითხში, დღეს აქაც ვიღაცის ინტერესებს აყოლებენ ქვეყნის ბედს, რაც შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს ყველასათვის.

მოამზადეს
ზურა ქაჩლიშვილმა და
ფირუზ ფურცელაძემ

ბრალდება იოლია, საქმის კეთება — ძნელი

„კვირის პალიტრა“, ტრადიციისამებრ, არ ერიდება თავის ფურცლებზე ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ თუნდაც სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებულ მოსაზრებათა გამოქვეყნებას და ამჯერად ადგილს ვუთმობთ სასაზღვრო დეპარტამენტის პრესსამსახურს.

უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში სახელმწიფო საზღვრის თემა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საქმიანობა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. პრესით გამოქვეყნებული პუბლიკაციები, კონკრეტული შემთხვევების განხილვასთან ერთად, სასაზღვრო ძალების მოღვაწეობისა და საზღვრებზე არსებული ვითარების შეფასების მცდელობასაც წარმოადგენდნენ. იყო არგუმენტირებული მოსაზრებები და არაობიექტური დასკვნები, რეალური ფაქტები და გამოგონილი, ან დამახინჯებული ინფორმაციები. იყო სიმართლეც და იყო ტყუილიც.

საზღვრების თემას გვერდი არც „კვირის პალიტრამ“ აუარა. დაიწყო ჟურნალისტური მოკვლევა იმის გასარკვევად, იშლება თუ არა საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და როგორ მდგომარეობაშია დღეს სახელმწიფო საზღვრები. საკითხის ამგვარი დასმის საფუძველი გაზეთისთვის გახდა, საზღვრის დაცვის სფეროში არსებული ფინანსური სირთულეებიდან გამომდინარე შექმნილი პრობლემების გამო, დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადების არასწორი ფორმულირება (თუმცა რა არის გაუგებარი, როცა რეალურად გჭირდება 22.000.000, ბიუჯეტი გიმტკიცებს ამის ნახევარს და იღებ დამტკიცებულზე გაცილებით ნაკლებს).

„კვირის პალიტრის“ საყურადღებოდ ვაცხადებთ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს დაშლის საფრთხე არ ემუქრება. იგი თავისი მოვალეობების შესრულებას გააგრძელებს ერისა და სახელმწიფოს წინაშე, იმისდა მიუხედავად, შედგება თუ არა ჟურნალისტური მოკვლევა.

ჩვენი პოზიციის დაფიქსირება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შეიძლებოდა ამით დაგვესრულებინა, მაგრამ არ გვსურს, გაზეთმა კვლავ დაწეროს, თითქოს არაფერი გვაქვს სათქმელი (იხ. „კვირის პალიტრა“ №25), ამიტომ რამდენიმე საკითხს შევეხებით.

„კვირის პალიტრის“ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური მოკვლევა ძირითადად, დეპარტამენტის ზოგიერთი ყოფილი თანამშრომლისა და ერთი მოქმედი „ინკოგნიტო“ კაპიტნის მიერ ჩამოყალიბებულ ვერსიებს ეყრდნობა.

აღნიშნულ პიროვნებებს საკმაო ხანს ეკავათ საკვანძო თანამდებობები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით დატოვეს. დღეს ისინი სიამოვნებით განუმარტავენ ჟურნალისტებს, თუ როგორი საშინელი მდგომარეობაა საზღვრის დაცვის სფეროში, როგორ ინგრევა სასაზღვრო ძალები. მათი მენტორული ტონიდან გამომდინარე, ჩანს, რომ იცოდნენ და იციან, როგორ უნდა დაამყარონ წესრიგი და როგორ უნდა დახვეწონ სასაზღვრო სტრუქტურა. ბუნებრივია, იბადება შეკითხვა — თუ ისინი ამ „საშინელებას“ ხედავდნენ და იცოდნენ გამოსწორების გზები, რატომ დუმდნენ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, რატომ არ იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რატომ არ სვამდნენ შესაბამის წინადადებებს ხელმძღვანელობის ან სამხედრო საბჭოს წინაშე.

ჩვენ არ შევეხებით გაზეთის რესპონდენტების ყველა „ბრალდებას“ ჩვენ მიმართ, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ რამდენიმე საკვანძო მომენტზე. ჩვენი ოპონენტების აზრით:

1. „საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აივსო არაპროფესიონალებით, მიდიან სამხედროები და მოდიან უშიშროების და შინაგან საქმეთა მუშაკები, რომლებსაც წესდებაც არა აქვთ წაკითხული“ („კვირის პალიტრა“ №24).

2. „საზღვრის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის დემარკირებული და დელიმიტირებული“ („კვირის პალიტრა“ №24).

3. „საზღვრები უნდა დავიცვათ სამხედრო ძალის გამოყენებით და არა შუქურებით, რადიოლოკაციური სადგურებით და კომპიუტერული სისტემით“ („კვირის პალიტრა“ №24).

4. „სადაც ვინმე ავტომატს დააკაკანებს“ ჩვენი მესაზღვრეები გამორბიან და „ცეცხლის გახსნას ვერ ბედავენ მაშინაც კი, როდესაც მათზე აშკარა აგრესიას აქვს ადგილი“ („კვირის პალიტრა“ №№22,24,25).

1. პროფესიონალიზმის შესახებ

იმისათვის, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს წაუყენო ბრალდება პირადი შემადგენლობის არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების თაობაზე, თავდაპირველად უნდა განისაზღვროს პროფესიონალი მესაზღვრის ცნება.

ჩვენი ოპონენტები პროფესიონალ მესაზღვრეს სამხედრო განათლების მქონე პირებთან აიგივებენ (მათი ინფორმაციით, სამხედროები მიდიან და სხვები მოდიან), რაც სწორი არ არის. სასაზღვრო საქმე სამხედრო სპეციფიკისგან რადიკალურად განსხვავდება, ამაზე მეტყველებს თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა. თვით ისეთ მილიტარიზებულ სახელმწიფოშიც, როგორიც სსრკ იყო, სასაზღვრო უწყება არ შედიოდა თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სტრუქტურას წარმოადგენდა.

სასაზღვრო სამსახურის სპეციფიკა მხოლოდ სასაზღვრო სასწავლებლებში ისწავლება. საქართველოს, რომელსაც უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში არც სახელმწიფო საზღვრები ჰქონია და შესაბამისად, არც სასაზღვრო ჯარი ჰყავდა, ასეთი სასწავლებლები არ გააჩნდა. ამ ხარვეზის გამოსწორება საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა თავისი შექმნის პირველივე დღეებიდანვე, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახა. შეიქმნა ოფიცერთა მოსამზადებელი კურსები, უშიშროებისა და სამხედრო აკადემიებში გაიხსნა სასაზღვრო ფაკულტეტები. უკრაინის, რუსეთის, თურქეთის, აშშ-ს სასაზღვრო სასწავლებლებში გაიგზავნა ათობით ოფიცერი. აქტიურად ვითარდება თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან სასაზღვრო ტრენინგის სფეროში, მაქსიმალურად ხდება სასაზღვრო განათლების მქონე იმ ქართველი ოფიცრების მოზიდვა, რომლებიც მსახურობდნენ რუსეთში და ა.შ. სასაზღვრო ძალების შექმნისას (1992-93 წ.წ.) პროფესიონალ მესაზღვრეთა საერთო რიცხვი მთლიანი შემადგენლობის 1,5%-ს არ აღემატებოდა, დღეისათვის, ანუ 7-8 წლის შემდეგ თითქმის 40%-ს მიაღწია.

ვინც ამ ციფრების მნიშვნელობა იცის და ვისაც წარმოდგენა აქვს, თუ როგორ მიიღწევა ასეთი მაჩვენებლები, მისი ბრალდება — სასაზღვრო ძალების არაპროფესიონალებით ავსების შესახებ — არაობიექტურია.

ჩვენს ოპონენტებს, არაპროფესიონალიზმზე საუბრისას მხედველობაში აქვთ არა უშუალოდ საზღვრის დაცვის სამსახური, ანუ სასაზღვრო სტრუქტურის ძირითადი ბირთვი (საგუშაგოების, საკონტროლო-გამშვები პუნქტების, სპეცნაწილების პირადი შემადგენლობა, ეს მათ ნაკლებად აწუხებთ), არამედ უშუალოდ ცენტრალურ აპარატში არსებული რამდენიმე წამყვანი თანამდებობა, რომლებზედაც განათლებით არა მესაზღვრეები (და არა სამხედროები) არიან დანიშნულნი. მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივია, მაგალითად, კადრების სამსახურს საკადრო საქმის სპეციალისტი უნდა ხელმძღვანელობდეს, პირადი შემადგენლობის ინსპექციას და დაზვერვას — ოპერატიული მუშაობის გამოცდილების მქონენი, მშენებლობის საქმეს — მშენებელი, რაც სწორედ რომ პროფესიონალიზმს გულისხმობს. ნებისმიერ ობიექტურად განწყობილ ადამიანს შეუძლია დარწმუნდეს, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტში საკადრო პოლიტიკა სწორედ ამ პრინციპზეა აგებული.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, ოპონენტთა მტკიცების საწინააღმდეგოდ, სწორედ არაპროფესიონალებს, კარიერისტებსა და მედროვეებს ებრძვის. ბოლო წლებში, სასაზღვრო ძალებიდან სხვადასხვა მიზეზით, თანამდებობიდან გათავისუფლდა ათობით ოფიცერი. მათგან მხოლოდ რამდენიმემ არჩია „გაღმა შედავების“ პრინციპით მოქმედება.

2. საზღვრების დელიმიტაციის შესახებ

საქართველოს საზღვრებზე დღეს რომ უამრავი პრობლემა არსებობს, ეს ჩვენ სხვებზე კარგად ვიცით, მაგრამ გაუგებარია საზღვრის დაცვის დეპარტამენტს რატომ უყენებენ ბრალად დელიმიტაცია-დემარკაციაში არსებულ პრობლემებს. აღვნიშნავთ ხაზგასმით, მესაზღვრის ფუნქცია დადგენილ საზღვარზე სასაზღვრო რეჟიმის განხორციელებაა და არა საზღვრის დადგენა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე მოსაზრებას მაინც გამოთქვამთ.

საქართველოს საზღვრებზე არსებული დაუდგენელი და სადავო მონაკვეთები, საბჭოთა პერიოდისა და დამოუკიდებლობის პირველი წლების ქაოსის ისეთივე მძიმე მემკვიდრეობაა, როგორიც, მაგალითად, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, დანგრეული ეკონომიკა, უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები და ა.შ. ამ ურთულესი პრობლემის ერთი ხელის მოსმით გადაჭრა შეუძლებელია, მას სჭირდება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევა, ნორმალური, ურთიერთპატივისცემის საფუძველზე აგებული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან და, რაც მთავარია, გარკვეული დრო. ასეთი პრობლემები ობიექტურმა რეალობამ წარმოქმნა და მათი დარეგულირებაც ობიექტურმა პროცესებმა უნდა უზრუნველყოს.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ზედმეტმა აჟიტირებამ აპრილ-მაისში (სანამ „კვირის პალიტრა“ ამ საკითხებით დაინტერესდებოდა), უკვე გამოიღო ზოგიერთი გაზეთის მეშვეობით „სასიკეთო“ შედეგი საქართველოსთვის და გაურკვეველი ვადით ჩაშალა საქართველო-რუსეთის სადელიმიტაციო-სადემარკაციო კომისიების შეხვედრა (რომლის პრეროგატივასაც წარმოადგენს საზღვრების დადგენა), რითაც ქართულ მხარეს მოესპო შესაძლებლობა მაისშივე ცივილური გზით დაერეგულირებინა ყველა ჩვენთაგანისთვის მტკივნეული ფიჭვების საკითხი.

აქვე გვინდა გავაკეთოთ მოკლე კომენტარი ფიჭვების შესახებ, „კვირის პალიტრამ“ ბრალი დაგვდო, თითქოსდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა „კილომეტრები დაუთმო რუსეთს“ („კვირის პალიტრა“ №24).

ჩვენ არავისთვის არაფერი დაგვითმია, ადმინისტრაციული საზღვრის ხაზი გადის იქ, სადაც გადიოდა 10, 20 და 30 წლის წინ. სხვა საკითხია, თუ თავის დროზე ვისი მიზეზით მოხვდა ფიჭვების ძირძველი ქართული მიწა სახელმწიფო საზღვარს იქით. იმედია, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ცოდვებს დღეს ჩვენ არ დაგვაკისრებენ.

ძალიან კარგად ვიცით, რომ ფიჭვები ისეთივე ძირძველი ქართული მიწაა, როგორიც საინგილო, ლორე, ტაო-კლარჯეთი და ა.შ. მაგრამ რეალობის იურიდიული ფიქსაციის პირობებში მესაზღვრეებს არ შეუძლიათ საკუთარი ნებასურვილით ფიჭვების გაღმა მოქცეული ტერიტორიის ჩვენი იურიდიული მფლობელობის ქვეშ დაბრუნება. მით უფრო, რომ დღევანდელი საზღვრები 1991 წელს კონსტიტუციურადაა დაფიქსირებული. საბჭოთა პერიოდში დაშვებული დანაშაულებრივი შეცდომის გამოსწორების ერთადერთი გზა რუსეთთან სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე — არგუმენტებით, და არა ემოციებით მოქმედების გზაა.

3. სამხედრო ძალის, შუქურებისა და კომპიუტერების შესახებ

ოპონენტთა მოსაზრება, რომ საზღვრები უნდა დავიცვათ სამხედრო ძალით და არა შუქურებით, რადიოლოკაციური სადგურებითა და კომპიუტერული სისტემებით, არათუ სპეციალისტებში, არამედ დილეტანტ მკითხველშიც ღიმილს იწვევს.

ციტატა ავთანდილ ცქიტიშვილის ინტერვიუდან („კვირის პალიტრა“ №24): „მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ საზღვრები სწორედ მესაზღვრეებმა უნდა დაიცვან. ის კი მიმტკიცებდა — ეს არის ძველისძველი აზროვნება, არქაიზმი და „ჯულბარსისა და კარაცუპას“ (კარაცუპა — ლეგენდარული მესაზღვრე და მისი ძაღლი) მეთოდი, საჭიროა საკითხს სხვაგვარად მივუდგეთო. ამერიკაში კი აი, როგორ ხდება საზღვრის დაცვა. წამიყვანეს საზღვრის ყველაზე რთულ, აშშ-მექსიკის მონაკვეთზე. დავიარე საზღვრის დაახლოებით 200-250 მილი. დასავლეთ სანაპიროდან აღმოსავლეთ სანაპირომდე მათ გავლებული აქვთ 8 მეტრი სიმაღლის მესერი, ყოველ 250-300 მეტრში მესაზღვრეთა პატრული დგას და 24 საათის განმავლობაში საზღვრის რადიოელექტრონული დაცვა მიმდინარეობს. რა, ამერიკას არ შეუძლია რომ დადგას ეს შუქურები, რადიოსალოკაციო სადგურები, კომპიუტერული სისტემა და ა.შ?“

პირველად გვესმის, რომ 21-ე საუკუნის მიჯნაზე ადამიანი უარყოფდეს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების აუცილებლობას, ურთულეს და უაღრესად ეფექტურ ელექტრონულ სისტემას უწოდებდეს „რაღაც შუქურას“, უარყოფდეს რადიოლოკაციური სადგურებისა და კომპიუტერების მნიშვნელობას და ყოველივე ამის შემდეგ გამოთქვამდეს პრეტენზიას, რომ ის პროფესიონალია და იცის, როგორ უნდა განვითარდეს სასაზღვრო სტრუქტურა.

აქვე აღმოვაჩინეთ ისიც, რომ თურმე ამერიკა არ დგამს შუქურებს (ანუ ელექტრონული უსაფრთხოების სისტემებს), რადიოლოკაციურ სადგურებს, კომპიუტერს და ა.შ. (იხ. „კვირის პალიტრა“ №24) და გაგვიჩნდა იდეა, ხომ „არ ვურჩიოთ“ ამერიკას მეტი ყურადღება მიაქციოს ამ ჩამორჩენილ სფეროებს. ჩვენს ოპონენტებს ვურჩევთ, რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში წაკითხული წესდების გარდა, იკითხონ თანამედროვე ლიტერატურა, გაეცნონ ტექნიკურ მიღწევებსა და მათი გამოყენების ეფექტურობას სხვადასხვა, მათ შორის სასაზღვრო სფეროშიც. შესაძლოა, ისინი ამის შემდეგ მიხვდნენ, რომ მაგალითად, საზღვრის პერიმეტრზე მოქმედი ელექტრონული უსაფრთხოების სისტემა მნიშვნელოვნად შეამცირებს ყოველ კილომეტრზე „ჯულბარსისა და კარაცუპას“ დგომის აუცილებლობას, მინიმუმამდე დაიყვანს ოპერატიული რეაგირების დროს, მოსპობს კორუფციის ხელშემწყობ პირობებს, დაზოგავს ტრანსპორტს, საწვავს, საკვებს და ა.შ.

ობიექტური მკითხველისათვის, საკითხის მოკლედ განხილვის შედეგადაც გაცხადდება, თუ რატომ გვაბრალებენ ჩვენი ოპონენტები არაპროფესიონალიზმს და რა იყო რეალური მიზეზი მათი თანამდებობიდან წასვლისა.

4. ცეცხლის გახსნის შესახებ

რაც შეეხება 1999 წ. 22 დეკემბრის ფაქტს, სასაზღვრო ძალების ინსპექციისა და სამხედრო დაზვერვის წარმომადგენელთა მიერ ტარდება მოკვლევა, რომლის დასრულებისთანავე, საზოგადოება და მათ შორის „კვირის პალიტრა“ მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას დადგენილი რეალობის შესახებ.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელზედაც აზრის გამოთქმა აუცილებლად მიგვაჩნია. საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ 30 ივნისს შატილში მოხდა ტრაგედია, დაიღუპა სასაზღვრო საგუშაგოს უფროსი, კაპიტანი ირაკლი ჭინჭარაული. „კვირის პალიტრა“-მ ირაკლი ჭინჭარაულის სიკვდილი უმალვე დაუკავშირა ფიჭვების ისტორიას და საერთოდ შატილში შექმნილ ვითარებას („კვირის პალიტრა“ №27).

გვინდა გთხოვოთ გაზეთის რედაქციას, ნუ დაარღვევთ გარდაცვლილთა ხსოვნის პატივისცემის დაუწერელ კანონს და ირ. ჭინჭარაულის ტრაგედიას ნუ გამოვიყენებთ პოლემიკის საგნად. მით უფრო, რომ ამქვეყნად არაფერი იმალება და „ყოველი დაფარული გაცხადდება“.

არც მეორე ტრაგიკული შემთხვევის მოხსენიება გახლავთ გამართლებული, მით უფრო, რომ პოლკოვნიკი თ. ლალიაშვილი დაღუპვამდე წელიწად-ნახევრით ადრე პენსიაში იყო გასული. გარდაცვლილთა თემით აპელირებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ზნეობრივ ფაქტორს ენიჭება, რაც ჩვენი აზრით, რესპონდენტებზე დაყრდნობით „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტს მხედველობიდან გამორჩა.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტი მზად არის კვლავაც ითანამშრომლოს როგორც „კვირის პალიტრის“ (რომლის მიმართაც გულწრფელი სიმპათიები გააჩნია), ასევე სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან. ობიექტურობის, კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, მიაწოდოს ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამავდროულად ვიმედოვნებთ, რომ გაზეთი თავის მხრივ გამოიჩენს ობიექტურ დამოკიდებულებას და სპეციფიკური საკითხების კომენტირებას მიანდობს არა დაინტერესებულ, ან არაკომპეტენტურ, არამედ ამ სფეროში ჩახედულ პიროვნებებს, რომელთა ნაკლებობას „კვირის პალიტრა“ ნამდვილად არ განიცდის.

ბრალდება იოლია, საქმის კეთება — ძნელი. საქმე, ჩვენ ყველას ერთად, უამრავი გვაქვს გასაკეთებელი.

სახელმწიფო საზღვრის დაცვის
სახელმწიფო დეპარტამენტის
პრესსამსახური
08.07.2000 წ.

რედაქციისაგან: „კვირის პალიტრა“ მომავალშიც გააგრძელებს დამოუკიდებელ ჟურნალისტურ გამოძიებას.

რაც შეეხება საზღვარს, ამ თემაზე, საზოგადოებისათვის საინტერესო მრავალ საკითხთან დაკავშირებით, უახლოეს ნომრებში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის მოსაზრებებსაც შემოგთავაზებთ.

„მომეცით უფლება და დაგანახვებთ, რამდენს დავიჭერ, მათ შორის ჩემს ნათესავებს...“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ მთავრობის სხდომაზე დარგის მდგომარეობასა და შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მზადებაზე ისაუბრა და დახმარება ისევ სახელმწიფო ბიუჯეტისგან ითხოვა. თუმც პრეზიდენტმა მის იმედებს წყალი გადაასხა — ბიუჯეტისკენ ნუ იყურებით, თანხების მოთხოვნა უძლურებად მიმაჩნია. ამერიკელებისა და საქართველოს ბიუჯეტის კმაყოფაზე არ იქნება ეს სისტემაო და მკაცრად დასძინა, — როგორც ვხედავ, მინისტრების შეცვლით საქმე უკეთესობისკენ არ მიდის, დამნაშავე მარტო სკამს კი არ გამოეთხოვება, დაისჯება კიდეც. აგვისტოში ხალხს უნდა უთხრათ, როგორი ზამთარი ექნებათო.

ენერგეტიკის მინისტრმა ახსენა „სადღაც დაკარგული“ 26 მილიონი, რამაც ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ძალიან გააღიზიანა, — ეს ფული დახარჯულია და რას ეძებთო. მაგრამ სად წავიდა ეს საკმაოდ სოლიდური თანხა, ვერ გავიგეთ.

და კიდევ: მოსახლეობის მიერ გადახდილი ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ 13,5% შედის ბიუჯეტში (თბილისის მასშტაბით), მაშინ, როცა გადასახადის ამოღება 40-45%-ია. კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ენერგეტიკაში მოკალათებული მაქინატორები გარეწრებად მონათლა და საკმაოდ მკაცრი დასკვნა გააკეთა — ყველაფერი რაც ენერგეტიკაში ხდება არის ბოროტი განზრახვა სახელმწიფოს, პრეზიდენტის, საქართველოს ენერგეტიკისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგო.

კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, „აკვირვებს“, რატომ დებდნენ ენერგეტიკის სფეროს მესვეურები წამგებიან ხელშეკრულებებს სხვადასხვა ფირმასთან, მაშინ როცა არსებობდა ქვეყნისთვის მისაღები და მომგებიანი ვარიანტები. ერთ-ერთი ასეთი „გაუაზრებელი“ კონტრაქტი დაიდო საქენერგოს (ემზარ ჩაჩხიანი) და „ანგლოოლ კომპანის“ შორის, რის შედეგადაც ქვეყანამ 12 მილიონი დოლარი იზარალა. სხვა შემთხვევაში „თბილსრესის“ მესვეურების წყალობით სახელმწიფოს 12,8 მლნ დოლარი დაკარგა. მოლაშვილი ენერგეტიკაში აღმოჩენილი დარღვევების გამო „შავ სიაში“ მოხვედრილთა თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს აყენებს და მას პრეზიდენტიც მხარს უჭერს.

P.S. პრეზიდენტი კორუფციასთან ბრძოლის ავანგარდში კონტროლის პალატას უშვებს. თუ მარტო ენერგეტიკის სფეროში მოლაშვილმა ათამდე კორუფციაში ეჭვმიტანილი აღმოაჩინა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა დარგებიც არანაკლებ მრავალფეროვანი იქნება. აქამდე დამნაშავეთა დასჯის მექანიზმი მხოლოდ „სავარძლისმონაცვლეობა“ იყო და მეტი არაფერი. თუ შევარდნაძეს დავუჯერებთ, ეს მექანიზმი მომავალშიც იმოქმედებს, ოღონდ გარკვეული სახეცვლილებით — დამნაშავენი უკვე მეორე, განსასჯელთა სკამზე გადაინაცვლებენ. თუ ასე მოხდა, ჯონი ხეცურიანს ალბათ მართლა მოუწევს ტრადიციის დაცვა — სტუმრების მიღება და ღირსეული მასპინძლობის გაწევაც.

იზო რიკაძე

ხელისუფლებამ არ იცის, რა უყოს თავის სამხედრო ძალებს

უკვე აუტანელი ხდება იმაზე წერა, თუ როგორ მიექანება ჩვენი ქვეყანა სტაბილურად „უკუსვლით“.

ხელისუფლება ერთგვარ აგონიაშია და არ იცის, რა გააკეთოს. ამ მძიმე სიტუაციაში, რა თქმა უნდა, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტისთვის — სამხედრო ძალებისთვის — არავის ცხელა. ეს ერთი შეხედვით გასაკვირი სულაც არ არის — ჩვენი ხელისუფლების წევრთა უმეტეს ნაწილს ჯარში არც კი უმსახურია (არც საბჭოთა და, მით უმეტეს, არც ეროვნულში) და მათთვის ძალზე შორსაა ის ატმოსფერო, რასაც სამხედრო ადამიანების ერთობლიობა ქმნის.

ამასთან, გარკვეულწილად, შეიძლება მორიგი სამხედრო გადატრიალების შიშით, ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რომ ქვეყნის სამხედრო ძალები რეალურად არ გაძლიერდეს, მცირედითაც კი.

სწორედ ამის შიშითაა განპირობებული ის, რომ ქართველ სამხედროებს არათუ გადატრიალების, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის (არა აღდგენის, ამაზე ბიუჯეტს არ შეუძლია ამის ნახევარიც კი საჭირო დონეზე უზრუნველყოს. ჩვენთან, რატომღაც, ისევ საბჭოთა მეთოდებით საზღვრავენ (თუმცა, რატომღაც, თვითონ ხელისუფლებაც ხომ დღემდე ამ, მათთვის საყვარელი საბჭოთა მეთოდებით „მართავს“ საქართველოს) — მთავარია ჯარისკაცთა რაოდენობა, რომელიც ლამაზი ფორმითა და ახალშეღებილი ტექნიკით მოიწონებს თავს სამხედრო აღლუმებზე, იმავე ხელისუფლების საზეიმო ტრიბუნის წინ.

ის, რაც მთავარია მსოფლიოს ნებისმიერი, ნორმალური არმიისთვის — საბრძოლო მომზადება საქართველოს სამხედრო ძალებში ფაქტობრივად ჩავარდნილია. რა მნიშვნელობა ექნება, ჯარისკაცი ამერიკული ფორმით იქნება შემოსილი თუ დახეული საბჭოთა შინელით, თუკი მას უბრალოდ ავტომატი თვეობით არ უსვრია და ტანკი სამ მეტრზე მეტ მანძილზე არ გაუტარებია?

სამწუხაროდ, დღეისათვის ქართული არმია, პოსტსაბჭოურ სივრცეში, ყველაზე სავალალო მდგომარეობაში იმყოფება.

ქართული ჯარი დაჭრილ ჯარისკაცს ჰგავს, მას გადასარჩენად გადაუდებელი სასწრაფო დახმარება სჭირდება...

ფიქრი, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, არარეალურია) შემდგომი დაცვაც ძალზე გაუჭირდებათ. არადა ბრძოლისუნარო ჯარის პატრონი, დაქცევის პირას მდგარი ქვეყნის მჯიჯგვნელი ძალზე ბევრი გამოჩნდება. სამწუხაროდ, ეს პროცესი უკვე იწყება როგორც ქვეყნის სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით.

ამ დროს კი, საქართველოს პარლამენტი ამცირებს სამხედრო ძალების რაოდენობას. თუკი გასულ, 1999 წელს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძალები მთლიანად 47.500 კაცს ითვლიდა, დღეისათვის მათი რიცხვი 38.414-ით განისაზღვრა. აქედან ლომის წილი თავდაცვის სამინისტროზე მოდის — 20.000, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი — 8.708, შსს შინაგანი ჯარები — 6.400, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური — 3.306.

მაგრამ ამ შემცირებებსაც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ქვეყნის ეს ულუფა და შეღავათები უკრაინის რადამ მოხსნა, მაგრამ ყოველთვიურად ხელფასის დროულად მიცემა მაინც დიდი შეღავათია უკრაინელი სამხედროებისთვის. აქ საინტერესო იქნება ერთი პარალელის გავლებაც — როდესაც „კვირის პალიტრა“ 1997 წელს ეწვია უკრაინის არმიას, მისი ოფიცრები 4-7 თვიან გაუცემელ ხელფასებს მისტიროდნენ, მაშინ ქართველი სამხედროებისთვის ეს დაუჯერებლად ჩანდა. მაგრამ 2-3 წლის შემდეგ, როგორც ვხედავთ, როლები რადიკალურად შეიცვალა.

თქვენ გგონიათ უკრაინას არ უჭირს და თავის არმიას არ ამცირებს? უჭირს კიდევაც და არმიასაც ამცირებს, მაგრამ აქ მთავარია ის მიდგომა, რასაც იქაური ხელისუფლება თავისი არმიისთვის იჩენს — მან იცის, რომ უარმიო ქვეყანა ადრე თუ გვიან დაიღუპება.

ამას მთელ მსოფლიოში ხვდებიან, ოღონდ, სამწუხაროდ, არა საქართველოში.

იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის

ამერიკელების „ანტისარაკეტო“ დროებითმა წარუმატებლობამ კრემლი ძალიან გაახარა

7 ივლისს, საღამოს, კრემლი დიდ სიხარულს მოეცვა — ამერიკელებს ჩაეფუშათ მესამე ცდა, ანტირაკეტით ჩამოეგდოთ ბალისტიკური რაკეტის ქობინები.

ამერიკელებმა ისევ ააცილეს

ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონისათვის ღირსების საკითხად იქცა. თუკი ამერიკელები, ბოლოს და ბოლოს, მოახერხებენ და შექმნიან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეფექტიან სისტემას. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ზესახელმწიფო მსოფლიოში მართლაც აბსოლუტურად უძლეველი გახდება.

„კვირის პალიტრა“ ამ თემას ერთი თვის წინ საკმაოდ დეტალურად შეეხო — ეკონომიკურად უძლიერესი თეთრი სახლის საწუხარს დღეისათვის წარმოადგენს მხოლოდ ბირთვული ბალისტიკური რაკეტები, რომელთა გაშვება მოსკოვს შეუძლია როგორც მობილური სარაკეტო დანადგარებიდან, შახტებიდან, სტრატეგიული დანიშნულების თვითმფრინავებიდან და ატომური წყალქვეშა ნავებიდან. თუკი ამერიკელი სპეციალისტები შექმნიან უნივერსალურ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას, მაშინ რუსული, ხოლო ახლო მომავალში — ჩინური, ჩრდილო კორეის, ირანისა და ერაყის პერსპექტიული ბალისტიკური რაკეტები ჩრდილო ამერიკის კონტინენტისთვის უსაფრთხო გახდება, ეს კი ვაშინგტონს საშუალებას მისცემდა, თავისი სტრატეგიული ინტერესები მთელ მსოფლიოში უფრო ინტენსიურად გაეტარებინა.

7 ივლისს კალიფორნიიდან გაშვებული სასწავლო ბალისტიკური რაკეტის ქობინების „დაჭერა“ კოსმოსში დედამიწიდან 200 კმ-ის სიმაღლეზე უნდა განეხორციელებინა საცდელ ანტირაკეტას, მაგრამ მან უზარმაზარი სიჩქარით — 24.000კმ/სთ-ით გვერდზე ჩაუქროლა მას და ასცდა მიზანს. ეს ამერიკელების მესამე ცდა იყო.

რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, პირველი ექსპერიმენტი გასული წლის ოქტომბერში, წარმატებით დამთავრდა — ანტირაკეტამ ღია კოსმოსში მუსრი გაავლო ბალისტიკურ რაკეტას ჩამოშორებულ ქობინებს. შემდეგი ცდა უკვე ა.წ. იანვარში ჩატარდა, თუმცა უშედეგოდ. და აი, მესამე ექსპერიმენტმაც გაანბილა ამერიკელები.

აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი იხტიბარს არ იტეხს, თუმცა კარგად მოეხსენება, რომ მისი პრეზიდენტობის დასრულებამდე აღარ შედგება ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შექმნის ახალი ექსპერიმენტი და ეტყობა, არც კონგრესი დააპირებს დამატებით მილიონობით დოლარის გამოყოფას.

„კოსმოსური ქოლგის“ შექმნის იდეა ჯერ კიდევ პრეზიდენტ რონალდ რეიგანისგან მოდის და მასზე დიდი თანხებია დახარჯული. თუმცა, მიუხედავად დროებითი წარუმატებლობისა, ამერიკელები „ყურების ჩამოყრას“ სულაც არ აპირებენ. სპეციალისტთა გაანგარიშებით, ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესაქმნელად საჭირო იქნება საბოლოო ჯამში 15 ფაზირებულანტენიანი რადიოლოკაციური სადგურის, 29 ხელოვნური თანამგზავრისა და 250 ანტირაკეტის მწყობში ჩაყენება, რაც პირველ ეტაპზე დაახლოებით 60 მლრდ დოლარი დაჯდება. ეს ციფრი შეიძლება მართლაც ასტრონომიული იყოს რუსეთისათვის, მაგრამ პენტაგონისთვის არც თუ არარეალურია.

რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტ კლინტონს ოფიციალურად მიმართა 49 ყველაზე ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა. ისინი აშშ-ის ხელისუფლებას სთხოვენ, თავი შეიკავოს ამ ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნისგან. ადვილი გასაგებია ამერიკელი მეცნიერების შეშფოთება. ისინი კარგად ხვდებიან, რომ რუსეთი, რომელსაც არ შეუძლია ასეთი თანამედროვე ძვირად ღირებული სისტემის შექმნა, ბირთვული პარიტეტის აღსადგენად სულ უბრალო მეთოდს მიმართავს — დაიწყებს საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტებისა და მათი ქობინების რიცხობრიობის ზრდას, რაც, საბოლოოდ, მსოფლიოს ახალ, გამალებულ ბირთვულ შეიარაღებამდე მიიყვანს.

ყოველ შემთხვევაში, მეცნიერება წინ მიდის, ისე როგორც 50-60-იანი წლებიდან, დაიწყო ეფექტური ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შექმნა მოწინააღმდეგის თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ჩამოსაგდებად, ადრე თუ გვიან მსოფლიოს რომელიმე განვითარებული ქვეყანა აუცილებლად გახდება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პატრონიც.

და ეს ქვეყანა, ეტყობა, აშშ იქნება, ოღონდ არა უკვე 2005 წლისთვის, როგორც ეს თეთრ სახლს დღემდე სურდა.

ალერსენალი

თუ გაქვთ საშუალება, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ახალი რუსული ტყვიამფრქვევის „Печенег“-ის შესახებ.

ალექსი ნიკოლაიშვილი, თბილისი

ПЕЧЕНЕГ-ი – ჩეჩნეთის წინააღმდეგ,

ქართულ არმიას კი ახალ იარაღზე ოცნებაც არ შეუძლია

ქართულმა არმიამ „ტყვიამფრქვევების თემა“ ერთხელ უკვე მწარედ იწვნია საკუთარ თავზე, როდესაც ჩეხეთიდან შეისყიდა 1.000-მდე ნახმარი, ადგილობრივი წარმოების ტყვიამფრქვევი УК-59L.

ამ საეჭვო გარიგებას თავის დროზე თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო პროკურატურის მწვავე დაპირისპირება მოჰყვა. დღეისათვის ამ ჩეხური ტყვიამფრქვევების ნაწილი უშუალოდ სამხედრო ნაწილების (არა მარტო თავდაცვის სამინისტროსი, არამედ შინაგანი ჯარებისაც) შეიარაღებაში ირიცხება, დანარჩენი კი საწყობებში ინახებოდა. თუმც, როგორც ბოლო მონაცემებით ირკვევა, ჩეხეთიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა დაწუნებული ტყვიამფრქვევებიც შეაკეთეს.

თავდაცვის სამინისტროს თავიდანვე ПК ან ПКМ ტიპის საასეულო ტყვიამფრქვევები რომ შეეძინა, აღარ გახდებოდა საჭირო მთელი ეს „ეპოპეა“, მაგრამ აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია კიდევ ერთი, მთავარი გარემოება — ჩეხური ტყვიამფრქვევები. თითოეული დაახლოებით 308 დოლარად შეიძინეს, ახალი ПКМ კი ათჯერ ძვირი ღირს.

და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საბჭოთა, ამჟამად რუსულად წოდებული ПКМ ერთ-ერთ საუკეთესო ტყვიამფრქვევად არის აღიარებული მთელ მსოფლიოში, მაგრამ რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ამით არ დაკმაყოფილდა და კონსტრუქტორებს ახალი საასეულო ტყვიამფრქვევების შექმნა შეუკვეთა. ეს გადაწყვეტილება განაპირობა ჩეჩნეთის პირველი ომის გამოცდილებამაც, რომლის დროსაც ერთი შეხედვით უნაკლო ПКМ-საც გარკვეული ხარვეზები გამოუჩნდა.

ახალი საასეულო ტყვიამფრქვევი 6П41 Печенег-ი რუსეთის ზუსტი მანქანათმშენებლობის ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შეიქმნა. სხვათა შორის, ამ ცნობილი ინსტიტუტის გენერალური დირექტორი ბოლო დრომდე იყო ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ხინიკაძე. იგი, სამწუხაროდ, სამიოდ თვის წინ გარდაიცვალა.



ПКМ-ის საბრძოლო გამოყენებამ ავღანეთსა და ჩეჩნეთში აჩვენა, რომ ინტენსიური სროლის დროს ტყვიამფრქვევის ლულა განიცდის იძულებით და საკუთარ რხევებს, ამასთან ლულის შიდა ზედაპირის არათანაბარი გაცხელება იმავდროულად ამცირებს მიზანში სროლის სიზუსტეს.

დაახლოებით მსგავს პრობლემებს წააწყდნენ ქართველი მებრძოლებიც ცხინვალსა და აფხაზეთში.

ამას ემატება კიდევ ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოებაც — ინტენსიური სროლის დროს ტყვიამფრქვევის ლულის ზემოთ, განსაკუთრებით კი წინა სამიზნის თავზე გაცხელებული ჰაერი ქმნის ე.წ. მირაჟის ეფექტს, როდესაც „მიზანი დაცურავს“. ეს ეფექტი უკვე 100-მდე ტყვიის გასროლისთანავე წარმოიქმნება და მით მეტხანს რჩება, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა და არ ქრის გვერდითი ქარი.

ამასთან, მიყოლებით 250 ტყვიის გასროლისთანავე აუცილებელია ПКМ-ის ლულის შეცვლა, ხოლო სათადარიგო ლულის ტარება, მით უმეტეს მობილური, მცირერიცხოვანი ჯგუფებისთვის, ყოველთვის მოსახერხებელი არ არის.

Печенег-ის შემთხვევაში, კონსტრუქტორებმა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლი აღმოფხვრეს, მათ შექმნეს ლულის გარე ზედაპირის ეკრანირება და იძულებითი გაცივების სისტემა, რომელიც ამასთანავე გამორიცხავს „მირაჟის“ ეფექტს. თუკი ПКМ-ს სათადარიგო ლულა სჭირდებოდა, Печенег-ის ლულის რესურსი ასჯერ არის გაზრდილი და 25 ათასი გასროლის შემდეგ იცვლება. ამასთან, ახალი ტყვიამფრქვევის მიზანში სროლის სიზუსტე დაახლოებით 1,4-1,9-ჯერ გაიზარდა ПКМ-თან შედარებით.

Печенег-ის სროლის ტემპი წუთში 650 გასროლას აღწევს, ხოლო ტყვიის საწყისი სიჩქარე 825 მ/წმ-ს. სასროლად გამოიყენება ჩვეულებრივი 7,62X51 ტიპის შაშხანის ვაზნები, რომლებიც სტანდარტულ 100 ან 200-იან სავაზნე კოლოფებშია ჩაწყობილი. საერთოდ, Печенег-ს ПКМ-ისგან „ნასესხები“ აქვს დეტალების 80%, რამაც ძალზე გააადვილა შარშან მისი სერიული წარმოების დაწყება კოვროვის მექანიკურ ქარხანაში.

ჩვენი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართული არმიის, განსაკუთრებით კი მისი საბრძოლო ჯგუფების შესაიარაღებლად საასეულო ПКМ და, მით უმეტეს, Печенег-ი ცუდი გამოსავალი სულაც არ არის. მართალია, გაუმჯობესებამ დაამძიმა Печенег-ი (იგი უვაზნებოდ 8,7 კგ-ს იწონის, ხოლო უვაზნებო ПКМ-ის წონა 7,5 კგ-ს არ აღემატება), მაგრამ კარგად მომზადებულ, ფიზიკურად ძლიერ მებრძოლს მისი მარტო გამოყენებაც შეუძლია. ამის ბევრი მაგალითი იყო, როგორც აფხაზეთის ომის დროს, ისე დღეს, ჩეჩნეთში. მცირერიცხოვან, 12 კაციან მობილურ ჯგუფში თუკი ორ-ორი ПКМ ან Печенег-ი იქნება, ეს რაზმი ძლიერ საცეცხლე ძალას შეიძენს, რომელიც გამოდგება, როგორც თავდასხმისათვის (მაგალითად, მოწინააღმდეგის ავტოკოლონაზე), ისე უკან დახევისას და გადამღობი საცეცხლე ზღუდის შესაქმნელად. მათი ეფექტიანი გამოყენება მტრის საფრენი აპარატების, განსაკუთრებით კი, შვეულმფრენების წინააღმდეგაც შეიძლება, მათ შორის შეჯავშნული საბრძოლო Ми-24-ის ჩამოსაგდებად.

დღეს, სახელმწიფოსგან საბოლოოდ მივიწყებული არმია, რა თქმა უნდა, Печенег-ზე ვერც იოცნებებს. ერთადერთ გამოსავლად იმ 1.000-მდე ჩეხური ტყვიამფრქვევის „ჭკუაზე“ მოყვანა რჩება (გარდა ამისა, ქართული სამხედრო ძალების შეიარაღებაშია რამდენიმე ასეული ПК და ПКМ-ები, რომლებიც თავის დროზე საბჭოთა და რუსეთის არმიიდან იქნა შეძენილი ან დატოვებული).

ჩეხური УК-59L ბევრად ჩამოუვარდება ПКМ-ს, ძირითადად კი საიმედოობით. მის მიმართ წაყენებული მთავარი პრეტენზია გახლდათ ის, რომ ინტენსიური სროლისას ტყვიამფრქვევის სავაზნე კოლოფში ვაზნები იჭედებოდა. როგორც აღმოჩნდა, ანალოგიური პრობლემები თავის დროზე თავად ჩეხებსაც ჰქონიათ. მათი რეკომენდაციით და ქართველი სპეციალისტების საკუთარი გამოცდილებით დადგინდა, რომ თუ УК-59L -ს დიდი სავაზნე ყუთის ნაცვლად 50 ვაზნიან ყუთს დაუყენებენ, მაშინ ვაზნების გაჭედვის პრობლემა თავისთავად გადაწყდება, რადგან ვაზნების მიწოდება მართი კუთხით მოხდება და არა დახრილად, რაც სროლის შეყოვნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

ასეა თუ ისე, ქართული არმიის ახალი სახეობის იარაღით აღჭურვა ეტყობა, დიდი ხნით დარჩება აუხდენელ ოცნებად და ისღა დაგვრჩენია, რაც გვაქვს, ის მაინც მოვამზადოთ ბრძოლისთვის.

გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

ეძებს დღე საფარეში

ამ ამბის შესახებ პოლიციის ვეტერანებისგან მსმენია. ორი ათეული წლის წინ საქართველოში კარგად ცნობილი პროფესორის ბინას ბანდიტები დასხმიან თავს. იმავე დღეს, მილიციის ოპერჯგუფს დავალება მიუღია: „ბოროტმოქმედები ყოველ მიზეზს გარეშე უნდა დავაკავოთ, რადგან მათი მსხვერპლი ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრის ახლო ნათესავია“...

„კვირის პალიტრის“ სტუმარია პოლიციის გადამდგარი მაიორი დავით სირაძე, რომელიც ზემოთ ხსენებულ ოპერჯგუფს ხელმძღვანელობდა და დღეს, ჩვენი თხოვნით, იმ შემთხვევის თაობაზე გვესაუბრება:

— საღამოს 8 საათი იყო. სამსახურიდან უკვე შინ ვაპირებდი წასვლას და ამ დროს, მოულოდნელად, სამმართველოს უფროსთან გამომიძახეს. მის კაბინეტში დაახლოებით 70 წლის დარბაისელი მამაკაცი დამხვდა. სავარძელში მოკალათებულიყო და ჩიხუს აბოლებდა. უფროსმა ერთმანეთი გაგვაცნო:

— პროფესორი დიმიტრი გორგილაძე. ეს კი ჩვენი თანამშრომელი დავით სირაძეა.

სტუმარი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა, ძალიან სასიამოვნოაო, მითხრა და ისევ სავარძელს დაუბრუნდა. მაღალი, ხმელი კაცი გახლდათ, ხშირი ჭაღარა თმითა და ულვაშით. ივლისის აუტანელი სიცხის მიუხედავად, პიჯაკსა და ჟილეტში გამოწყობილიყო და ჰალსტუხიც მაგრად შემოეჭირა კისერზე. სამმართველოს უფროსი ისე ეპირფერებოდა, იმთავითვე მივხვდი, რომ ეს გორგილაძე დიდი კაცი ან კიდევ, ვიღაც სხვა დიდი კაცის ახლობელი უნდა ყოფილიყო. უფროსმა მაშინვე დაამტკიცა ჩემი ვარაუდის სიმართლე:

— ბატონი დიმიტრი ჩვენი მინისტრის მოადგილის მამიდაშვილია... ამ დილას ვიღაც ნაძირალები დასხმიან თავს და ფული მოუთხოვიათ...

— ნება მიბოძეთ, ბატონ დავითს თავად ვუამბო ყოველივე — დინჯად წარმოთქვა პროფესორმა და ჩემი ხელმძღვანელის თანხმობას არც კი დალოდებია, ისე განაგრძო. — ყოველ დილით მემაწვნეს ჩემთან მაწონი მოაქვს. იმ დილითაც მოვიდა და ზარი დარეკა. ჭუჭრუტანაში გავიხედე და ნაცნობი სახე რომ დავინახე, კარი, რა თქმა უნდა, მაშინვე გავაღე. უცებ, სადარბაზოს სიღრმიდან მომავალ ორ უცნობ მამაკაცს მოვკარი თვალი. ისინი მემაწვნეს ეცნენ, ხელის კვრით ჩემს ბინაში შემოაგდეს, თავადაც შემოჰყვნენ და პისტოლეტები მოგვიშვირეს. „ხმა არ ამოიღოთ, თორემ ადგილზევე დაგხვრეტთ!“ — დაგვემუქრა ერთ-ერთი. შემდეგ მან მემაწვნეს ქეჩოში მოჰკიდა ხელი და ტუალეტში შეათრია: „ნახევარი საათი აქ იჯდები. თუ ისე მოიქცევი, როგორც გეტყვი, საღ-სალამათს გაგიშვებთ სახლში, თუ არა და...“ და თავდამსხმელმა საცოდავ გამყიდველს კბილებში იარაღის ტარი ჩასცხო. დასისხლიანებული მემაწვნე ეევედრებოდა, არაფერი დამიშავოთ და რასაც მიბრძანებთ, შევასრულებო. ტუალეტში დაამწყვდიეს და ახლა მე მომდგნენ.

საძინებელ ოთახში უზარმაზარი კარადა მიდგას. ამ კარადასთან მიმიყვანეს და მის ფეხზე ხელბორკილით მიმაბეს. მერე სათვალე მომხსნეს (არადა, უმაგისოდ თხუნელასავით ვარ, ვერაფერს ვხედავ) და მეუბნებიან, ბატონო დიმიტრი, სიტყვას გაძლევთ, თითითაც არ შეგეხებით, ოღონდ ახლავე გვითხარით, სად გაქვთ ფული, ძვირფასეულობა, ჩეკები, წავიღებთ და თქვენც კარგად იქნებით და ჩვენცო.

მარტოხელა კაცი ვარ, წელს 71 შემისრულდა. არაერთი წელი უცხოეთში ვიმუშავე და გარკვეული ქონება მართლაც დამიგროვდა. ოქროს ნივთები არასოდეს შემიძენია, ფული კი, თანაც გვარიანი თანხა, მართლაც მაქვს, მაგრამ ბინაში არა, შემნახველ სალაროში. თავდამსხმელებს ვეუბნები, შვილებო, რაც სახლში ნახოთ, ყველაფერი თქვენი იყოს, ფული კი ბანკში მაქვს... და თან ჩემთვის ვფიქრობ, ნეტავ თანხა თან მქონდეს, ულაპარაკოდ მივაშავებდი-მეთქი. ამ დროს მხარში რაღაც მძიმე საგანი მომხვდა. ისეთი აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, კინაღამ გული წამივიდა. ბებერო ძაღლო, რაღად გინდა ფული, მალე მიქელგაბრიელი გესტუმრება და ყველაფერი ოხრად დაგრჩებაო, მისისინებდნენ და წამდაუწუმ მიჯიკავებდნენ. ვერაფრით დავარწმუნე, რომ მართლა არ მქონდა თანხა. ბოლოს გამომიცხადეს, ახლა კი ჩაგაძაღლებთ, შენი ასე და ისეო...

„ერთად წავიდეთ სალაროში, — ვეუბნები. — გამოვიტან ფულს და იქვე მოგცემთ. მანამდე კი მეტ-ნაკლებად ძვირფასი ნივთები გამაჩნია და გეტყვით, სადაც დევს. კარადაში სამი იაპონური მაჯის საათია, ამერიკული ფოტოაპარატი, მაგნიტოფონი... მეორე კარადაში „დუბლიონკა“ და ტყავის პიჯაკია, ანტიკვარული წიგნებიც მაქვს...

ვერაფერს ვხედავ, მაგრამ მესმის, როგორ იქექებიან კარადებში. მერე ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს და ისევ მომადგნენ: „ჩვენ ახლა წავალთ, მაგრამ ამ დღეებში ტელეფონით დაგიკავშირდებით. ფული, ასი ათასი მანეთი, ამ დროს უკვე თან უნდა გქონდეს და მერე გეტყვით, როგორ უნდა გადმოგვცე“. ასი ათასი კი არა, ამის ნახევარიც არ მქონდა, მაგრამ უმალ დავეთანხმე, კი, ბატონო, ასე იყოს-მეთქი. ხელბორკილი მომხსნეს.

„ბინიდან რომ გავალთ, ორი საათი ნურც გარეთ გახვალ და ნურც ტელეფონით დარეკავ სადმე. ის მემაწვნეც თან გყავდეს და დაარიგე, როგორ მოიქცეს. იცოდე, მილიციას თუ შეატყობინებ, მაშინვე გავიგებთ — იქ ჩვენი ხალხი გვყავს და დარწმუნებული ბრძანდებოდე, წამებით ამოგხდით სულს!“

წავიდნენ და კარიც გაიჯახუნეს. პირველ რიგში სათვალე ვიპოვე და მემაწვნე გავათავისუფლე. შიშისგან ერთიანად კანკალებდა. დამამშვიდებელი წამალი დავალევინე და ვთხოვე, არავის არაფერი უთხრა, ეს ბიჭები ჩემი მეგობრის შვილები არიან, მათი მამის ვალი მქონდა, დიდხანს ვერ ვუბრუნებდი და ამიტომ მომეჭრნენ ასე თავხედურად, ვალის გასტუმრებას მთხოვენ-მეთქი. არ ვიცი, დამიჯერა თუ არა გამყიდველმა, თავს კი მიქნევდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ბინიდან გავაცილე და შევახსენე, ხომ იცი, შენი მუდმივი კლიენტი ვარ და აბა, შენ იცი, იმის შესახებ, რაც აქ იხილე, სიტყვა არავისთან დაგცდეს-მეთქი. კარგიო, შემპირდა და წავიდა. ბინა დავათვალიერე, სულ ანგრეული იყო. ჩემ მიერ დასახლებული ნივთები და კიდევ რამდენიმე წვრილმანი ჩემივე დიდი ჩანთებით წაეღოთ. მთელი დღე ვიფიქრე, რა მექნა — განმეცხადებინა თუ არა. ბოლოს, მამიდაშვილს, თქვენს ხელმძღვანელს დავურეკე და თავდასხმის შესახებ ვაცნობე. სულ ეს არის... ჰო, კიდევ ერთი: როგორც უკვე მოგახსენეთ, ბანდიტებმა სათვალე მომხსნეს და მათი კარგად დათვალიერების საშუალება არ მომეცა, მაგრამ მოვასწარი შემენიშნა, რომ 35-40 წლისანი იქნებოდნენ, შავგვრემანები, ერთ-ერთს მარჯვენა ხელის შუათითზე სვირინგი ჰქონდა, ჯვარი ეხატა. ვფიქრობ, მემაწვნე უკეთესად აღგიწერთ მათ.

შსს-ში მაშინვე შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც პროფესორ გორგილაძის „სტუმართა“ ვინაობის დადგენა და დაკავება დაევალა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ მოქმედებდნენ პროფესიონალები — ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გორგილაძის თქმით, ისინი საკმაოდ მშვიდად და თავდაჯერებულად იქცეოდნენ და თან, მიუხედავად იმისა, რომ უხელთათმნოდ მუშაობდნენ, შემთხვევის ადგილზე მათი თითის ანაბეჭდები არ აღმოჩნდა. შედეგი არ მოიტანა მემაწვნის დაკითხვამაც. თავდაპირველად მან გაიოცა, რა თავდასხმაზე მეკითხებით, ამისა არაფერი ვიციო, მაგრამ შემდეგ მას პროფესორმა სთხოვა, მილიციას ყველაფერი უამბეო და იმანაც გონება დაძაბა, თუმცა ბევრი ვერაფერი გაიხსენა — საკმაოდ ბუნდოვნად აღწერა მომხდურნი. ეს ყველაფერი იმავე საღამოს ხდება. დილით ადრე კი მე და ჩემს ორ ხელქვეითს რევაზსა და ნიკოს, გორგილაძის ბინაში ჩასაფრება დაგვავალეს.

„ბატონმა დიმიტრიმ, ფული სალაროდან უკვე გამოიტანა. იქნებით იქ, სანამ დამნაშავეებს ხელში არ ჩავიგდებთ, — გაგვიცხადა სამმართველოს უფროსმა. — ადრე თუ გვიან ისინი პროფესორს დაურეკავენ და თანხას მოსთხოვენ. თუ ფულის წასაღებად ბინაში მიაკითხავენ, ბანდიტებს თქვენ შეიპყრობთ, თუ შეხვედრას სხვაგან დანიშნავენ, იქ უკვე მილიციის სხვა ჯგუფი იმუშავებს. გორგილაძის ბინის ტელეფონს ამ დღეებში ჩვენი ბიჭები მოუსმენენ. თქვენ ისარგებლებთ მეორე ტელეფონით, რომელსაც ამჟამად ამონტაჟებენ. ნებისმიერ ახალ ინფორმაციას დაუყოვნებლივ მომაწვდით. ბინაში პროდუქტი უკვე მიიტანეს, რამდენიმე დღე გეყოფათ. მემაწვნე კვლავაც ყოველ დილით მოვა. ამ დროს განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ — პროფესორი კარს რომ გააღებს, ყაჩაღები მოულოდნელად არ შემოგეჭრნენ. სადარბაზოში ოპერმუშაკებს ვერ დავაყენებ — მეზობლები ჭორაობას დაიწყებენ და ხმამ შესაძლოა დამნაშავეებამდეც მიაღწიოს, მაგრამ კორპუსის მახლობლად მუდამ იმორიგეებს ჩვენი მანქანები. მათთან რაციით გექნებათ კავშირი. პროფესორს მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონია, დაჯექით და იკითხეთ წიგნები, მაგრამ ყურადღება არ მოადუნოთ, თან არ დაგავიწყდეთ, ვისი ნათესავიცაა გორგილაძე...“

ასეთი ინსტრუქტაჟის შემდეგ დაუყოვნებლივ გაგვაგზავნეს გორგილაძესთან. იმის საშუალებაც კი არ მოგვეცა, გამოსაცვლელი ტანსაცმელი და პირადი ჰიგიენის ნივთები წაგვეღო — ბანდიტები, შესაძლოა, ყოველ წამს გამოჩნდნენო. სადარბაზოში სათითაოდ, ხუთწუთიანი ინტერვალებით შევედით და დაახლოებით 12 საათზე უკვე პროფესორის ბინაში გახლდით.

პრესტიჟული კორპუსის მე-5 სართულზე მდებარე ხუთოთახიანი, საუცხოოდ გარემონტებული ბინა თითქმის ერთი კვირით ჩვენი სასტუმრო, ხოლო ბატონი უაღრესად თავაზიანი მასპინძელი გახდა.

ბინაში მისვლისთანავე შევიმუშავეთ ბანდიტთა დაკავების გეგმა. მე და ნიკო ჰოლში, ტანსაცმლის კარადებში უნდა დავმალულიყავით და ყაჩაღებს მოულოდნელად დავსხმოდით თავს. პისტოლეტმომარჯვებული რეზო ამ დროს ჰოლის გვერდით მდებარე ოთახში იქნებოდა და თუ ბოროტმოქმედები იარაღის გამოყენებას შეეცდებოდნენ, მათ ტყვიას დაუშენდა, გარდა ამისა, მასვე უნდა მოეცა იერიშზე გადასვლის ნიშანიც — გასროლა. ეს იყო მარტივი გეგმა, რომელიც მდგომარეობის შესაბამისად, შესაძლოა, ათასგვარად შეცვლილიყო, მაგრამ საკუთარ თავში იმდენად ვიყავით დარწმუნებულები, რომ შიში არაფრისა გვქონდა. ორნი მოვიდოდნენ თუ ხუთნი აუცილებლად გავუმკლავდებოდით. გორგილაძეც დავარიგეთ, როგორ გამოეღო კარი, რა დროს წაქცეულიყო, და ა.შ. ამის მერე სამმართველოს ხელმძღვანელს დავუკავშირდი და მდგომარეობის შესახებ მოვახსენე.

დაიწყო ლოდინის მძიმე წუთები. პროფესორი გვარწმუნებდა, გული მიგრძნობს, დღესვე გამოჩნდებიანო, მაგრამ დღე მიიწურა, ბანდიტები კი არსად ჩანდნენ.

მეორე დილას მემაწვნე მოვიდა. ინსტრუქციის თანახმად, მას არ უნდა სცოდნოდა ჩვენი იქ ყოფნის ამბავი. ბინაში არ შემოსულა, გორგილაძეს ქილები გადასცა, ფული გამოართვა და სასწრაფოდ გაუჩინარდა.

ასე ჩაიარა მეორე დღემაც. მესამე დღეს, დილით კი, ტელეფონი აწკრიალდა. მე და პროფესორმა ერთდროულად ავიღეთ პარალელური ყურმილები.

— ბატონო დიმიტრი, ჩვენ ვართ. იმედია, ფული თან გაქვთ.

— რა თქმა უნდა, მეორე დღესვე გამოვიტანე სალაროდან. — პროფესორს ვთხოვეთ, შეძლებისდაგვარად დიდხანს ესაუბრა, რათა ჩვენს თანამშრომლებს სპეციალური აპარატურის საშუალებით დამნაშავეთა ადგილსამყოფელი დაეფიქსირებინათ და გორგილაძეც დინჯად ელაპარაკებოდა ყაჩაღებს. — საჭირო თანხა ბინაში მაქვს. ხუთი და ათმანეთიანებია სულ. ათასიანებად შევკარი, დათვლა რომ იოლი იყოს. ველი თქვენს მითითებებს.

— შე, მიღრძოებულო ბებერო! — უცებ გაისმა ყურმილში. — ვის ატყუებ! გგონია, არ ვიცით, ძაღლებს რომ შეეკარი? ჩათვალე, რომ უკვე „ტრუპი“ ხარ!

ეს ჩვეულებრივი ბლეფი იყო. დამნაშავენი ხშირად იქცევიან ამგვარად. მსხვერპლს აშინებენ, ვიცით, მილიციას რომ მიმართეო. სინამდვილეში არაფერიც არ იციან, მაგრამ ამ დროს მსხვერპლი ზოგჯერ იბნევა ხოლმე და თუ ბოროტმოქმედი გამოცდილია, იგი უმალ მიხვდება, ცრუობს თუ არა ადამიანი. ამის შესახებ ჩვენს მასპინძელს წინასწარვე ვაცნობეთ და მანაც შესაბამისი რეაქცია გამოხატა:

— რას კადრულობთ, ბატონო! ის არ გეყოთ, ამ ხნის კაცს წიხლები რომ მაგემეთ და ახლა უმიზეზოდ მოკვლაც გინდათ? კიდევ ერთხელ გეუბნებით: ფული აქ მაქვს და თან სიცოცხლეც ძლიერ მიყვარს. ასი ათასის გულისთვის თავს ნამდვილად არ შეგაკლავთ.

— კარგი, აბა, ერთ საათში დაგირეკავთ. სახლიდან არსად გახვიდე! — და ყურმილი დაკიდეს.

სამმართველოს ხელმძღვანელს დავურეკე. ყველაფერი მოვისმინეთ და მაგნიტოფონის ფირზეც ჩავიწერეთო, მითხრა. მაგრამ ბანდიტები თურმე ქუჩის ავტომატიდან რეკავდნენ და აპარატურამ მისამართი ვერ დააფიქსირა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... აღარავინ რეკავდა. ის დღე და ღამე ამაო ლოდინში გავატარეთ.

მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ სანამ ჩვენ ბინაში ვიყავით, შსს-ს წამითაც არ შეუწყვეტია ბოროტმოქმედთა ძებნა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა.

ლოდინის მეოთხე დღეა. წიგნები და ჭადრაკი უკვე ყელში ამოგვივიდა. მართალია, მასპინძელი ჩინებული მოსაუბრეა, საზღვარგარეთის შესახებ საინტერესო ამბებს გვიამბობს, მაგრამ ესეც გვბეზრდება. თან ცხელა! ვენტილატორთან ვსხედვართ და მაინც ოფლად ვიღვრებით. პროფესორს სიცხე არ აწუხებს, თავის ჩიბუხს აფუიელებს და ენას არ აჩერებს, ცდილობს გაგვახალისოს, თუმცა ნერვები უკიდურესად დაძაბული გვაქვს — როგორი საქმეა, ჯან-ღონით სავსე სამი ვაჟკაცი მეოთხე დღეა ბინაში ვართ გამომწყვდეული და კაცმა არ იცის, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიყოთ ასე.

ტელეფონი რეკავს! არიქა, გვეშველა! მაგრამ გორგილაძის ვიღაც კოლეგა აღმოჩნდა. არ გაგვიმართლა. დღე იწურება და მოულოდნელად კარზე აკაკუნებენ. პოზიციები დავიკავეთ და გავისუსეთ. მოხუცი ჭუჭრუტანიდან იყურება, ხელით გვანიშნებს, არაო და კარს აღებს. მეზობელი ქალია, უთო გამიფუჭდა და ხომ ვერ შემიკეთებთო. პროფესორი მხრებს იჩეჩს, ტექნიკის არაფერი გამეგებაო. მეზობელი მიდის. დაღამდა და თითქოს ოდნავ აგრილდა...

ისევ ტელეფონის ხმაა. ვიღებთ ყურმილს. იმედი აღარ მაქვს, რომ დამნაშავენი იქნებიან. უცებ:

— ბებერო, ვინ კაცი დადის შენს ოთახში?

— რა გამიწყალეთ საქმე! — აფეთქდა გორგილაძე. — არავინაც არ დადის.

— ამ საღამოს ბინაში მარტო იყავი? — ისმის შემპარავი ხმა.

ჩემსა და პროფესორს შორის სუფთა ფურცელი დევს. კარნახის თაობაზე წინასწარვე შევთანხმდით და მსხვილი ასოებით სწრაფად ვუწერ „მეზობელი კაცი“. პროფესორი თავს მიქნევს, მივხვდიო:

— არა, ბატონო, ორჯერ იყო მეზობელი შემოსული. გაფუჭებული უთო შემომიტანა, გავუკეთე და მერე უკან წაიღო.

— კარგი, კარგი. დაგირეკავთ...

ცოტა ხნის წინ რეზომ ფანჯარასთან ახლოს გაიარა. ვუსაყვედურე, ფრთხილად იყავი, ქუჩიდან ჩანხარ-მეთქი, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ მართლაც დაინახავდნენ. როგორც ჩანს, ბინას უთვალთვალებენ. ვურეკავ უფროსს: „ფანჯარასთან თვალი მომკრეს და დარეკეს, მაგრამ ბატონმა დიმიტრიმ აუხსნა, მეზობელი იყოო. ვფიქრობ, დაიჯერეს.“ მესმის გინება. უფროსი გაცოფებულია, საშინელი ხმით კივის...

დილით ჩვენი კორპუსის მახლობლად მდებარე გორაკებისკენ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ოპერმუშაკები გაუგზავნიათ. იფიქრეს, ალბათ, გამომძალველები იქ ადიან და პროფესორის ფანჯრებს ბინოკლით აკვირდებიანო, მაგრამ საეჭვო იქ ვერავინ ნახეს.

ამასობაში ჩვენი საფარში ყოფნის მეექვსე დღეც მიიწურა. სიმწრისგან დანა პირს არ გვიხსნის. ეგებ, საერთოდ აღარ მოდიან ბანდიტები? პროფესორს და ბიჭებს ჩაეძინათ. ღამის სამ საათზე ტელეფონი რეკავს.

— ბატონო დიმიტრი, როგორ ბრძანდებით? კვლავ ჩვენ გაწუხებთ... ხვალ, საღამოს 7 საათზე გესტუმრებით და იცოდეთ, ჭკუით იყავით, თორემ საიქიოში გაგისტუმრებთ!

მაშ ასე, ხვალ 7 საათზე! დიდი სიამოვნებით გაგიწევთ სათანადო მასპინძლობას, ძვირფასო სტუმრებო! ბიჭებს აღარ ვაღვიძებ და ხელმძღვანელობას ვუკავშირდები. ჩემდა გასაოცრად, სამმართველოს უფროსი ისევ სამუშაო კაბინეტშია.

— მესმოდა, რაც თქვეს. აბა, თქვენ იცით... სირაძე, ხომ არ გინდათ ძალა დაგახმაროთ? ახლავე გამოგიგზავნი კიდევ სამ ბიჭს.

უარი ვუთხარი, ისედაც იოლად გავუსწორდებით-მეთქი, შემდეგ პროფესორის ბიბლიოთეკას მივაშურე და რაღაც წიგნის კითხვას შევუდექი. მოულოდნელად ზარის ხმა ისმის. კართან ვიღაც დგას! ნუთუ, მოგვატყუეს და ამაღამე მობრძანდნენ? საათს დავხედე, ოთხი სრულდება. ბიჭებს ვაღვიძებ. გორგილაძე უკვე ფეხზეა და კარისკენ მიიჩქარის.

— გვაცალეთ, ბატონო დიმიტრი. ჯერ უნდა დავიმალოთ! — ვჩურჩულებ და კედლის კარადაში ვძვრები. ნიკოც ჩემს პირდაპირ, ასეთივე კარადაში იმალება. რეზოც აქვეა. წინა დღეებში მან ჰოლსა და ოთახში ავეჯი რამდენჯერმე გადაადგილა, რა თქმა უნდა, ჩვენი პოზიციების გასამაგრებლად და ახლა გამოჩნდება, რამდენად სწორად განათავსა სავარძლები და მაგიდები.

კარადის კარი ოდნავაა ღია, მაგრამ მშვენივრად ვხედავ ბინაში შემოსასვლელ კარსაც და მთელ ჰოლსაც. ჭაღიც იმგვარად დავკიდეთ, რომ ორივე კარადას ჩრდილი ეცემა. მარცხენა ხელში სატაბელო მაკაროვი მიჭირავს. ისედაც ხომ ცხელა და ნერვიულობისაგან სულ მთლად სველი ვარ.

პროფესორი ჭუჭრუტანას მიადგა, მერე თვალებგაფართოებული ჩემკენ შემობრუნდა, ხელით მანიშნა, ისინი არიანო და კარის გაღებას შეუდგა.

ვხედავ, ზღურბლთან ორნი დგანან. ოდნავი შვება ვიგრძენი — ორივე გაღეულია და იოლად მოვერევით. ბოროტად იმზირებიან და ადგილიდან ფეხს არ იცვლიან, როგორც ჩანს, ეჭვობენ, ბინაში ვინმე არ დაგეხვდესო... მერე ერთ-ერთი მათგანი ფრთხილად შემოდის და იარაღშემართული იქაურობას ათვალიერებს. მეორეც დაიძრა. მასაც პისტოლეტი უკავია. თუ პროფესორი მოახერხებს, სადარბაზოში უნდა გახტეს და კარი მძლავრად გაიხუროს — ამ დღეებში სამზარეულოს კარებთან ის რამდენჯერმე ვავარჯიშე და წესით არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ მეორე დამნაშავე იმგვარად შემოდის, რომ ეს ვარიანტი გამოირიცხა. გორგილაძემ ახლა ორივე უნდა შემოუშვას შინ და ძირს დაეცეს.

ბანდიტები უკვე ჰოლში არიან. ერთი პროფესორს შეჰყურებს, მეორე ბინის სიღრმისკენ მიიწევს და საცაა გასცდება რეზოს მხედველობის არეს. ღმერთმა ნუ ქნას, ასე მოხდეს, თორემ ოპერაციის განხორციელება მეტად გაგვირთულდება. პროფესორი უკვე უნდა წაიქცეს, მაგრამ გაქვავებული დგას... დაიბნა!

— რას გაშტერებულხარ, ბებრუხანავ, დაკეტე კარი! — შეუღრინა დამნაშავემ.

— დიახ, რასაკვირველია, — ჩაილაპარაკა გორგილაძემ. კარი მოხურა, მაგრამ კვლავ არ წვება...

რეზოს „მაკაროვის“ მჭექარე ხმა ისმის. წამში გამოვხტი, ერთ-ერთ დამნაშავეს ვეძგერე და ძირს დავანარცხე. პისტოლეტი დაუვარდა. მუხლით უმალ ბეჭზე დავაწექი და იარაღი კეფაზე მივაბჯინე. რეზო და ნიკო ამასობაში მეორეს ეცნენ და ისიც ხელად მოაყუჩეს... ოპერაცია დასრულდა!

დაკავებულები შავ სამყაროში კარგად ცნობილი პირები აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი გახლდათ ვინმე „ბიჭიკო“, კანონიერი ქურდი, მეორე კი მისი ხელქვეითი, ოთხჯერ ნასამართლევი კაცი, გვარად ფოცხვერია. პროფესორის ბინის თაობაზე მათ გორგილაძის მეზობლებისგან ჰქონდათ ინფორმაცია.

გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ

ცხოვრებისეული კურიოზები

— გაცივებული ცარ-ქალჩი!..

მახინჯაურში, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა სომეხი ქალი, რომელიც ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე დედაჩემს სასაუბროდ და თავშესაქცევად. იმას ქართული არ ესმოდა, დედას — სომხური. საუბარი რუსულ ენაზე მიდიოდა, რომელიც ორივემ ერთნაირად იცოდა.

ერთხელაც მოვიდა ეს ქალი და ეუბნება დედაჩემს:

– Тетя Бабули, Что самною не знаю, галава балит, спина балит, ноги балят, что будет а?

— გოგო, ჰაიასტან! ნუ გეშინია, Ты наверна праститутка — დააკვალიანა დედაჩემმა.

— Да, да тет Бабули, наверно! — დამშვიდა იმანაც გული.

როგორც იქნა, წავიდა სტუმარი და ვეცით მე და ჩემი და დედაჩემს, — ეს რა ჩაიდინე, რა უთხარი იმ ადამიანს, პროსტიტუტკა ხარო. ერთხანს გვაცალა, მაგრამ ნამეტანი რომ გადავირეთ, ისიც გადაირია:

— რა ვთქვი ასეთი, თქვე დასაწყევტებო, რომ შემჭამეთ. გაცივებული ხარ-მეთქი, ვუთხარი ქალს. მოკვდები-მეთქი ხომ არ მითქვამს?

ნ. შენგელია, ქ. ვანი

— რად ეკვლეინები იმ მუტრუკსა?

ერთ-ერთი დაწესებულების თანამშრომლებმა კახეთში ექსკურსიის მოწყობა განიზრახეს. ერთ მშვენიერ დღეს ავტობუსი დაიქირავეს და კახეთისკენ „შეუბერეს“.

კახეთის გზატკეცილზე რომ ბაზრობაა გამართული, იმ ადგილას ქალებმა იძალეს და მძღოლს მანქანა გააჩერებინეს. ჯგუფში ერთი კნაჭა და სიფრიფანა ქალი — მანანაც იყო. იგი მამაკაცის ტრუსებიან დახლთან გაჩერდა და ქმრისთვის ტრუსის შერჩევა დაიწყო.

გამყიდველმა აღარ იცის, რომელი მოაწონოს და უქებს და უქებს თავის საქონელს. მანანა კი თავს აქნევს და ამბობს, — არა, ეს პატარა მოუვა... უიმე, ესეც პატარა ექნება. თვითონ ღიპიანმა და დევის აღნაგობის გამყიდველმა კაცმა ჩანთიდან უშველებელი ტრუსი დააძრო და მიიტოლა:

— აი, ქალბატონო, ჩემი ზომა ესაა, ამაზე დიდი აღარ არსებობს.

მანანამ ამაზეც რომ თქვა, არ მოერგებაო, კაცს თვალები გაუფართოვდა და აღშფოთებულმა შეჰყვირა:

— ერთი გამაგებინე, ქალბატონო, რად ეკვლეინები იმ მუტრუკსა?

მ. ბაბუნაშვილი, თბილისი

პარტიები



— როგორ სოკოებივით მომრავლდნენ ეს მუქთამჭამელი პარტიები — ჩაილაპარაკა ანანამ, როცა ტელევიზიით ისმენდა ერთ-ერთი პარტიის ლოყებაღაჟღაჟებული ლიდერის გამოსვლას.

— სოკო სასარგებლო რამ არის, სოკოებივით კი არა, ცუანა ჭიებივით მომრავლდნენ, — შეუსწორა შედარება ხანდაზმულ, მრავალჭირნანახ ანანიას ბეჯრად მასზე ახალგაზრდა ნოდარ ოქუაშვილმა.

შალვა ამინაშვილი

ქართველი მეუნჯეყაზენი ნართეენას ნოდმბობი

ერთხელ პართენა მწყერზე სანადიროდ წავიდა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოინადირა. შინ რომ ბრუნდებოდა, გზად კოლმეურნეობის ბაღჩაში შეუხვია და იქიდან რამდენიმე თავი კომბოსტო გამოაყოლა ხელს.

დილით ცოლის კივილმა გამოაფხიზლა. დაფეთებული წამოვარდა და ჭასთან გულწასული თავისი ცოლი დაინახა. იქვე მისი მოტანილი კომბოსტოები უცნაურად გორავდნენ. როცა მეუღლე გონს მოვიდა, საქმის ვითარება გაირკვა.

კომბოსტოს თავები გასარეცხად და დასაჭრელად პართენას ცოლს ჭაზე წაუღია, დაჭრის დროს კომბოსტოდან მწყერი გამოფრენილა და ქალს პირდაპირ სახეში შეფრენია. კომბოსტოს გულში დასაფრენად გამზადებული ბარტყები დაბობღავდნენ.

პართენამ იმ წუთში გააანალიზა შექმნილი ვითარება: თურმე მწყერს, სანამ კომბოსტო თავს მოიხვევდა, შიგ ბუდე გაუკეთებია და კვერცხებზეც დამჯდარა. სანამ იგი ბარტყებს გამოჩეკდა, კომბოსტომ თავი შეიხვია და მწყერი თავის ბარტყებიანად შიგ აღმოჩნდა.

ამ აღმოჩენის შემდეგ პართენა ყოველ წელს, ბაღჩაში, კომბოსტოს ახალნარგავებში სპეციალურად უყრიდა საკენკს მწყერებს, რათა ისინი თავშეუხვეველი კომბოსტოს ფოთლებში დაბუდებულიყვნენ.

როცა ისინი იქ ბუდეს გაიკეთებდნენ, პართენა თოფისა და ხაფანგის გარეშე მოჭრიდა კომბოსტოს...

მის ოჯახს მთელი ზამთარი არც მწნილი აკლდა და არც მწყერი.

(ახლა სწორედ რომ მისწრებაა პართენას აღმოჩენა ჩვენი მოსახლეობისათვის).

ლევან ჟუჟუნაშვილი

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

გურიის სოფლის ერთ-ერთი ოჯახის ქალიშვილს სტუმარი მიადგა.

— ნორა! — დაიძახა მორიდებით.

— მასე ვერ გააგონებ, ცა, — გამოეპასუხა ახლო მეზობელი.

— ნორა! — უმატა ხმას სტუმარმა.

— მასე ვერ გააგონებ, — გაუმეორა შენიშვნა მეზობელმა.

— ნორა! — მთელი ხმით დაიძახა სტუმარმა.

— მასე ვერ გააგონებ, ცა, მაგი ბათუმშია წასული, — იყო ზუსტი პასუხი.

მიშიკო ხარებავა, სამტრედია

— აქ ჩემი ცხოვრება აღარ შეიძლება! — ბობოქრობს სიდედრი, — ახლავე ფანჯარას გავაღებ და ამ ძაღლიანად ძირს გადავხტები!

— ძაღლს ხელი გაუშვი! — უყვირა სიძემ.

„გიტო“, ქარელი

მოხუცი ქალი უახლოვდება ქუჩაში მდგარ ბიჭებს.

— ბიჭებო, 8 ნომერი სად მიდის? (ტროლეიბუსი იგულისხმა).

— ჯანში მიდის, ბებოჯან, ჯანში!

ნინო ბურდული, თიანეთი

მიხოს ცოლი მოუკვდა... გავიდა დრო და რუსის ქალი შეირთო. უყურა მიხოს ბიჭმა დედინაცვალს და მამას მიახალა:

— არა, მამი, მე ამაი დედაი ვერ დავუძახებ!

— კარგი, შვილო, გულ ნუ გაიფუჭებ, მამა დაუძახე, მამა.

ირაკლი (კარლეონე)

ზაქროს გემრიელად სძინავს. ფანჯარაზე კაკუნმა გააღვიძა:

— რა იყო, ჯო? — გაეპასუხა ნახევრად მძინარე.

— შეშა გინდა?

— რა დროს შეშაა ამ შუაღამისას, კაცო? — თქვა და ისევ დაიძინა.

დილით შეშისთვის საბძელს მიაშურა, მაგრამ პირკატა ეცა... შეშა აღარსად იყო...

გიორგი ხუნდაძე



ერთი ქუთაისელი ეკითხება მეორეს:

70-იანი წლები

— ბიჭო, შალიკია ისაა ხომ, ყიგული რომ არ ყავს?

90-იანი წლები

— ბიჭო, შალიკია ისაა ხომ, მისი ცოლი თურქეთში რომ არ არის ნამყოფი?

2000 წელი

— ბიჭო, შალიკია ისაა ხომ, მობილური რომ არა აქვს?

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

მიხო მეზობელს ელაპარაკება:

— მიტუავ, ე ზაქროი ცოლი სუ ჩემ „ვოლგის პაკრიშკას“ გაავ. ქვეყანაზე რო ლურსმანი არ იყოი, ეგ მაინც ნახამს და... შაირჭობს.

დოდო ბოსტოღანაშვილი, თბილისი

ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე

საშუალაროდ, გავუთამამდი იმ მართლმადიდებელ მოძღვარს და კინაღამ დავიღუპე...



მასონობის საკითხი იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ საზოგადოების უმრავლესობას ეს მითი ჰგონია. ფაქტობრივად, შეუძლებელია თუნდაც ერთი ადამიანის ნახვა, რომელსაც ოდესმე უშუალო კავშირი ჰქონოდა მათთან. თუმცა, არცთუ იშვიათად უთქვამთ, რომ მათი უხილავი ზეწოლა უგრძნიათ. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე გვიამბო ახალგაზრდა რეჟისორმა დავით ნადირაძემაც, რომელმაც მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისში ამ თემაზე ფილმის გადასაღებად მასალების მოძიება დაიწყო და უამრავ, ხელოვნურად შექმნილ წინაღობას წააწყდა, რამაც, როგორც თვითონ ამბობს, საკმაოდ დიდი ხნით დააკარგვინა რეჟისორობის სურვილი.

— მინდოდა, ჩემი პირველი ფილმი სერიოზული ნამუშევარი ყოფილიყო. ამისთვის მაქსიმალურად ვემზადებოდი, — გვითხრა დავითმა, — მაგრამ, როგორც იტყვიან, მწვანე გზა იქამდე მქონდა, სანამ ტრაფარეტად ქცეულ მასალებს ვაგროვებდი. როცა მეტის გარკვევა მოვინდომე, ხელის შეშლაც დაიწყეს. სიმართლე გითხრათ, ვერც ვიფიქრებდი, თუ საქართველოში მასონები ამჟამადაც იყვნენ. მეგონა, ისინი ქვეყნის გარედან გვმართავდნენ, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. მასონი გამოდგა ის, ვინც ამ საკითხზე საუბრისას მხრების აჩეჩით და ღიმილით მეუბნებოდა, — შენ ეს მართალი გგონიაო? ჩემმა თანაკურსელმა იგორმა მოსკოვში ხელში ჩაიგდო უნიკალური მასალა სიონისტებზე, მასონებზე, ეკუმენისტურ მოძრაობაზე და ა.შ. მოამზადა ვიდეოფილმი, მაგრამ ვერსად გაუშვა. ყველგან წინააღმდეგობა შეხვდა: ზოგან დაუკარგეს, ზოგან ვითომ შემთხვევით წაუშალეს და ა.შ. მაგრამ ერთი ასლი შენახული ჰქონდა, რომელიც მე გადმომცა და თან გამაფრთხილა, — ყველაფერს კარგად დააკვირდიო. ფილმმა გამაოგნა. მასთან შთაბეჭდილებების გასაზიარებლად მიმავალს გზად ნაცნობი შემხვდა და მითხრა, — იგორი ავარიაში მოხვდა და საავადმყოფოშიაო. ვინახულე. ტვინის მსუბუქი შერყევა ჰქონდა. ამ თემაზე არ გვისაუბრია, რადგან ლაპარაკი ეკრძალებოდა. ხუთი დღის შემდეგ ინსტიტუტში ამბავი მოვიდა — იგორი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალაო...

ეს ამბავი გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ თემაზე ფილმი გადამეღო. მივხვდი, ვიდეოფირს მოსკოვში ვერავის ვაჩვენებდი. ჩამოვედი თბილისში. მოვიძიე დამატებითი მასალა. ამ ძებნაძიებაში წავაწყდი ერთ, თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ უაღრესად საინტერესო დეტალს. ნახსენებ ვიდეოფირზე დაფიქსირებულია შემდეგი მომენტი: სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებლები — ბაპტისტები, კათოლიკეები, გრიგორიანელები და სხვები — ლოცვის შემდეგ მიდიან რომის პაპთან და თაყვანს სცემენ. მათ შორისაა ერთი პიროვნება, რომელიც ხელზეც ემთხვევა კათოლიკეთა მეთაურს. აი, ამ პიროვნებას სრულიად შემთხვევით შევხვდი თბილისში, მეგობრის ჯვრისწერაზე. სამწუხაროდ, იგი ქართველია, მართლმადიდებელი მოძღვარი.

ვიდეოფირი რამდენჯერმე გადავამოწმე და დავრწმუნდი, არ ვცდებოდი. ამიტომ მასთან დაახლოება ვცადე, მის მრევლში გავერიე. დროდადრო მასონებზე ვეკითხებოდი, მაგრამ ამაოდ. ურთიერთობაში საოცრად პატიოსანი მეჩვენა. ამან შემაცდინა, შემიძლია ვთქვა, გამათავხედა, რამაც კინაღამ დამღუპა. ერთხელ, მამაოს ვიდეოფირის შესახებ ვესაუბრე. მანახეო, — მთხოვა. ვანახე. არაფერი უთქვამს. ოღონდ, ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა — რისთვის გინდაო, რას აპირებო და ა.შ. ყველაფერი გულახდილად ვუთხარი. აი, მას შემდეგ, როცა სასულიერო პირი ალბათ მიხვდა, რომ ბევრი რამ ვიცოდი და შემეძლო მასონთა ნიშნების (მხედველობაში მაქვს მისალმება) ცნობა, დაიწყო ჩემი დევნა. რამდენჯერმე პოლიციამ უმიზეზოდ განყოფილებაში მიმიყვანა, რაც შეკვეთილი მეჩვენა. თვითონ პოლიციელებმაც არ იცოდნენ ჩემი დაკავების მიზეზი. ერთხელ, კინოსტუდიიდან გვიან ღამით გამოსულმა ტაქსი გავაჩერე, მისამართი ვუთხარი. მან კი ქალაქგარეთ გამიყვანა და დამტოვა. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი ეს მასონებთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ეს უცნაურობები სწორედ იმ დღიდან დაიწყო. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ სადარბაზოსთან დამხვდა ვიღაც მოსული, სანდომიანი მამაკაცი, რომელიც რობერტად გამეცნო. ჩემზე იცოდა თითქმის ყველაფერი, ისიც კი, რაც მხოლოდ რამდენიმე მეგობრისთვის იყო ცნობილი. ამის შემდეგ რობერტმა შესანიშნავი კრიმინალური სცენარი შემომთავაზა და ერთობ დელიკატურად მთხოვა, სხვა ფილმის გადაღებაზე ნუღარ იფიქრებო. მომეჩვენა, რომ ეს კაცი ასეთ საქმეებში დახელოვნებული იყო, რადგან მასთან საუბრის შემდეგ ნამდვილად გადავიფიქრე რეჟისორობა.

— ბატონო დავით, რა მიზანი ამოძრავებთ მასონებს?

— რამდენადაც ვიცი, ისინი მშვიდობის მოყვარული ხალხია. ამქვეყნიურ სამოთხეზე ოცნებობენ. ამბობენ — მსოფლიო ისტორიის დასტურია, რომ ომები ძირითადად სამი ნიშნით ხდებაო. პირველია — დაპირისპირება რელიგიებს შორის, მეორე, დაპირისპირება ერებს შორის და მესამე — ბრძოლა საზღვრის გაფართოებისთვის. მათი აზრით, ომი რომ არ მოხდეს, უნდა ვილოცოთ ერთი ღმერთისთვის, ანუ უნდა შეერწყას სხვადასხვა სარწმუნოება. ეს არის ეკუმენიზმი. მეორე — არ უნდა იყოს ეროვნება ანუ ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი ეროვნების ადამიანი თანაბარი უფლებით უნდა სარგებლობდეს და მესამე — უნდა მოიშალოს საზღვრები, მიმოსვლა თავისუფალი გახდეს. ეს ნიშნავს მსოფლიო მოქალაქეობას. სამწუხაროდ, თუ დააკვირდებით, ყოველივე აღნიშნული ნელ-ნელა სრულდება. აქვე ვიტყვი, რომ ხელთ მაქვს უნიკალური დოკუმენტი, რომელსაც თქვენს გაზეთს სიამოვნებით გადმოვცემ. ეს არის ქართველი სოციალ-დემოკრატების — ევგენი გეგეჭკორისა და ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის აღსარება მასონთა ლოჟაში გაწევრების შესახებ.

გთავაზობთ ევგენი გეგეჭკორის ჩვენების მოკლე შინაარსს, რომელიც ბრიუსელში, 1928 წლის 7 აგვისტოსაა მიცემული. იგი 1990 წელს წიგნადაც გამოიცა.

— სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა კარლო ჩხეიძემ დამარწმუნა, რომ ჩვენი პარტიის ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელი და შედეგიანი იქნებოდა მასონთა ლოჟაში გაერთიანება, რასაც გვთავაზობდნენ რუსეთის დუმის წევრები — ვოლკოვი, სტეპანოვი და ნეკრასოვი. დავთანხმდი. ამის შემდეგ შინ მეწვია ნეკრასოვი და ზღვისპირა უბანში რომელიღაც სახლში წამიყვანა. ახლაც არ ვიცი, ვისი სახლი იყო, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ნაბოკოვისა ნამდვილად არ იყო. ცალკე ოთახში დამტოვეს. ცოტა ხანში ნეკრასოვმა ანკეტა შემომიტანა. კითხვები ასეთი იყო: როგორ გესმით ოჯახის ინსტიტუტი? რა არის თქვენთვის მეგობრობა? როგორ უყურებთ ომს? რა არის რელიგია ადამიანისთვის? რა იდეებისთვის გასწირავდით თავს?

კითხვებს წერილობით ვუპასუხე, რის შემდეგაც ნეკრასოვმა თვალებახვეული შემიყვანა დარბაზში, სადაც ამ კითხვებს ხმამაღლა ვუპასუხე. შემდეგ ფიცი დამადებინეს, რომ მასონთა საიდუმლოს გამჟღავნების შემთხვევაში სიკვდილით დავისჯებოდი. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს გულზე დაშნას მაბჯენდნენ. მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ დიდ შეცდომას ჩავდიოდი, მაგრამ შემდეგ ეს აზრი თანდათან გამიფანტა მასონთა საძმოთა კარგმა ურთიერთდამოკიდებულებამ.

ფიცის წაკითხვის შემდეგ თვალებიდან სახვევი მომხსნეს და უამრავი ისეთი ადამიანი დავინახე, ვის აქ ყოფნას ვერაფრით წარმოვიდგენდი. სათითაოდ ყველამ გადამკოცნა და გაწევრება მომილოცა. ყოველკვირა იმართებოდა ლოჟის შეკრებები, სადაც იხილებოდა აქტუალური საკითხები. თუ, დავუშვათ, ლოჟის საძმოს წევრები რაიმე პრობლემაზე ვერ შეთანხმდებოდნენ, მაშინ ლოჟის ხელმძღვანელს, ჩხეიძეს, საკითხი გადაჰქონდა ან აუქმებდა, რადგან მასონთა მოძრაობის ძირითადი პრინციპებია: ურთიერთდახმარება და სათნოება, რაც სოციალ-დემოკრატებს მათგან არაერთხელ გვიგრძნია უმნიშვნელო წვრილმანშიც კი, აღარაფერს ვამბობ სერიოზულ პრობლემებზე.

1913 წელს ოსტატად მაკურთხეს, რაც სადოქტორო დისერტაციის დაცვის ცერემონიალს ჰგავდა, რადგან წავიკითხე თემა „მასონობის როლი რევოლუციურ ბრძოლაში“. სიტყვის დამთავრების შემდეგ დავტოვე დარბაზი. ლოჟის ძმებმა განიხილეს მოხსენება და დადებითად შეაფასეს, რის შემდეგ მომანიჭეს ოსტატის წოდება და დამაწინაურეს.

1915 წლის ბოლოს და 1916 წლის დასაწყისში ქუთაისში ჩამოვიდა რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ურუსოვი, რომელმაც ქართველი ძმების — ჩხეიძის, ჩემი და რუსი ზდანოვიჩის დახმარებით, ქუთაისში ჩამოაყალიბა კავკასიის მასონთა ლოჟა, რომელშიც შევიდნენ:

ზდანოვიჩის მეგობრები, სოციალ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, ამავე პარტიის წევრები: იურისტი, საზოგადო მოღვაწე იასონ ბაქრაძე, პეტრე ყიფიანი და თბილისელი ექიმი ალექსანდრე დიასამიძე.

ამ ლოჟის მუშაობაში მონაწილეობა აღარ მიმიღია. 1917 წელს სამუშაოდ პეტერბურგში გადავედი. ჩხეიძე მწერდა, — ჩვენი ძმები აქტიურობენო. მწერდა უხილავ ძალაზე, რომელიც ძლიერდება და ახდენს გავლენას ხელისუფლებაზეო. ამის შემდეგ როცა წავიკითხე მთავრობის წევრთა (ლაპარაკია დროებით მთავრობაზე, — ავტ.) სია, მივხვდი, თუ როგორ მოხვდნენ ეს ნაკლებად ცნობილი ადამიანები ამხელა თანამდებობებზე.

ჩხეიძის აღიარებაც, დაახლოებით, იმგვარივე შინაარსისაა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჩხეიძე იცნობდა ე.წ. მასონურ კონსტიტუციას, რომელიც ერთადერთი არსებული დოკუმენტია, სხვები შედგენისთანავე ნადგურდებოდა. ჩხეიძე წერილში ახსენებს, რომ მასონურ ლოჟაში მის შესვლამდე მოხდა ლოჟის რეორგანიზაცია, რადგან აღმოაჩინეს არასანდო წევრი, ვინმე ბებუთოვი, რომელიც ჩხეიძეს შეხვდა და იგი ქართველ მასონს მერყევ ადამიანად მოეჩვენა. შეხვედრის მიზანი ჩხეიძისათვისაც უცნობი დარჩა. სამწუხაროდ, ვერ გავარკვიე, რატომ უნდოდა ბებუთოვს ჩემთან ურთიერთობა, — წერს ჩხეიძე. უცნობი დარჩა ისიც, რატომ ახსენა ბებუთოვმა მასთან საუბარში, რომ ის მასონთა ლოჟის წევრია. ასეთი რამ არ ხდება, — შენიშნავს ჩხეიძე.

სამწუხაროდ, დოკუმენტი სხვას არაფერს ამბობს ქართველი მასონების შემდგომი საქმიანობის შესახებ. უცნობია ისიც, რატომ აღიარეს ჩხეიძემ და გეგეჭკორმა ბრიუსელში მასონთა ლოჟის წევრობა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მათ ეს პატივი ისევ მასონებს სცეს, რითაც მასონური, ურღვევი ჯაჭვის არსებობა კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

ამ საკითხით დაინტერესებული ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მორის მუსერიძე კიდევ ერთ ვარაუდს გამოთქვამს. ეს გახლავთ ქართველთა ერის წინამძღოლის ილიას მკვლელობის ვერსია.

— 1920 წლის დეკემბერში ერთა ლიგაში საქართველო არ მიიღეს, ექვსი ხმა დააკლდა. ერთა ლიგის თავმჯდომარე იყო ფრანგი მასონი ლეონ ბურჟუა.

რუსეთის სახელმწიფო დუმაში მასონები ისხდნენ. ადრე ილია დუმაში საქართველოს ავტონომიის საკითხს აყენებდა. მასონები ავი თვალით უყურებდნენ ეროვნულ საკითხებს, ასევე — ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, რადგან მათ შორისაც იყვნენ მასონები.

მერე კი მოკლეს ილია...

ეკა ჯანაშია
თამაზ ხაბეიშვილი

რას გვეტყვი, მამაო?

— მიზანშეწონილია თუ არა ერთდროულად ოქროსა და ვერცხლის ჯვრის ტარება?

— ერთი ჯვარი მორწმუნე ქრისტიანისათვის სავსებით საკმარისია. ლითონის ხარისხს, რომლისგანაც ჯვარია დამზადებული მნიშვნელობა არ აქვს.

— შეიძლება თუ არა ქორწილში მეჯვარედ წამყვეს ქმარშვილიანი ქალი?

— მეჯვარედ შეგიძლიათ ნებისმიერი ადამიანის წაყვანა, თვით საკუთარი ოჯახის წევრისაც კი.

— ვარ განათხოვარი, ამჟამად ოფიციალურად გაყრილი. ყოფილ მეუღლესთან ვიყავი ჯვარდაწერილი. მსურს ჯვრისწერის გაუქმება. თუ შესაძლებელია ეს და რა სახით?

— ქორწინების გაუქმება შესაძლებელია. უნდა მიმართოთ საქართველოს საპატრიარქოს და ქორეპისკოპოსს აუხსნათ თქვენი მდგომარეობა (თუ დედაქალაქის მცხოვრები არა ხართ, მიმართეთ ადგილობრივ ეპისკოპოსს).

— გამიგონია, რომ ქელეხის სუფრიდან არ შეიძლება ადგომა, ვიდრე შილა-ფლავს არ შემოიტანენ. რამდენად მართებულია ეს წესი?

— საკითხი, რომელსაც თქვენ სვამთ, რელიგიური ხასიათისა არ გახლავთ. იგი ემყარება ხალხის მიერ შეთხზულ ადათ-წესებს, რომელსაც საეკლესიო ცხოვრების წესსა და კანონთან არავითარი კავშირი არა აქვს.

— ჩემთვის ცნობილია პავლე მოციქულის განმარტება რიგი პროფესიების მიმართ, რომელთა შორისაც სპორტსმენებიც მოიაზრებიან. ვარ ფეხბურთის მსაჯი და ამავე დროს, უკანასკნელი წლებია ვცდილობ, ვიცხოვრო ეკლესიურად. გთხოვთ, გამარკვიოთ, როგორ მოვიქცე, რომ ღვთის მადლი არ დაგკარგო?

— თქვენი პროფესიული დასაქმების თაობაზე აუცილებლად უნდა მიმართოთ მოძღვარს და იმოქმედოთ მისი რჩევა-დარიგებების შესაბამისად.

— ძალიან მაინტერესებს თუ რას ქადაგებს ისლამი და ბუდიზმი. ჩამეთვლება თუ არა მე, როგორც ქრისტიანს, ცოდვად ამ რელიგიების გაცნობა?

— შემეცნების თვალსაზრისით თქვენ არ გეკრძალებათ ისლამისა და ბუდიზმის გაცნობა, მაგრამ, სასურველია, მანამდე საფუძვლიანად გაეცნოთ მართლმადიდებელ რელიგიას, რათა უნებურად არ მოექცეთ სხვა რელიგიების გავლენის ქვეშ.

— თითქმის ყოველ შაბათს სახლში ვანთებ სანთელს გარდაცვლილი მამის გადიდებული სურათის წინ. სწორად ვიქცევი თუ არა?

— თქვენ არ იქცევით სწორად — გარდაცვლილის სურათის წინ სანთლის ანთება არ შეიძლება — ეს არაეკლესიური საქციელია. სანთელი უნდა აანთოთ სახლში, ცალკე გამოყოფილი ხატების კუთხეში. შაბათობით მამათქვენის სახელზე შეგიძლიათ გადაიხადოთ პანაშვიდი ეკლესიაში.

— რამდენად მიზანშეწონილია, რომ გათხოვდეს 51 წლის მანდილოსანი, რომელიც მანამდე არასოდეს ყოფილა გათხოვილი?

— ქორწინების საიდუმლოებასთან ზიარება ადამიანს შეუძლია ნებისმიერ ასაკში.

— მყავს ერთადერთი ვაჟიშვილი. უკვე 40 წლის შესრულდა და არ ქორწინდება. აქვს უმაღლესი განათლება, არსად არ მუშაობს და არც ფიქრობს მუშაობის დაწყებას. დროს ქეიფსა და ღვინის სმაში ატარებს. მასზე მშობლებისა და ახლობლების დარიგება არ ჭრის. რას გვეტყვი, მამაო?

— უდიდესი ძალა აქვს დედის ლოცვას. საკმარისია, თქვენ დაიწყოთ ეკლესიური ცხოვრება — ლოცვით, მარხვით, აღსარებით, ზიარებით, რომ თქვენს ლოცვას ცხოველი ძალა მიენიჭება და უთუოდ იგრძნობთ ღვთის შეწევნას.

— შევიცვალე საცხოვრებელი ბინა. ჩემი სახლის ანგელოზი დარჩენილა ძველ ბინაში. როგორ შემიძლია გადმოვიპატიჟო ახალ ბინაში?

— „ანგელოზის გადმოპატიჟება“ თავისთავად არასოდეს არ ხდება ძველი ბინიდან ახალ ბინაში. თქვენ უნდა მოიყვანოთ მღვდელი, აკურთხებინოთ სახლი და თქვენი ფუძის ანგელოზიც დაივანებს თქვენს ახალ საცხოვრისში. ხოლო იმისათვის, რათა მან არ დასტოვოს ეს სამყოფელი, საჭიროა ხელი შეუწყოთ მას თქვენი ქრისტიანული ცხოვრებით!

— დილის ლოცვებში გარდაცვლილთა სახელების ჩამოთვლისას ყოველთვის განვიცდი ხოლმე, რომ არავინ გამომრჩეს. შეიძლება თუ არა მოვისენიო მხოლოდ ძალიან ახლობელი ადამიანები და დანარჩენზე ვთქვა: „ყველა ჩემი გარდაცვლილი ნათესავი და მეზობელი“? შეიძლება თუ არა ამ დროს მოუნათლავი ჩვილის მოხსენიება?

— მოუნათლავი ჩვილის მოხსენიება არ შეიძლება. ყველა დანარჩენის მოხსენიება სახელებითა თუ კრებითად ხდება თქვენი სურვილის მიხედვით.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების სამუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28

თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივილეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით, და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲡ

— ნინი, იცი, მგონი ყური მტკივდება — ეუბნება **სამი წლის თედო** დედას...

— მოიცა, ახლავე სპირტს ჩაგასხამ...

— არა, არ მინდა... მენაყინე რომ ჩამოივლის და ნაყინს მიყიდი, იქნებ აღარც ამტკივდეს — პასუხობს თედო...

3 წლის გიო: — „მალი, ციცა-ცოცი მომეცი ლა“.

5 წლის მარია: — „გიო, ციცა-ცოცი კი ალა, ცქვილ-ცა-ქო-ციი“...

ერთხელ ჩემს **პირველკლასელ ნინიკოს** ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელმა თავისუფალი თემა მისცა — ვისაც რა გსურთ, ის დახატეთო.

ნინიკომ გადაწყვიტა, რომ თავად ხატვის მასწავლებელი დაეხატა. მაგრამ ნახატი არცთუ ხეირიანი გამოუვიდა. მიუახლოვდა მასწავლებელი და ეკითხება, რას ხატავ, ნინო, მაიმუნსო?

— არა, მასწავლებელო, მე თქვენ გხატავთ.

ხეები ძლიერი ქარისგან ირხეოდნენ და ფოთლების შრიალიც მაღალი ხმით ისმოდა. **4 წლის თამუნა** ფანჯარასთან იდგა და რაღაცას დაშტერებით უყურებდა. უეცრად ახლის აღმოჩენით გაკვირვებულმა და აღტაცებულმა თავის უფროს დას დაუძახა, თან ხეების მოძრაობას თვალს არ აცილებდა და ხმამაღლა წამოიძახა:

— შეხედე, შეხედე, ნათი, ქარი ხეებს, როგორ მაგრად უღუტუნებს და ხეებიც როგორ ხმამაღლა ხარხარებენო.

პატარა თამრიკომ სოფელში დაინახა ინდაურის ჭუკები და დედას ჰკითხა, — ესენი რა არიან?

— ეგენი, შვილო, რომ გაიზრდებიან, ინდაურები გახდებიან, — უპასუხა დედამ.

— ესე იგი (ჩაფიქრდა თამრიკო) ჩემი პატარა ძმა, ბუტა, რომ გაიზრდება, ინდაური გახდება?



II ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

1) სამი ფოსტალიონი მიდიოდა ქალაქში, გზაში შემოეყარათ ოთხი ფოსტალიონი. სულ რამდენი ფოსტალიონი მიდიოდა ქალაქში?

2) დერეფანში ენთო 7 სანთელი, სამი მათგანი ჩააქრეს. რამდენი სანთელი დარჩა?

3) გაქვს 10 მოხარშული კვერცხი. რამდენი კვერცხის შეჭმა შეგიძლია დილით უზმოზე?

4) დღე-ღამის განმავლობაში რამდენჯერ გადაუვლის ზემოდან საათის პატარა ისარი დიდ ისარს?

5) ორ ძიუდოისტს ჰყავდა ძმა სანდრო, მას კი ძმა არ ჰყავდა. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

ᲔᲪᲐᲓᲔᲗ ᲛᲝᲮᲕᲓᲔᲗ ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ

III ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ერთ გამოცანას გეტყვით პატარებს: სადაც კი დადის, სახლს თან ატარებს.

ᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲛᲡ ᲫᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ. ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲔᲗ ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ.

1) თეთრი ბაირაღები;
2) მზიანი ღამე;
3) გლახის ნაამბობი;
4) ნუ გეშინია, დედა.

IV

V ᲠᲔᲑᲣᲡᲘ



ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲯᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲘᲡᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

VI



ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲛᲣᲚᲘ ᲕᲔᲖᲘᲠᲘ

ერთ მეფეს ერთგული ვეზირი ჰყავდა. მაგრამ ვეზირს ჰყავდა შურიანი მტრები, რომელთაც სურდათ მისი დაღუპვა. ვეზირს ისეთი ცილი დასწამეს, რომ ის სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ამ სახელმწიფოში ერთი ძველი ჩვეულება ჰქონდათ: აიღებდნენ ორ ერთნაირ ქაღალდის ნაჭერს, ერთს დააწერდნენ: „სიცოცხლე“, ხოლო მეორეს კი — „სიკვდილი“, დაკეცდნენ მათ, ჩაალაგებდნენ ქუდში და მიაწოდებდნენ სიკვდილმისჯილს. მას უნდა ამოეღო ერთ-ერთი ქაღალდი. თუ ამოიღებდა ქაღალდს წარწერით „სიკვდილი“ — დასჯიდნენ, ხოლო თუ „სიცოცხლე“ — გაათავისუფლებდნენ.

ვეზირის მტრებმა ისე მოაწყვეს, რომ ორივე ქაღალდს ეწერა „სიკვდილი“, ვეზირმა გაიგო ამის შესახებ და ისეთი რამ მოიფიქრა, რამაც უცილობელ სიკვდილს გადაარჩინა. რა გააკეთა ვეზირმა? (პასუხები გამოგვიგზავნეთ წერილობით)

წინა ნომერის „მოთხრობა-გამოცანის“ სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს: სალომე და ვალერიან შალამბერიძეებმა, მაკო ჯიქიძემ, ლიკა ბოლოთაურმა, თამუნა ჯიმშიტაშვილმა, დავით რატიანმა, თემურ ვარდოსანიძემ და თათია ჭელიძემ.

სწორი პასუხია: ქვეითად მოსიარულე მგზავრმა ცხენოსნებს ცხენების შეცვლა ურჩია.



ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲡᲢᲕᲐᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. თაგფუ; 2. შელცინი; 3. სივაცი; 4. შახი; 5. მარაყუ; 8. ობოლი; 9. ჯარელი; 10. ტაკუჯი; 11. ლატომ.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. ფანასალდაჯი; 7. კანლიხი; 10. ტეტლაკი; 12. შიზბაპო; 13. უპერი; 14. ლობიუნი; 15. მიწვდა.



ᲒᲐᲛᲘᲫᲘᲠᲔᲗ ᲤᲘᲠᲕᲚᲘᲗ ᲤᲘᲠᲕᲚᲘᲗ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ



ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲔᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲪᲮᲠᲐᲕᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

I



ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲔᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲔᲑᲐ ᲪᲮᲠᲐᲕᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

VII ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲜᲘᲛᲘ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ?

1. იოსებ გრიშაშვილი
2. სტენდალი
3. სტალინი
4. ჯეკ ლონდონი
5. მაქსიმ გორკი

1. ჯონ გრიფითი
2. იოსებ მამულაიშვილი
3. ანრი მარი ბეილი
4. ალექსი პეშკოვი
5. იოსებ ჯუღაშვილი

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ყუთების საშუალებით გამოგვგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გეპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“.



ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲚᲘᲚᲕᲗ 25-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები ნამდვილად არ შეეიდოდნენ პარლამენტში

14 ივლისი ბატონი ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეა. გთავაზობთ ინტერვიუს ჩვენი დიდი თანამედროვის შემოქმედების თანაზიართან ბატონ გიგა ლორთქიფანიძესთან.

— ბატონო გიგა, როგორი იყო თქვენი პირველი შესვედრა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებასთან — როგორც მკითხველის და არა როგორც რეჟისორისა?

— ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“, სატირისა და იუმორის განყოფილებაში, არა როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, არამედ როგორც დაკნინებული რაღაც... პეტიტით იყო აკრეფილი. თავად მე ნოდარმა გადმომცა წასაკითხად. იმ ღამით, როცა დავწექი, ვიფიქრე, ზოგს ამაღამ წავიკითხავ, ზოგსაც ხვალ გავაგრძელებ-მეთქი... დავიწყე კითხვა და მთელი ღამე ოჯახი არ დავაძინე. წამოცვივდებოდნენ ფეხზე და შეშინებული მეკითხებოდნენ, — რა დაგემართაო? გიჟივით ვიცინოდი და ვტიროდი. ჩემთვის ნათელი გახდა, ეს რომ არ დამედგა, მოვკვდებოდი. მერწმუნეთ, არ ვაჭარბებ, მართლა მოვკვდებოდი. კარგა ხანს თეატრალური წრეები მასხრად მიგდებდნენ — როგორ, გურული ანეკდოტების დადგმას აპირებო? კი, საინტერესოა, ნიჭიერადაა დაწერილი, მაგრამ სად არის ამაში დრამატურგიული მასალაო?.. სახუმარო ლიტერატურად იქნა თავდაპირველად დანახული დუმბაძის დიდი შემოქმედება. აი, ასეთ ურთულეს სიტუაციაში დავიწყე რეპეტიციები. ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში მსგავსი მაგალითი არც მქონია. რეპეტიციები მიდიოდა ჰომერულ სიცილსა და ტირილში, ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა იმდენად ახლობელი, იმდენად გასაგები, კვიმატი და გასაოცარი იყო, თეატრს დაუდგა შემოქმედებითი სიხარულის თვეები.

— „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ოდნავ მოგვიანებით კი „მე ვხედავ მზე“-თი ზედიზედ ითამაშეთ შვიდასი ანშლაგი. თუ გქონიათ მსგავსი შემთხვევა?

— როგორ გეკადრებათ? სასწაულები არ მეორდება. მე ჩემი თავი ზურიკელა მეგონა, ოლღა ბებია — ჩემი ბებია. დუმბაძის შემოქმედება, გარდა იმისა, რომ ღრმად ეროვნულია, იმავდროულად ყველა ერისათვის გასაგები და ინტერნაციონალურია.

ერთხელ ჩვენი სპექტაკლი ნახა ფრანგული თეატრის ცნობილმა რეჟისორმა, ნაციონალური თეატრის დირექტორმა ჟან დარბაკმა. სპექტაკლის შემდეგ შემოვიდა და მითხრა, — ეს თქვენი ბებია კი არა, ბებიაჩემია, კროვანში ცხოვრობს, ახლაც ცოცხალიაო. მთხოვა, სესილია თაყაიშვილი გამეცნო, რომელიც მაშინ 52-53 წლის ახალგაზრდა, ენერგიული ქალი იყო და როგორც პიროვნებასა და მსახიობს, არანაირი საერთო არ ჰქონდა, ფიზიკურად და ხასიათით, ოლღა ბებიას პერსონაჟთან. უდიდესი შემოქმედი გახლდათ სესილია, უდიდესი. იმას გეუბნებოდით, მოვიხმე კაბინეტში „ოლღა ბებია“... შემოვიდა ახალგაზრდა, ენერგიული ქალი. ჟან დარბაკმა მითხრა, მე ხომ ბებიას როლის შემსრულებლის გაცნობა გთხოვეთო? — ეს არისმეთქი რომ ვუპასუხე, იცით, რა მოხდა?! ერთ სიტყვასაც არ ვუმატებ, იქ სხვებიც მრავლად იყვნენ... იცით, რა მოხდა? დაუჩოქა სესილიას, მუხლები დაუკოცნა და მაინც ეს თქვა, — აი, ეს ბებიაჩემია, კროვანში ცხოვრობს და ზუსტად ეს ხასიათი აქვსო. ასე გააცოცხლა დიდმა ხელოვანმა სესილიამ ნოდარის უსაყვარლესი ოლღა ბებია.

— ცხოვრებაშიც ოლღა ერქვა ბ-ნი ნოდარის ბებიას?

— დიახ, ნამდვილად ასე იყო... ილიკოც და ილარიონიც მართლა მეზობლები იყვნენ, ოღონდ ორთავე დუმბაძე იყო გვარად და ამიტომაც შეუცვალა გვარები. ბოლოს, ორთავენი ცალთვალა იყვნენ მართლაც... ილიკოსა და ილარიონთან სუფრაზე ხშირად ვმჯდარვარ და გვარიანადაც მიქეიფია.

— ბ-ნო გიგა, მსახიობი რომ ყოფილიყავით, რომელი როლის სათამაშოდ გაგიწევდათ გული, ანუ რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე რა როლს დააკისრებდა მსახიობ გიგა ლორთქიფანიძეს?

— გეტყვით, თუმცა... ძალიან გამიჭირდება. არა, არა... მე ჩემს თავს როლს ვერ მივცემდი. გარდა „მზიანი ღამისა“. დუმბაძის ყველა ნაწარმოები პირველმა დავდგი საქართველოში. ისე, მგონია, შევძლებდი ვანო ძიას თამაშს.

— აა, ვანჩკა ბიძია, „ნუ გეშინია დედა“-დან, არა?

— ძალიან კოლორიტული, საინტერესო კაცი იყო, იმასაც ვიცნობდი. ნოდარის ბიძა იყო. ნოდარი ხომ ფაქტობრივად, თავის ცხოვრებაზე წერდა. მისი პერსონაჟებიდან არც ერთი მოგონილი არ არის. ვანიჩკა ბიძია ეს არის ვანო კოტინოვი — მამიდის ქმარი, ცნობილი მომღერლის, ნაზი დუმბაძის მამა. სწორედ ვანო ბიძიას სახლში ცხოვრობდა ნოდარი იმ წლებში, როდესაც მამაც და დედაც დაუჭირეს.

— ბ-ნო გიგა, მოხდა ისე, რომ თქვენ „ბებია“ — ქ-ნი სესილია შემდეგ ფილმშიც ალმოჩნდა.

— ასევე ალექსანდრე ჟორჟოლიანიც.

— დიახ, ჟორჟოლიანიც. რატომ „დაუთმეთ“ ბ-ნ თენგიზს...

— ჯერ ერთი, დავუთმობდი თუ არ დავუთმობდი, მე არავინ შემკითხვია. დიახ, ჩემთვის ძალიან პატივსაცემმა რეჟისორმა, თენგიზ აბულაძემ, რომლის შემოქმედების თაყვანისმცემელი ვარ, გადაიღო ფილმად. მე კი არ დავუთმე, როგორც თქვენ ბრძანეთ, არამედ, ვფიქრობ, მან ვერ შეძლო თავი დაეღწია ცდუნებისთვის — არ აეყვანა ფილმში ისეთი მსახიობები, როგორებიც სესილია და ჟორჟოლიანი იყვნენ. მგონი, კარგი არჩევანი გააკეთა, ფილმში გრიგოლ ტყაბლაძე რომ მიიწვია.

— ბ-ნო გიგა, ერთი ასეთი უცნაური შეკითხვა: შესაძლებელი რომ იყოს, ვის გამოიხმობდით ქართული თეატრალური წარსულიდან და ვის ათამაშებდით „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში?“

— იცით, რას გეტყვით? არათუ წარსულიდან, ახლაც რომ მითხრათ, მსოფლიოს რომელ არტისტს დააკისრებდით ამ როლსო, ისევ და ისევ გენიალურ სესილია თაყაიშვილს... არსად არავინ მინახავს მსგავსი და არც შემიძლია წარმოვიდგინო, რადგან სესილია თაყაიშვილმა შექმნა არა მარტო ოლღა ბებიას სახე, არამედ — ქართველი დედის, ქართველი ქალის, ქართველი ბებიის გასაოცარი სახე. ვათამაშებდი ალექსანდრე ჟორჟოლიანს და გრიგოლ კოსტავას. დიდებული სამეული იყო.

— ვერ გამიგეთ, ბ-ნო გიგა, ჩემი კითხვა იმ გარდაცვლილ მსახიობებს გულისხმობდა, რომლებიც ვერ მოესწრნენ დუმბაძის დრამატურგიას.

— აა, გასაგებია... იცით, რა? ის არის დიდი უბედურება ქართული თეატრისა, რომ ისეთი მსახიობი, როგორიც იყო გიორგი შავგულიძე, ვერ მოესწრო დუმბაძისეული როლების შესრულებას. გიორგი შავგულიძე შექმნიდა ნებისმიერ როლს და იქნებოდა საუკეთესოთა შორის საუკეთესო. ერთ საინტერესო ამბავს გეტყვით: გიორგი შავგულიძე თამაშობდა მთავარ როლს ფილმში „განაჩენი“. მე ვიყავი სცენარის ავტორი, ათი-თხუთმეტი წუთის მასალაღა იყო დარჩენილი გადასაღები, გიორგი შავგულიძე რომ დაიღუპა. ამდენი შრომა წყალში რომ არ გადაყრილიყო, უნდა მოგვეძებნა კაცი, რომელიც შავგულიძეს ემგვანებოდა. მართლაც, იპოვეს ერთი ქართველი, გვარ-სახელს ნუ დავასახელებთ. ძალიან დიდი ფული მოითხოვა. ბევრი კი სთხოვეს, არ გვაქვსო, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა.

ერთი გამოცდილი რეჟისორი გვყავდა სტუდიაში, გვარად ჭანკვეტაძე, რომელმაც გვითხრა: — მე ვიპოვე ჩვენთვის საჭირო კაციო. ერთი მძღოლი, ეროვნებით სომეხი, მოგვიყვანა. მართლაც, იმდენად ჰგავდა ჟორას, განცვიფრებისაგან ყველამ პირი დავაღეთ. გადაღებაზეც დაგვთანხმდა. მაშინ ძალიან დიდი ფული იყო 18.000 მანეთი და როცა შევთავაზეთ, იცით, რა გვიპასუხა? — როგორ, კაცო, მე ჟორა ვითამაშო, შავგულიძე და ამაში ფული ავიღო, ამას როგორ მკადრებთო? ცივი უარი განაცხადა. როცა ვუთხარით, ეს ფული მაინც დაიკარგებაო (ვატყუებდით), გვიპასუხა, — მაშინ მომეცით ხელმოსაწერად ქაღალდიო და როცა მიუტანეს, იმ წუთში წააწერა: გთხოვთ, გადასცეთ შავგულიძის ოჯახსო.

— ბ-ნო გიგა, რას იტყოდით, ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები თუ ითანამშრომლებდნენ პარლამენტში?

— არა, ნამდვილად არა. ერთ ამბავს გეტყვით. დუმბაძის პერსონაჟები პოლიტიკაში ძალიან გათვითცნობიერებული ადამიანები იყვნენ. საერთოდ, ყველა გურული პოლიტიკოსია, თანაც ისეთი პოლიტიკოსი, რომელსაც საკუთარი პლატფორმა აქვს.

— ბ-ნ შევარდნაძესთან ხომ არ მიდის ეს ქათინაური?

— არა, ბ-ნ ედუარდს ეს ნიჭი ალბათ დაბადებიდანვე აქვს დაყოლილი. დუმბაძის გმირები ძალიან თავმდაბალი ხალხია და მე მგონი, პარლამენტში არ შევიდოდნენ.

— და კიდევ, რეპეტიციებზე, თქვენი იუმორის მქონე კაცის თვალით დანახული კურიოზები.

— ერთ ამბავს მოგიყვებით. როცა „ბებიას“ ვდგამდი, თეატრში უკვე შემოჭრილი იყო პირობითი დეკორაციები, ერთი სიტყვით, ნატურალისტური რამეები მოდაში აღარ იყო. მე და ჩემმა მხატვარმა ოთარ ლითანიშვილმა გავაკეთეთ საკმაოდ საინტერესო მაკეტი. იმ დღეს პირველად დავალაგეთ სცენაზე. ამ დროს შემოიხედა სესილიამ და გვკითხა, — ეს რა არისო? ვუთხარით, ჩვენი დეკორაციებიაო... ერთბაშად გაცხარდა და მოგვახალა, — იცით, რას გეტყვით? ბუხარი დამიდგით, ჯორკო დამიდგით, ქვასანაყი მომიტანეთ და კიდევ ზურგთან კედელი მქონდეს, მე ისე ვერ დავჯდები. თუ არა და, ამ სცენაზე გამომსვლელის ასე და ისე... მე რეპეტიციებზე აღარ მოვალ და ამ დეკორაციებში არ ვითამაშებო.

ჩემთვის ნათელი გახდა: ან დეკორაციები უნდა შემეცვალა, ან არადა ვკარგავდი იმას, რისთვისაც იდგმებოდა ეს სპექტაკლი. ვკარგავდი სესილიას ოლღა ბებიას როლში... ოლღა ბებიასათვის სცენაზე სპეციალური კედელი ჩამოდიოდა თავისი ბუხრით.

ამ ორ ადამიანზე — ნოდარ დუმბაძესა და სესილია თაყაიშვილზე, საოცრად მიჭირს საუბარი, რადგან მათი სახით მე დავკარგე ყველაზე საყვარელი ადამიანები. სესილია იყო ჩემი უსაყვარლესი მსახიობი, ნოდარი — ყველაზე საყვარელი ავტორი.

დაახლოებით ორიოდე წლის გარდაცვლილი იყო ნოდარი, როდესაც თეატრის საკითხებთან დაკავშირებით ჰელსინკში მიგვიწვიეს მე, ალისა ფრეინდლიხი და კიდევ რამდენიმე მსახიობი. შეხვედრაზე, მახსოვს, ერთ-ერთი მსახიობი წამოდგა და გვკითხა: ჩემთვის საყვარელ კაცს, ნოდარ დუმბაძეს, ახალი ხომ არაფერი დაუწერიაო. არა, რადგან ნოდარ დუმბაძე უკვე გარდაიცვალა-მეთქი. ის, რაც მაშინ განვიცადე, ალბათ აღარასოდეს განმეორდება, როდესაც 1.500 კაციანი დარბაზი ერთად წამოდგა ფეხზე და რამდენიმე წუთი მდუმარედ იდგა. პატივი მიაგეს ნოდარის ხსოვნას, რადგანაც დუმბაძე მიღებული ჰყავდათ, როგორც საკუთარი ავტორი და ახლობელი ადამიანი.

ამას იმიტომ გეუბნებით — როცა ნამდვილია ლიტერატურა, როცა ნამდვილია ხელოვნება, როცა ნამდვილია მსახიობი, ის არ არის მარტო ეროვნული კუთვნილება. იგი უკვე მთელი მსოფლიოს ხალხების კუთვნილება ხდება.

ნათია ჩუბინიძე

ფშავლებს ლაშარი არ დაუბერდებათ

რვაასი წლის წინ, ფშავის ხევის ვიწროებში მზის ჩამოშლილი დალალების კვალდაკვალ მიიწევდა ხმელგორისაკენ ივანე ათაბაგის მცირე ლაშქარი. მკათათვის ხვატი ამოჰყოლოდათ ბარიდან სპასალარის ზვიად მეომრებს. მკერდგაღეღილები ეძალებოდნენ ქაფქაფა წყალვარდნილებს. ოხრავდა, ბორგავდა, გმინავდა არწივების საბრძანებელს შეფარებული ორნახადი მთიური სული. ფხოვის ამბოხს თავად მეფეთა-მეფე თამარი შეეშფოთებინა. დედოფალს ფშავლების უტეხ ბუნებასთან შერწყმული სულგრძელობისაც სწამდა და პირმშოს სახელდებით ჯვარი და წმინდა გიორგის ხატი უწინამძღვრა მოლაშქრეებს. ხმელგორის მუხის ანგელოზმა ახლოს არ გაიკარა მეფის ამქარი. ის იყო ფშავლის შვილების მფარველი და უძლეველობის სიმბოლო. მაშინ ათაბაგმა ვინმე აფციაურის დახმარებით ცაზე ოქროს შიბით მიბმული ბერი მუხა მოაჭრევინა და იმ ადგილზე ლაშას სახელზე ჯვარი აღმართა, რითაც მხარგრძელმა ფშავლებს თამარისა და ქრისტიანობის ძლიერება აგრძნობინა. მალე ამ ადგილას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც ააგეს, სადაც ჭაბუკი ლაშაც სტუმრობდა თურმე.

ახლა არავინ უწყის, ქრისტესმიერმა ჯვარმა და წმინდა გიორგის ხატმა სძლია მუხის ანგელოზს თუ მხარგრძელის საომარმა ძალამ. ერთი კია: ფხოვმა აღიარა ლაშას სახელზე ჩამოსვენებული ჯვრის სიძლიერე და თავის პირველ სალოცავად აქცია. მოგვიანებით ფშავლებს არაგვის გამოღმა — ღელეში თამარის სალოცავიც დაუარსებიათ და ლაშარობის კვირისთავზე იქ აგრძელებდნენ დღეობას. ფშავლებმა მფარველი ანგელოზის დარად შეიყვარეს თამარი. მისი სიკვდილის გამგონენი დაითალხნენ, „ზარი გამართეს დედათა“... ზეპირგადმოცემას შემორჩა ფშაველი დედაკაცის ნატირლის ტექსტი:

„ღელეს თამარო დედოფალო, მეფევ, კეისართკეისარო, ჩვენო ლამაზო დედაო, მკურნალო, ქვეყნის მარჩენალო,

ციდან მტრის რისხვად ჩამოსულო, გადამრჩენელო ერისაო“...

თამარისა და ლაშას სიყვარული ისე ღრმად ჩაინერგა მათ შეგნებაში, რომ თვით ათაბაგისაგან მოჭრილი მუხის ამბავიც ხან უცხო დამპყრობელს მიაწერეს, ხანაც მათთვის საძულველ ზურაბ ერისთავს, რაზედაც თავადვე შექმნეს დამაჯერებელი ხალხური ლექსები და ლეგენდები. ლაშარი კი ფშავლების შემეცნებაში განივთდა, როგორც უძლეველი გმირი და მხედარი, რომელიც მუდამ წინ უძღოდა მათ ლაშქარს და განსაცდელისაგან იფარავდა:

„ლაშარის ლურჯასა, ფაფარი სხავის გიშრისა, შაჯდება, გაემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა, თავის ყმათ მიეშველება, ხან რომ არ იყოს მისვლისა“.

ლაშარის ხატი ახლაც ყორითაა შემოზღუდული. ხავსი მოსდებია ერთ დროს ხალხმრავალ საკრებულოს, თემ-სოფლის თავშესაყარს. ზოგან მიწის მაყვალი გადაფარებია, მაგრამ ეს სიმწვანე მარადიულობას ინახავს თავის უბეში და არ ხუნდება. სალოცავიც ისევ დგას, მის მორღვეულ კედლებს ისევ ატყვია სანთლის ნაღვენთი, შემოწირული ზარებიდან ერთ-ერთზე ისევ იკითხება: „ქ: ესე ზარი შემოგწირე მე ერისთავმა რევაზ, შენ: წმინდას გიორგის ლაშას“. ერისთავებმა რახან ფშავი ჯერ დაიმორჩილეს, ცოდვების მოსანანიებლად ეს ზარი შესწირესო ლაშარს — ასე სჯერათ აქაურებს.

ლაშარს ადგილ-მამულებიც ჰქონია კახეთში. როცა უკანა ფშავის მოსახლეობა ბარად ჩამოვიდა, უგზოობის გამო ლაშარში მისვლა საძნელო გახდა. მაშინ ჩაბანოელმა ციხელაშვილმა და ჯიმშიტაშვილმა ლაშარის ნიში თიანეთიდან 25-28 კილომეტრის მოშორებით, მთების გულში, ერთ მშვენიერ ადგილზე დაავანეს, საჯარედან წამოღებული ნაკურთხი მიწა იქაურობას მოაბნიეს და ლაშარიც აქ „გადმობრძანდა“ თავისი წეს-რიტუალებით. ახლა ყველაზე ხალხმრავალი ლაშარობა სწორედ თიანეთის ლაშარის გორზე იმართება. იქვე, ხუთიოდე ვერსზეა ბაჩალი — ვაჟას „ყოილის“ ადგილის დედა. ოირგაღმიდან სხლოვანი მოჩანს — მთისძირს მიფენილი სოფელი. ფანტასტიკურია ამ ხალხის რწმენა: ვაჟას გმირების ადგილსამყოფელი ისე ღრმად გაჯდა მათ ცნობიერებაში, რომ თვით ვაჟაც რომ გაცოცხლდეს, იმასაც წაუძღვებიან კვირიასა და ლელას საფლავზე — ბაჩალში. წიწოლას ნამოსახლარსაც მიანიშნებენ და იმ ხესაც კი, რომელზედაც ყელსაბელიანი ეკიდა სიმხდალით თავლაფდასხმული მხედარი.

ლაშარში ფშავლების გარდა, ხევსურებსა და თუშებსაც ჩაუდგამთ სამანი. ერთმანეთზე მოსისხლედ გადაკიდებული ქისტები, ხევსურები და თუშები სალოცავმა შეარიგა. არხოტელებმა ფიცის გაუტეხლობის ნიშნად თორმეტი ცხვარი დაუკლეს ლაშარს. თუშეთიდან კი „თავსისხლას“ საზღაურად თილიძემ თავისი ფეხით ამოიყვანა „თეთრი ქორაი“ ხარი და ლაშარს შესწირა. ასე ერთიანებდა მოსისხლე ხალხს საუკუნეების მანძილზე ლაშარი და მერე ერთ მუშტად შეკრულს საერთო მტრის წინააღმდეგ ისტუმრებდა: „თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო, ლაშარი გავაზიაროთ, ერთმანეთს მხარი ვუჭიროთ და მტერი დავაზიანოთ“...

ტრადიციულად ივლისის მეორე კვირას ფშავში ხატობას იწყებს გოგოლაურთა თემი. მერე მას სხვა თემები მიჰყვებიან და ამ საერთო სალოცავში მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობა იყრის თავს.

ლაშარი მუდამ იყო თავისუფალი ხატი. აქ ჩვეულებრივ ღრეობდნენ, იმართებოდა შილინდი, ჯირითი, ჭიდაობა, წაწლობა, მაგრამ ამასთან იყო წმინდა და შეუვალი, თავდადებისა და რწმენის ნავთსაყუდელი. ლაშარში წყდებოდა საქვეყნო საქმე. აქ დებდნენ ფიცს, აქედან იწყებოდა ლაშქრობა მტერზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ტრადიციები თითქმის გაცვდა, ხალხს ზურგი არ შეუქცევია ლაშარისათვის. ამ წმინდა ადგილზე მაინც მოდიოდნენ ქადა-სანთლით, შესაწირავითა და საკლავით. ლაშარის თავხევისბერი ბიჭურ ბადრიშვილი ჭკუის საკითხავი კაცი იყო. სანიმუშო იყო მისი მეგობრობა ბატონ ნიკო კეცხოველთან, რომელთანაც ხშირად სტუმრობდა უნივერსიტეტში. ვასილ მჟავანაძემ ბიჭურ ბადრიშვილთან შეხვედრისას სამახსოვრო სურათი გადაიღო, ჭკუითა და გონიერებით გამორჩეულმა ამ პიროვნებამ თავის დროზე ჩვენი ახლანდელი პრეზიდენტის ყურადღება მიიქცია. რიტუალებიც მხოლოდ გარეგნულად გადასხვაფერდა. ამ დღეს დაწესდა შრომის დღესასწაული, იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები, პოეზიისა და სიმღერის საღამოები, მაგრამ ძველებურად იყო ღამისთევა, კურატი, სახალხო ლხინი და თავშექცევა.

ფშავის მოამაგე შვილები ამ თხუთმეტიოდე წლის წინ უკანა ფშავში ლაშარის წმინდა გიორგის სამლოცველოს აღდგენას შეეცადნენ. მალე ის წყობა დაინგრა და დღევანდელი მცდელობაც ვეღარ გამოუდით. ხალხს მაინც არ დაუკარგავს თავისი სულის საყდრის რწმენა და რიდი.

...ფშავლები თავიანთ მოსისხლეებთან გამარჯვებას მუდამ ლაშარის ძალას მიაწერდნენ. ერთ-ერთ ომში გაწბილებულ ქისტებს იმის იმედიღა დარჩენიათ, რომ ფშავლებს ლაშარი ოდესმე ან დაუბერდებათ, ან მოუკვდებათ და საწადელს მაინც მივაღწევთო:

„ფშავლებსა ლაშარის ჯვარი, ნეტარ არ დაუბერდათა?

ვინ იტყვის დაბერებასა, ნეტარ არ მაუკვდებათა!...“

ამ კვირაში ლაშარს რვაასი წელი უსრულდება. წუთისოფლისათვის შესაძლოა ეს დიდი დრო არ არის, ჩვეულებრივი მოკვდავისათვის კი იგი გრძელი რვა საუკუნეა. ამ ხანში მართლაც ბევრი რამ ბერდება და კვდება. ლაშარი კი არსებობს მარადიულად და რწმენისა და ერთიანობის გორზე ისევ მოუხმობს ლუხუმს და ლელას...

ეთერ თარიმანი



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:

8 თურქეთის ცენტრალური ნაწილი



9 პროფესია კინომსახიობობამდე

10 შესანახად მოდულებული, გათუთქული მწიფე ტყემლის წვენი

11 აშშ-ში გავრცელებული ჯინსის ქსოვილის სახელწოდება

12 სახეობა

16 ორგანიზმის მგრძნობელობის შეცვლა

18 სპორტული შეჯიბრება სისწრაფეში

21 კუთხური სახელწოდება



22 სპეციალისტი, რომელიც მანდილოსნებს წლოვანების დაფარვაში ეხმარება

23 ქურდი, რომელსაც აქვს ცნობა, რომ იგი ქურდია

24 თანასწორუფლებიან მონაწილეთაგან შემდგარი ჯგუფი



27 შენობების დამპროექტებელი

29 ადამიანთა ჯგუფი

30 მახინჯი ჯუჯა ევროპულ მითოლოგიაში

31 სამკურნალო დაწესებულება, სადაც ავადმყოფების მკურნალობასთან ერთად ტარდება სტუდენტთა პრაქტიკა

34 ძლიერი წყრომა, გაჯავრება

37 ხელსაწყო, რომლითაც წმენდენ სითხეებს მინარევებისაგან

38 დაწესებულება, სადაც აკვირდებიან და სწავლობენ წყლის ბინადრებს



39 წარმომავლობა

40 მიწის დიდი ნაკვეთი, დაკავებული სპეციალური კულტურით

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:



1 ერთი ადამიანისათვის განკუთვნილ ტანისამოსთა ერთობლიობა

2 ამა თუ იმ ენის თავისებური, დაუშლელი გამოთქმა

3 მღრღნელთა ოჯახის წარმომადგენელი

4 ეთილის სპირტი, რომელშიც ურევენ სპეციალურ ნივთიერებებს, რომლებიც აძლევენ მას არასასიამოვნო სუნსა და გემოს

5 მუსლიმანთა უმაღლესი სასულიერო პირი



6 თვე, რომლის 16-რიცხვში მოსალოდნელია მთვარის დაბნელება

7 სამკაული

13 მხატვრის ეროვნება

14 ისტორიის დამხმარე დარგი, რომელიც სწავლობს ისტორიულ საბუთებს



15 უმსხვილესი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრი



17 ძვირფასი თავსამკაული

19 მძიმე, სულის შემხუთავი სიზმარი

20 ტრანსპორტში მჯდომი



25 დიდი სიხარულისა და სრული კმაყოფილების განცდა

26 მოძრაობის მარეგულირებელი მოწყობილობა

28 სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლებული პირი

32 საუკეთესო ხარისხის ქართული სოსისი



33 ჭურჭელი სითხის მოცულობის ზუსტი გაზომვისათვის

35 სასწავლო დაწესებულება

36 ცივი იარაღი

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ №27 ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 9. ველოსიპედი; 10. ჟურნალისტი; 12. შპრიცი; 13. ტატუაჟი; 14. ერეკლე; 15. კოკარდი; 16. ბერინგი; 20. კარტოფილი; 22. ატლასი; 23. ბუსეტო; 24. გალავანი; 25. სუფლიორი; 29. ბიუსტი; 30. დედანი; 31. პლაცდარმი; 34. დოტაცია; 38. მდიდარი; 40. ეკრანი; 41. ბუმბული; 42. ვალუტა; 43. ეპითელიუმი; 44. ერგონომიკა.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ჩემპიონატი; 2. გორილა; 3. სიმინდი; 4. იდეალი; 5. ბურჟუა; 6. გალერეა; 7. ჟილეტი; 8. სტალაგმიტი; 11. აუქციონი; 17. მაკრატელი; 18. პლატფორმა; 19. ბალანსი; 21. ესტრადა; 26. მიკროსკოპი; 27. ნადირობა; 28. ანტარქტიკა; 32. ფილიალი; 33. მდივანი; 35. ასანთი; 36. საუზმე; 37. შულერი; 39. დილემა.

ორშაბათი 10 ივლისი | სამშაბათი 11 ივლისი | ოთხშაბათი 12 ივლისი | ხუთშაბათი 13 ივლისი | პარასკევი 14 ივლისი | შაბათი 15 ივლისი | კვირა 16 ივლისი



სისწრაფე
ხარისხი
საიმედოობა

კომპიუტერები
ორგტექნიკა
სახარჯი მასალები
დაბალი ფასები
გარანტია 1 წელი

მცხეთის ქუჩა №2
92-02-14
Fax 22-59-06

იყიდება ვერაზე

გარემონტებული 5-ოთახიანი დუპლექსის ტიპის ბინა ჯანაშიას ქუჩაზე, აგურის სახლში, ფართი 200კვმ, მაღალი გელეტაური, გამოდგება როგორც საცხოვრებლად, ასევე საოფისედ.

ფასი 59000.- ☎ 899-51-47-11

„მსაჯული ძალი" — აუშ

ქალმა თავისი მოქალაქეობრივი ვალი უნდა მოიხადოს მაფიის სასამართლო პროცესზე. მაფია მას აგენტს მიუჩენს, რომელიც შვილის მოკვლით ემუქრება. საქმეში ფედერალური ბიურო ერევა... მძაფრი სიუჟეტები... რეჟ. ბ. გიბსონი, როლებში: დემი მური, ალეკ ბოლდუინი.

თბილისის საერო ინსტიტუტი
ბაკალავრი
გიწვევთ სასწავლებლად:
1. სამკურნალო საქმე; 2. პედიატრია; 3. სტომატოლოგია; 4. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი; 5. საბანკო საქმე; 6. სასაკო საქმე; 7. საგადასახადო საქმე და აუდიტი; 8. ფილოლოგიური; 9. ისტორია.
უმაღლესი განათლების მქონე პირები ჩაირიცხებიან მე-2 კურსზე
მეფიანის ქუჩა №57, ტელ: 74-21-65

საჭიროა წარმოდგენა:
1) შესაბამი საბუთი;
2) სტიპენდია;
3) აპლიკანტურა.
9 კლასდამთავრებულთათვის ინსტიტუტთან არსებობს კოლეჯი, სადაც შეიძლება იგივე სპეციალობების დაუფლება, რაც ინსტიტუტში არსებობს.

08.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.45 "ტელემაღაზია" 09.55, 20.55 სერიალი "ფაქი მარგალიტი" 10.35, 17.35, 19.35 "უოთოდ" 10.40 "სტუდიონი" 11.00 ტრენია 11.20 მუს. ბაუზა 11.25 ბუნების კარი 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 ჩოგბერთი. 15.10 სპა 15.30 მხე. "ფუნთუნიანი ბავშვი" 17.15 "ოერობა" 17.40 "ბესაკეთილე" 18.00 "ვესტნიკი" 18.15 "50-50" 18.45 ოოგორ შეიფასებენი 19.40 ბასტი-ბუმუ 20.45 ვიდეოკლიპერეო-02 21.45 მუსიკო 22.05 ვესტნიკი 22.45 ზეეი ენა ქართული 22.50 ეთნოფარეფოული ჩანაბანი 23.05 პრეს-ზონა 23.25 ტელეკინო-ეკეთი 00.40 ქართ. მხე "ფაბარიუნეული ლიმონი"

19.00 ინფორმაცია 19.30 სერიალი "ს.ინ-ტრიუე" 20.20 მეალიე და ბრინდეკი 20.35 მხე "ეიუალეგანეთა გამოლეიმება" 22.10 კოტეკეეი 22.35 მხე "ასალდასალი"

07.00 მუსიკა. 07.30 ტოში და ჯერი, ფიფეკი 08.00 60 წუთი 08.40 სერიალი "ლაბირინთი" 09.30 სერიალი "ფაიკ ჯაბარი" 10.20 სერიალი "ალეფი" 10.45 სერიალი "ოოდლუნის ასაოდნა" 11.10 სერიალი "სიცვაარეული სახლითი" 12.00, 15.00 კეოოეი 12.15 მუეტეკეოული 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 22.50, 01.50 კეოოეი 18.20 "ლუბიი და კლარა" 19.00 სერიალი "ოოდლუნის ასაოდნა" 19.30 სერიალი "ალეფი" 19.55 სერიალი "სიცვაარეული სახლითი" 21.50 სერიალი "ს.ინ-ტრიუე" 23.50 მხე "ნაზა ეკოლიეთი". რეეე ფილმ ფე ბროკა. მთ. როლებში: ანი ეოოარეო, ფილიპ ნო�o 02.00 კლიპეი

იბერია

09.00 ნახ. ფილმი 09.10, 22.25 "ალაკალი" 09.15 დოკ. ფილმ 10.00 ქართული პანეკეეი 10.10 მხეილი "ააბი მაბაააეი და აბალეეეიანელი" 11.55 "ოოეკეი" 12.00 მხეილი "ბეეე

ბინები

1 ოთახიანი, თუხარელის პროექტის ბინა გადაკეთებულის 2 ოთახიანად. ფასი შეთანხმებით. მის: დ/დიღომი, II მ/რ, III კორპ. V სართ. ტელ: 61-60-33. გულიკო ან მარინა

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

3 ოთახიანი, არასტანდარტული ბინა, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, სველი წერტილებით ცალ-ცალკე. საწყისი ფასი 20.000$. ტელ: 32-08-90; 32-69-64

მიცკევიჩის ქუჩაზე №6-ში 4 ოთახიანი (3+1), არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ტელეფონით, ლოჯიით, გისოსებით, რკინის კარით, ოთხი სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, 5-სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. გამოდგება საოფისედაც. საწყისი ფასი 42.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე 4 ოთახიანი, გარემონტებული ბინა, საერთო ფართით – 110 კვმ, ბუნებრივი აირით, ა/მ-ის სადგომით. ტელ: 22-44-94

2 სართულიანი კერძო, 1989 წელს აშენებული სახლი (ოთახების ს/ფართი 120 კვმ-მდე), ბუნებრივი აირით, გათბობის სისტემით, ტელეფონით, „აიეტით", სარდაფით, ორი პატარა ეზოთი, მესამე სართულის აშენების პერსპექტივით. სახლი გარემონტებულია, ესაჭიროება იატაკის მოხვეწა-კოსმეტიკა. მის: რუსთაველი, სარაჯიშვილის ქ. ტელ: 899 56-26-69. ნუგზარი

ზემო ვეძისში კერძო სახლის I სართული. ტელ: 37-72-70. ნანა

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დახხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

საგურამოში მიწის ფართი. ტელ: 95-02-40; 95-56-21

ოზურგეთის რაიონის სოფ. ძიმითში ეზო სახლით, საყანე მიწის ნაკვეთით, კერძო ჩაის პლანტაციით. ტელ: 53-54-79. დალი (ან ლანჩხუთის რ-ნის სოფ. შუხუთში იკითხეთ სანდრო ან როლანდ ქანთარიები).

ქირავდება

გარემონტებული ნახევარსარდაფი (60+20 კვმ), სველი წერტილით, ტუალეტით. ტელ: 53-63-00; 899 51-88-38

ვიქირავებ

ავტოფარეხს, მანქანებით გადატვირთულ ქუჩასთან ახლოს. ტელ: 67-15-88

მილოცვა

ჩვენს პატარა იუბილარს

ანდრო გოჯიაშვილს!

პირველი სიხარულო, ჩვენო იმედო, გილოცავთ დაბადების დღეს – 11 ივლისს, სამი წლის შესრულებას. გისურვებთ ულევ სიხარულს და ბედნიერ მომავალს, შენს საყვარელ დედიკოსთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

შენი ბებიკო, პაპიკო, კახა და შორენა

Поздравляю бабушку, Марию Афанасьевну с днем рождения. желаю много лет жизни и счастья!

Шотико

გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული 1.700 ფრანკი (400 მარკა) თვეში. ტელ: 95-64-18; 96-07-81

ვეძებ სამუშაოს

ვარ 30 წლის, ბავშვის ფსიქოლოგი, მაქვს ბავშვებთან მუშაობის 12 წლის სტაჟი. შეძლებია ხატვა. სიმღერა, ბავშვებთან ადვილად შევდივარ კონტაქტში. ვარ დაწყებითი კლასის მასწავლებელიც. ვიმუშავებ განთლების სისტემაში ან ბავშვის მომვლელად. ტელ: 71-73-11. მარიკა (საღამოს)

მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის ვაზმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამანიცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი. არ არსებობს მოურჩენელი თმა, ამაში უნდა დარწმუნდეთ პირველივე სეანსზე. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტელ: 57-50-49. მარიკა

გიცდიათ წონაში დაკლება? უშედეგოდ?! კიდევ ერთხელ სცადეთ! დაგეხმარებთ, დაიკლოთ წონაში კომფორტულად, გემრიელად. ახალი რეცეპტებთ, ეფექტური შედეგით! ტელ: 95-31-90; 61-77-74; 899 58-25-44. მარი

ს/ს „მძვილდრსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81

ფირმა „სატურნი" თბილისში ყველაზე იაფად დაგიშზადებთ უმაღლესი ხარისხის, რკინის კარს, გისოსებს, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს, ა/ფარეხებს, დახვეულ კიბეებს, ხეში, რკინაში. შეგისრულებთ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ევროსტანდარტების დონეზე. შეგიძენთ ყველანაირ მასალას.. ტ: 39-57-00; 39-82-95; 62-38-87; 899 55-90-34

COMPUTER COMPANY „PULSAR" – კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კერტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ტექნიკის სრული რემონტი. გვაქვს სახარჯი საშუალებები. ტელ: 25-02-55. სანდრო

სწრაფად ავიკრეფთ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი – 1 ლარი. ტელ: 34-32-79

ავიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

შპს „ნვეული კბე"! – გთავაზობთ უახლესი დიზაინისა და მაღალი ხარისხის მუხის კარ-ფანჯრებს, ნებისმიერი სირთულის ხის შიდა კიბეებს; მარნებისა და ბუხრების ხით მოპირკეთებას. ტელ: 22-02-44; 69-19-52; 65-86-62

„ცხრაკლიტული"! შეამოწმეთ თქვენი ბინისა და ავტოსადგომის უსაფრთხოება. საკეტის შეკეთება, ახლის დამატება ან კარზე ტყავის გადაკვრა ხომ არ გსურთ? ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

პერსონალის შერჩევის სამსახური გთავაზობთ სანდო და გამოცდილ პერსონალს: 1. საოჯახო – გადია, აღმზრდელი (აგარაკზე გაყოლით), ავადმყოფის ან მოხუცის მომვლელი, შინამოსამსახურე; 2. საოფისე – მდივან-რეფერენტი, ოპერატორი, თარჯიმანი, ბუღალტერი, პროგრამისტი. დარეკეთ: 29-06-40; 95-13-85. პერსონალის შერჩევა უფასოა

მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვითვას უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის. მარჯანიშვილის №23. (მეტროსთან) VI სად. (ეზოდან) ბინა №1. მიღება სამშაბათს, ხუთშაბათს, 18-20სთ. შაბათს 12-16სთ. ტ: 35-20-06

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ემკურნალობ უფასოდ. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58

სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან ვამზადებ მალამოებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, საშვილო ნერვის ანთებას, რადიკულიტს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, (მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 4-8 დღეში გარანტიით). მის: გორის ქ. №3, I სად, I სართ. (მ. „წერეთელთან"). მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა, 13-15 სთ. ტელ: 34-05-69. მაყვალა

გთავაზობთ არაქიმიურ მკურნალობას მაქსიმალური შედეგის გარანტიით: ეპილეფსია, შიზოფრენია, ნარკომანია, ალკოჰოლომანია, კლიმაქსი, პოტენციის დაქვითება, სპერმის უხარისხობა, ფიბრომა, კისტა, მიომა, ჰეპატიტი C. მის: მარჯანიშვილის 5, II სართ, ოთახი 214. ტ: 60-02-49; 899 55-48-34

ხალხური შედიცინის მაქსიმალური შედეგები. ჩიყვის, კისტის, ფიბრომის, მიომის, მასტოპათიის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მკურნალობა უოპერაციოდ! დ. აღმაშენებლის №115 (ეზოში), „ფანასკერტელის" პოლიკლინიკა, კაბ. №3, ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 96-68-03 (ბინა); 95-83-54

ვმკურნალობ მცენარეებით: თირკმელებს, ღვიძლს, ნაღველს, საშარდე გზებს, კანის ყველანაირ დაავადებას, ფეხის თითების ქავილს. ფრჩილების სოკოს, მუნს (3 დღეში განკურნების გარანტიით), ბუასილს ყველა ფორმისას. ქრონიკულ აშლილობას და შეკრულობას. მის. დავით აღმაშენებლის 115, პოლიკლინიკის შენობა, კაბ. 19. ტ: 95-83-54 (სამსახური) ლალი.

სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება

ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). ტელ: 34-32-79

გერმანულ-ქართული ფირმა „DAWIT"-ი გთავაზობთ უცხო ენებისა და კომპიუტერზე მუშაობის შესწავლას ინდივიდუალურად. თქვენ მოგემსახურებიან კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც შეგიქმნიან საუკეთესო პირობებს, თქვენთვის სასურველ დროს. ტელ: 98-78-26 „DAWIT"-ი – ბედნიერი მომავალი თქვენს ცხოვრებაში!

ვასწავლი გიტარაზე პოპულარულ ქართულ, რუსულ, უცხოურ სიმღერებს. ფასი 8 გაკვეთილი – 20 ლარი, ბინაზე მისვლით – 25 ლარი. შესაძლებელია ინტენსიური კურსის ჩატარებაც. ტელ: 39-59-40; 38-80-09

იყიდება

ა/მ „კრაისლერ-სტატუსი", 1995 წლის, მწვანე ჭაობისფერი, საუკეთესო მდგომარეობაში, ახალი ჩამოყვანილი. ფასი 10.000$. ტელ: 34-16-50; 899 51-30-49; 877 40-57-61

სასწრაფოდ! „ვაზ-21-07" მარკის ავტომანქანა, თეთრი ფერის, 1985 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, ტექდათვალიერებით, ახალი აკუმულატორით, „სონის" ფირმის ჩამონტაჟებული მაგნიტოფონით. ტელ: 73-32-61; 877 43-08-61. კობა

ნიჟარებიანი ფარდა (1.20X2.00). ფასი 150 ლარი. ტელ: 23-07-65

ბალზაკი, 15 ტომი – 50 ლარი (რუსულად); ანი ოანერა რუსულად, 2 წიგნი – 10 ლარი; ლეო ტაქსილი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი – 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) – 5 ლარი; 2 ტომეულები (ცვეიგი, ჰიუგო, მერიმე), რუსულად, 2 ტომი – 5 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად – 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

მიღებულია კვების დასამატები სიმაღლეში ზრდისათვის; ორსული ქალბატონებისათვის ეანგბადი წვეთებში; ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის „კატის ბრჭყალი" და „ზვიგენის ხრტილი", რომელიც აძლიერებს იმუნიტეტს და კირავს მეტასტაზს. ტელ: 60-20-27

შევიძენ

„ქართლის ცხოვრების" პირველ ტომს. ტელ: 33-39-54. სალომე

სხვადასხვა

1991 წლიდან, ტრადიციულად, უნივერსიტეტი **„გეორგია"** და მასთან არსებული კოლეჯი (სკოლისგან მოუწყვეტლივ) გიწვევთ სასწავლებლად პრესტიჟულ სპეციალობებზე, ქართულ და რუსულ სექტორებზე.

უნივერსიტეტში – სტომატოლოგიური, საერთაშორისო, ირიდიული, საფინანსო, უცხო ენების და სხვა სპეციალობები; კოლეჯში – სტომატოლოგიური, იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, საფინანსო, ტურიზმისა და უცხო ენების სპეციალობები.

ყველა სპეციალობაზე უცხო ენების, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სწავლება გაძლიერებულია. უნივერსიტეტისა და კოლეჯის დამთავრების შემდეგ გაიცემა სახელმწიფო დიპლომი. ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრებით. სწავლა იწყება 1 სექტემბერს, გლდანის, ვარკეთილის, დიდი დიღმის და დიდუბის რაიონებში.

სწავლების გადასახადში შეღავათი – 30% მიეცემათ ობლებს, მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს, ოშში დაზუპულთა ოჯახის წევრებს, ლტოლვილებსა და ინვალიდებს. საბუთებისა და დამატებითი ცნობების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტ „გეორგიაში", 13-18 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: იოსებიძის ქ. №50 (მეტრო „პოლიტექნიკურთან"). ტელ: 37-42-98

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურისტ-ეკონომისტი);
2. ეკონომიკური (ეკონომისტ-იურისტი);
3. უცხო ენები.

უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან III კურსზე. ფასი 200-250 ლარი.

მის: თოფურიას ქ. №12, ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 32-82-60; 32-06-97 (სალამოს)

გთავაზობთ დასასვენებელი კომპლექსის – „თეთრი ალქანი" 14 დღიან საგზურებს 3-ჯერადი სრულფასოვანი კვებით. სანატორიუმი მდებარეობს ურეკთან, დაბა შეკვეთილში. სანაპიროზე საკურნალო მაგნიტური ქვიშა. ტელ: 93-28-09; 77-86-55; 877 41-19-55

ხსოვნა

ვენერა ალხანაშვილის გახსენება

ვენერა, თხუთმეტ ივლისს მეორედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. ორი წელი გავიდა იმ ავადმოსაგონარი ცამეტი ივლისიდან, რაც სამუდამო სასუფეველში ნაადრევად დაიდე ბინა, ჩვენ კი დაგვტოვე დიდი სევდა და გაუსაძლისი ტკივილი, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს.

ორი წელია შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე და დაგრჩა აუხდენელი ოცნება – პირველს შენ წაგეყვანა სკოლაში შენი სათაყვანებელი შვილიშვილი გიორგი. შენ ხომ უამრავი სიკეთის გაკეთება ვერ მოასწარი!

როგორ გვაკლიხარ, როგორ გვენატრები და ეს მონატრება მოუშუშებელ ჭრილობად იქცა.

ღმერთმა ნათელში დამკვიდროს შენი სპეტაკი სული!

შენი ოჯახი, დედა, და

თემურ დოღონაძის ხსოვნას

მიიწურა გაუსაძლისი ორი წელი, ჩვენო ლამაზო შვილო, რაც ჩვენგან წახვედი. დაუნდობელმა სიკვდილმა არც ჩვენ დაგვინდო და არც შენ. შენ, ვისი ლამაზი და კეთილი სიცოცხლეც მოულოდნელად შეწყდა. დაგვტოვე უსაზღვრო ტკივილი შენს გაუბედურებულ დედამამას, ერთადერთ დას, ბიძაშვილ-დეიდაშვილებს. არასოდეს ექნება, ჩემო შვილო, შენს სახლს დავიწყება. ღმერთმა მსუბუქად გამყოფოს ზეციურ სასუფეველში, ჩემო სიცოცხლევ.

შენი ოჯახი, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები

ჩემო თემურ, ჩემი დიდი მწუხარების შემდეგ აღარ მოველოდი, თუ უფალი კიდევ გამწირავდა, მაგრამ იმით ვიმშვიდებ ჩემს გაუბედურებულ თავს, რომ უფალს თურმე ყველაზე ძვირფასები ჰყვარებია, ამ არეული წუთისოფლისთვის არ გაიმეტა გამორჩეულები. ჩემო საყვარელო მამიდაშვილო, მეც გამორჩეულად მიყვარდი და მაინც ღმერთის ნებით ამ წელსაც გავიხსენე შენი ღვთის სასუფეველში წასვლა. ნათელში იყავი და ღმერთი იყოს შენი კეთილი სულის მფარველი.

დალი ნებიერიძე

*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

გთხოვთ, გვიამბოთ ფრედი მერკურიზე და მის ცხოვრებაზე. ვინ იყო იგი წარმოშობით?

ანა ირემაძე, ვატო ლოლუა

ძნელად თუ მოიძებნება მუსიკოსი, რომელსაც ისეთი დიდი გავლენა მოეხდინოს მსოფლიო როკ-კულტურაზე, როგორიც ფრედი მერკურის. თავისი შემოქმედებით მან დაამტკიცა, რომ როკის შესრულება არა მარტო სამი აკორდით, არამედ თითქმის საოპერო ვარსკვლავების სტილითაცაა შესაძლებელი და მიუხედავად ამისა, როკი მაინც როკად დარჩება. მერკურიმ ისიც დაამტკიცა, რომ აუცილებელი არ არის შოუ უხეში ან პომპეზური, თანაც გაუგებარი იყოს — ის არტისტიზმი, რომელიც საუკუნეების მანძილზეა სრულყოფილი და ჩამოქნილი კლასიკური მუსიკით, თანამედროვე მუსიკამაც უნდა გამოიყენოს — დაბოლოს, რომ თვით სიკვდილიც უძლურია ნიჭიერი მუსიკოსის წინაშე.

მომავალი მუსიკოსი 1946 წლის 5 სექტემბერს დაიბადა კუნძულ ზანზიბარზე, აფრიკის სანაპიროს ახლოს. ზანზიბარი ინგლისური კოლონია იყო, მაგრამ მაინც სპარსელები და ინდიელები ჭარბობდნენ. ინგლისელები ცოტანი იყვნენ. ფრედის (ნამდვილი გვარსახელია ფარუჰ ბულსარა) მშობლები

ᲤᲠᲔᲓᲘ ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ

სპარსელები იყვნენ. მამა ინგლისის საელჩოში ბუღალტრად მუშაობდა, დედის საქმიანობის შესახებ კი არაფერია ცნობილი. 8 წლისა ინდოეთში გაემგზავრა განათლების მისაღებად, წმინდა პეტრეს სახელობის სკოლაში შეიყვანეს, ქ. პანჩგანიში. სკოლა ინგლისელების დაარსებული იყო და განათლებაც — შესაბამისი. სწორედ აქ დაარქვეს თანატოლებმა ფრედი, რომელიც თავადაც მოეწონა. სწავლის პერიოდშივე გამოავლინა მრავალმხრივი ნიჭი — ხატავდა, მღეროდა, სპორტით იყო გატაცებული. სკოლის დირექტორი ჭკვიანი კაცი იყო და მშობლებს შესთავაზა, — ფრედის მუსიკა შეასწავლეთ, ძვირიც არ დაგიჯდებათო. მალე ფრედიმ სკოლაში ჩამოაყალიბა პირველი ჯგუფი „ონავრები“, რომელიც ადგილობრივ დაწესებულებებში მართავდა კონცერტებს. ასე დაიწყო მისი ზესვლა მუსიკალურ ოლიმპოზე.

1962 წელს სკოლა დაამთავრა და ზანზიბარში დაბრუნდა. 1964 წელს ქვეყანაში ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლები დაიწყო და ოჯახი ლონდონში გადასახლდა. ინგლისში თითქოს მიავიწყდა მუსიკა, უფრო გრაფიკამ გაიტაცა. ილინგის მხატვრული კოლეჯიც დაამთავრა, „გრაფიკული ილუსტრაციის“ სპეციალობით. ამ კოლეჯში მოსახვედრი ქულების დასაგროვებლად ერთი წელიწადი პოლიტექნიკურ სკოლაში ისწავლა. ჯიბის ფული რომ ეშოვა, მაღაზიაში მტვირთავად დაიწყო მუშაობა, მაგრამ მისთვის მძიმე აღმოჩნდა ფიზიკური შრომა. შესანიშნავი ხასიათისა და მომხიბვლელობის წყალობით, მტვირთავებმა მისი საქმე იკისრეს, სამაგიეროდ, ფრედი პატრონის ფორტეპიანოზე უკრავდა და მღეროდა, რითაც თანამშრომლებს მოსაწყენ დღეებს ულამაზებდა. ჯიმი ჰენდრიქსის თაყვანისმცემელი იყო და ხშირად ბაძავდა თავის კერპს. შინაც, სადაც თავის მეგობარ ქრის სმითთან ერთად ცხოვრობდა, კედლები მოფენილი ჰქონდა „№1 გიტარისტის“ ფოტოებით. კოლეჯის დამთავრების შემდეგ ფრედი როჯერ ტეილორთან გადასახლდა და კომერციას მიჰყვეს ხელი — ქენსინგტონის ბაზარში თავიანთი დახლი დადგეს. ჯერ ფრედის გრაფიკულ ნამუშევრებს ყიდდნენ, შემდეგ ტანსაცმელს და ათასგვარ ხარახურას. მართალია, კომერსანტი არ გამხდარა, სამაგიეროდ, სწავლის პერიოდში თავს ირჩენდა.

კოლეჯში სწავლისას გაიცნო გიტარისტი ბრაიან მეი, ყველაზე ხალასი ნიჭის კაცი, ფრედის შემდეგ. ფრედი გაიოგნა ბრაიანის ოსტატობამ, ბრაიანი კი — ფრედის ხმამ. მაგრამ მაშინ ერთობლივი კარიერა არ დაუწყიათ. ფრედი ლივერპულელ ჯგუფს „სმაილს“ წარუდგინეს. ძალიან მოეწონათ მისი დაკვრის მანერა — მსუბუქი, არტისტული, დამუხტული. რაღაცით ახალგაზრდა მოცარტს ჰგავდა. ათ დღეში „სმაილის“ რეპერტუარი შეისწავლა, თავისი რამდენიმე სიმღერაც დაამატა და გასტროლებზე წავიდა. მაგრამ „სმაილი“ მალე დაიშალა, ისევე როგორც მეორე ჯგუფი „აიბექსი“. ამ და სხვა შემდგომ ჯგუფებში ფრედი დიდხანს ვერ რჩებოდა — იგი აშკარად გამოხატული ლიდერი იყო. ამას სხვა მუსიკოსები ვერ იტანდნენ. ბოლო ჯგუფიც „საუზ მილქსი“ ხელში შემოეცალა და სასოწარკვეთილმა ნარჩენს Queen-ი უწოდა. ეს შესანიშნავი მოვლენა 1970 წლის აპრილში მოხდა. ფრედის ბრაიან მეიც შეუერთდა და 1971 წლისთვის ჯგუფი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როცა ჯონ დიკონიც მიემატათ. ფრედიმ, როგორც მხატვარმა, მაშინვე დახატა ჯგუფის გერბი, რომელიც ჯგუფის წევრების ზოდიაქოს ნიშნებით შეადგინა. ფრედიმ სიმღერების წერა დაიწყო — პირველივე ორი სიმღერა „Killer Queen“ და „Bohemian Rhapsody“ ჰიტ-პარადს 9 წლის მანძილზე მეთაურობდა. იმ დღესვე შეიცვალა გვარი — მერკური დაირქვა და შეხვდა ქალს, მერი ოსტინს, რომელთანაც ერთად 7 წელი გაატარა და სიკვდილამდე მეგობრობდა.

ფრედის შემდგომი ბედი თითქმის მთლიანად იმეორებს ჯგუფის ბედს. 1975 წელს ჯგუფი იაპონიაში გაემგზავრა საგასტროლოდ. აქ იგრძნო ფრედიმ პირველად, რას ნიშნავს იყო ვარსკვლავი. აღტაცებული თაყვანისმცემლები უკან დასდევდნენ, ეს თავდაპირველად ეხამუშებოდა, მაგრამ მერე სიამოვნებდა კიდეც. მადლიერმა ფრედიმ სამუდამოდ შეიყვარა იაპონია და მთელი სიცოცხლის მანძილზე აგროვებდა იაპონურ ფერწერასა და ანტიკვარიატს. 1985 წლის 13 ივლისი „Queen“-ისა და ფრედისათვის ღირსშესანიშნავი თარიღი გამოდგა. ამ დღეს გაიმართა კონცერტი Live Aid — გრანდიოზული შოუ უემბლის სტადიონზე, სადაც 72.000 მაყურებელი იყო. კონცერტს მთელ მსოფლიოში გადასცემდნენ. ამ კონცერტით ჯგუფმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ისტორიაში. ამ დღიდან „Queen“-ი ფრედი მერკურის სასიცოცხლო იმპულსი, მისი ძირითადი საქმე შეიქნა. მერკურის დამოუკიდებელი გამოსვლებიც ჰქონდა, მათ შორის ყველაზე ცნობილი მონტსერატ კაბალიესთან ერთად გამართული კონცერტი გახლდათ, გამოუშვა რამდენიმე სოლოალბომი, გამოვიდა სამეფო ბალეტთან ერთად, მაგრამ მუდამ „Queen“-ს უბრუნდებოდა ფრედი — იმდენად იყვნენ ერთმანეთთან შესისხლხორცებულნი, იმხელა ჰარმონია სუფევდა მათ შორის, რომ უერთმანეთოდ აღარ შეეძლოთ. როგორც იტყვიან, მათი გათიშვა მხოლოდ სიკვდილმა შეძლო... და მაინც, ფრედის ბოლო გამოსვლა „Queen“-თან კი არა, კაბალიესთან ჰქონდა. ეს იყო 1988 წლის 3 ოქტომბერს, გრანდიოზულ ფესტივალზე La Nit-ი, ბარსელონაში. მათ სამი სიმღერა შეასრულეს, ორი დღის შემდეგ კი გამოვიდა ალბომი „ბარსელონა“.

1991 წლის 24 ოქტომბერს ფრედი ბრონქიალური პნევმონიით გარდაიცვალა. ეს დაავადება შიდსის ფონზე განვითარდა. უკანასკნელ წუთამდე მალავდა ამას და მხოლოდ სიკვდილამდე ერთი დღით ადრე საჯაროდ განაცხადა, უკურნებელი სენი მჭირსო. მართალია, პუბლიკის წინაშე აღარ გამოდიოდა, მაგრამ მუშაობა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. იწერდა სიმღერებს, რეპეტიციებს მართავდა და კლიპიც კი გადაიღო „I,m Going Slightly Mad“, რომელიც როკ-ენ-როლის ისტორიაში საუკეთესოდ აღიარეს. ფრედის დღეები დათვლილი იყო — მისი სიკვდილი დიდი დარტყმა შეიქნა ოჯახის, ჯგუფის წევრებისა და მილიონობით თაყვანისმცემლისათვის.

1992 წელს უემბლის სტადიონზე მისი ხსოვნის კონცერტი გაიმართა — ეს იყო ყველაზე ლამაზი და გრანდიოზული სანახაობა როკ-კულტურის ისტორიაში. 1995 წელს კი გამოვიდა ალბომი „Made in Heaven“, რომელშიც ფრედის სიკვდილისწინა ყველა ნამუშევარი შევიდა. ეს იყო საუკეთესო ძეგლი მუსიკოსისათვის.

ᲯᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲔ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ. ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲒᲕᲔᲠᲓ ᲕᲘᲖᲠᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲛᲘᲡᲘᲡᲘᲞᲘᲖᲔ ᲐᲚᲛᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲕᲪᲣᲠᲐᲕᲓᲘᲗ.

ლუი არმსტრონგმა, სწორედ ამ სქელტუჩება ზანგმა, რომელსაც ხმა საერთოდ არ ჰქონდა, მაინც შექმნა ვოკალი, რომლის პრინციპით მერე სარგებლობდა ყველა, ვინც კი ჩახლეჩილი ხმით სიმღერას მოინდომებდა. მოუსმინეთ არმსტრონგის დიდებულ ჰიტს „ინდიგოს განწყობილება“, სადაც იგი არც კი მღერის, არამედ ხრინწიანი ხმით ქმნის ინდიგოს ფერად შეფერადებულ განწყობილებას. მეტიც, სიმღერა თითქოს ეცოტავება და იწყებს სიმღერის ტექსტის კომენტირებას, ლექსს ეკამათება და ისე უკვირს, თითქოს ახლა პირველად ესმისო. და ამ „კირკიტით“ საბოლოოდ დამტკბარი, იღება საყვირს და მისი გამარჯვებული ყვირილი ფარავს ყველას და ყველაფერს.

ჯაზი დიდია და არმსტრონგი წინასწარმეტყველი მისი. ლუომ თქვა: „თუ კითხულობთ, — რა არის ჯაზი, მაშინ მას ვერასოდეს გაიგებთ“ და კიდევ მან თქვა: „ბევრი უკვე სიცოცხლეს დაემშვიდობა. სულ ცოტანიღა დავრჩით — ერთი მუჭა. პარადზე თუ დასაფლავებაზე შეხვედრისას მოხუცი მესაყვირე პატარა ჯო მეუბნებოდა ხოლმე, — ამ საყვირს თავი მოვაკვლევინო? როგორ არა, ვერ მოესწრება! პირველი მე ამოვხდი მაგას სულსო...

გთავაზობთ მცირე ფრაგმენტს ლუი არმსტრონგის მოგონებებიდან. საუკუნის მუსიკოსი თავის პირველ კონცერტს იხსენებს...

(4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲚᲣᲘ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ)

„1922 წლისთვის ახალ ორლეანში ისეთი პოპულარული ვიყავი, რომ ნებისმიერ საღამოზე შემეძლო დაკვრა. ჯო ოლივერი, რომელმაც ახალი ორლეანი 1918 წელს დატოვა, ახლა ჩიკაგოში პირდაპირ გაფურჩქვნილი იყო. დეპეშას დეპეშაზე მიგზავნიდა, მთხოვდა, ჩამოდი, ჩემს ორკესტრში დაუკარიო. მეც ჩავედი.

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. სანამ სცენას არ მივუახლოვდი, ჯომ და მისმა ბიჭებმა ვერც კი დამინახეს. ბოლოს შემამჩნიეს და აჟივჟივდნენ, — ჩამოვიდა! აქ არისო, თან სიხარულით ხტოდნენ.

— გაჩერდით, ერთი წუთით... დამანახეთ ეს კაცი, — აბობოქრდა ჯო, — მოკლეფეხება ეშმაკი რა ხანია, არ მინახავსო.

„მოკლეფეხებას“ მეძახდა. ჯოს ყველაფერი აინტერესებდა. ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ცნობილი „ტაქსიდო ბრას ბენდის“ მუდმივი წევრი ვიყავი და გემზე ვუკრავდი.

— კარგია, შვილო! შენით ვამაყობ, — მითხრა მან, — დიდებულ კომპანიაში ყოფილხარ.

როცა შოუ დამთავრდა, ჯომ შინ წამიყვანა, იგი იქვე, ლინკოლნ-გარდენის კუთხეში ცხოვრობდა.

გზაში მითხრა, ოთახი გექნება საკუთარი აბაზანითო.

— აბაზანა? საკუთარი აბაზანა? ეს რაღაა? — ვკითხე.

ახალ ორლეანში აბაზანის შესახებ არასოდეს არაფერი გვსმენია, მით უმეტეს, საკუთარზე.

...ძველი, ნახმარი, კარგა გაცვეთილი სმოკინგი მეცვა. ეს სმოკინგი გავრეცხე და ისე გავატკიცინე-გავაუთოვე, რომ უცხო თვალს შორიდან პეწიანი მოსჩვენებოდა, თორემ დაკვირვებული კაცი ზედ ნაკერებსაც შეამჩნევდა. არადა მეგონა, ძალაინ ელეგანტურად გამოვიყურები-მეთქი.

დარბაზი სავსე იყო დაუნთუნის ბრწყინვალე მუსიკოსებით.

ძალიან ვღელავდი, როცა ადგილს ვიკავებდი ისეთი მუსიკოსების გვერდით, როგორებიც იყვნენ: ჯონი და ბეიბი დოლდზები, ონორე დუტრეი, ბილ ჯონსონი, ლილ ჰარდინი და თავად კინგ ოლივერი. ძალიან გამეხარდა, როცა მითხრეს, ბეიბი დოლდზმა სმას თავი დაანება და ისევ მუსიკას დაუბრუნდაო.

როცა იმ ღამეს ლინკოლნ-გარდენში პირველი ნოტა ავახმიანეთ, მაშინვე მივხვდი, — აქ ჩემი საქმეები კარგად წავიდოდა. პაპა ჯოს ბუკი ძველებურად ჟღერდა. პირველი ნომერი ისეთი გენიალური გამოგვივიდა, რომ ბისზე გავიმეორეთ. ჩემი დებიუტის ღამეს ყველა ნომერი ბრწყინვალე იყო. ...ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი გახლდათ. მე ჩრდილოეთში უდიდეს მუსიკოსებთან ერთად ვუკრავდი. ბოლოს და ბოლოს, ბავშვობის ოცნება ამიხდა.

...მოხდა ისე, რომ ახალ ორლეანში ჯაზი და მე ერთდროულად დავიბადეთ. გვერდიგვერდ ვიზრდებოდით, მისისიპიზე ალმა ერთად მივცურავდით.

როცა თქვენთვის ჩვეულ და ბუნებრივ რაღაცასთან ერთად იზრდებით, შეგიძლიათ იგი გიყვარდეთ, მაგრამ მის შეფასებას ნამდვილად ვერ შეძლებთ, ვერ გაიგებთ, კარგია თუ ცუდი ის, რაც ყოველდღიურად თქვენ გვერდით არის, ვიდრე მას სხვა რაიმე მისდაგვარს არ შეადარებთ. ჩიკაგოში ფეხი რომ მოვიკიდე, მიეხვდი, რომ მთელი ცხოვრება თევზებით სავსე აუზში ვცურავდი.

მე უდიდეს მუსიკოსებს შორის ვიზრდებოდი. ისინი ბახსა და ბეთჰოვენს, მოცარტსა და მენდელსონს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებდნენ, შეიძლება მათი სახელები არც კი სმენოდათ. რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩემი აზრით, სწორედ იმიტომაც გახდნენ დიდი მუსიკოსები, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ კლასიკურ მუსიკაზე, არაფერი იცოდნენ ნოტების შესახებ. ისინი უშუალოდ დაკვრის პროცესში ქმნიდნენ და თავიანთ ნაწარმოებებს მხოლოდ მეხსიერებაში ინახავდნენ.

ჩემი აზრით, არსებობს ორი ტიპის შემოქმედი. ერთი არის ადამიანი, რომელმაც შესანიშნავად შეისწავლა საგანი და ამ ცოდნის გაიზრების შემდეგ იწყება მისი შემოქმედება. მეორემ არაფერი იცის და გამოხატვის საშუალებებს თავად ეძებს. ჯაზი, ძირითადად, ამ მეორე ტიპის მსგავსმა ტალანტებმა შექმნეს.

ჯაზს მე ჯერ კიდევ მანამდე ვიცნობდი, სანამ ასეთი მუბუქი და ხელმისაწვდომი გახდებოდა. მინახავს, ფეხშიშველა როგორ დაბიჯებდა იგი ჭუჭყიან ტროტუარებზე, ვიდრე ძვირფას ფეხსაცმელს მოირგებდა, მინახავს, როგორ დაიწყო მოგზაურობა ბრწყინვალე საზოგადოებაში.

ჩემს მეგობრებს და ჯაზის ყველა მოყვარულს ვეუბნები: „იმედი მაქვს, თქვენ ეს მოგეწონებათ“.

ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲐᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲒᲘᲝᲚᲓᲐ...

ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲔᲚ-ᲢᲣᲜᲘᲡᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲐ ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚᲣ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘᲪ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘᲪ ᲒᲐᲔᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲘ ᲜᲘᲭᲘᲡ ᲔᲚᲩᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

18 წლამდე კლაუდიას მასწავლებლობა სურდა. მომავალი ვარსკვლავი თავს ძალზე უშნოდ მიიჩნევდა, ერცხვინებოდა მაღალი მკერდით ქუჩაში გამოჩენა, უფრო ბიჭური ქცევები ჰქონდა და ფლირტს სპორტს ამჯობინებდა. კინოზე არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა. ერთხელ ლიცეუმიდან გამოსვლისას უცნობმა დოკუმენტურ ფილმში გადაღება შესთავაზა (რენე ვოტიეს „ოქროს ჯაჭვები“). ამ ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ სხვა როლიც შესთავაზეს.

ამასობაში ტუნისში სილამაზის კონკურსი გაიმართა. დედამისმა, ქალიშვილის დაუკითხავად, მისი სურათი გაგზავნა კონკურსზე. კლაუდია ტუნისის ყველაზე ლამაზ იტალიელ ქალად აღიარეს და ვენეციის ფესტივალის საგზურით დააჯილდოეს.

კლაუდია ტუნისში ფრანგულ კოლეჯში სწავლობდა. ბრწყინვალედ ლაპარაკობდა არაბულად და სიცილიურ დიალექტზე, მაგრამ იტალიურისა არაფერი გაეგებოდა. ვენეციაში დედა ახლდა. კინოფესტივალის მშვენიერებამ და უამრავ ცნობილ კინოხელოვანთან შეხვედრამ მასაც წაუკიდა მსახიობობის ცეცხლი.

კლაუდიას კონტრაქტი შესთავაზეს. ყმაწვილმა ქალმა არ იცოდა, რას უქადდა მისი პირობები და ხელი დაუფიქრებლად მოაწერა. კონტრაქტი კი ძალზე მკაცრი გამოდგა. რაც არ უნდა გასჭირვებოდა, კინოს თავს ვერ დაანებებდა. არადა ბავშვს ელოდა. მისი ვაჟი პატრიკი, ხანმოკლე სიყვარულის ნაყოფი გახლდათ. ბიჭი 1958 წელს დაიბადა ლონდონში, სრულიად საიდუმლო ვითარებაში. პატრიკს ყველა კლაუდიას უმცროს ძმად იცნობდა. ასე მოითხოვდა მისი პიგმალიონი — კრისტალდი, რომელსაც სურდა კარდინალე ბარდოს კონკურენტი გამხდარიყო. კ.კ.-ს უნდა დაეჯაბნა ბ.ბ.!

კლაუდიამ თანდათან დაიპყრო ეკრანი. ვისკონტიმ „ლეოპარდში“ მიიწვია, ფელინიმ — „8 1/2“-ში. ფელინი „გრძნეულს“ უწოდებდა, ვისკონტი — „მსოფლიოს ყველაზე ამაღელვებელ მსახიობს“, დავიდ ნივენი — „საუკეთესო იტალიურ გამოგონებას, სპაგეტის შემდეგ“, ხოლო ალბერტო მორავია — „სიყვარულის ქალღმერთს“.

კლაუდია დიდად ემადლიერებოდა რეჟისორებს, განსაკუთრებით ვისკონტის. ლუკინოს ხელში ქვაც კი ითამაშებსო, — ამბობს.

მოხდა ისე, რომ კ.კ. ორმა მისმა სათაყვანებელმა რეჟისორმა მიიწვია მთავარ როლებზე ფელინიმ და ვისკონტიმ. ორივე ფილმს ერთდროულად იღებდა. ლუკინოსთან ქერათმიანი უნდა ყოფილიყო კლაუდიას გმირი, ფედერიკოსთან — შავგვრემანი. არც ერთი რეჟისორი არ თანხმდებოდა, რომ მსახიობს პარიკი ეხმარა. ერთ კვირას ქერად ვიღებებოდი და მეორე კვირას — შავად. ჩემი თმის ბედი არც მადარდებდა, რადგან ოცნება ამისრულდა, მეთამაშა კინოს დიდოსტატებთანო, — იგონებს კლაუდია.

60-იან წლებში, როცა ჰოლივუდში იღებდნენ, კლაუდიას შესთავაზეს ბროდვეის მუსიკალურ კომედიაში მონაწილეობა. უარი მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ არ მოსწონს თანამედროვე პიესები. 62 წლის ასაკში სცენაზე თამაში მხოლოდ იმიტომ გაბედა, რომ როგორც თვითონ ამბობს, „ცოტა გიჟია, უყვარს გარისკვა“ და თან უნდოდა, მისი დებიუტი — არ ყოფილიყო წყალში გადაყრილი შრომა.

მეუღლემ, პასკუალე სკიტიერიმ პრემიერის შემდეგ უთხრა: ვიცოდი, რომ ყველაფერს მიაღწევდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე მშვენივრად მოახერხებდიო.

12 წლის წინ კლაუდიამ კინოსთვის თავის დანებება გადაწყვიტა. შემოთავაზებული სცენარები აღარ მოსწონდა, მაგრამ პროფესიის სიყვარულმა თავისი ქნა და როცა უფრო საინტერესო წინადადებებიც გაჩნდა, როლებზე უარი აღარ უთქვამს.

1963 წელს კლაუდია ჰოლივუდში მიიწვიეს და საინტერესოა, რომ მას მერლინ მონროს საგრიმიორო მაგიდა ერგო. უჯრებში ჯერ ისევ ეყარა ბარათები, თმის სარჭები...

კლაუდიას ყოველთვის სექს-სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. როგორც თვითონ ამბობს, არც მის ცხოვრებასა და არც კარიერაში ამ იმიჯის შესაფერისი არაფერი გაუკეთებია. ეკრანზე არასოდეს გაუხდია, არც გადასაღებ მოედანზე გაშიშვლებულა ოდესმე.

დღეს 62 წლის კლაუდიას მხოლოდ 35 წელს თუ მისცემთ. პლასტიკური ოპერაცია არასოდეს გაუკეთებია. ახალგაზრდული იერი ჯანმრთელი ცხოვრების წესის შედეგია. რეგულარულად ვარჯიშობს, ბევრს დადის ფეხით. ოღონდ უზომოდ ბევრს ეწევა. მოწევა გვიან დაუწყია. დამნაშავე კი ლუკინო ვისკონტი გამოდგა. „სანდრაში“ თურმე კლაუდიას სიგარეტი პირიდან არ უნდა გამოეღო. დამორჩილდი რეჟისორის თხოვნას და დღეს სიმწრით თითებს ვიკვნეტო, — ამბობს.

კლაუდია გამუდმდებით იღვწის კაცობრიობის გასაუმჯობესებლად. უშიშრად და თამამად გამოთქვამს საკუთარ აზრს ნარკომანებზე, ალჟირზე, აბორტზე, ტერორიზმსა და ეკოსაშიშროებაზე...

რამ დაანგრია საქართველოს ეკონომიკა...

ᲑᲔᲡᲝ ᲯᲣᲚᲔᲚᲘ

— ბატონო ბესო, რუსეთის დუმამ ამას წინათ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მეწარმეთათვის ჯამური გადასახადი 40%-ს არ უნდა აღემატებოდეს. რუსმა ეკონომისტებმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა გააჯანსაღებს რუსეთის ეკონომიკას და იმოქმედებს ბიუჯეტის ზრდაზე. საქართველოში კი გადასახადთა ჯამური მაჩვენებელი 70%-ს და გარკვეულ შემთხვევებში 90%-საც კი აღწევს. ბიუჯეტის საქმე კი, მიუხედავად ასეთი მაღალი გადასახადისა, სულ უკან და უკან მიდის.

— ცნობილია, რომ დაბალი გადასახადი განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთაც კლასიკური საბაზრო ეკონომიკის დიდი ხნის ისტორია არ აქვთ, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და მის ბიუჯეტზე. ეს, რა თქმა უნდა, წესიერი ხელისუფლების შემთხვევაში, თორემ თუ ქაოსია, გადასახადი გინდ დაბალი იყოს, გინდ მაღალი, ბიუჯეტში მაინც არაფერი შევა.

ცნობილმა ეკონომისტმა ლეფერმა, რომელმაც ჩაატარა გამოკვლევა განვითარებად ქვეყნებში გადასახადების სიდიდესა და ბიუჯეტის ცვალებადობის დამოკიდებულებაზე, გრაფიკულად გამოსახა მისი კვლევის შედეგი, რომელიც ლეფერის მრუდის სახელითაა ცნობილი.

ამ მრუდიდან ჩანს, რომ საბიუჯეტო შენატანები განვითარებად ქვეყნებში პიკს მაშინ აღწევს, როცა ჯამური გადასახადის სიდიდე 25%-დან 30%-მდეა. შემდეგ, როდესაც ორდინატაზე იზრდება ჯამური გადასახადის სიდიდე, ლეფერის მრუდი გვაჩვენებს, რომ თანდათან ეცემა ბიუჯეტში შენატანის რაოდენობა. ბევრს ჰგონია, მაღალი გადასახადების შემთხვევაში უფრო მეტი შევა ბიუჯეტში. ეს ასე არ არის, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში ხდება გარიგება მწარმოებელსა და გადასახადების ამკრეფს შორის. მეწარმე მცირე ნაწილს იხდის ბიუჯეტში, ნაწილს კი ერთმანეთში იყოფენ. გადამხდელის მიერ ბიუჯეტში შეტანილი ეს მცირე თანხა პლუს ქრთამი, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 60%-იანი, 70%-იანი ან 80%-იანი გადასახადი. ასეთი გარიგების შედეგად იგებს გადამხდელი და გადასახადების ამკრეფი, ბიუჯეტი კი აგებს. კორუფციის წარმოშობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი მაღალი გადასახადია.

ზოგიერთ საქონელზე ჩვენთან, მაგალითად, — აქციზურ საქონელზე ჯამური გადასახადი 90%-ს აღწევს. აქ სოციალურ, საგზაო ფონდის, ჯანმრთელობის დაცვის ფონდის, დასაქმების ფონდის, დღგ-ს, მოგების, მიწის, ძირითადი ქონების გადასახადებს ემატება სააქციზო გადასახადი, ხოლო თუ ნედლეული შემოგაქვს — საიმპორტო გადასახადი და საბაჟო გადასახადი.

საბაზრო ეკონომიკის ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა: გერმანია, ამერიკა, ინგლისი, ჰოლანდია, ბელგია, დანია და ა.შ., ჯამური გადასახადი 60%-ს უახლოვდება, მაგრამ ამ ქვეყნებს იმდენად მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქცია აქვთ, მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების წყალობით, რომ უძლებენ მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურას. უზარმაზარი ექსპორტი აქვთ და ასეთი დიდი ბრუნვის საშუალებით, მაღალი გადასახადების პირობებშიც კი ძალიან მნიშვნელოვანი მოგება რჩებათ.

ავიღოთ ცნობილი რეიგანომიკა: რეიგანმა ამერიკაში, ამ უზარმაზარი ტექნოლოგიების ქვეყანაში, დაწია გადასახადები. ახლა, როდესაც ამერიკის ბიუჯეტში შესულმა თანხამ ტრილიონ რვაასი მილიონი დოლარით გადააჭარბა თავის გეგმურ მაჩვენებელს, ისევ დაიწყო კონგრესში საუბარი გადასახადების დაწევაზე.

— ერთი რამეა საინტერესო: ჩვენში არსებული ასეთი მაღალი ჯამური გადასახადი, რომელიც საგადასახადო კოდექსშია ასახული, ხომ სავალუტო ფონდის ექსპერტების რეკომენდაციების მიხედვითაა შექმნილი, ამ დროს კი ლეფერის მრუდი საწინააღმდეგოს გვეუბნება. რას ნიშნავს სავალუტო ფონდის ასეთი მიდგომა?

— რაც შეეხება სავალუტო ფონდს... შარშან, სინგაპურში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია სავალუტო ფონდის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ბევრ მეცნიერსა და ბიზმესმენს გამოუთქვამს აზრი ამ საკითხზე: ზოგი აქებს სავალუტო ფონდს, ზოგი — ლანძღავს. როდესაც აზრი ასეა გაყოფილი და დაპირისპირება ხდება, ე.ი. რაღაცაშია საქმე, — სავალუტო ფონდი ემსახურება გარკვეული წრეების ინტერესებს. მონოპოლისტური კლანები, რომლებსაც სავალუტო ფონდში მილიარდობით თანხები აქვთ ჩადებული, რაღაც სარგებელს უნდა ხედავდეს. აი, როგორ არის საქმე: როცა სავალუტო ფონდი 0,5%-ს და 0,75%-ს გიწესებს წლიურ განაკვეთს — გენიალური კრედიტია, ხომ? პრაქტიკულად ნულის ტოლია — რა, გიჟდება შენზე? არა. მას სხვა ინტერესი ამოძრავებს და არა მარტო საქართველოს მიმართ. იმ გარკვეულ წრეებს, რომლებიც სავალუტო ფონდის დამფუძნებლებს წარმოადგენენ და მის იდეოლოგიას ქმნიან, სავალუტო ფონდი სჭირდებათ როგორც ეკონომიკური ბერკეტი ბაზრის დასაპყრობად. ამიტომაც სავალუტო ფონდის ინტერესში შედის, რომ შენი წარმოება დაეცეს და გასაღების ბაზარი ნახოს შენს არეალში...

— რა ასეთი ბაზარია, ბატონო ბესო, 5 მილიონიანი საქართველო, რომ ამდენ ამბად ღირდეს. აგერ არ არის რუსეთი?

— მთლად ასეც არ არის საქმე — ხომ არ შეიძლება სავალუტო ფონდმა სხვადასხვა იდეოლოგია გაატაროს სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, რუსეთში ერთი იდეოლოგია გაატაროს, საქართველოში — მეორე და სინგაპურში — მესამე? მას ერთი იდეოლოგია აქვს და მისი აღრევა არ შეიძლება.

ადრე თუ ცეცხლითა და მახვილით იპყრობდნენ ბაზრებს, ახლა ცივილიზებული საშუალებები გამოიყენება, ხდება ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება. ეს ბერკეტი გაძლევს ტრანშს, გეხმარება ძალიან დაბალპროცენტიანი განაკვეთით, მხოლოდ გკარნახობს თავის იდეოლოგიას. შენ თუ სუსტი ხარ, კომპეტენცია არ გყოფნის და მესამე — კორუმპირებული ხარ, ანუ გაწყობს მისი იდეოლოგია, რადგან მასთანაც შეიძლება გარკვეული საფინანსო ინტერესების ჩადება პირადი სარგებლის მიზნით და კიდევ, — შენ თუ იმპორტზე მუშაობ, ე.ი. გაწყობს, რაც შეიძლება მეტი იმპორტი შემოვიდეს საქართველოში. აქედან გამომდინარე, არასახელმწიფო ინტერესების მიხედვით აწარმოებ მასთან მოლაპარაკებას. მან მოგახვია თავზე თავისი პირობები, შენ დაუთმე ყველაფერი და პრაქტიკულად დაიღუპა ქვეყანა ეკონომიკურად. ამიტომ, ჩვენი ეკონომიკის ნგრევაში გარკვეული წილი სავალუტო ფონდსაც მიუძღვის. მაგრამ მათ, რომ აქ წესიერი ხელისუფლება დახვედროდა, — არაკორუმპირებული და პროფესიონალური, რასაკვირველია, ასე ვერ იჯეჯილებდნენ საქართველოში, როგორც ვერ იჯეჯილეს სომხეთსა და რუსეთში. პროცენტული შედარების თვალსაზრისით ვამბობ.

ახლა კი ყველაზე ცუდი, რაც არის: მიუხედავად ჩემი ასეთი დამოკიდებულებისა სავალუტო ფონდის მიმართ, საუბედუროდ, უკვე, ჩვენ დამოუკიდებლად ამ ჭაობიდან ვეღარ ამოვალთ. ახლა პირიქით, ისეთ მდგომარეობაში ჩაგვაგდეს, მაგათი დახმარების გარეშე ვეღარაფერს შევძლებთ. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს უკვე აღარავინ ენდობა, არავინ აქ სერიოზულ ინვესტიციას აღარ გააკეთებს. საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს იმიჯი ნულის ტოლია. ამიტომ ეს ხელისუფლება მთლიანად უნდა წავიდეს... არა სისხლით და ომით... ღმერთმა დაგვიფაროს — დემოკრატიული არჩევნებით. მთელი პარლამენტი და მთავრობა უნდა შეიცვალოს, საერთოდ ახალი ხალხი უნდა მოვიდეს, რომ ვიღაცამ ნდობის მანდატი გამოუცხადოს ახალ ადამიანებს, რადგან ძველებს უკვე აღარავინ ენდობა. ეს არის რეალური გამოსავალი. რაც შეეხება იმას, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნას წვრილმანი ცვლილებები, კი შეიძლება რაღაცა ოდნავ გააუმჯობესოს, — ბიუჯეტში 600 მლნ ლარი შევა თუ 670 მლნ ლარი, ეს პრაქტიკულად არაფრის მომტანია. ეს გამოსავალი არ არის, ეკონომიკის გამოჯანმრთელება ამით არ მოხდება. ასეთი ცვლილება იმას ჰგავს, — სიცხიან ავადმყოფს, რომელსაც 41 გრადუსი სიცხე აქვს, დაუყვანო 39 გრადუსამდე. ჯობია, რასაკვირველია, მაგრამ გამოჯანმრთელება ეს არ იქნება.

მამუკა გიორგაძე

„კონტრაბანდისტებს 70-80 მილიონი კოლოფი სიგარეტი დავუთმეთ...“

სულ მალე საგადასახადო კოდექსი, შესაძლოა, კიდევ ერთხელ გადაისინჯოს. ამჯერად, პარლამენტს გასული წლის ბოლოს, 29 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება მოუწევს, რომლის მიხედვითაც, უფილტრო სიგარეტზე ფიქსირებული გადასახადი დაწესდა და სააქციზო განაკვეთი 5-დან 30 თეთრამდე გაიზარდა. ამავე დროს დღგ-სგან გათავისუფლდა იმპორტით შემოსული სიგარეტი. ამ ცვლილებებს აზრთა სხვადასხვაობა და ცხარე კამათი მოჰყვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს აქტიური მხარდაჭერის წყალობით მაინც განხორციელდა. აქციზის მომატების მოტივი შემოსავლების ზრდა და ამით შეუსრულებელი ბიუჯეტის შევსება გახლდათ. თუმცა, გასული თვეების საშემოსავლო მაჩვენებლები საპირისპიროს მეტყველებენ. გაჩერდა ადგილობრივი წარმოება და ბაზარი იაფფასიანი კონტრაბანდული საქონლით გაივსო. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ადგილზე წარმოებული უფილტრო სიგარეტის ღირებულება, რომელიც საშუალოდ 15-20 თეთრს შეადგენდა, 30 თეთრიანი სააქციზო განაკვეთის დამატების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. ამან კი ერთგვარად წაახალისა კონტრაბანდისტები და გაცილებით იაფი რუსული პროდუქციის შემოტანისკენ უბიძგა. შედეგად — გაჩერდა ადგილობრივი თამბაქოს ფაბრიკები და უმუშევრად დარჩა ათასობით მუშახელი. 6 თვის მანძილზე უმოქმედოდ მყოფი საწარმოების დირექტორები წერილს წერილზე გზავნიდნენ პრეზიდენტისა და პარლამენტის სახელზე სააქციზო განაკვეთის პირვანდელი რაოდენობის (5 თეთრი) აღდგენის თხოვნით. ერთი კვირის წინ კი იმავე მოთხოვნით თამბაქოს №1 და №2 ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა აქციები მოაწყვეს სახელმწიფო კანცელარიის წინ.

გასული წლის 29 დეკემბრის ცვლილების განხორციელებისას საშემოსავლო გადასახადების მინისტრი ნავთობთან ერთად სიგარეტზე გადასახადების ლიბერალიზაციასაც უჭერდა მხარს. თუმცა, ნავთობზე ფიქსირებული გადასახადის დაწესებამ კონტრაბანდა მაინც ვერ მოსპო, პირიქით, გაიზარდა აღურიცხავი მარცხენა პროდუქციის რაოდენობა. ასე რომ, იმავე შეღავათების დაწესებამ შეიძლება არც სიგარეტიდან აკრეფილი გადასახადების რაოდენობაზე იმოქმედოს, მაგრამ ნავთობისგან განსხვავებით, ამ დარგში ადგილობრივი წარმოება არსებობს (თბილისში, ლაგოდეხში, ბათუმში), რომელიც გაჩერებულია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ თამბაქოს ნედლეულის მწარმოებელი გლეხები, რომლებიც მეტწილად ქვეყნის შინაბაზრის იმედად იყვნენ. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ მაინც საამაყოდ გვქონია საქმე, რადგან 1997 წელთან შედარებით თამბაქოს ნედლეულის ექსპორტი 1999 წელს 130 ტონიდან 1.000 ტონამდე გაიზარდა.

წელიწადზე მეტია, რაც ხელისუფლებამ სიგარეტზე აქციზური მარკები შემოიღო. მარკირებას თავდაპირველად ისეთი ეფექტი ჰქონდა, რომ ბიუჯეტში ყოველთვიურად 8-9 მლნ ლარი შედიოდა. გადასახადების წარმატებით ამოღება დიდხანს არ გაგრძელებულა. წლეულს აქციზური მარკებით მიღწეული ფისკალური ეფექტი საგრძნობლად შემცირდა. ამას მოჰყვა ის სოციალური დაძაბულობა, რომელზეც უკვე მოგახსენეთ.

პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის თავმჯდომარის ვიტალი ხაზარაძის აზრით, ეს 5-6 თვე იყო გამოსაცდელი დრო, რომელმაც ნათლად დაგვანახვა, რომ აქციზის გადიდებით შემოსავლები გაზრდის ნაცვლად ათჯერ შემცირდა. „სამწუხაროდ, კონტრაბანდასთან ბრძოლა გვიწევს სატარიფო სისტემით. ჩვენ მათ უნდა მოვუსპოთ ფინანსური დაინტერესება ადგილობრივ სიგარეტზე ფასდაკლებით. სააქციზო ტარიფების არასწორი რეჟიმით, ფაქტობრივად, კონტრაბანდისტებს თვეში 70-80 მილიონი კოლოფი სიგარეტის ბაზარი დავუთმეთ“. ჯერჯერობით, ფინანსთა სამინისტროს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ოფიციალურად არ დაუფიქსირებია. ვიტალი ხაზარაძის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ ზურაბ ნოღაიდელმა ამჯერად მის პოზიციას დაუჭიროს მხარი.

საინტერესოა, როგორ შეხვდება ამ წინადადებას სავალუტო ფონდი, რომელიც გადასახადების შემცირების კატეგორიული წინააღმდეგია. დეკემბერში ნავთობის დაბეგვრის წნეხის შესუსტება მაჭავარიანმა თავის თავზე აიღო. ამჯერად კი, არავინ იცის, ვინ იკისრებს პასუხისმგებლობას. აქციზის შემცირებასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრს ნოდარ ჯავახიშვილს: „ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი სიგარეტის დაბეგვრის ლიბერალიზაციისა, რადგან მსოფლიოში თამბაქოს პროდუქციაზე ყველაზე მაღალი გადასახადებია იმის გამო, რომ ის ჯანმრთელობისთვის მავნებელია. კოლოფი „მალბორო“, რომლის ღირებულებაც 17 ცენტია, 7 დოლარი ღირს. წარმოიდგინეთ, რა მაღალი გადასახადებით იბეგრება იგი, რომ მისი ღირებულება 7 დოლარს აღწევს. გადასახადების 90% აქციზზე მოდის.

გარდა ამისა, სიგარეტის იმხელა ბრუნვაა დღეს, რომ შეღავათები ამ ბიზნესს ნამდვილად არ უნდა დავუწესოთ. საქართველო ამიერკავკასიაში სატრანზიტო და მომმარაგებელ ფუნქციას ასრულებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 17 ცენტიანი „MARLBORO LIGHT“-ის ღირებულება (ანუ 36 თეთრი) ჩვენთან თითქმის 3 ლარია. ყველაზე უხეში გაანგარიშებითაც გამოდის, რომ ერთ კოლოფ სიგარეტზე მოგება ერთ ლარს შეადგენს. და განა რა არის თამბაქოს ნაწარმი ისეთი, რომ 300%-იანი სარგებელი ჰქონდეს?

კონტრაბანდას დაბეგვრასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს კომუნისტებს მიაჩნდათ, რომ თუ გავზრდიდით გადასახადს, კონტრაბანდაც გაიზრდებოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ კონტრაბანდა საბაჟოს თანამშრომლების უსუსური, დანაშულებრივი მოქმედების დამსახურებაა.

რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას, ხშირად გვსაყვედურობენ, რომ მას პირობებს არ ვუქმნით. არადა შემოტანილთან შედარებით ჩვენს სიგარეტს ბევრი ეკონომიკური შეღავათი და სიკეთე გააჩნია. ამიტომ მეტი ლიბერალიზება სიგარეტის წარმოებას აღარ სჭირდება. უცხოური პროდუქცია იბეგრება 12%-იანი საბაჟო გადასახადით, რომელიც ადგილობრივ ნაწარმზე არ ვრცელდება. ამას დაუმატეთ ტრანსპორტირების ხარჯები. გარდა ამისა, იქაურ მუშას მეპატრონე 3.000 დოლარს უხდის, ჩვენი 50 ლარიანი ხელფასისგან განსხვავებით. ასე რომ, ადგილობრივი სიგარეტის წარმოების განვითარებას გაცილებით უკეთესი პირობები აქვს. ასეთ ვითარებაშიც თუ ვერ ახერხებ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, სულ უნდა გაჩერდე. მათი მხრიდან გადასახადების შემცირების მოთხოვნა იმას ჰგავს, რომ გავაუქმოთ სისხლის სამართლის კოდექსი, დავხუროთ ციხეები და დანაშაულიც აღიკვეთებაო. სასაცილოა, არა?“ — ამბობს ჯავახიშვილი.

აშკარაა, რომ ხელისუფლება, მორიგი ტრანშის იმედით, ეცდება სავალუტო ფონდისთვის მიცემული სიტყვა არ გატეხოს და ბიუჯეტი შეასრულოს. სწრაფი ფისკალური ეფექტის მისაღწევად კი იგი ყოველგვარ დათმობაზე წავა და საკუთარ გადაწყვეტილებებსაც შეცვლის.

შექმნილი სიტუაცია ერთ ანდაზას მოგვაგონებს: „აქეთ წახვალ, დაიღუპები, იქით წახვალ, მოკვდებიო“. თავიდათავი ჩვენი უბედურებისა ადმინისტრირებასა და გადასახადების აღურიცხაობაში უნდა ვეძებოთ. რაც მთავარია, სახელმწიფოში არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომელიც წინ აღუდგება კონტრაბანდას და მეწარმეს აიძულებს, დიდი თუ მცირე გადასახადი გადაიხადოს. ნავთობზე დაწესებული შეღავათიანი ტარიფების შემდეგ ძნელია გვქონდეს იმპორტიორთა და მეწარმეთა გულწრფელობის იმედი, რომლებიც სახელმწიფოს შემოსავლებს მაინც უმალავენ. თუმცა, ვიტალი ხაზარაძეს მაინც სჯერა, რომ სიგარეტის ადგილობრივი მწარმოებლები აქციზის 5 თეთრამდე შემცირების შემდეგ ამუშავდებიან, მარცხენა პროდუქციასაც გამოაჩენენ და კეისარს, კეისრისას სრულად მიაგებენ.

ნათია გოგსაძე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 8 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი		1,9649
გერმანული მარკა		0,9528
ინგლ. გირვანქა სტერლინგი		2.9605
ევრო		1,8635
რუსული რუბლი		0,0703
თურქული ლირა	(10.000)	0,0316

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲘᲜᲠᲝ-ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ „ᲛᲗᲘᲔᲑᲘ“
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:
ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ; ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ, �პᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ, ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ.
წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.
9 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს ლიცეუმი
მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა, III-IV სართ.
☎ 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07; 38-87-26

ᲨᲢᲐᲛᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲐᲕᲓᲘᲪᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲨᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ 22
☎99-86-09; 38-37-89

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲭᲐᲚᲣᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲘᲐᲜ ᲤᲐᲡᲐᲓ.
ტელ: 69-26-50 ნოდარი

ᲥᲡᲔᲠᲝᲞᲐᲡᲚᲔᲑᲘ - 5 თეთრი
ᲢᲘᲠᲐᲟᲘ - 2 თეთრიდან
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ
იყიდება
ᲥᲡᲔᲠᲝᲞᲐᲠᲐᲢᲘ
ᲦᲐᲠᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ - 42 ᲐᲡᲚᲘ/ᲦᲗ
ᲤᲐᲡᲘ - 600 $-ᲘᲡ ᲢᲝᲚᲘ
შპს. „კომპანია „ლიბკო“ Company LTD
თბილისი, დ. აღმაშენებლის 99, ტელ.: 96-32-89

რუსეთის ფედერაციის პარტიული კრება

100 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ვლადიმირ პუტინი პრეზიდენტი გახდა. რისი გაკეთება მოასწრო მან ამ 100 დღეში? შექმნა პარტია „ედინსტვო“, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსგავსად პოლიტიკურ მონოპოლიაზე აქვს პრეტენზია, გაამაგრა სპეცსამსახურები და ძალოვანი სტრუქტურები. ცხადია, ძლიერ სახელმწიფოს ძლიერი სპეცსამსახურები უნდა ჰყავდეს, მაგრამ მათი კონცენტრაცია უმაღლეს ხელისუფლებასა და პრეზიდენტის გარემოცვაში, ამ სამსახურებს დიდი გავლენის მქონე ძალად აქცევს.

პუტინი აგრძელებს დაწყებულ რეფორმებს. ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა ალ. ძასოხოვმა მოზდოკში პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა — პრეზიდენტი აპირებს გამოვიდეს სახელმწიფო საბჭოს შექმნის ინიციატივით, რომლის კომპეტენციაში შევა ომისა და მშვიდობის, ფედერალური ბიუჯეტის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, ქვეყნის გარეთ შეიარაღებულ ძალთა გამოყენების საკითხები. ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო საბჭო მიიღებს ამჟამად არსებული ფედერაციის საბჭოს უფლებებს, ეს უკანასკნელი კი გაუქმდება. სახელმწიფო საბჭო კონსტიტუციაში ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები, ამდენად საჭირო გახდება კონსტიტუციის შეცვლა.

სახელისუფლებო ვერტიკალის კონსტრუქცია, რომელსაც აგებს ვლადიმირ პუტინი, კრემლს იმის საშუალებას აძლევს, რომ ხელში მოიქციოს მართვის ყველა სადავე. ამიტომაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა პრინციპით აირჩევენ საკონსტიტუციო საკრებულოს, რომელიც კონსტიტუციაში შესწორების შეტანაზე იმუშავებს. სავარაუდოა, რომ იგი უფრო საბჭოთა პერიოდის პარტიული კრებების მსგავსად იმუშავებს მათთვის დამახასიათებელი ატრიბუტიკით — „ერთხმად მივიღეთ“. კონსტიტუციაში კი შესწორებას თავად პუტინი შეიტანს.

სეგოდნია №145

ევროპის ერთიანი ქარტია

ევროპარლამენტის დეპუტატებს დიდი ხანია სურთ ერთიანი კონსტიტუციის მიღება. ბოლოს და ბოლოს, კვალიფიცირებულმა იურისტებმა შეიმუშავეს კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც ახლო მომავალში წარადგენენ ნიცაში, ევროკავშირის სამიტზე. მოსალოდნელია გულის ამაჩუყებელი პროცედურა. ბებერი ევროპის ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყება. „ერთიანი ევროპის საერთო შვილის“ (ასე უწოდებენ ამ კონსტიტუციას) ნათლობაზე მთავარ პერსონას ჟაკ შირაკი წარმოადგენდა. იგი ხომ იმ ქვეყნის პრეზიდენტია, რომელიც ამჟამად ევროკავშირს თავმჯდომარეობს. ერთმანეთს გადაეჯაჭვა ორი პროცესი — ახალი წევრების გადმობირება და ევროპის ერთიანი ქარტიის მიღება.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის პარლამენტი ერთსულოვნად როდი შეხვდა ამ პროექტს. მაგალითად, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ არ იზიარებს თავისი მეგობრების, ჟაკ შირაკისა და გერჰარდ შროდერის სიხარულს „ინტეგრაციისკენ მორიგი ნაბიჯის“ გადადგმის გამო. დიდ ბრიტანეთს თავად არასოდეს ჰქონია კონსტიტუცია და სურს, დარჩეს თავისი ტრადიციების ერთგული, ამიტომაც არ იჩქარებს, მხარი დაუჭიროს „საეჭვო დოკუმენტს“. აქ საქმე მხოლოდ ტრადიციაში არ არის. ინგლისელები საერთოდ ეჭვით შეჰყურებენ ყველანაირ სიახლეს ევროკავშირში, თუნდაც ერთიანი „ევროს“ შემოღებას. კონსტიტუცია „ერთი — ყველასათვის“ ეროვნულ სუვერენიტეტს საფრთხეს შეუქმნისო, — აცხადებს ბლერი. როგორც ჩანს, ლონდონი ბერლინსა და პარიზს „საზოგადოებრიობის ლოკომოტივის“ როლს უთმობს და თავად გვერდზე დგება. ბრიტანეთის პოზიციას მხარი დაუჭირეს სხვა მონარქიებმა, კერძოდ, დანიამ, ჰოლანდიამ და ბელგიამ. ამ ქვეყნების წარმომადგენლებს აშინებთ, რომ ვაითუ მომავალში საკუთარი სახე დაკარგონ.

იზვესტია №122

ჩეჩნეთში ზეროვანი ომის ახალი ეტაპი დაიწყო

ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე კომენდანტის საათი შემოიღეს. საკონტროლო პუნქტებზე რეჟიმი გაძლიერებულია. ფედერალური ჯარები აქტიურად მიემართებიან არღუნისა და ურუს-მარტანისკენ, სადაც ამას წინათ გამანადგურებელი ტერაქტები მოეწყო. შეიძლება ითქვას, ჩეჩნეთის მეორე ომის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო.

ალაჰი კრძალავს თვითმკვლელობას. სამოთხეში ის ხვდება, ვინც „ალაჰისკენ მიმავალ გზაზე“ იღუპება, ანუ წამებულია (შაჰიდი). სარწმუნოებისთვის ბრძოლაც ყოველთვის საპატიოდ მიიჩნეოდა (არა მარტო მუსლიმანებში), მაგრამ სარწმუნოებისთვის თვითმკვლელობა არ ყოფილა არასოდეს გავრცელებული. ამიტომ, როდესაც პალესტინის რადიკალურმა დაჯგუფებებმა თვითმკვლელები ტერორისტულ ომებში გამოიყენეს ჯერ ისრაელის, შემდეგ აშშ-ის წინააღმდეგ, მუსლიმანი ღვთისმეტყველნი წინ არ აღუდგნენ მათ. უფრო მეტიც, ყურანში იპოვეს იმის დასტური, რომ სხვა რწმენის ხალხთა გარემოცვაში თავის მოკვლა ალაჰისთვის სასურველი საქმეა. ასე იქცეოდნენ ლანკის „თამილ ილამის განმთავისუფლებელი ვეფხვები“. ფანატიკოსი პალესტინელები ათეული წლების მანძილზე პარტიზანთა სისხლიან სასაკლაოზე იზრდებოდნენ. მათი ცხოვრება ყურანით და მტრის სიძულვილით იწყებოდა და მთავრდებოდა. ისრაელელებმა 30 წელი მოანდომეს ქებრონიდან მათ გაძევებას და ბოლოს ისრაელელებმა ერთ ღამეში დატოვეს სამხრეთ ლიბანი.

ჩეჩნეთში ოთხი წელიწადი დასჭირდათ, რომ ფანატიზმის მსგავსი დონისთვის მიეღწიათ. სიმართლე უნდა ითქვას, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა შაჰიდებს გმირად მიიჩნევს. რელიგიური ექსტრემიზმის მოწინააღმდეგე ჩეჩნებიც კი ამაყობენ უკანასკნელი დროის ფანატიზმით. ასეა მოწყობილი კავკასიის და განსაკუთრებით ჩეჩნის მენტალიტეტი. აი, ვთქვათ, ცალფეხა ბასაევი და ცალხელა ხატაბი სამხედრო წარმატების ცოცხალი მაგალითებია. ბოევიკების ახალი ტაქტიკა არცთუ ისე ახალია.

მარტოსული-თვითმკვლელების წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება მხოლოდ აგენტურული დაზვერვით, რაც პრაქტიკულად, შეუძლებელია თანამედროვე ჩეჩნეთში. ნათელი ხდება, რომ ჩეჩნეთის მთელი თაობა რელიგიური უვიცობიდან ფანატიზმში გადავიდა... სერჟენ-იურტში კამიკაძეები ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე საბარგო მანქანებით შეიჭრნენ. ააფეთქეს მილიცია და სამხედრო ქვედანაყოფები. ათობით ადამიანი დაიღუპა და ასობით დაჭრილია. ბოევიკები იმუქრებიან, რომ მიღწეულზე არ შეჩერდებიან. დადგინდა, რომ არღუნსა და გუდერმესზე თავდასხმა ორგანიზებულია ხატაბის მიერ; ურუს-მარტანზე — რამაზან ახმადოვის მიერ. ხატაბმა თავად იკისრა ტერაქტზე პასუხისმგებლობა. მანვე აუწყა ქვეყანას ფედერალების დანაკარგი. არღუნში დაიღუპა 120 ჯარისკაცი, გუდერმესში — 150; ნოვოგროზნენსკოეში — 140 და ურუს-მარტანში — 80 ადამიანი. ასლან მასხადოვი ირწმუნება, რომ საკმარისია ბოევიკებმა ასეთი პარტიზანული ომი 2-3 თვეს განაგრძონ და რუსეთის ხელისუფლება მიხვდება, რომ რესპუბლიკაში კონტროლის დამყარებას ვერ აღწევს და ფედერალები დატოვებენ რესპუბლიკას. უკანასკნელმა მოვლენებმა დააბნია ფედერალების ხელმძღვანელობა, ბოევიკებმა კი თავი აიწყვიტეს.

რუსული პრესის მიხედვით

ინგუშეთში არჩევნები ჩაიშალა

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის აზრით, ინგუშეთში არჩევნების ჩაშლა ადგილობრივი ხელისუფლების ბრალია, პრეზიდენტ აუშევს კი ასე არ მიაჩნია. რუსლან აუშევმა უპასუხა „კომერსანტის“ კითხვებს.

— რესპუბლიკაში იყავით, როცა მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არჩევნების ჩაშლის თაობაზე?

— შვებულებაში გახლდით, ინგუშეთში არ ვიმყოფებოდი, რამდენადაც ვიცი, საარჩევნო უბნის ხელმძღვანელებმა არჩევნები კი არ გააუქმეს, არამედ გადადგნენ.

— ამბობენ, რომ როტერდამში იყავით, ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალზე.

— მე სრული უფლება მაქვს დავისვენო იქ, სადაც მინდა.

— რატომ გადადგნენ საარჩევნო უბნების ხელმძღვანელები?

— სხვა მეტი რაღა დარჩენოდათ, როცა არჩევნების წინა საღამოს მიუტანეს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება. ღამე ხომ ვერ აუხსნიდნენ ამომრჩევლებს, რომ ერთ-ერთი კანდიდატი, რომლისთვისაც მათ სურდათ ხმის მიცემა, ბიულეტენიდან ამოიღეს. ვფიქრობ, ეს იმ კანდიდატების მოწყობილია, რომლებმაც იცოდნენ, რომ ხმათა საკმაო რაოდენობას ვერ მიიღებდნენ.

მაინც რა მოხდა ინგუშეთში? პატარა რესპუბლიკა, რომელშიც სულ 300 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, ამ ხნის განმავლობაში საარჩევნო ეიფორიაში იმყოფებოდა — უნდა აერჩია თავისი წარმომადგენელი გოსდუმაში. აუშევმა თავის ხალხს პირდაპირ უთხრა — ალიხან ამირხანოვი უნდა ავირჩიოთო. ინგუშები პატივს სცემენ თავიანთ პრეზიდენტს და ხმათა უმრავლესობას ამირხანოვი მიიღებდა, მაგრამ ინგუშეთის უმაღლესმა სასამართლომ ამირხანოვის (მას უჩიოდნენ სხვა კანდიდატები) მიმართ წაყენებული ბრალდება (ამომრჩეველთა მოქრთამვა) სამართლიანად მიიჩნია და იგი გოსდუმაში ასარჩევ კანდიდატთა სიიდან ამოიღო. ამის შესახებ ქვეყანას ტელევიზიის საშუალებით აცნობა ინგუშეთის მთავრობის თავმჯდომარე მ. მალგასოვმა, მან ამომრჩევლებს მოუწოდა, სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილოთ, საერთოდ ნუ წახვალთ არჩევნებზეო. როგორც ჩანს, აქედან წამოვიდა არჩევნების საერთოდ ჩაშლის, უბნების ხელმძღვანელების გადადგომის იდეა. დემოკრატიული არჩევნების ჩაშლის მიზეზებს გენპროკურატურის ბრიგადა იკვლევს.

კომერსანტი №119

ირანში ქალების ჯანყი

ირანის ქალაქების ქუჩებში კვლავ ბარიკადები აღიმართა. ამჟამად საპროტესტო აქციებს თავისუფლებისმოყვარე სტუდენტები კი არ ატარებენ, არამედ ირანელი მორჩილი ქალები. წესრიგის დამცველებს ანგარიში არ გაუწევიათ მოპიკეტეთა სქესისთვის. ხელკეტებიც დაატრიალეს და ცრემლსადენი გაზიც გაუშვეს.

დაახლოებით 3 ათასამდე ქალი ხელისუფლებისაგან ითხოვდა სიღარიბის მოსპობას. მათ გადაკეტეს თეირანისა და ინდუსტრიული ქალაქის ისლამშეჰრის შემაერთებელი მთავარი მაგისტრალი და რაც წინ შეხვდათ, ყველაფერი გააცამტვერეს. უფრო მოგვიანებით ცეცხლის ალიც აბრიალდა. პოლიციელებსა და მეხანძრეებს დიდი ჯაფა დასჭირდათ სიტუაციის „ჩასაქრობად“. „ჩვენს ბავშვებს არც სპორტული მოედანი აქვთ, არც ბაღი, არც საავადმყოფო, არც ბიბლიოთეკა“ — გაიძახოდნენ დემონსტრანტები. ადგილობრივი ქალები იშვიათად ამჟღავნებენ ურჩობას, უკმაყოფილებას. ამჟამინდელმა „ქალების ბუნტმა“ დაფიქრა ირანის ისთებლიშმენტი. სანამ დედაქალაქში ლიბერალები და კონსერვატორები„თავს იტეხენ“, თუ განვითარების რა გზას დაადგეს ირანი, ამასობაში გამოჩნდა ახალი „მესამე ძალა“, რომელსაც არ აინტერესებს არავითარი პოლიტიკური შეხლა-შემოხლა. 1979 წელს შაჰის რეჟიმი დაამხეს თავისუფლებისა და რეფორმების მოსურნე სტუდენტებმა, უკმაყოფილო გლეხებმა და განაწყენებულმა ქალაქელებმა.

...20 წლის შემდეგ კი სიტუაცია შეიძლება კვლავ განმეორდეს. არავინ იცის, ვინ გაიმარჯვებს, კონსერვატორები თუ ლიბერალები. „მესამე ძალაზე“ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული; ვისაც მხარს დაუჭერენ „დამცირებულნი და შაურაცხყოფილნი“, სწორედ მას დარჩება ბურთი და მოედანი.

სეგოდნია №139

მექსიკის ახალი პრეზიდენტი



ლათინური ამერიკის უდიდესი ქვეყანა — მექსიკა, XX საუკუნეში ახალი პრეზიდენტით, ახალი მმართველი პარტიით და გაურკვეველი მომავლით შედის. ახალი პრეზიდენტის — ვინსენტე ფოქსის არჩევნებში გამარჯვება მის დაბადების დღეს დაემთხვა. 58 წლის ფოქსს მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ულოცავენ გამარჯვებას.

არჩეულმა პრეზიდენტმა ყოფილი მმართველი პარტიიდან, რომელმაც 71 წელიწადი იმეფა, მემკვიდრეობით მიიღო ასმილიონიანი ქვეყანა. მათგან 29მლნ — მექსიკელია, 12 — ინდიელი. ისინი, როგორც იბერო-ამერიკული უნივერსიტეტის ექსპერტები იუწყებიან, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ. 7 მლნ მექსიკელი კანონიერი თუ უკანონო გზით აშშ-ში გადაიხვეწა სამუშაოდ. ქვეყნის ეკონომიკა უმძაფრეს კრიზისშია.

ვინსენტე ფოქსი აცხადებს, რომ პირველ რიგში აპირებს მექსიკური დიპლომატიის ტრადიციების შენარჩუნებას, მომავალში — რუსეთსა და კუბასთან ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურებას და კორუფციაზე გამარჯვებას, განათლების სისტემის რეფორმირების დაჩქარებას..

იზვესტია №116

მონღოლეთში ისევ კომუნისტები თავკაცობენ

მონღოლეთის ხელისუფლების სათავეში კვლავაც დუნდინ სუხებატორის მემკვიდრეები მოვიდნენ — საპარლამენტო არჩევნებში მონღოლეთის სახალხო რევოლუციურმა პარტიამ გაიმარჯვა, ადგილობრივმა კომუნისტებმა დიდ ხურალში 76-დან 72 ადგილი მიიღეს.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია ქვეყანას 1921 წლიდან 1996 წლამდე უცვლელად მართავდა. შემდეგ მოსკოვში მომხდარმა ცვლილებებმა ულან-ბატორამდეც მიაღწია. 4 წლის წინ არჩევნებში გაიმარჯვეს დემოკრატებმა, უფრო სწორად, ყოფილმა კომუნისტებმა, რომლებიც დროზე გავიდნენ პარტიიდან. თუმცა მესაქონლეთა ქვეყანაში კაპიტალიზმის აშენება ვერ მოასწრეს. მონღოლებს აუხსნეს, რას ნიშნავს „პრივატიზაცია“, „შოკური თერაპია“, „კორუფცია“, მაგრამ ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. სახელმწიფო ხაზინა ცარიელი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ქვეყანას ბუნებრივი კატაკლიზმები დააცხრა თავს და მონღოლეთის მსხვილფეხა საქონლის ნახევარი გაწყვიტა.

გამარჯვებულ კომუნისტთა ლიდერმა ნ. ენჰბაიარმა განაცხადა, რეფორმების გატარებაზე უარს არ ვამბობთ, მაგრამ პრივატიზაციის შედეგებს აუცილებლად გადავხედავთო.

კომსომოლსკაია პრავდა №120

—ცხელი ზაფხული—

იმ დროს, როცა რუსეთი სითბოზე ოცნებობს, სამხრეთ ევროპაში არ იციან, როგორ დააღწიონ თავი ზაფხულის ხვატს. ხორვატეთში, რუმინეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ალბანეთსა და სერბეთში თერმომეტრის მაჩვენებელი 35 გრადუსზე ქვევით არ ჩამოდის. ბალკანებზე ასეთი სიცხე ნახევარი საუკუნეა არ ახსოვთ. რუმინეთში სასწრაფო დახმარებასა და სახანძრო რაზმის ბრიგადები მუდმივ მზადყოფნაში არიან. ხელისუფლება და მედიკოსები მოქალაქეებს ურჩევენ შესაძლებლობის ფარგლებში ქუჩაში არ გამოვიდნენ. ბალკანებზე მძვინვარებს ხანძრები, იწვის ტყეები, ფერმები. საბედნიეროდ, ადამიანის მსხვერპლი არ არის. სინოპტიკოსების ცნობით, წვიმები კიდევ რამდენიმე კვირა არ იქნება. მაინც ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ათენსა და იტალიის სარდინიაში. სიცხემ აქ 45-50 გრადუსს მიაღწია. საბერძნეთის დედაქალაქის ირგვლივ იწვის მთები, უფრო სწორად, მათზე შეფენილი მწვანე მასივები. იტალიაში ხანძარს შეეწირა აპულიას ოლქის ტყე, ცეცხლი მძვირვარებს რომის შემოგარენშიც. მეხანძრეები ყველაფერს აკეთებენ ხანძრის ჩასაქრობად, მაგრამ თითქმის ვერ ახერხებენ, რადგან ცხელ ქარს ნაპერწკლები შორს გააქვს და ახალ-ახალ კერებს ქმნის.

ნოვიე იზვესტია №112

მოკლედ

ფილიპინეებში ტროპიკულმა წვიმებმა ქვეყნის დედაქალაქის — მანილას ქუჩები საშინლად დატბორა. ტრანსპორტის მოძრაობა, ფაქტობრივად, შეწყვეტილია.

ამერიკის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა. მოქმედი პრეზიდენტის მიმართ არკანზასის შტატის უმაღლესმა სასამართლომ წამოაყენა სარჩელი ადვოკატის ლიცენზიის ჩამორთმევის მოთხოვნით. სარჩელს საფუძვლად დაედო ამერიკის პრეზიდენტის ქცევა „ლევინსკის საქმის“ დროს, როცა კლინტონმა სასამართლოს ცრუ ჩვენებები მისცა.

როკის ლეგენდამ — თინა თერნერმა განაცხადა, რომ დიდი სცენისთვის თავის დანებებას აპირებს. 60 წლის მომღერალს მიაჩნია, რომ სწორედ ახლა, პოპულარობის პიკზე მყოფი უნდა დაემშვიდობოს თავის მსმენელს. თინა თერნერი ამჟამად ევროპაში მართავს გასტროლებს. მერე 40 კონცერტს გამართავს ამერიკაში. ბოლო გამოსვლა იქნება ნოემბერში, სან-ფრანციკოში.

გერმანიაში ქალაქ ფრიდრიჰსჰაკენში აღინიშნა დირიჟაბლის პირველი გაფრენის 100 წლისთავი. დირიჟაბლის კონსტრუქტორი იყო გრაფი ფერნანდ ცეპელინი.

ᲔᲮᲘᲓᲔᲗ ᲜᲐᲛᲖᲔᲣᲠᲘᲡ!

მთელი დღე მზის ქვეშ, ცხელ ქვიშაზე წოლა მომაკვდინებელია. მით უმეტეს, ამ ზაფხულს, როდესაც მზე ასეთი შეუბრალებელია. სწავლულთა პროგნოზით, 2000-2001 წლებში მზის აქტივობა პიკს მიაღწევს და გვემუქრება მაგნიტური ქარიშხლებითა და ძლიერი გამოსხივებით. ასე რომ, ჯობია ჩრდილში იჯდეთ, ვიდრე მზეზე.

თუმცა, მცირე ნამზეური ძალიან სასარგებლოცაა, რადგან მზის ზეგავლენით ორგანიზმში გამომუშავდება ვიტამინი D, მარილიანი აბაზანები კი ამაგრებს ნერვულ სისტემას. ერთი კია, თითოეულ ჩვენგანს თავისი მზის „მარაგი“ აქვს, რომელიც დროთა განმავლობაში მცირდება, ჯერ ერთი — მზე აშრობს კანს და „კუმშავს“ კოლაგენურ ბოჭკოებს, რომელიც მას ამკვრივებს და მოქნილს ხდის. სინოტივისა და კოლაგენის უკმარისობა იწვევს კანის სწრაფ დაბერებას. მეორე — გვსპობს ულტრაიისფერი და ინფრაწითელი გამოსხივებით. ვირუჯებით რა — ჩვენ ვიღებთ „სამმაგ დარტყმას“: A და B ტიპის ულტრაიისფერ და ინფრაწითელ გამოსხივებას. საერთოდ, ულტრაიისფერი B ტიპის სხივები დამწვრობას იწვევენ, A ტიპისა და ინფრაწითელი გამოსხივება კი — კანის ყველაზე ღრმა ფენის გაუწყლოებას და ნაადრევ დაბერებას იწვევს. ალბათ შეგიმჩნევიათ, იმათ, ვისაც უყვარს მზეზე გაშავება, ძალიან ადრე უჩნდებათ ნაოჭები და ასაკობრივი პიგმენტური ლაქები. მზის სხივები ზემოქმედებას ახდენს თვალის ბადურაზე და აქვეითებს მხედველობას. ამიტომ, საგანგებოდ მოემზადეთ პლაჟზე წასასვლელად: არ დაგავიწყდეთ მუქი სათვალე და მზისგან დამცავი კანის კრემი, მაგრამ არ უნდა აგერიოთ მზისგან დამცავი კრემი — ნამზეურის კრემში.

ახლა რამდენიმე რჩევა ნამზეურის მოყვარულებს:

1. ზღვის ზედაპირი ირეკლავს სხივების 5%-ს , ქვიშა კი — 30%-მდე.

2. ცურვისას რომ არ დაიწვათ, გამოიყენეთ წყალგამძლე, მზისგან დამცავი კოსმეტიკა.

3. ქარიან დღეებში გაძლიერებულია ულტრაიისფერი გამოსხივება, კანი შეიძლება დაიწვას ცივ ამინდშიც.

4. წყლიდან ამოსვლის შემდეგ კანი უფრო სწრაფად იწვის, რადგან მარილის კრისტალები გამადიდებელ შუშასავით აძლიერებს ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებას, ამიტომ უსათუოდ გადაივლეთ მტკნარი წყალი.

5. მზემ რომ არ დაგკრათ და არ დაიწვათ, გაშავდით თანდათანობით: პირველ დღეებში, თუ ღია ფერის კანი გაქვთ, მზეზე დაჰყავით არა უმეტეს 10-15 წუთისა და არანაკლებ 0,5 საათისა, თუ მუქი ფერის კანი გაქვს. ყოველი მომდევნო მზის აბაზანა გაზარდეთ 10-15 წუთით.

6. არ გახვიდეთ მზეზე 12 საათიდან 16 საათამდე, რადგან ამ დროს ის ძალიან მწველია. მიიღეთ მზის აბაზანები დილით ადრე ან საღამოს, მზე ამ დროს ძალიან არ აცხუნებს, კანიც ნელა შავდება და სიშავეც დიდხანს რჩება.

კომსომოლსკაია პრავდა №99

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ **ᲘᲠᲘᲜᲐ ᲚᲝᲛᲝᲗᲐᲛᲘᲫᲔ** ᲗᲐᲛᲝᲒᲐᲗᲐ ᲓᲐᲜᲔᲥᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲕᲔᲪᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲒᲚᲔᲒᲘᲗ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲡ:

- ᲑᲝᲢᲙᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ;
- ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚ ᲡᲘᲗᲗᲔᲑᲡ;
- ᲞᲘᲠᲘᲡ ᲦᲠᲣᲨᲘ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲡᲣᲜᲡ;
- ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲙᲝᲡ; ᲧᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲠᲡ;
- ᲥᲐᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ;
- ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ; ᲤᲔᲮᲘᲡ ᲝᲤᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ;
- ᲗᲛᲘᲡ ᲪᲕᲔᲜᲐᲡ, ᲡᲔᲑᲝᲠᲔᲐᲡ; ᲑᲣᲐᲡᲘᲚᲡ;
- ᲢᲠᲝᲤᲘᲙᲣᲚ ᲬᲧᲚᲣᲚᲡ, ᲬᲘᲗᲔᲚ ᲥᲐᲠᲡ

ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1 ᲓᲦᲘᲡ. ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ 5-10 ᲓᲦᲘᲐᲜᲘᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔᲕᲔ ᲬᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ ᲔᲐᲚᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ, ᲤᲐᲡᲘ 40 ᲚᲐᲠᲘ.

ᲛᲘᲗ: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲖ. №115, „ᲨᲣᲜᲐᲡᲙᲔᲠᲒᲔᲚᲘ“. ᲘᲠᲘᲜᲘᲗᲔᲗ ᲚᲝᲛᲝᲗᲐᲛᲘᲫᲘᲡ ᲐᲣᲗᲘᲐᲥᲘ. ᲢᲔᲚ: 77-68-50 (ᲡᲐᲡ.); 899-51-76-08

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

100%-ᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲗ

ᲥᲐᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲒᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ ᲭᲐᲠᲑᲗᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ (ᲜᲐᲞᲐᲠᲡᲘ, ᲞᲘᲜᲪᲔᲢᲘᲗ ᲐᲛᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ, ᲔᲞᲘᲚᲐᲪᲘᲘᲗ ᲒᲐᲦᲘᲜᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ Ა.Შ.) ᲒᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲘᲪᲣᲠᲜᲝᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲗ ᲗᲘᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲗᲛᲐᲖᲔ. ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲜᲐᲛ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲔᲮᲔᲑᲘᲗ ᲗᲘᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲗᲛᲐᲡ (ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ). ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲛᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲘᲡᲛᲘᲠᲔᲑᲘ. ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲠᲩᲔᲑᲐᲗ ᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲠᲫᲕᲔᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲗ ᲭᲐᲠᲑᲗᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲐᲜᲐᲒᲠᲐᲣᲠᲔᲑᲐ - 1 ᲡᲗ. - 20$.

ᲛᲘᲗ: ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. (ᲖᲔᲛᲝ ᲕᲔᲠᲐ), ᲙᲝᲠᲐ. 6 ᲡᲐᲓ. II ᲡᲐᲠᲗ. 9

☎ 29-42-58; 899-53-01-41

ᲮᲔᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ (ᲝᲡᲢᲔᲝᲥᲝᲜᲓᲠᲝᲖᲘ, ᲓᲘᲡᲙᲝᲖᲘ, ᲐᲠᲗᲠᲝᲖᲘ, ᲡᲞᲝᲜᲓᲘᲚᲝᲖᲘ) ᲓᲐ ᲛᲐᲗᲝ ᲜᲔᲠᲕᲣᲚᲘ, ᲙᲣᲜᲗᲝᲕᲐᲜᲘ, ᲛᲧᲔᲡᲝᲕᲐᲜᲘ, ᲡᲐᲮᲡᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲫᲐᲠᲦᲕᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲕᲔᲠᲢᲔᲑᲠᲝᲜᲔᲕᲠᲝᲚᲝᲒᲘ, ᲛᲐᲜᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲠᲐ�პᲔᲕᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲣᲠᲗᲣᲑᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲘᲕ ᲯᲐᲕᲐᲮᲨᲕᲘᲚᲘᲡ 51, I ᲡᲐᲠᲗ, ᲝᲗᲐᲮᲘ 9

ᲢᲔᲚ: 96-95-69; 877-43-31-26

SGS - ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲔᲥᲡᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ

SGS - ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ

SGS - ᲛᲐᲦᲐᲚᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲡᲔᲥᲡᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ

SGS - ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ

SGS - ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲝᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!

ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲡᲔᲥᲡᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ, ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲡᲘᲥᲝᲗᲔᲠᲐ�პᲔᲕᲢᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲜᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ, ᲜᲔᲕᲠᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲞᲢᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

1. ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲜᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ:

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲝ ᲦᲐᲛᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ.

2. ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ.
3. ᲘᲛᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ, ᲐᲮᲝᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲐ.
4. ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ.
5. ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐ, ᲫᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ, ᲐᲙᲘᲐᲢᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲐ.
6. ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲘᲡ ᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ.

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲥᲡᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ **SGS**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, Ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. №5 (ᲧᲝᲤᲘᲚᲘ „ᲚᲔᲩᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ“), ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗ. ᲙᲐᲑ. 40-41-42-43. ᲢᲔᲚ: 29-34-39. ᲛᲘᲦᲔᲑᲐ 10-19 ᲡᲗ-ᲛᲓᲔ

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲐ

თაფლისა და თაფლის პროდუქტების სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდან არის ცნობილი. დინდგელის (პროპოლისის) სარგებლიანობაზე ჯერ კიდევ ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე და რომაელი ისტორიკოსი პლინიუსი წერდნენ.

დინდგელი ანუ ფუტკრის წებო — ფისისებური სასიამოვნო სუნის, მომწვანო-მოყავისფრო ნივთიერებაა, რომელსაც ფუტკრები იყენებენ როგორც ფიჭის საშენ მასალას და ინფექციისაგან ბუნებრივ დამცველს. დინდგელი შეიცავს 55%-მდე ფისსა და ბალზამს, 30%-მდე ცვილს, 10%-მდე ეთეროვან ზეთებს, 5%-მდე ყვავილის მტვერს და 3-5%-მდე მყარ სუბსტანციებს. ის, როგორც ფუტკრის სხვა ძვირფასი პროდუქტები, მდიდარია ამინომჟავებით, მიკროელემენტებით (რკინა, სპილენძი, მანგანუმი, თუთია), ვიტამინებით (A, C, E, N და P), არომატული და ანტიბიოტიკების მსგავსი ნივთიერებებით. სწორედ ამ უკანასკნელი თვისებით აიხსნება მისი ანტიმიკრობული მოქმედება. დინდგელი ხელს უშლის ლპობის პროცესის განვითარებას, სპობს მიკრობებს, ბაქტერიებს, სოკოს, ვირუსსა და საერთოდ ითვლება ბუნებრივ ანტიბიოტიკად. ამასთან, სხვა ანტიბიოტიკებისაგან განსხვავებით, დინდგელს ნაკლები უკუჩვენება აქვს — ის არ სპობს ნაწლავის მიკროფლორას, ამაგრებს ორგანიზმს და იშვიათად იძლევა ალერგიულ რეაქციას.

ანტიბაქტერიული თვისებების გამო დინდგელი იხმარება ანგინის მკურნალობისას, კანის ჩირქოვანი და სოკოვანი დაავადებებისა და ღორწოვანი გარსის გაცივების შემთხვევაში, ასევე ჰერპესის დროს. ის წარმატებით გამოიყენება ცუდად შეხორცებული დამწვრობისას, ჭრილობების, წყლულების სამკურნალოდ, განსაკუთრებით ეფექტურია ქერტლისა და ფერისმჭამელების სამკურნალოდ. სახის ნელსაცხებელზე დამატებული დინდგელი იძლევა საუკეთესო კოსმეტიკურ ეფექტს. დინდგელგარეული კბილის პასტა კარიესის წარმოქმნას უშლის ხელს. ეს ბუნებრივი წამალი გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა დაავადების დროს. ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან დინდგელი რეკომენდებული იყო იმ ქალებისათვის, რომლებსაც დარღვეული ჰქონდათ მენსტრუალური ციკლი და საერთოდ, გამოიყენებოდა ქალური დაავადებების სამკურნალოდ.

დინდგელი ამაგრებს ორგანიზმის იმუნურ და ნერვულ სისტემას, სტაბილურს ხდის გულის მუშაობას (ასაკის ზრდასთან დაკავშირებულ

დაავადებებს), იცავს არტერიებს ნაადრევი დაბერებისაგან, აწესრიგებს წნევას, შველის უძილობას და ხსნის ნერვულ დაძაბულობას, რომელიც სტრესებით არის გამოწვეული. დინდგელისაგან მზადდება ძალიან ბევრი წამალი, რომელიც გამოიყენება, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მიღებისათვის, მას შეუძლია განკურნოს ადამიანი სხვადასხვა სენისაგან.

ᲚᲘᲖᲐ №48

ᲯᲐᲮᲘᲡ-ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲩᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲛᲐᲠᲬᲧᲕᲘᲡ ᲜᲘᲚᲐᲑᲘ. ნაოჭების წარმოქმნას ხელს უშლის შემდეგი ნიღაბი: 1/4 ჩაის ჭიქა რძეს დაუმატეთ იმავე რაოდენობის მარწყვის წვენი. დაასველეთ მარლა ამ ნარევში და 15-20 წუთით დაიფინეთ სახეზე, დაიფარეთ ზევიდან პირსახოცი. ნიღბის მოშორების შემდეგ სახე არ დაიბანოთ, მსუბუქად გაიწმინდეთ და წაისვით მკვებავი კრემი.

ᲡᲢᲐᲤᲘᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲕᲔᲜᲚᲘ. გაქენით 1ს/კ კარაქი და 1ს/კ ჟელატინი, დაუმატეთ 1ჩ/კ თაფლი და წვრილად გახეხილი სტაფილო. ეს მასა წაისვით სახეზე და გაიჩერეთ 20-30 წუთი. მოიშორეთ კოსმეტიკური ხელსახოცით და შემდეგ ჩამოიბანეთ.

ᲜᲘᲦᲐᲑᲘ ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. აიღეთ თანაბარი რაოდენობის სელის თესლი, ფქვილი, წყალი და კარგად აურიეთ. დაეცადეთ გაჯირჯვება, შემდეგ წაისვით სახეზე და 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ᲒᲐᲡᲢᲠᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ. 1ს/კ დაჩეჩქვილ კრაზანას ბალახს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე და 15 წუთი ადუღეთ დაბალ ცეცხლზე. გაწურეთ და მიიღეთ 1/4 ჭიქა 3-ჯერ დღეში.

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. 5 გ კუნელის ნაყოფს დაასხით მდუღარე წყალი, დაახურეთ მჭიდროდ და 15 წუთი ადუღეთ ორთქლზე. გააცივეთ ოთახის ტემპერატურამდე, გაწურეთ (უნდა გამოვიდეს 200გ). ნაყენი მიიღეთ 1/2 ჩაის ჭიქა 2-3-ჯერ დღეში, 30 წუთით ადრე ჭამამდე.

ᲜᲐᲦᲕᲚᲘᲡ ᲑᲣᲨᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ნაღვლის ბუშტში ქვებს შლის კოწახურის ნაყენი. 10გ კოწახურის ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე, 15 წუთი ადუღეთ ორთქლზე, გააცივეთ, გაწურეთ (უნდა იყოს 200გ). ნაყენი მიიღეთ 1ს/კ 3-4-ჯერ დღეში.

ᲙᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. 1ს/კ ანწლის ყვავილს დაასხით მდუღარე, გააჩერეთ 20 წუთი, გაწურეთ და მიიღეთ 1/4 ჭიქა დღეში 3-4-ჯერ, 5 წუთით ადრე ჭამამდე.

ᲒᲐᲮᲚᲓᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. თუკი გსურთ გახდომა, დიეტის დაწყებამდე უსათუოდ გაესინჯეთ ექიმს, რომ თვითნებური საქციელით ორგანიზმი არ დაიავადოთ. სანამ საქმეს შეუდგებოდეთ, მანამდე კუჭ-ნაწლავი უნდა გაიწმინდოთ.

ძალზე სასარგებლოა დიეტასთან ერთად ვარჯიში, სუფთა ჰაერზე სეირნობა. იკვებეთ მხოლოდ უმი ბოსტნეულითა და ხილით ან ხილ-ბოსტნეულის კომბინირებული წვენებით. სასარგებლოა, თუ მიირთმევთ ალუბალს, ალუჩას, მარწყვს.

სადილად მოამზადეთ სალათა — ორ-ორი ცალი კიტრი და პომიდორი დაჭერით, მოაყარეთ რამდენიმე ღერი დაკეპილი ნიახური, კამა, ოხრახუში, მოასხით 1 ლიმონის წვენი ან 1 ს/კ ვაშლის ძმარი. მარილი და წიწაკა არ არის საჭირო.

მთელი დღის მანძილზე მიირთვით ამგვარი კოქტეილი: 4 ჭიქა მაწონში ათქვეფილი 4 ჩაის კოვზი თაფლი და ამდენივე ხსნადი ყავა. დიეტა გრძელდება ერთი თვე.

ᲭᲐᲠᲑᲗᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. თმიან ადგილებზე დაიდეთ კაკლის ნაჭუჭის ნახარშის ცხელ-ცხელი კომპრესი ან წაისვით ახალდაკრეფილი კაკლის წენგო. საჭიროა არანაკლებ სამი პროცედურისა.

ძალიან ეფექტურია ძაღლის რძე. ახალგამოწველილი რძე წაისვით ჭარბთმიან ადგილებზე და მისი დაცვენის შემდეგ ერთი ღერი თმაც კი აღარ ამოგივათ.

ᲨᲔᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ!

ᲖᲔᲡᲢᲘ

ამ ბუნებრივი დამცველი მექანიზმის გარეშე კაცობრიობა სრულიად უსუსური აღმოჩნდებოდა. ნებისმიერი დაავადების გამომწვევი ბაქტერია თუ ვირუსი დაბრკოლების გარეშე შეაღწევდა ჩვენს ორგანიზში და უამრავ პათოლოგიას მისცემდა გასაქანს. ძლიერი იმუნიტეტი ჯანმრთელობის გარანტიაა. სწორედ მის სიძლიერეზეა დამოკიდებული, დაავადდება ადამიანი თუ ჯანმრთელი დარჩება. გთავაზობთ ტესტს, რომლის მიხედვითაც თავად შეძლებთ შეაფასოთ საკუთარი იმუნური სისტემის ფუნქციონირება.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲗ ᲓᲘᲐᲮ ᲐᲜ ᲐᲠᲐ

1. სპორტით რეგულარულად ხართ დაკავებული;

2. ცივ ამინდში სწრაფად „იყინებით“. თქვენ მუდამ ცივი ხელ-ფეხი გაქვთ;

3. შეგიძლიათ სტრესს ადვილად და სწრაფად გაუმკლავდეთ;

უმნიშვნელო ამბებზე არასოდეს იშლით ნერვებს. ნებისმიერ თავისუფალ წუთს კი დასვენებისათვის მოიხმართ;

4. ხშირად ცივდებით (4-5 და მეტჯერ წელიწადში);

5. ნებისმიერ დისკომფორტს წამლის საშუალებით უცხადებთ ბრძოლას;

6. თქვენი საკვები რაციონი დიდი რაოდენობით შეიცავს ხილსა და ბოსტნეულს. გაზაფხულობით და შემოდგომაზე კი ვიტამინოთერაპიის კურსს იტარებთ;

7. თქვენ კომუნიკაბელური ადამიანი ხართ და ბევრი მეგობარიც გყავთ;

8. ბედნიერი ხართ სიყვარულში და კმაყოფილი ხართ საკუთარი ოჯახით;

9. გიყვართ სუფთა ჰაერი და ბევრსაც სეირნობთ;

10. ეწევით;

11. დროდადრო სიამოვნებით მიირთმევთ 1 ჭიქა კარგ ღვინოს;

12. ქალაქში ცხოვრობთ;

13. აკონტროლებთ საკუთარ წონას;

14. ხშირად სარგებლობთ საზოგადო ტრანსპორტით;

15. დიდ კოლექტივში მუშაობთ;

16. დღე-ღამის განმავლობაში 1-1,5ლ სითხეს ღებულობთ;

17. დიდ დროს ატარებთ თბილ შენობაში;

18. თქვენ მძიმე, ნერვული დაძაბულობის თანმხლები სამუშაო გაქვთ. შეიძლება ითქვას, რომ მთელი საოჯახო საქმე თქვენს კისერზეა;

ᲓᲐᲘᲗᲕᲐᲚᲔᲗ ᲥᲣᲚᲔᲑᲘ. თუ კითხვებზე — 1; 3; 6; 7; 8; 9; 11; 13; 16 დადებითად უპასუხეთ — დაიწერეთ 1 ქულა;

თუ კითხვებზე — 2; 4; 5; 10; 12; 14; 15; 17; 18; 19 უარყოფითი პასუხი გაეცით — მაშინაც 1 ქულა დაიწერეთ;

1-ᲓᲐᲜ 6 ᲥᲣᲚᲐᲛᲓᲔ შეიძლება ითქვას, რომ თქვენი იმუნიტეტი ნულის ტოლია. სწორედ ამის მიზეზია თქვენი სისუსტე და უხასიათობა. თქვენთვის აუცილებელია სპეციალისტის — იმუნოლოგის კონსულტაცია. მის გარეშე ორგანიზმი დამცველი ძალების აღდგენას ვერაფრით შეძლებს.

7-ᲓᲐᲜ 12-ᲛᲓᲔ. შეცვალეთ ცხოვრების წესი, კვება. უფრო ბევრი ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, მიირთვით ვიტამინებით მდიდარი საკვები, ჩაიტარეთ ვიტამინებით მკურნალობის კურსი; ყოველი დილა კონტრასტული (გრილი და თბილის მონაცვლეობა) შხაპით დაიწყეთ. ეს უსათუოდ განამტკიცებს თქვენს იმუნიტეტს.

13-ᲓᲐᲜ 18-ᲛᲓᲔ. თქვენ ძლიერი იმუნური სისტემა გაქვთ, რის წყალობითაც თქვენი ორგანიზმისთვის ბევრი პრობლემა უცხოა. მაგრამ თუ მაინც დაავადდით, ყოველგვარი გართულებების გარეშე სწრაფადვე გაივლის. თქვენ ჯანმრთელობაზე მზრუნავ ადამიანებს მიეკუთვნებით. სავსე ხართ სასიცოცხლო ძალით — ბრწყინვალეა! ასე გააგრძელეთ.

ეძღვნება ქრისტეშობის ორიათას წლისთავს

ჯვარცმა

გოდერძი ჩოხელი

გუდამაყრის ვიწრო ხეობაში, შავი არაგვის ნაპირზე მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო ბილიკებს რომ აუყვები, სულ ხეობის ბოლოში, იქ, სადაც ალპური ზონაა, რომ აღარ ელოდები კაცის სამოსახლოს, სწორედ იქ დაგხვდება სოფელი.

სალაღო.

ასე ჰქვია ამ მართლა ღამაზ და თვალ-გულის გასალაღებელ სოფელს. არსებობს გადმოცემა, რომ როდესაც მირიან მეფემ ქრისტიანობა ქართველთა სარწმუნოებად გამოაცხადა, პირველად არაგვის ხეობაში გაავრცელა ქრისტეს მოძღვრება. მანამდე არაგველები წარმართები იყვნენ და, რაღა თქმა უნდა, სოფელ სალაღოშიც წარმართები ცხოვრობდნენ. ყოველივე ახალი ძნელად მკვიდრდება ადამიანის სულსა და გულში, მით უმეტეს, რწმენა.

არაგველებმა, რაღა თქმა უნდა, უცებ არ ისურვეს ქრისტეს რჯულზე მოქცევა და როგორც მემატიანე გვამცნობს: „მაშინ მეფის ამირსპასალარმა, მცირედ წარმართა მახვილი“.

ამის მერე არაგველებმა ახალი რწმენა მიიღეს, რომელიც დღემდე მოაქვთ (მიუხედავად იმისა, რომ წარმართული სარწმუნოებიდანაც შემოინახეს ბევრი რამ) და ღმერთის შეწევნით, ალბათ, უკუნითი უკუნისამდე იდღესასწაულებენ: აღდგომას, ამაღლებას, მარიამობას, გიორგობას და ზამთარი ზაფხულს შეცვლის, ზაფხული ზამთარს, ზამთარი კი ისე გრძელია, აღდგომამდე მთელი საუკუნე მოგეჩვენება კაცს, აღდგომა და გაზაფხული კი ერთად მოდის, ერთად მოაქვთ სალაღოელებისთვის სიხარული.

აღდგომას უცნაურად ხვდებიან სალაღოელები. წირვა და ზიარება აქ რაღაც თეატრალიზებულია, გაცოცხლებულია, ყველაფერი იქა აქვთ გადატანილი, როცა ქრისტე აწამეს, ორი ათასი წლის წინ. უცნაურად ხდება ყველაფერი: აღდგომის წინა ოთხშაბათს სოფელში აირჩევენ ქრისტეს როლის შემსრულებელ ვაჟს, რომელსაც იმ წელს ოცდაცამეტი წელი შეუსრულდა, დაატყვევებენ და მიჰყავთ „პილატესთან“. პილატე ამ სოფლის ხევისბერი, ამ სოფლის დეკანოზია, ის განაგებს სადღესასწაულო რიტუალებსაც და მას ეკითხება სოფელი ჭკუას. ხევისბერის სიტყვა კანონია აქ, მისი ენა-პირით ღმერთი ლაპარაკობს სალაღოელთა რწმენით.

ხევისბერის ნათქვამ სიტყვას ვერავინ გადავა, ბიჯს ვერ გადაადგამს მის წინ. ამიტომ ასრულებს ხევისბერი „პილატეს“ როლსაც.

დატყვევებულ „ქრისტეს“ (ღმერთო, მაპატიე) მიჰგვრიან, „პილატეს“ და იქ ხალხის თანდასწრებით იწყება „ქრისტეს“ დაკითხვა.

„პილატე“ ეკითხება:

— შენა ხარ მეუფე ჰურიათა?

„დატყვევებული ქრისტე“ ჩუმად დგას.

— მიპასუხე, შენა ხარ-მეთქი მეუფე ჰურიათა?! — ხმას აუწევს „პილატე“.

— მაგას შენ ამბობ, — პასუხობს „ქრისტე“.

შემდეგ გრძელდება მთელი ის სცენა, რაც ორი ათასი წლის წინ გაიმართა მაცხოვარსა და პილატეს შორის. იქვე ჰყავთ დატყვევებული ბარაბა და ორი ავაზაკი.

— მე ამ კაცში ბრალს ვერაფერს ვხედავ, აირჩიეთ, ვინ გავათავისუფლო დღეს?! — ჰკითხავს „პილატე“ სოფელს.

— ბარაბა! ბარაბა! ბარაბა გაგვითავისუფლე!

— ჯვარს აცვი ეგე! ჯვარს აცვი ეგე! — ყვირის სოფელი და „ქრისტეზე“ უთითებენ, — ჯვარს აცვი ეგე!

— წაიყვანეთ და თქვენ თვითონ განსაჯეთ, მე ხელები დამიბანია, — ამბობს „პილატე“ და მისთვის მსახურებს შემოაქვთ სპილენძის თუნგით წყალი.

„პილატე“ ხელებს იბანს.

ამის მერე გამოჰყავთ „ქრისტე“, დაადგამენ თავზე ეკლის გვირგვინს, მოჰკიდებენ ზურგზე, ვინ იცის რამდენი საუკუნის წინათ ძელქვისაგან გაკეთებულ ჯვარს და შეუყენებენ გორას, რომელსაც გოლგოთა-გორას ეძახიან.

ჯვარის აღმართვის წინ თოკებით დააკრავენ ჯვარზე ქრისტეს და ისე აღმართავენ ჯვარს, რა თქმა უნდა, „ავაზაკების“ ჯვრებსაც აღმართავენ აქეთ-იქით.

— წყალი, წყალი მინდა! — უნდა თქვას ჯვარზე გაკრულმა ქრისტემ და ესენი ძმარში ამოვლებულ ღრუბელს მიაწვდიან გრძელი ჯოხით.

მერე ვიღაცა ვითომ გვერდში ატაკებს შუბს, რომელიც, რა თქმა უნდა, უბრალო ბლაგვწვერიანი გრძელი ჯოხია და არაფერს ავნებს.

მერე „ქრისტე“ კვდება ჯვარზე, ჩამოხსნიან, შეახვევენ თეთრ სუდარაში და იქვე ახლოს ამოშენებულ გამოქვაბულში დაასვენებენ.

ეს ხდება პარასკევს.

შაბათს კაციშვილი ხელს არ ანძრევს, ერთმანეთთან დალაპარაკებაც კი არ შეიძლება. წყალსაც კი არ სვამენ, არათუ პურს ჭამენ. მწუხარეა მთელი სოფელი.

კვირა დილით, გამთენიისას, გადააგორებენ გამოქვაბულის შესასვლელთან მყოფ ლოდს და რაც შეიძლება ხმამაღლა რეკავენ ზარებს.

გამოქვაბულიდან გამოდის „ქრისტე“.

მთელ სოფელს სიხარულის ყიჟინა აღმოხდება. ულოცავენ ერთურთს:

— ქრისტე აღდგა!

— ქრისტე აღდგა!

— ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

— შეგეწიოთ ქრისტეს მადლი, ხალხო! — ხმამაღლა გაიძახის გახარებული „პილატე“, რომელიც ვერცხლის ბარძიმით ღვინოს და პურს მოუტანს ახლად აღმდგარ „ქრისტეს“. ის იღებს ბარძიმს და პურს, რომელიც ვერცხლის სინზეა წვრილ ნაწილებად დაწყობილი და ხალხს ეუბნება:

— აჰა, ხალხო, ესე არს ხორცი ჩემი (პურს აჩვენებს სინით) და ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის დანთხეული, სვით ამისაგან და ჭამეთ ამისაგან. ასე ეზიარება ეს სოფელი. მიდიან, სინიდან პურის ნატეხს იღებენ და ჭამენ, ბარძიმიდან ღვინოს მოსვამენ.

ამის მერე მთელი დღე დღესასწაულობს სოფელი.

მართალია, კომუნისტებმა ამ სოფელშიც მიაღწიეს და ხალხს უშლიან ამ რიტუალის ჩატარებას, მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და სოფელი სალაღო თავისი ჩვეულებით ცხოვრობს. ისეთი მივარდნილი ხეობის სიღრმეშია ჩაკარგული ეს სოფელი, კომუნისტები, მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ იქაურების დევნით.

*****

საბა საერთო საცხოვრებლის ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა და სადისერტაციო თემას წერდა.

ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელს“ არჩევდა, ათას რამეს ფიქრობდა ამ პოემის გარშემო, პოემის გმირს, მინდიას, ადამს ადარებდა, რომელიც ქალმა აცდუნა. პარალელს ავლებდა: ადამი ევამ აცდუნა ვაშლის ჭამით,

მინდიაც ცოლმა აცდუნა ნუწუნით და იმ საქმეებისა კეთებით, რითაც ბოლოს მინდია ღმერთს მოსწყდა.



გველი?

მინდიამ ხომ გველის ხორცი ჭამა და ჩვეულებრივი გლეხი გამეცნიერდა, ბალახის ენაც გაიგონა, ხისაც, ქვისაც.

სამოთხის ბაღშიც ხომ გველმა ურჩია ევას ვაშლის ჭამა და ამით აეხილათ უხილავის ხილვის თვალები ადამს და ევას.

ღმერთმა კი იმიტომ გამოაძევა სამოთხის ბაღიდან, რომ გველს მათთვის სიცოცხლის ხის ნაყოფიც არ ეჭმია და ადამი და ევა უკვდავები არ გამხდარიყვნენ.

არც მინდია უნდა დარჩეს ყველაფრის მცნობი. მინდიაც გაძევებული უნდა იქნეს სამოთხის ბაღიდან, რომ მანაც არ იპოვოს მარადიული სიცოცხლის ნაყოფი და არ ჭამოს.

მინდიაც უნდა მოკვდეს.

და კვდება კიდეც.

იმიტომ, რომ ადამის მოდგმაა.

ცოდვიანია ადამის შთამომავლობა.

მაგრამ ღმერთი სიყვარულით სავსეა და შვილს აგზავნის დედამიწაზე ადამის მოდგმის ცოდვისაგან გამოსახსნელად.

გოლგოთაზე, იქ სადაც ჯვარს აღმართავენ, ადამის თავის ქალაა ჩამარხული.

აქ, ამ ადგილას უნდა მოხდეს დიდი მისტერია.

აქედან იწყება ჯოჯოხეთის კარიბჭის შემუსვრა.

აქ, თავისი სიკვდილით, თავის თავზე იღებს ღმერთის საყვარელი ძე ადამიანთა ცოდვებს, ადამიდან დღემდე, როცა კიდევ დიდ ცოდვას სჩადიან და მას კლავენ და დღეის მერეც, ვიდრე იგი მეორედ მოვა ამ ქვეყანაზე ცოდვილთა და მართალთა განსაკითხავად...

ფიქრობს საბა.

წერს...

ფიქრობს...

ოთახის კარს ნინო შემოაღებს.

საბას უხარია მისი მოსვლა. მის დანახვაზე ყოველთვის სიყვარულის ნეტარი ჟრუანტელი უვლის სხეულში.

— დაჯექი, ნინო.

— არა, საბა, წამო, ეკლესიაში წავიდეთ, წირვას დავესწროთ, სადაცაა აღდგომა მოვა.

— ხო, წამო, წავიდეთ.

დიდხანს, დიდხანს იდგნენ ეკლესიაში.

— აღდგომას ხომ ერთად შევხვდებით, საბა... ხომ აქ რჩები? — ეკითხება ნინო.

საბა შეკრთა.

— აბა, მა სად უნდა წავიდე?

— არ ვიცი, იქნებ მთაში მიდიხარ თქვენებთან.

ამაზე უფრო შეკრთა საბა.

მას ყოველთვის უხაროდა და ყოველთვის ეშინოდა აღდგომის დღის დადგომისა. უხაროდა იმიტომ, რომ ღმერთი უყვარდა, იესო მაცხოვარი უყვარდა; ეშინოდა იმიტომ, რომ ბავშვობაში, როცა პირველად ნახა მის სოფელში ჩატარებული აღდგომის რიტუალი, როცა ნახა, როგორ გააკრეს „ქრისტე“ ჯვარზე, გული წაუვიდა შიშისაგან და დედამისმა ძლივს მოასულიერა.

იმ დღის მერე ყოველთვის ეშინოდა.

ახლაც ააკანკალა, ნინომ რომ სააღდგომოდ სოფელში წასვლა შეახსენა.

საბას არ უნდა იქ წასვლა.

საბა წელს ოცდაცამეტი წლის გახდა.

მართალია, მისი ტოლები კიდევ სხვანიც არიან მის სოფელში, მაგრამ წესია ეგეთი, წილისყრა იციან. ვინც იმ წელს ოცდაცამეტი წლისაა, ყველას სახელს, ფურცელზე დაწერილს, ჩააგდებენ „საწილო ჭურჭელში“ და რომ ამოიღებს ხევისბერი „პილატე“, ვისაც ერგება წილი, იმან უნდა იტვირთოს ქრისტეს როლი.

საბას არ უნდა იქ წასვლა.

აქამდეც იმიტომ ვერ მოიყვანა ცოლი, სოფელი კრძალავს, წესი არ არის, სალაღოელმა ვაჟმა ოცდაცამეტ წლამდე ცოლი შეირთოს. მანამდე იგი უმანკო უნდა იყოს.

მხოლოდ მაშინ ეძლევა ცოლის შერთვის უფლება, როცა ან წილი არ ამოუვა, ან წილი ამოუვა და ქრისტეს ვალს მოიხდის.

ღარიბი არის საბა. აბა, სად წამოიყვანს თავის დედას და პატარა დას, სალომეს, თორემ აქამდე მოსწყდებოდა თავის სოფელს, აქამდე მოეკიდებოდა ოჯახს. ნინო ეუბნება, მერე რა, რომ ღარიბი ხარ, დავქორწინდეთ, ჩვენი სიყვარული დაგვარჩენსო.

საბა არ უმჟღავნებს, რატომ არ უნდა დაქორწინება. წინ წილის ყრა ელის. ხომ შეიძლება მას ერგოს წილი.

დედა და და წამოიყვანოს სოფლიდან?

მერე მამის საფლავს რა უყოს?

სოფელი ხომ აღარ მიუშვებს დედამისს ქმრის საფლავზე?

რა ქნას საბამ, წინ ვის რა ელოდება, არავინ არ იცის, მით უმეტეს, არც საბამ იცის.

ეკლესიიდან გამოვიდნენ.

საბამ ნინო სახლამდე მიაცილა და თვითონ ფეხით გაუყვა თავისი პატარა ოთახისაკენ მიმავალ გზას.

იქ კი...

იქ თავისი თანასოფლელი თანატოლები დახვდნენ.

— უნდა წავიდეთ, საბა.

— რა? — დაიბნა საბა.

— გიხაროდეს, საბა, შენ გერგო წილი, — მიულოცეს თანატოლებმა საბას აღდგომას ქრისტეს როლის შესრულება. მათ სოფელში ხომ დიდ პატივად ითვლება ეს როლი. თვითონ აშკარად გულდაწყვეტილები იყვნენ. საბამ ღარიბული საჩუქრები ჩაალაგა დისა და დედისთვის და წავიდნენ სოფლისკენ.

არც დამშვიდობებია ნინოს.

ასე ამჯობინა.

*****

მთელი სოფელი სიხარულით შეეგება საბას. ულოცავდნენ:

— წილი შენ გერგო, საბავ.

— იღბლიანი ჰყოფილხარ.

— ღმერთ ჰყვარებიხარ, ღმერთმა შენ გამოგირჩია.

— აბა, შენ იცი, ხვალ ოთხშაბათია.

დედა ხელებს და თვალებს უკოცნიდა.

საბა ჩუმად იდგა, ხმას არ იღებდა. ხალხში თავის პატარა დას, სალომეს, მოჰკრა თვალი და იმის მზერაში შიში და სევდა დაიჭირა.

ორი უფროსი ძმა მოუკვდა საბას.

სალომე გვიან ეყოლა მის დედ-მამას.

ახლა თერთმეტი წლისაა.

მამა ხუთი წლის წინ დაასაფლავეს და დარჩნენ: დედა, საბა და სალომე, რომელმაც ასეთი დაფიცება იცის:

— ცოცხალ ძმას და წასულების სულებს გეფიცებით, არა ვტყუი!

წასულებში, ძმებთან ერთად, ალბათ, მამასაც გულისხმობს.

ცოცხალი ძმა საბაა და საბასთან ერთად, ალბათ, დედასაც გულისხმობს.

საბას მოტანილმა საჩუქრებმა ძალიან გაახარა სალომე, მაგრამ ის შიში და ელდა მაინც არ შორდებოდა თვალებიდან.

საბას დედამ ხმიადის გამოცხობა დაიწყო. ეს ხმიადი საბამ უნდა მიიტანოს და საკურთხეველში დადონ, რომ როცა „საბა-ქრისტე“ მკვდრეთით აღდგება, ვერცხლის სინზე წვრილად დაჭრილი დაურიგოს და ისე აზიაროს თანასოფლელები.

საბას ბავშვობა ახსენდება და თანდათან შიში ერევა.

— რატო ხარ ეგრე მოწყენილი, დედა გენაცვალოს, უნდა გიხაროდეს, წილი შენ გერგო, ღმერთმა შენ გამოგირჩია.

— არა ვარ მოწყენილი, დედი, დაღლილი ვარ.

— დაიძინე მაშინ, შვილო, დაისვენე, ხო იცი, ხვალ თავდასხმა იქნება შენზე და კარგა მოიფიქრე, პილატეს რა უნდა უპასუხო შეკითხვებზე.

საბა დაწვა.

რა დააძინებდა, ბავშვობაში რომ პირველად ნახა ჯვარცმის რიტუალი, სულ იმის გარშემო ტრიალებდა მისი ფიქრი.

თვალები დახუჭული ჰქონდა.

იგრძნო, სალომე ჩამოუჯდა სასთუმალთან.

— საბა! — ჩუმად ჩასჩურჩულა.

საბამ დას შეხედა.

— საბა, გეშინია?

საბამ ხმა არ გასცა.

— ნუ გეშინია, საბა, მე სულ შენ გვერდით ვიქნები და სულ შენთვის ვილოცებ, რომ არ შეგეშინდეს. ცოცხალ ძმას და წასულებს ვფიცავ, არ გატყუებ.

საბამ თვალები დახუჭა.

ლოყაზე დის ცრემლი დაეცა.

*****

ოთხშაბათს „თავდამსხმელები“ დაესხნენ საბას. წაიყვანეს...

მერე ყველაფერი ისე ჩატარდა, როგორც რიტუალის წესი მოითხოვდა.

„პილატესთან“ რომ წარადგინეს და იმან რომ ჰკითხა:

— თქვი, გეკითხები, შენ ხარ მეუფე ჰურიათა?

— არა, ძია გიორგი, მე საბა ვარ!.. — აღმოხდა საბას.

— ეგრე არ უნდა მიპასუხო, ბიჭო! — გაბრაზდა „პილატე“. — გეკითხები, შენ ხარ მეუფე ჰურიათა?

— მეუფე როგორა ვარ, ძია გიორგი, საბა ვარ, საბა.

— სად ხედავ ძია გიორგის, ვერ ხედავ, რომ პილატე დგას შენ წინაშე?!

— ღმერთს ნუ ვაწყენთ, ძია გიორგი, არც შენა ხარ პილატე და არც მე ვარ ქრისტე, ხომ ხედავ, საბა ვარ.

საბა „პილატესთან“ მივიდა და ჩასჩურჩულა.

— ძია გიორგი, ძალიან მეშინია, ნუ იზამთ ამას.

— ხალხოო, რა ვუყოთ ამას, თქვენ გეკითხებით?

— ჯვარს აცვი ეგე!

— ჯვარს აცვი ეგე! — ღრიალებდა ხალხი.

— მაშინ თქვენთვის მომინდვია და მე ხელები დამიბანია.

სპილენძის თუნგით ხელების დასაბანად წყალი მოართვეს პილატეს.

იმან ხელები დაიბანა.

საბას ეკლის გვირგვინი დაადგეს, მოჰკიდეს ზურგზე საუკუნეების ძელქვის ჯვარი და შეუყენეს გოლგოთას გორას.

სალომე გვერდით მიჰყვებოდა ძმას და ამხნევებდა:

— ნუ გეშინია, საბა, ნუ გეშინია, შენთვის ვლოცულობ, ცოცხალ ძმას და წასულების სულებს გეფიცები, არ გატყუებ.

საბას მუხლები უკანკალებდა შიშისაგან, ძლივს მიჰქონდა ჯვარი.

როგორც იქნა, გორაზე ავიდნენ და როცა საბას თოკებით გაკვრა დაიწყეს ჯვარზე, იყვირა:

— ლურსმნებით მიმაკარით, ლაჩრებო, ლურსმნებით! მშიშრებო, თოკებით იმიტომ მაკრავთ, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ისევე გაუძლოთ ჯვარზე ლურსმნებით გაკვრას, როგორც გაუძლო ჩვენმა მაცხოვარმა. მე თქვენზე მეტად მეშინია, მაგრამ არ მინდა თამაში. ნუ თამაშობთ, იცოდეთ, ქრისტეს ჯვარცმა არ ყოფილა თამაში და არავის არ სჭირდება ეგეთი ზიარება.

გამაკარით-მეთქი ლურსმნებით!

— რას ამბობ, შვილო?! — ამოიქვითინა დედამისმა.

— იმას ვამბობ, დედავ რო, შენც ისევე უნდა გაუძლო და უყურო შენი შვილის წამებას, როგორც ჩვენი მაცხოვრის დედა იტანდა და უძლებდა. ალბათ შენც იმ სხვა დედებივით გინდა იამაყო, ვისაც სხვისი შვილის წამება მთელი გულით არ სტკიოდა ამდენი ხნის მანძილზე, თავისი შვილები კი სათამაშო ქრისტეებად ეამაყებათ და ამით თავსაც იწონებენ, ჩვენმა შვილმა ქრისტეს აღმართზე ჯვარი ამოატარაო. უხარიათ, რომ მართლა ლურსმნებით კი არ გააკრავენ ჯვარზე მის შვილს, მართლა არ გაუგმირავენ გვერდს შუბით, არ შეახვევენ მკვდარს სუდარაში და როცა კვირა დილით სოფლის უფროსობა ზარებს დარეკავს, დიდი ზარ-ზეიმით შეხვდებიან მათ შვილს და სადღესასწაულო სუფრის თავში პატივით დასვამენ.

ეგეთი შვილის დედა გინდა იყო, დედავ?!

ლურსმნებით მიმაკარით-მეთქი, ლურსმნებით! — ყვიროდა საბა, მაგრამ იმას ყურს ვინ უგდებდა, რიტუალს თავისი წესი ჰქონდა და ისიც თოკებით გააკრეს ჯვარზე.

წამოაყენეს ჯვარი.

ზემოდან დახედა საბამ ხალხს და უცებ მთელი არსებით შეიგრძნო ის, რა ტკივილიც იგრძნო ორი ათასი წლის წინ ქრისტემ, როცა ჯვარზე გაკრულმა ხალხს გადმოხედა.

საბას გულმა ამას ვეღარ გაუძლო და გასკდა.

ისეთი ხმა ჰქონდა მისი გულის გასკდომას, ხალხს ქუხილად მოეჩვენა.

საბას თავი ჩამოუვარდა მკერდისაკენ.

ჩამოვარდა სიჩუმე.

მკვდარი სიჩუმე.

ჩამოხსნეს საბა.

დაასვენეს და დიდხანს ხმას ვერავინ იღებდა, დედამისიც კი.

თითქოს მთელი ქვეყნიერება სიჩუმედ გადაიქცა...

*****

სადღაც ტიროდა ნინო. ტიროდა თავის დაღუპულ სიყვარულს. ეს ტირილი გადადიოდა ორიათას წელს იქით და უერთდებოდა მრავალთა ტირილს. ტირილს და გოდებას, იმ დროს, როცა მართლა აწამებდნენ და კლავდნენ ჩვენს მაცხოვარს. იმათ შორის, ალბათ, იდგა ვინმე ლამაზი, შველივით დამფრთხალი ებრაელი გოგო, რომელმაც ის კი არ იცოდა, რომ ღმერთს აწამებდნენ...

ტიროდა ის ებრაელი გოგო.

მას მთელი არსებით უყვარდა იესო.

არ იცოდა, რომ ღმერი უყვარდა.

არ იცოდა, რომ ღმერთს ეტრფოდა.

ის გოგო ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი იყო და როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს შეუძლია შეიყვაროს ვინმე, ისე უყვარდა მასაც.

ჩვენი დიდებული მაცხოვარი ხომ ულამაზესი იყო, როგორც კაცი.

განა შეეძლო იმ შველივით დამფრთხალ ებრაელ გოგოს არ ჰყვარებოდა?!

იდგა, თრთოდა და ტიროდა, როცა იესოს კლავდნენ. მან იმწუთას მხოლოდ ის იცოდა, რომ სიყვარულს უკლავდნენ თვალწინ.

— რატომ?!

რისთვის?!

სინდისი ნიანგსაც ჰქონია

როდესაც ვინმე თავის საქციელს ყალბად ინანიებს, მასზე ამბობენ: „ნიანგის ცრემლებს ღვრისო“. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე ნიანგებსაც ჰქონიათ სინდისი, ისინი მწარედ ინანიებენ თავიანთ საქციელს, განიცდიან, ხანდახან... კვდებიან კიდეც. ასე ფიქრობს მალაიზიის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი უატ უჯაპი, რომლის ქალიშვილი ნიანგმა შესანსლა.

უატის ცხრა წლის გოგონა როს უმბუ მდინარის ნაპირას იდგა და თევზაობდა, როცა მოულოდნელად ნიანგი გამოჩნდა და გოგონას პირი სტაცა. მამა საშველად გაიქცა. თოფი რამდენჯერმე ესროლა ნიანგს, დაჭრა კიდეც, მაგრამ ამაოდ. ნიანგმა გოგონა გაიტაცა და წყალში გაუჩინარდა.

უბედური მამა ჯერ პოლიციაში მივიდა, შემდეგ სატყეო მეურნეობის მუშაკებთან, მაგრამ ნიანგი ვერავინ აღმოაჩინა. სასოწარკვეთილმა უჯაპმა მიაკითხა ბომოხებს, ადგილობრივ ჯადოქრებს.

რამდენიმე დღის შემდეგ, გაურკვეველი მიზეზით, ნიანგი წყლიდან ამოძვრა. თვალთაგან ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა. იმ ადგილას მიხოხდა, საიდანაც გოგონა გაიტაცა და გაოგნებული მამის თვალწინ... მოკვდა.

„ნიანგი მიხვდა თავის დანაშაულს, ამიტომ მოვიდა და ჩამბარდა“, — ამბობს უჯაპი. იგი ფიქრობს, რომ ბომოხებმა ქვეწარმავალს სინდისი გაუღვიძეს და მან ვეღარ აიტანა ასეთი სიცოცხლე.

სოფლელებმა გაკვეთეს ნიანგი, მაგრამ გოგონას ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს. თუმცა უატმა იცნო ნიანგი — მისი ნატყვიარი ეტყობოდა.

ორაკული №7



...და უკან დაიხევს კარმა

კარმის კანონი მკაცრი და შეუბრალებელია: მამების ცოდვას შვილები ზღავენ. კარმული შურისგება ჯერ კიდევ ბავშვობაში ხდება და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე მოქმედებს: ადამიანს არასოდეს არ უმართლებს.

კარმის კანონის შერბილება შესაძლებელია, თუ მშობლები დროზე შეამჩნევენ მის გამოვლინებას და ბავშვს ასწავლიან მის წინააღმდეგ მიზანდასახულ ბრძოლას.

ფსიქოლოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ადამიანის ბედნიერება პირდაპირ კავშირშია მისი სიხარულის უნართან, უფრო სწორად — რა დამოკიდებულება აქვს ცხოვრებისადმი. სწორედ აქ ვლინდება კარმული შურისგება, რაც აიძულებს ადამიანებს მოიქცნენ ისე, რომ ათასგვარი უსიამოვნება და უბედურება დაიტეხონ თავს. თუმცა ადამიანი რომ უბედური იყოს, სულაც არ არის საჭირო, ტანჯო. საკმარისია, ყველგან და ყველაფერში ცუდი დაინახოს და მაშინ მისი ცხოვრება ნამდვილ საპყრობილედ იქცევა. ამისათვის კი საჭიროა ადამიანი ისეთ შეუვალ პესიმისტად ჩამოყალიბდეს, რომელსაც არაფერი ახარებს.

აქედან გამომდინარე, თუ გსურთ საკუთარი შვილის ბედნიერება, ჩამოაყალიბეთ იგი ოპტიმისტად, რაც აზროვნების პოზიტიურ სტერეოტიპზე იქნება დამყარებული. ამიტომ როცა ბავშვს ყოველგვარი საბაბის გარეშე უარყოფითი ფიქრები გაუჩნდება, აუცილებელია ნეგატიური კარმული იმპრინტინგის, ე.ი. ყველაფრის მუქ ფერებში დანახვის თანდაყოლილი მიდრეკილების კორექტირება.

აღმოსავლური სიბრძნე გვკარნახობს: ვისაც მცირე რამ ახარებს, საბოლოოდ ბევრს მიიღებს. სწორედ აქედან უნდა დაიწყოთ. ყოველ მოხერხებულ სიტუაციაში ბავშვს ყურადღება გადაატანინეთ სასიამოვნო საგნებსა და მოვლენებზე: მშვენიერ დილასა და მზის ჩასვლაზე, გემრიელ კერძსა და ყვავილების სურნელზე და ა.შ. ასეთ კორექციას, მისი აუცილებლად ყოველდღიური შესრულების პირობით, დაახლოებით ერთი თვე დასჭირდება. შემდგომში კარგი იქნება, თუ პერიოდულად დაუბრუნდებით ამას, რადგან კარმამ, თუკი საამისო პატარა საბაბიც კი გამოჩნდა, შესაძლებელია ისევ იჩინოს თავი.

შემდეგი ეტაპია ახალი პოზიტიური სტერეოტიპის გამყარება. მიაჩვიეთ ბავშვი ხშირად იფიქროს კარგზე, იმაზე, რაც სიამოვნებას ჰგვრის და დადებით ემოციას იწვევს. ეს კი, სხვათა შორის, ჯანმრთელობის გამყარების წყაროცაა. ამისათვის ყოველდღე, თუნდაც რვეულში ჩაინიშნოს, როგორც კი რაიმე კარგს გაიფიქრებს ან რაიმე სასიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდება. ასეთი პროცედურა მოსაწყენი რომ არ შეიქნეს, თამაშის სახე მიეცით: თქვენც იგივე გააკეთეთ და საღამოს შედეგები შეაჯერეთ. ამასთან ჩვევის გამოსამუშავებლად, პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ დადებით ფაქტებს, სთხოვეთ ბავშვს გაიხსენოს და გიამბოს, რამ გამოიწვია ესა თუ ის მორიგი აღნიშვნა რვეულში. ის, ვისაც მეტი აღნიშვნა ექნება, მოგებულად ჩაითვლება და რაიმე სასიამოვნო პრიზს მიიღებს. ჯილდო რომ არ მობეზრდეს, ყოველდღე კი არა, კვირაში ერთხელ უძღვენით.

ოპტიმისტური აზროვნების სტერეოტიპის საბოლოოდ განსამტკიცებლად საკმარისია ერთი თვე.

დაბოლოს, უკანასკნელი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი რამ: ეცადეთ, ბავშვი დაიცვათ თქვენი მხრიდან უსამართლო სასჯელისგან, რაც დიდხანს რჩება წყენად. გახსოვდეთ: ისე არაფერი აზიანებს ბავშვის ფსიქიკას, როგორც ახლობლებისგან მიყენებული წყენა; თუნდაც ეს „მხოლოდ და მხოლოდ“ მისი ნიჭისა და შესაძლებლობის, ვითომდა უვნებელი შეფასება იყოს, ისეთი, როგორიცაა: „ბრიყვო“, „დოყლაპიავ“, „ზარმაცო“ და ა.შ. არასოდეს არ გადაიტანოთ საკუთარი გაღიზიანება, ბრაზი ან უბრალოდ, ცუდი განწყობა ბავშვზე. თუ მისი დასჯა მოგიწევთ, უნდა იცოდეს — რისთვის. საერთოდ კი დასჯა აღზრდის საუკეთესო მეთოდად ვერ ჩაითვლება, თუმცა მის გარეშეც, სამწუხაროდ, შეუძლებელია. თუ ამ წესს არ დაიცავთ, ყველა თქვენი ძალისხმევა წყალში ჩაიყრება.

აი, რას ამბობს ამის შესახებ მოსკოვის ჰიპნოზის სკოლის პრეზიდენტი გენადი გონჩაროვი: „კარმის — ადამიანის ბედის გასწორება, რაც მას დაბადებიდანვე აქვს დაწერილი — უმჯობესია ბავშვობის ასაკში. მაგრამ ბავშვს ძალა არ უნდა დაატანოთ, განავითარეთ მისი შემოქმედებითი ნიჭი და შინ კეთილგანწყობილი, მშვიდი ატმოსფერო შეინარჩუნეთ“.

და კარმის კანონი იმდენად მოლბება თქვენი ბავშვისადმი, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

პოსლედნიე ნოვოსტი

ძალას თმის ხელელი გვაჩუქებს

ძველთაგანვე მიაჩნდათ, რომ ადამიანის შეჭრილ თმას შეეძლო შეენარჩუნებინა თუნდაც შორ მანძილზე მყოფ თავის პატრონთან იდუმალი კავშირი. საყვარელი ადამიანის კულულს მედალიონში ინახავდნენ, გულთან ახლოს ატარებდნენ და გრძნობდნენ, რომ უხილავი კონტაქტი მართლაც არსებობდა. ამასთან ის ფაქტი, რომ თმის მეშვეობით შესაძლებელია, მის პატრონზე ზემოქმედება, მსოფლიოს ბევრი ხალხის ტრადიციაშია შემორჩენილი. ამიტომაც თმას ხშირად იყენებენ სასიყვარულო მაგიაში. ეს ძალზე სახიფათოა ორივე მხარისათვის და ასეთ დროს ბევრი კურიოზიც ხდება. შოტლანდიური გადმოცემის მიხედვით, XV საუკუნეში ვინმე ჯონ ფიანს ერთი ნორჩი ქალიშვილი შეუყვარდა და მის ძმას სთხოვა, შენი დის სამი ღერი თმა მომიტანეო. ეს ქალიშვილის დედამ შეიტყო და შეყვარებულს ხბოს ბეწვის სამი ღერი გაუგზავნა. ფიანმა მაგიური რიტუალი შეასრულა, მალე ბაკუნ-ბაკუნითა და კუნტრუშით შინ ხბო მიუვარდა და მას შემდეგ ერთი ნაბიჯითაც აღარ მოშორებია.

სხვადასხვა ქვეყანაში ძველთაგანვე არსებობდა მოჭრილი თმის დამალვის ან დაწვის ტრადიცია — შიშობდნენ, ვინმე ბოროტ ჯადოქარს შავ მაგიაში არ გამოეყენებინა. ეს ე.წ. კონტაგიოზური მაგიის სფეროა და გულისხმობს ადამიანსა და მისი სხეულის ყოფილ ფრაგმენტებს შორის (შეჭრილი თმა, ფრჩხილები, სისხლი...) კავშირის შენარჩუნებას.

იდუმალი მოვლენების ფრანგმა მკვლევარმა დე როშმა თავის დროზე გადაწყვიტა შეემოწმებინა, მართლა არსებობს თუ არა მაგიური კავშირი და შესაძლებელია თუ არა გარკვეულ მანძილზე ადამიანზე ზემოქმედება? ექსპერიმენტებში მან ადამიანის მოჭრილი თმა და ცვილი გამოიყენა — ცდისპირი დაუყოვნებლივ რეაგირებდა ჩატარებულ რიტუალზე. სხვათა შორის, ცვილს ექსპერიმენტებში შემთხვევით როდი იყენებდნენ. ცნობილია, რომ მას უზარმაზარი ენერგოშემცველობა აქვს და რომელიმე საგანთან შეხებისას შეუძლია მისი ენერგეტიკის „აღება“. ამასთან დაკავშირებით, მეტად ნიშანდობლივია ეკლესიაში ნათლობისას ჩატარებული რიტუალი: ეკლესიის წიაღში ახალშესულს, როგორც ეს ჯერ კიდევ პავლე მოციქულმა იქადაგა, მღვდელი თმის კულულს აჭრის და ცვილში „ახვევს“. შემდეგ რაც ხდება, საიდუმლოა. ნათლობაც ხომ საიდუმლოა.

მეცნიერები ასეთ მანიპულაციებს დღეს უკვე სერიოზულად ეკიდებიან. ეჭვგარეშეა, რომ მათ საფუძველს რაღაც მეტად ფაქიზი ენერგეტიკული ურთიერთზემოქმედება წარმოადგენს. ახლა დღის წესრიგში დგას სხვა საკითხი: როგორია მათი მექანიზმი? არსებობს ჰიპოთეზა, რომ ეს კავშირი სულის მეშვეობით ხორციელდება. ალბათ ამის გამოძახილია ხალხში დამკვიდრებული ის ჩვეულებები, რომელთა მიხედვით მოჭრილი თმის სანაგვეზე ან სხვაგან გადაგდება უბედურებისა და ავადმყოფობების მომასწავებელია. რამდენ ხანს ინარჩუნებენ მოჭრილი თმა და მისი პატრონი უხილავ კავშირს? ალბათ, იმ დრომდე, სანამ ცოცხალი იქნება თმის ბიოლოგიური უჯრედები ან სანამ წყალში არ აღმოჩნდება თავად თმა! ეს იოლად აიხსნება: წყალი იმდენად ინფორმაციადამტევია, რომ შეუძლია განმუხტოს მასში გადაგდებული არა მარტო ბატარეა, არამედ პრაქტიკულად ნებისმიერი ფაქიზი ენერგიით დამუხტული საგანი.

მაშ, რა ვუყოთ შეჭრილ თმას?

ერთნი გვირჩევენ დაწვას, სხვები ამის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან — ეს თმის ცვენას გამოიწვევსო. არც უარვყოფთ და არც ვადასტურებთ: ამ სფეროში მეცნიერული გამოკვლევები ჯერ არ არსებობს. მაგრამ მოჭრილი თმის გადაგდება წყალში, თუნდაც ტუალეტში, უდავოდ ეფექტური ხერხია მასთან კავშირის გასაწყვეტად.

ტაინაია ვლასტ №13

დეტექტივი პროფესიას იცვლის

42 წლის კერძო დეტექტივი, ახალზელანდიელი კევინ კემი სერიოზულად სწავლობდა უფოლოგიას. ამ ხნის მანძილზე მან ოცჯერ მაინც თვალნათლივ დაინახა ამო, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ სჯეროდა მათი კოსმოსური წარმოშობისა და ყოველთვის ურწმუნოდ უსმენდა უცხოპლანეტელების მიერ გატაცებული ადამიანების მონათხრობს.

ასე იყო 2000 წლის აპრილის ბოლომდე.

22 აპრილის ღამეს კევინი სხეულის თრთოლამ გააღვიძა. ძილი აღარ მიეკარა, ამიტომ გარეთ გამოვიდა და სახლის თავზე დაკიდებული უზარმაზარი თეფშის ფორმის აპარატი დაინახა, რომლის ქვედა ნაწილიდან წითელი სხივები იფრქვეოდა.

დეტექტივმა ვერ იგრძნო, როგორ დაკარგა გონება. დილით იგი სახლის წინ, მდელოზე დაწოლილი ნახა ცოლმა. კევინმა ვერაფრით ახსნა გულის წასვლის მიზეზი, არც არაფერი ახსოვდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კევინმა მეგობარ ჰიპნოთერაპევტს მიაკითხა. ჰიპნოზური რეგრესიის სეანსის დროს დეტექტივმა აღიდგინა იმ ღამის დეტალები, მისი ქვეცნობიერებიდან ამოტივტივდა სურათი, როგორ აიტაცა რაღაც ძალამ მისი სხეული ზევით და ლუკის საშუალებით ხომალდში მოხვდა.

კევინმა დაინახა მოახლოებული უცხოპლანეტელები და საოცარი სიმსუბუქე იგრძნო. მის წინ იდგნენ ირიბთვალებიანი არსებები.

ახლა კევინი დარწმუნებულია, რომ ის იმყოფებოდა კოსმოსურ ხომალდზე.

ამ მოვლენის შემდეგ დეტექტივმა შეამჩნია, რომ გაუჩნდა ხატვის სურვილი, რაც ადრე არასოდეს ჰქონია. მან, სიცოცხლეში პირველად, ფანქრის ერთი მოსმით შექმნა მეუღლის შესანიშნავი პორტრეტი.

ცნობილი დეტექტივი აპირებს პროფესიის შეცვლას, ისევე, როგორც მოულოდნელად შეიცვალა მთელი მისი ცხოვრება.

ნლო №26

„საბალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

საჭმელვორდი

შვეულად: 1. გუფთა; 2. შნიცელი; 3. საცივი; 4. ხაში; 5. ყაურმა; 8. ლობიო; 9. ელარჯი; 10. კუპატი; 11. ტოლმა.

თარაზულად: 6. აჯაფსანდალი; 7. ხინკალი; 10. კატლეტი; 12. ბოზბაში; 13. პიურე; 14. ბულიონი; 15. მწვადი.

ა) „პარ“; ბ) „ული“.

1) სამი ფოსტალიონი, ვინაიდან გზაში შემოყრილი ოთხი ფოსტალიონი მოდიოდა ქალაქიდან.

2) დარჩა სამი სანთელი, დანარჩენი დაიწვებოდა.

3) ერთი კვერცხის, ვინაიდან ერთი კვერცხის შეჭმის შემდეგ უზმოზე აღარ იქნებით.

4) არასოდეს, ვინაიდან პატარა ისარი მოთავსებულია დიდი ისრის ქვემოდან.

5) ძიუდოისტები იყვნენ ქალები — სანდროს დები.

ლოკოკინა

V ნოდარ დუმბაძე; „გლახის ნაამბობი“.

V გლობუსი

V ა) ვარიანტი; ბ) შოკოლადი.

V 1. იოსებ გრიშაშვილი;

2. სტენდალი;

3. სტალინი;

4. ჯეკ ლონდონი;

5. მაქსიმ გორკი;

1. იოსებ მამულაიშვილი;

2. ანრი მარი ბეილი;

3. იოსებ ჯუღაშვილი;

4. ჯონ გრიფითი;

5. ალექსი პეშკოვი.

ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი

ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.

სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.

მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78

სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები

☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-05-69

გამონაყარი, ჭარბთმიანობა, კლიმაქტერული პრობლემები

კვალიფიციური ექიმის უფასო სატელეფონო კონსულტაცია

92-10-13

10-19 სთ-მდე

შაბათ-კვირის გარდა

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

„თბილისის ქუჩების ეშხი და სილამაზე...“

ტიციანის „დაფლეთილი მუგა“

„კვირის პალიტრის“ №16 გამოქვეყნებულ ინტერვიუს ქ-ნ ნიტა ტაბიძესთან რამდენიმე ადამიანი გამოეხმაურა. რედაქციაში ქალბატონმა დარეკა და გვაუწყა, რომ მის პირად არქივში საინტერესო მასალები ინახებოდა თამუნია წერეთელზე.

უცნობ მანდილოსანს შინ ვეწვიეთ. გაგვეცნო, თუმც გვთხოვა მისი ვინაობა არ გაგვემხილა. შეფარული მღელვარებით გვითხრა, – თამუნია წერეთლის ახლობელი ვარ... მეტად ნუ დამაკონკრეტებინებთო, მაგრამ რამდენიმე წუთში თავი გასცა... გავოცდით, ჩვენ წინ 30-იანი წლების ქართველი მწერლების შთაგონების წყაროს – თამუნია წერეთლის სისხლი სისხლთაგანი იდგა.

ფესვები

მასპინძელი მომცრო ოთახში შეგვიძღვა. კედელზე დაკიდებული ფოტოებიდან ბაგრატიონები, წერეთლები და მაჩაბლები გვიმზერდნენ — ეს ჩემი ერთ-ერთი წინაპარი, ერეკლე მეფის ასული ანასტასია ბატონიშვილია, — მეუბნება ქალბატონი. შემდეგ სამი უმშვენიერესი ასულის ფოტოს მაჩვენებს, — ესენი დები — ნიცა, ბაბო და ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილები არიან. ტასო ივანე მაჩაბელს გაჰყვა ცოლად, ნიცა — საჩხერელ

„ბორჯომის“ პავილიონი

თავადს, აკაკი წერეთლის უახლოეს ნათესავსა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორს ბეჟან წერეთელს. თამუნია წერეთელი ნიცასა და ბეჟანის ქალიშვილი იყო. გოგონასთვის სახელი აკაკი წერეთელს დაურქმევია და ძალზე ჰყვარებია მშვენიერი ბავშვი, რომელიც გულში ჩამწვდომად კითხულობდა მის „განთიადს“. 1909 წელს აკაკი წერეთელი პარიზიდან უგზავნის წერილს ნიცა წერეთელს, რომელშიც თავისი საყვარელი ფერია მოიკითხა: „ნიკო (თამუნიას ძმა, აკაკის ნათლული) დამიკოცნე და თამუნიას დავკბენ, მაგრამ ისე ფრთხილად, რომ არ ეტკინოს“.

„თბილისის ქუჩების ეშხი და სილამაზე...“

1924 წელს ქართველ თავადაზნაურობას მძიმე დრო დაუდგა. ნებიერად გაზრდილ თამუნია წერეთელს ბიძაშვილები და ახლო ნათესავები ბოლშევიკებმა დაუხვრიტეს. წერეთლის ასული დედისამარა დარჩა. გაჭირვებამ და უსახსრობამ მომხიბვლელი თავადის ქალი თბილისში ჩამოიყვანა. დიდხანს ეძებდა სამსახურს. ეს ის დროა, როცა კეთილშობილთა გვარის გაგონებაზე ისე კრთებოდნენ, როგორც კეთროვანის დანახვისას... მაგრამ თამუნიას ბედმა გაუღიმა. დიმიტრი ქებაძემ ბორჯომის წყლის პავილიონში მოლარედ მიიწვია სამი თავადის ქალი — ციციშვილი, ხიდირბეგიშვილი და წერეთელი (თამუნიას წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. იცოდა ფრანგული, ინგლისური და რუსული ენები). გონიერმა მეწარმემ ზუსტად გათვალა — ლამაზმა ქალებმა მუშტარი მოიზიდეს. ბორჯომი არნახულად პოპულარული სასმელი გახდა. მოგვიანებით იხსენებს იურისტი პროკოფი ნემსაძე: თამუნიას ეშხით პავილიონში უამრავნი შედიოდნენ. როგორ არ დავიხოცეთ ახალგაზრდები ამდენი ბორჯომის სმითო. დიმიტრი ქებაძე გახარებული ყოფილა წარმატებული ბიზნესით, ხშირად აქებდა თურმე თავადის ასულებს — თქვენა ხართ ჩემი რეკლამაო.

ბორჯომის წყლის პავილიონში „იპოვნეს“ თამუნია წერეთელი ცისფერყანწელებმა. მშვენიერ ასულს იქ გადასცა „დიონისოს ღიმილი“ კონსტანტინე გამსახურდიამ წარწერით — „ძველი საქართველოს ცოცხალ ფრესკას, თამარ წერეთელს“. წითელმიხაკიანი პოეტიც აქ შეხვდა თავის მუზას.

გრიგოლ ცეცხლაძე: „ტიციანს გატაცებით მოსწონდა და უყვარდა ეს მართლაც მშვენიერი ქალი თამუნია წერეთელი, ეს მისმა მეუღლემ ნინამაც იცოდა, მაგრამ არ უშლიდა, რადგან ისიც იცოდა, რომ საქმე შეეხებოდა მხოლოდ პლატონურ ტრფიალს. ტიციანი ამ ქალისადმი მიძღვნილ ლექსებს კიდეც ბეჭდავდა. ყოველთვის მიუხაროდა მის სანახავად. რუსთაველის პროსპექტზე რომ შემხვდებოდა, ხშირად მეტყოდა, წამოდი ქებაძის პავილიონში. თუ თამუნია იქნება, ნაყინზე დაგპატიჟებ, თუ არადა ბორჯომის წყალი დავლიოთ და დავბრუნდეთ, როგორც დამარცხებულებიო.

პავილიონში რომ შევიდოდით, მხოლოდ მივესალმებოდით, არ დაველაპარაკებოდით, მაგრამ ტიციანს მისი ცქერით კმაყოფილს, სახეზე ბედნიერების შუქი ეფინებოდა“.

ნინო მაყაშვილი: „თამუნია ძალიან მომეწონა. იშვიათი სილამაზის იყო. რაღაც კეთილშობილური იერი ჰქონდა, ეშხითა და სიტურფით აღსავსე. ტანწერწეტი და შნოიანი იყო, როგორც ქურციკი. მე ვუთხარი ტიციანს — აღტაცებული ვარ შენი გემოვნებით-მეთქი... ტიციანი არც ისე ახლოს იცნობდა თამუნია წერეთელს, მაგრამ მთელ ამ ამბავს ღრმად და სერიოზულად განიცდიდა“.

ლამაზმანებით განებივრებულ დედაქალაქს ადვილად ვერავინ გააკვირვებდა, მაგრამ თამუნიას გამოჩენაზე თბილისი ფეხზე დადგა.

იოსებ გრიშაშვილი: „მისი გამოჩენა და ატყდებოდა ქუჩაში ჩოჩქოლი, აგერ თამუნია წერეთელი მოდისო. თამარი თბილისის ქუჩების ეშხი და სილამაზე იყო... გვიყვარდა, პოეტური სული ჰქონდა. პოეზიის დიდი პატივისმცემელი იყო. როცა არ შევაღებდით კარს, იგი ყოველთვის თავისი მომაჯადოებელი ღიმილით გვხვდებოდა“.

„ცისფერყანწელები“ ხშირად ელოდნენ სადარბაზოსთან უკარება, მიუწვდომელ წერეთლის ასულს — ყვავილებს უგზავნიდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ, უსაზღვროდ ეტრფოდნენ, მაგრამ თამუნია არავის სიყვარულს არ პასუხობდა... მისი რჩეული ჯერ არსად ჩანდა.

ამპარტავნობის ნასახი არ ჰქონია თამუნიას. მოგვიანებით ხშირად ამბობდა თურმე: ლამაზი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, ერთმა თქვა და მერე ყველამ გაიმეორაო.

ერთხელ იტალიის კონსულს კანზონის (მას ქართველი მეუღლე ჰყავდა) მეჯლისი გაუმართავს და თამუნია მიუწვევია. წერეთლის ასული უარზე ყოფილა, ერიდებოდა ისეთ საზოგადოებაში მისვლა, სადაც თაყვანისმცემლები ეგულებოდა. ჯერ უფეხსაცმლობა მოუმიზეზებია, მერე უთქვამს, — სამეჯლისო კაბა არ მაქვსო. თურმე მიუხვდნენ, — კაბაც მიუტანეს და ფეხსაცმელიც. რაღას იზამდა თამუნია, წასულა მეჯლისზე და თავისი სილამაზით მოუნუსხავს საზოგადოება. უცხოელ ოფიცრებს განსაცვიფრებელი მშვენების ქალბატონის გაცნობა მოუნდომებიათ, მაგრამ თამუნიას უცხო ტომთათვის ვინ გაიმეტებდა... ქართველ ყმაწვილებს წრე შემოურტყამთ თავიანთი კერპისთვის და უცხოელი კავალერები გაუწბილებიათ.

სიყვარულს გაურბოდა თამუნია, მაგრამ მეგობრობისთვის მუდამ მზად იყო. ნათესავმა მას იურისტი და ექიმი ნიკოლოზ კახიძე გააცნო. კოლია და თამუნია დამეგობრდნენ. სამი წლის შემდეგ, მათი მეგობრობა (1928 წელს) ქორწინებით დამთავრდა. კოლიას ძალიან შევეჩვიე, შემიყვარდა, — იტყვის მოგვიანებით მეუღლეზე თამარ წერეთელი.

„დაფლეთილი მუგა“

ახალდაქორწინებულები ელენე მაჩაბლის (თამუნიას დეიდაშვილის) სახლში ცხოვრობდნენ — ერთი წლის შემდეგ 1929 წლის 1 მარტს თამუნიას ქალიშვილი — რუსუდანი შეეძინა, მაგრამ ეს ბედნიერება კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მშობიარობისას სისხლი მოეწამლა, თრომბის გამო ფეხზე განგრენა განუვითარდა... თავის დაბადების დღეს, 16 მარტს, თამუნია წერეთელს ფეხი მოკვეთეს. დერეფანი თურმე მნახველებს ვერ იტევდა. მთელი თბილისი ცრემლითა და ყვავილებით უმხელდა სიყვარულს და თანაუგრძნობდა. 26 წლის „ირმისფეხება“ ქალბატონი ფეხმოტეხილ ღრუბლად იქცა. მოგვიანებით ცრემლმორეული იტყვის მისი ერთადერთი ქალიშვილი: „მთელი ცხოვრება სინდისი მქენჯნის. ჩემს გაჩენას შეეწირა მისი ლამაზი ფეხი“.

მეორე რიგში მარჯვნიდან მეოთხე თამუნია წერეთელი

საავადმყოფოდან თამუნია წერეთელი ელენე მაჩაბელმა თავისთან წაიყვანა. ერთხელ მისმა მეუღლემ ვანო ჩერქეზიშვილმა შინ ტიციანი მიიყვანა. თურმე თამუნიას უბედურებამ ჩვეული სიმორცხვე დააძლევინა ტაბიძეს. მივიდა, ნახა... თანაუგრძნო თავის მუზას და ცრემლებმა იწვიმეს მისი თვალებიდან.

„რა დამავიწყებს ამ შავ გზაფხულს,
ბედი უბედურს სხვას რაღას უზამს,
ვტირი სიცოცხლით კუბოს დამარხულს
გაუხარებელ დაფლეთილ მუზას“.

პოეტმა წიგნი აჩუქა მშვენიერთა შორის უსაჩინოესს და კიდევ ერთხელ გაუმხილა დიდი სიყვარული — „თამუნია წერეთელს. მისი შთაგონებით დაიწერა მეორე წიგნი ლექსებისა“.

უბედურებას არ გაეთელვინა თამუნია. დიდ ტკივილს გაუძლო, სწავლობდა ორი ყავარჯნით სიარულს, ხელმეორედ აიდგა ფეხი. ქმარმაც ყურადღება გააასკეცა. არასოდეს უგრძნობინებია მისთვის, რომ ფიზიკური ნაკლი ჰქონდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ თამუნიას არასოდეს დაუჩივლია თავისი არჩევანის გამო. ერთხელ მაზლს უკითხავს მისთვის (ნიკოლოზ კახიძე უკვე გარდაცვლილი იყო) — ამდენი მთხოვნელი გყავდა, ასეთი ცნობილი ხალხი გეტრფოდა და მიკვირს, რომ კოლიას გაჰყევიო. რაც გადავიტანე ათი იმდენი რომ გადამეტანა და ეს წინასწარ მცოდნოდა, მხოლოდ მას გავყვებოდიო, — უთქვამს თამუნიას. მაგრამ „ბედმა-მდევარმა“ თამუნია იძულებით დააშორა საყვარელ ადამიანს.

1932 წელს ნიკოლოზ კახიძე ეკონომიკური კონტრრევოლუციის ბრალდებით ჩრდილოეთში გადაასახლეს. ყავარჯნებიანმა, ცალფეხა ქალმა ერთადერთ შვილს ხელი მოჰკიდა და ქმართან ჩავიდა, — ჩემ გვერდით ყოფნა სიცოცხლეს გაუხანგრძლივებსო. ნიკოლოზ კახიძე 1936 წელს გაათავისუფლეს, მაგრამ 37 წლის რეპრესიებს ვერ ასცდა, ისევ გადაასახლეს... მაშინვე დააბრუნეს. მაინც გადარჩა. ნათქვამია, ზღვას გადარჩენილი წვეთმა დაახრჩოო. ომის დროს სამხედრო ბატალიონის უფროსად დანიშნეს. 1942 წ. სტუდენტები სამეცადინოდ კოჯორში ჰყავდათ წაყვანილი. ერთმა კურსანტმა ფეხი მოიტეხა. ნიკოლოზ კახიძემ შინელი გაიხადა, ახალგაზრდას შემოახვია, ზურგით მარტოდმარტომ ჩაიყვანა თბილისში. ამ დროს გაცივდა და მალე გარდაიცვალა.

— ამის შემდეგ აღარ ჰყოლია თაყვანისმცემლები თამუნია წერეთელს? — ვეკითხები ჩემს მასპინძელს.

— ეჰ, ვინღა იყო ცოცხალი, ვინღა იცნობდა თამუნია წერეთელს. ის მარტო დარჩა. მაგრამ უბედურებამ ვერ შეცვალა. მან სულის სილამაზე ბოლომდე შეინარჩუნა. ხშირად ამბობდა: კარგ ადამიანს გაჭირვება უფრო აკეთილშობილებს, ხოლო ცუდი ბუნების ადამიანს აბოროტებსო. სიცოცხლის ბოლომდე დარჩა თამუნია წერეთელი მშვენიერ ბანოვანად, რომელიც რიდსა და მოწიწებას იწვევდა მნახველში.

თამაზ ჩხენკელი: „ის შემოვიდა მეორე ოთახიდან. გამოსცდა ოთახის ბინდიან სიღრმეში მდგარ კარადას. ყავარჯენზე დაყრდნობილი მოდის. ხელზე ვეამბორე. არ მახსოვს, რა ვილაპარაკეთ. არ მახსოვს არც ერთი სიტყვა. მახსოვს მხოლოდ მისი დედოფლური იერი, თეთრი თმა და ულამაზესი სხივოსანი თვალები“.

თამუნია წერეთელი ნატო ვაჩნაძესთან, თამარ ბოლქვაძესა და თამარ ციციშვილთან მეგობრობდა. ეს თავად უმშვენიერესი ქალები მოხიბლულნი ყოფილან თამუნიას სილამაზით. თურმე ხშირად ამბობდა ქ-ნი თამარ ციციშვილი: ვერ მიპატიებია ჩვენი კინემატოგრაფისთვის, რომ თამუნია არ არის აღბეჭდილი ეკრანზეო.

თამუნია დიდხანს ავადმყოფობდა... 65 წლისა ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. „შენ მოკვდი ყვავილებისა და პოეტების სიყვარულში“, — ამ სიტყვებით დაემშვიდობა თბილისი მშვენიერ ქართველ ქალს...

ჩემი მასპინძელი თხრობას ამთავრებს, ცრემლს მალულად იმშრალებს და თან მატანს მისთვის უძვირფასეს განძს — ფოტოებს და წიგნებს ცნობილი მწერლების ავტოგრაფებით. გონებაში გიორგი ლეონიძის სიტყვები ამომიტივტივდა. „საიდან მოდის სილამაზე და სად მიდის?..“ რატომ გამახსენდა მაინცდამაინც გოგლა? მაგრამ ესეც არ არის შემთხვევითი. განა ის არ ეტრფოდა თამუნია წერეთელს?..

იზო რიკაძე

თმის გადანერგვა
პროფესორმა
თამაზ ჩხენკელმა
თავდაპირველად
საკუთარ ჩხენკელზე
გამოსცადა.

თმის გადანერგვამდე — თმის გადანერგვის შემდეგ

თუ ჩხენ ქვენ ჩხენ გამოიყურებით ჩასე — დაჩხსურთ ჩხენ გამოიყურებოდეთ ჩასე

მოგვმართეთ
თმის ჩადანერგვის ჩასეკნიერო-სამკურნალო ჩანყოფილებაში ‘თალიზი,,
პროფესორ თამაზ თამაზაშვილის ხელმ□ღვანელობით ჩწარმოებს ბუნებრივი ჩთმის ჩადანერგვა ჩუახლესი ჩამერიკული ჩეთოდებით. მსოფლიოში ჩყველა ხეჩდაბალი ჩფასები. ჩგარანტირებული ჩშედეგები.
გადანერგილი ჩთმა ჩაგრ□ელებს ჩზრდას
გადანერგვა ჩხორცელდება ჩერთი ჩღლის ჩგანმავლობაში
კონსულტაციები უფასოა და კონფიდენციალური, ასაკი შეუზღუდავია.
თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 22 სამხედრო ჰოსპიტალი, მე-3 სართ. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი“. ტელ: 25-37-39, 37-82-22, 877 41-11-56

ელიტარული ბინები განვადებით

[25 34 34

სამანტა სმიტის 3 წელი

1982 წელს „თაიმსის“ გარეკანზე დაიბეჭდა სსრ კავშირის ახალარჩეული ცკ-ის პირველი მდივნის იური ანდროპოვის პორტრეტი, ხოლო თავად ჟურნალი წერდა... ეს ადამიანი ნამდვილად საშიშია, რუსეთსა და შტატებს შორის ურთიერთობას უფრო გაამწვავებს და, საერთოდ, გაუგებარია, მისგან რას უნდა ველოდოთო... პატარა, 9 წლის გოგონამ დედას ჰკითხა: „თუკი ანდროპოვისა ყველას ასე ეშინია, რატომ ვინმე წერილს არ მისწერს და პირდაპირ არ ჰკითხავს, — მართლა უნდა თუ არა ომი?“ „შენ თავად მისწერე!“ — ხუმრობით უთხრა დედამ.

მენის შტატის ქალაქ მანჩესტერის მცხოვრებმა 9 წლის სამანტამ სსრ კავშირის პრეზიდენტს წერილი მართლა მისწერა: „ძვირფასო მისტერ ანდროპოვ, მე არ მინდა ომი, ამიხსენით თუ შეიძლება, თქვენ მართლა გინდათ ომი?“

სულ მალე პატარა სამანტამ თავად სსრ კავშირის მრისხანე შეფისაგან პასუხი მიიღო და გოგონას სახელი ერთ დღეში მთელმა მენის შტატმა გაიგო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დროს სსრკ იმ ზესახელმწიფოდ ითვლებოდა, რომელზეც მსოფლიოს ბედი იყო დამოკიდებული. რეიგანს უმიზეზოდ არ ეშინოდა ანდროპოვისა.

სამანტამ ანდროპოვს პასუხად მეორე წერილი გაუგზავნა, რომელშიც ეკითხებოდა, — ბავშვები საბჭოთა კავშირში როგორ ცხოვრობენ და რუსებს უნდათ თუ არა ომიო. ამ მეორე წერილის მიღების შემდეგ ანდროპოვმა გოგონა საბჭოთა კავშირში დაპატიჟა, — ჩამოდი და თავად ნახეო.

მგზავრობის ხარჯები საბჭოთა კავშირმა გაიღო. 1983 წლის ივნისში სამანტა და მისი მშობლები — ჯეინ და არტურ სმიტები მოსკოვში გაფრინდნენ.

— მოსკოვიდან ლენინგრადში გავემგზავრეთ, ყველგან სიყვარულს და მეგობრულ დამოკიდებულებას ვგრძნობდით. ჩვენ, როგორც სასწაულს, ისე გვიყურებდნენ, უამრავ საჩუქარს ვიღებდით, — ამბობს დღეს სამანტას დედა.

მაინც რამ აიძულა ანდროპოვი, ძველი ჩეკისტი, რომ პატარა გოგონასთვის პასუხი გაეცა? იქნებ მასში რაღაც ადამიანურმა გაიღვიძა?.. ალბათ უფრო პრაგმატული მიზნით: მსოფლიო უნდა დაემშვიდებინა. მაშინ რეიგანი სსრ კავშირს ხომ „ბოროტების იმპერიას“ უწოდებდა!

თავად სამანტა სმიტი გახლდათ უმშვენიერესი, ცოცხალი, მხიარული გოგონა და ის ყველას გულს ადვილად ინადირებდა.

სამანტა აგრძელებდა ქვეყანაში ტრიუმფალურ სვლას. რეპორტაჟებს მისი მოგზაურობის შესახებ პროგრამა „ვრემია“ გადმოსცემდა. ისვენებდა არტეკში და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

ერთი სიტყვით, რუსეთსა და ამერიკაში სამანტა 1983 წელს ყველაზე პოპულარული ბავშვი იყო და მან თითქოს გაალღო რუსეთსა და ამერიკას შორის არსებული ყინული. მას შემდეგ წარმოიშვა გამოთქმაც — „საბავშვო დიპლომატია“ და დაიწყო ბავშვთა დელეგაციების გაცვლა-გამოცვლა.

„ბავშვობაში იგი ბალერინობასა და ვეტერინარობაზე ოცნებობდა. მოგზაურობის შემდეგ კი მსახიობობა და დიპლომატობა მოუნდა. სერიოზულად დაინტერესდა თეატრით და დრამატულ წრეშიც დადიოდა,“ — ამბობს სამანტას დედა.

მისი პოპულარობა თანდათან იზრდებოდა. გოგონაც სიამოვნებით მონაწილეობდა ყველანაირ საერთაშორისო შოუში: ამ ანგელოზის ცქერით მსოფლიო ტკბებოდა და ყველას ძალიან აინტერესებდა მისი ცხოვრება.

1985 წლის აგვისტოში სამანტა მამასთან ერთად ინგლისიდან ბრუნდებოდა, სადაც ისინი რობერტ ვაგნერის შოუში მონაწილეობდნენ. ამერიკაში ისინი გადასხდნენ ადგილობრივ ავიახაზზე. ღამე წვიმიანი და ბნელი იყო. პატარა თვითმფრინავი ჩამოვარდა.

სამანტა მაშინ 13 წლისა იყო.

სობესედნიკი №25

ექსპრეზიდენტის ოჯახის გზრდები

შვეიცარიის პროკურატურის განცხადებით, შესაძლოა, სულ მალე „მაბეტექსის“ საქმეზე 14 ადამიანი დაკითხონ. ლუგანოში მდებარე ამ სამშენებლო ფირმას ბრალად ედება, რომ



რუს მაღალჩინოსნებს ქრთამს აძლევდა, რათა კრემლს მასთან ხელსაყრელი კონტრაქტები დაედო. კონტრაქტები კრემლისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს შეეხებოდა.

დაკითხავენ ელცინის ქალიშვილებს — ელცინის უახლოეს პოლიტიკურ მრჩეველს, ტატიანა დიაჩენკოსა და ექსპრეზიდენტის უფროს ქალიშვილს, ელენა ოკულოვას — მათი სახელი ფიგურირებს „მაბეტექსის“ საქმეში. თანაც ელენას მეუღლეს, ვალერი ოკულოვს, კიამანის კუნძულზე, „ბენკ ოფ ნიუ-იორკის“ პირად ანგარიშზე რიცხული 2,7 მილიონი დოლარი გაუყინეს.

თუმცა ელცინის სიძე დღემდე დაუსჯელია და არავინ კითხულობს, თუ საიდან ჰქონდა მას ეს ფული. შვეიცარიელებს სურთ აგრეთვე პაველ ბოროდინის დაპატიმრება. ბოროდინი ელცინის ადმინისტრაციის მოხელე გახლდათ. სწორედ მის სახელს უკავშირებენ ვლადიმირ პუტინის პეტერბურგიდან მოსკოვში გადაყვანას. იმ დროს, როდესაც შვეიცარიაში „უკანონო ფულით“ თხილამურების ყიდვაც კი დანაშაულია, მოსკოვში ფინანსური მაქინაციებისთვის ჩინოსნებს არ სჯიან. ევროპელმა გამომძიებლებმა თანამშრომლობისათვის რუს კოლეგებს მიმართეს, მაგრამ მათ გულთან ახლოს არ მიიტანეს ეს ამბავი, მეტიც, ბოროდინმა შვეიცარიელებს კარისკენ ანიშნა, — ასეთი სისულელეებით ნუ მაწუხებთო.

პრეზიდენტ პუტინის კრემლში შემობრძანებაში არც ტატიანა დიაჩენკოს როლი იყო უკანასკნელი. საინტერესოა, რომ დიაჩენკოს დღემდე აქვს კაბინეტი კრემლში. როგორც ამბობენ, დიაჩენკოს შესაძლო დაკითხვის საკითხი პუტინისთვის კარგადაა ცნობილი, თუმცა გარკვეული მიზეზების (შესაძლოა, ელცინის ოჯახისათვის მიცემული ხელშეუხებლობის პირობის გამო) გათვალისწინებით, ცდილობს, ამ ამბებისგან შორს დაიჭიროს თავი, ამასთან, არ სურს რაიმეთი იყოს ტატიანაზე დამოკიდებული.

თვითონ ტატიანა დიაჩენკოს კი, როგორც ჩანს, „მაბეტექსის საქმე“ ნაკლებად აღელვებს. ამბობენ, სიტუაციის ამგვარად განვითარებას კრემლში, ელცინის მმართველობისასაც ელოდნენ და მისთვის კარგად მოემზადნენო. სათანადოდ ინფორმირებული წყაროს ცნობით, 1993 წელს, „მაბეტექსთან“ კრემლის კონტრაქტის გაფორმებამდე ცოტა ხნით ადრე, ტატიანამ და მისმა დამ „მაბეტექსიდან“ საკრედიტო ბარათები მიიღეს. იმავე წყაროს ცნობით, ბარათები ელცინის ქალიშვილებთან შეუთანხმებლად იყო გახსნილი, თუმცა შემდგომში მათ ის არაერთგზის გამოიყენეს და დიდძალი ფულიც დახარჯეს. იმავე წყაროს მონაცემებით, ელცინის პერიოდის კორუფციის დროინდელ თანხებთან შედარებით, ამ საკრედიტო ბარათებზე რიცხული თანხა სასაცილოა — „სულ“ რამდენიმე ასეულ ათას დოლარს შეადგენს. ერთ-ერთი გამომძიებელი, რომელსაც წესით რუსთა მხრიდან უნდა ეწარმოებინა გამოძიება, ირონიულად აცხადებს: „იმ დროს ელცინის გარშემო ყველა უზომოდ მდიდრდებოდა. ელცინებს კი კარგად ახსოვდათ თავისი წინა ცხოვრება — რიგში დგომა ძეხვისათვის და ოროთახიან ბინაში ცხოვრება. ასე რომ, ძნელია მათი რაიმეში დადანაშაულება“.

ნიუზიუქი, 19 ივნისი

ნაპოვნია იესო ქრისტეს ხელნაწერი!

აღმოსავლეთ იერუსალიმში, ზეთისხილის მთაზე, ქვის კარიერზე მომუშავე ხელოსნებმა ქვაბულში იპოვეს კვიპაროსის ხის მკვიდრად ნაგები ზარდახშა. მასში აღმოჩნდა უძველესი გრაგნილის ფრაგმენტები. მუშებმა ზარდახშა, წერილითურთ, მეცნიერებს გადასცეს შესასწავლად.

რელიგიის 14 ექსპერტი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ გრაგნილი 2 ათასი წლისაა და იგი დაწერილია თვით იესო ქრისტეს ხელით!

— გამოკვლევის შედეგებმა განგვაცვიფრა და აგვაღელვა, — ამბობს ისტორიკოსი, აკადემიკოსი ჯოილ აბუ-ზულუფი, — წერილის ასაკი ემთხვევა იესო ქრისტეს მოღვაწეობის ეპოქას და დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი იესოსეული დედანია. ხომ დადასტურებულია, რომ იესომ ჯვარცმამდე საკმაო ხანი დაჰყო ზეთისხილის მთაზე.

რაც მთავარია, ფრაგმენტებში შემონახულია წარწერა: „იესო ქრისტე, ძე კაცისა“. მსგავსი წარწერა ნაპოვნია „ტაძრის რეესტრში“. რეესტრზე საუბრისას დოქტორი აბუ-ზულუფი ყურადღებას ამახვილებს საეკლესიო დოკუმენტების ორ ფრაგმენტზე, რომლებიც სწორედ ამ ადგილებში იპოვეს 50 წლის წინ. იესო ქრისტეს დროს ებრაულ ტაძრებში წესად ჰქონდათ მოქადაგეთა ქადაგების ჩაწერა საგანგებო წიგნში. ორი ასეთი წიგნი, რომელებშიც, ექსპერტთა მტკიცებით, ფიქსირებულია იესოს ხელმოწერა, აღმოჩნდა 1948 წელს და ამჟამად დაცულია ისრაელის ქალაქ დიმონის მუზეუმში. რელიგიის ექსპერტებს და ბიბლიის მკვლევართ არც ეეჭვებათ, რომ ხელნაწერი იესო ქრისტესია. მიუხედავად იმისა, რომ გრაგნილის კიდეებზე სიტყვები თითქმის წაშლილია და ძნელად იკითხება, სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ წერილის ტონი, ენა, წინადადების აგებულება და თვით შინაარსი, უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ მას, ვისაც ახალი აღთქმის ციტატები მოჰყავს. თუმცა ტექსტის ორი მესამედი განადგურებულია და ბევრი სიტყვა გაურკვეველია, შინაარსი მაინც გასაგებია.

წერილის ადრესატია მანდილოსანი, მართა. მკვლევართა აზრით, ის არის ლაზარეს და. ქრისტე, როგორც ცნობილია, მეგობრობდა ლაზარეს ოჯახთან და ხშირად ჩერდებოდა მათთან. ერთხელ მან მკვდრეთით აღადგინა ლაზარე.

დოქტორ აბუ-ზულუფის აზრით, წერილი არ მიუღია ადრესატს, რადგან იესომ ვერ მოასწრო მისი გაგზავნა.

ექსპერტებმა გაშიფრეს ხელნაწერი. წერილში იესო ქრისტე წარმოაჩენს თავისი მოძღვრების უმთავრეს საფუძველს და კონკრეტულად ადრესატს კი არ მიმართავს, არამედ ყოველთა მორწმუნეთ და არამორწმუნეთ.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეს არის მომავალი თაობებისადმი მიძღვნილი თავისებური სულიერი ანდერძი.

უელტ უორლდ ნიუზი №26

20 ათასი ლომერთი ზღვის ფსკერზე

ეგვიპტეში, აბუკირის ყურეში, ალექსანდრიიდან 30 კილომეტრში ფრანგმა არქეოლოგებმა ფრენკ გოდოის ხელმძღვანელობით, თვალსაჩინო აღმოჩენები გააკეთეს. ფრენკ გოდოიმ ადრეც გამოიჩინა თავი. სწორედ მან აღმოაჩინა ალექსანდრიის ცნობილი შუქურა, გემი „ორიენტი“, ბონაპარტეს საადმირალო ხომალდი, რომელიც აბუკირში ადმირალმა ნელსონმა ჩაძირა 1798 წლის აგვისტოში. ხომალდზე იყო 1.700 მეზღვაური და 1.100 ზარბაზანი.

ახლანდელ აღმოჩენას სულ სხვა ხიბლი აქვს — ნაპოვნია თეთრი და ვარდისფერი გრანიტის ქანდაკებები, მარმარილოს სფინქსები, ფარაონის თუ ღმერთების თავები, ჭურჭელი, კერამიკა, პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ოქროს სამკაულები, მონეტები. იქვე აღმოაჩინეს უძველესი ქალაქის ნაკვალევი, რომელიც უნდა იყოს ძვ.წ.აღ. V ს-ის ქალაქი მენუტისი. მისგან 6 კმ-ში, 7-8 მ-ის სიღრმეზე მეორე ქალაქია — ჰერაკლეონი, იგი ნილოსის შესართავთან მდებარეობდა და ეგვიპტის ჭეშმარიტი კარიბჭე იყო. აქ უნდა გაევლო ყველა გემს. მისი დიდება დაეცა მას შემდეგ, რაც ალექსანდრე დიდმა სავაჭრო ცენტრი ახალდაარსებულ ქალაქ ალექსანდრიაში გადაიტანა.

ერთ კვადრატულ კილომეტრზე ნაპოვნია უამრავი სახლი, ტაძარი, სამსხვერპლო, მოკირწყლული ქუჩები, ნივთები, სამკაულები, მონეტები. ეს ქალაქი ბერძენ ისტორიკოსს ჰეროდოტეს აქვს აღწერილი. იმასაც ამბობენ, რომ სპარტის მეფე მენელაოსს ტროადან დაბრუნებისას ელენესთან ერთად აქ შეუსვენია.

ჰერაკლეონს შეიძლება წყალქვეშა პომპეი ეწოდოს. ეტყობა, ზღვამ თვალის დახამხამებაში შთანთქა იგი.

მითური ქალაქების 14 საუკუნოვანი ძილიდან გამოყვანა ალბათ გაისადაც გაგრძელდება, რადგანაც მშვენიერი იდუმალების დიდი ნაწილი ჯერ არ გამჟღავნებულა.

პარი მატჩი №26

„დაუპატიჟებელი სტუმარი“



კაცობრიობის ისტორიას გადავხედეთ და რა ვნახეთ: თურმე, ჩვენს ერამდე არსებული ყველანაირი პარაზიტი მკბენარი დღესაც ჩვენი თანამგზავრია. მათ შორის განსაკუთრებული გამძლეობით ტილი გამოირჩევა. იგი ადამიანებს თავს ახსენებდა ყველა დროში და სიცოცხლეს უწამლავდა. არქეოლოგებმა პარაზიტის ნარჩენები უძველეს მუმიებზეც კი აღმოაჩინეს. რაც შეეხება კერძოდ ტილს, იგი მეფე ლუდოვიკო XV-ის სამეფო კარის პარაზიტად არის აღიარებული. არსებობდა სეფექალების კაბებზე შეპარული ტილების მოსაცილებელი ხელსაწყოები, მეფე-მზე ხელის მტევნის ფორმის სავარცხელს ხმარობდა, რითაც „ელეგანტურად“ იფხანდა თავს.

ტილი გავრცელებული იყო მთელ მსოფლიოში — ჩრდილოეთიდან ეკვატორამდე. ბუნებაში ტილის მრავალი სახეობა არსებობს, მაგრამ ადამიანებთან მხოლოდ სამი მათგანი „ცხოვრობს“ (ერთი კეფაზე ბინადრობს, მეორე — ტანსაცმელში და მესამე — იღლიის ქვეშ). ტილების „თავდასხმას“ „თავის პედიკულეზი“ ჰქვია, რაც, დამეთანხმებით, უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე „ტილიანი“. პედიკულეზის ეპიდემია პერიოდულად იფეთქებს ხოლმე. ოფიციალური მონაცემებით, უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ტილის საწინააღმდეგო პრეპარატების ხმარება 66%-ით გაიზარდა. ევოლუციის თვალსაზრისით, ტილი გენიალური არსებაა. იგი ადვილად ეჩვევა მის წინააღმდეგ მიმართულ მეთოდებს. მაგალითად, როცა 50-იან წლებში DDT-ის საშუალებით პარაზიტების 90% განადგურდა, დანარჩენებმა, თქვენ გგონიათ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წინაშე „ხელები“ აწიეს? — არა, მათ ამ შხამის მიმართ იმუნიტეტი გამოიმუშავეს და გამრავლდნენ. ეს დღემდე საკვირველი და აუხსნელი ფენომენია. ადრე მიაჩნდათ, რომ „ტილიანობა გარკვეული ფენისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტილს სუფთა თავის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი აქვს და სოციალურად უზრუნველყოფილ ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, ნორვეგია) პედიკულეზის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი სახელმწიფოებრივი პრობლემაა. სპეციალისტების აზრით, ტილების „თავდასხმის“ მიზეზია მზის აქტივობა, კლიმატის დათბობა და ეპიდემიური გარემოების გაუარესება. არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ ტილებისადმი მიდრეკილება. გაუგებარია, როგორ არჩევენ ტილები „მსხვერპლს“, მაგრამ დარწმუნებული იყავით, ერთხელ თუ „გესტუმრათ“, მეორედ აუცილებლად შეგახსენებთ თავს. ფრანგი ეპიდემიოლოგები ხუმრობენ, — ტილები ჩვენთან ერთად ზეიმობენ პირველ სექტემბერსო. მაგრამ ჩვენ ზაფხულშიც „შემოგვიტევენ“ ხოლმე. არ გაუწყრეთ ბავშვებს, „სტუმარი“ თუ მოგიყვანეს. ტილი არ დახტის, მაგრამ ერთი წამიც საკმარისია, რომ თქვენთან გადმობარგდეს. ნურც შეშინდებით და ნურც ბებიების მეთოდებით (ნავთი, ბენზინი) დაიწყებთ მკურნალობას. დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს ფრანგული პრეპარატი „პარა პლუსი“. ასეთი აეროზოლი 10 წუთში მოგაცილებთ „დაუპატიჟებელ სტუმრებს“.

ზდოროვიე №6

ფირმების რეგისტრაცია
თარგმნა და ბეჭდვა
სწრაფად, იაფად
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ, ოთ. 639
☎ 99-02-80; 899-53-91-91

საუკეთესო ხარისხის კერამიკული კრამიტი
„ინქსერვისი“
☎ 38-58-24
95-53-32

ფირმა „მოდინახე“
ასრულებს ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდი ანგარიშსწორებით, ტოლით — 4 ლარი, მინაქსოვილით — 5 ლარი, ჰიდრომინაიზოლით (ბიკროსტი) — 8 ლარი. გარანტია 5-12 წლამდე.
მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3 (რკინიგზის დეპარტამენტთან)
☎ 96-80-99; 22-08-58; 899-54-52-60

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით
ფუჩსღებში
და ხელონებში
ტელეფონი: 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

ხენტ-ეგზიუპერის კონსუელო _ „პატარა უფლისწულის“ მგზნებარე ვარდი

მწერლის დაღუპვიდან 56, ხოლო მისი მეუღლის, კონსუელოს გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ აღმოჩენილ ჩემოდანში ნაპოვნია ასობით წერილი, ნახატი, ფოტოაპარატი... მამაცი მფრინავის მოგონებები მის რომანტიკულ სიყვარულზე, ალალი კაცის ქიმერები.

კონსუელო აუღელვებლად ვერ კითხულობდა მეუღლის სინაზით აღსავსე ბარათებს...

კონსუელო და ანტუანი 1931 წელს დაქორწინდნენ. კონსუელოს ორი ქმარი მკვდარი ჰყავდა და ჯვრისწერის დღეს შავი ტანსაცმელი ემოსა.

ორივენი 30 წლისანი იყვნენ. იწყებოდა საუკუნის ერთ-ერთი ულამაზესი რომანთაგანი, აღსავსე ხშირი განშორებებით, საოცარი განცხადებებით და საკმაოდ მძაფრი სცენებით.

1943 წელს, განქორწინება რომ გადაწყვიტეს, ადვოკატის კაბინეტში ანტუანმა კონსუელო გულში ჩაიხუტა და გიჟურად დაუწყო კოცნა, — ფეხებზე მკიდია კანონები, მიყვარხარო. განქორწინებას სამუდამოდ დაესვა ჯვარი.. ფრონტზე წასვლის წინ ცოლს უთხრა: „შენი სიყვარულის პალტო შემიკერე და ტყვია ვერაფერს დამაკლებს.“

1944 წლის 31 ივლისს, როცა სენტ-ეგზიუპერი კორსიკიდან თავისი თვითმფრინავით აფრინდა, გულის ჯიბეში ედო კონსუელოს ფოტო, ნიუ-იორკში გატარებული სიყვარულის ღამის შემდეგ ფოტოს წაწერილი აქვს: „არ დამკარგო და ნურც შენ დაიკარგები“.

კონსუელო სამხრეთ ამერიკელი იყო, სან სალვადორიდან. იგი უჭკუო, ქარაფშუტა ქალად მიაჩნდათ და მწერლის ბიოგრაფებს მისადმი არანაირი ყურადღება არ გამოუჩენიათ. 1994 წელს, ეგზიუპერის 100 წლისთავთან დაკავშირებით, მწერალმა ალენ ვირკონდელემ გადაწყვიტა ალბომის გამოშვება და კონსუელოს მემკვიდრეებს სთხოვა ნიუ-იორკიდან ჩამოტანილი 5 რკინის ყუთის გახსნა. სიცოცხლეში კონსუელო მორცხვობდა და არ უნდოდა სასიყვარულო ბარათების ვინმესთვის ჩვენება. მაგრამ აუცილებელია ამ უჩვეულო სიყვარულის ამსახველი წერილების გამოქვეყნება.

ყუთში აღმოჩნდა აგრეთვე 400 ფურცლიანი მემუარები, საიდანაც ვიგებთ, რომ კონსუელო ყოფილა პატარა პრინცის ვარდიცა და შთაგონებაც.

ანტუანმა კონსუელო ბუენოს-აირესში გაიცნო და მის მეგობართან ერთად თვითმფრინავით გასასეირნებლად მიიწვია. კონსუელო პილოტის კაბინაში იჯდა, დანარჩენებისგან ფარდა ყოფდა. ანტუანმა უთხრა: „ხომ არ მაკოცებდით? მაკოცეთ, თორემ თვითმფრინავს ახლავე მიწას დავახეთქებ“. გაბრაზებულმა კონსუელომ სიმწრით ცხვირსახოცი დაგლიჯა და უთხრა კაცს — ეს არ შეიძლება, ახლახან ქმარი დავკარგეო. დასაბუთებულმა უარმა არ გაჭრა. ეგზიუპერს ცრემლები წამოუვიდა, — ვიცი, თქვენთვის უშნო ვარო და კონტაქტი გამორთო. დაფეთებულმა ქალმა ტუჩები მიუშვირა. „სიყვარულის მეხი დაგეცა, მაგრამ შენი გული ამ მეხისთვის უკვე მზად იყო“, — წერს სენტ-ეგზიუპერი მოგვიანებით.

მათი ბაგეები ერთმანეთს შეერწყა. თვითმფრინავი ცაში უცნაურად ტორტმანებდა, სალონში კი მგზავრები კვნესოდნენ... ზუსტად დაფრენის წინ ანტუანმა კონსუელოს ხელი სთხოვა. ქალს პასუხი არ გაუცია — გულწასული უღონოდ ესვენა სავარძელში. „აი, ნახავთ, თუ ჩემი ცოლი არ გახდებით“, — უთხრა ანტუანმა და ღამის ცაში აიჭრა.

ცოტა ხანში კონსუელომ 40 გვერდიანი სამიჯნურო ბარათი მიიღო.

ქალი შეაწუხა ანტუანის ნათქვამმა, — ზამთრის პალტო არც კი მიყიდია, იქნება იქამდე ვერც მივაღწიოო...

შეყვარებულები ბუენოს-აირესის გარეუბანში დასახლდნენ. კონსუელომ თავისი „ტონიო“ პატარა ოთახში გამოკეტა. მწერალი „ღამის რეისზე“ მუშაობდა და „ჯილდო“ რომ მიეღო, დღეში 5-8 ფურცელი უნდა დაეწერა. ანტუანი მართლაც „ხელი მიჯნურია“ და მიყვება სატრფოს ნებას...

ქორწინებას მათთვის სიმშვიდე არ მოუტანია. სულ შორდებიან, ღალატობენ ერთმანეთს, სიკვდილის რისკზე მიდიან და მაინც რიგდებიან. მათი პარტნიორებიც დაბნეულნი არიან, ვერ გაუგიათ, რომ ამ წყვილის დაშორება შეუძლებელია. 1938 წლის ერთ დღეს ანტუანის ღალატითა და არყოფნით გაღიზიანებული კონსუელო, გემით გვატემალისკენ გაეშურა. შუა ზღვაში დეპეშით აცნობეს, ანტუანი საავადმყოფოშია და სიკვდილის პირზეაო... კონსუელო უმალ მისკენ გაეშურა. თავზე დაადგა თითქმის დამახინჯებულ ქმარს, რომელსაც 38 მოტეხილობა ჰქონდა და ცალი თვალი ღამის შუბლზე მოჰქცეოდა. გამოჯანმრთელებულმა მწერალმა კვლავ განაახლა ფრენა. კონსუელოს ხან სად იბარებდა, ხან სად. ქალმა გადაწყვიტა, მხატვრობისა და ქანდაკებისთვის მიეხედა. აღარ შეეძლო დარდით აღსავსე მოლოდინის გაძლება. გაიცნო უამრავი მამაკაცი. გიჟური რომანი გააბა ერთ არქიტექტორთან.

1943 წელს ნიუ-იორკთან ახლოს შეიქმნა „პატარა უფლისწული“. ანტუანი იქაურ ბულდოგს საანის ბუშტებით ართობდა, — ომის შემდეგ რომ დავბრუნდები, მიცნოსო. კონსუელოს ასთმა აწუხებდა, ახველებდა. ამიტომ ახველებს უფლისწული ვარდს. ანტუანი კვლავ ჩაკეტეს ოთახში. მაგიდაზე ედგა ოქროს ონკანიანი ღვინის პატარა კასრი, თერმოსი — ცხელი ჩაით, პიტნის კანფეტები. ის კი პატარა ბავშვივით ერთობოდა, ფანჯრიდან ისროდა ქაღალდის თვითმფრინავებს. ერთხელ პოლიციელიც კი ამოუვარდა.

როცა ომში მიდიოდა, აქვითინებულ კონსუელოს უთხრა: „ნუ ტირი, შეუცნობელი ყოველთვის მომხიბვლელია. ნუ მიყურებ თვალებში. ვტირი სიხარულით, რადგან მოვალეობა უნდა შევასრულო, და დარდით, რაკი შენი თვალებიც ტირიან. მომეცი ცხვირსახოცი, ზედ დაგიწერ „პატარა უფლისწულის“ გაგრძელებას. შენ ეკლებიანი ვარდი კი აღარ იქნები, არამედ ზღაპრული პრინცესა, რომელიც ყოველთვის თავის პატარა უფლისწულს ელის“...

დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე ანტუანი კონსუელოს სწერდა: „კონსუელო, შენი წერილები პურივით მჭირდება. მინდა გითხრა, რომ მიყვარხარ. გთხოვ, ეს დღესავით ირწმუნო“.

მისი დაკარგვის შემდეგ კონსუელოს გაუჭირდა საფრანგეთში დაბრუნება. ბევრი ნივთი მოპარული დახვდა.

ერთხელ, ბუკინისტებთან მწარედ აქვითინდა, — მისდამი მიძღვნილი „პატარა უფლისწული“ გასაყიდად გამოეტანათ...

კონსუელო 1979 წელს გარდაიცვალა.

პარი მატჩი №26/56

რატომ შურთ კაცებს ჩვენი

მამაკაცები ისე იქცევიან, თითქოს მთელი სამყარო მათ ეკუთვნოდეთ. ისინი ქალებს ცოტა არ იყოს, შემწყნარებლურად ეპყრობიან, ვინაიდან დარწმუნებულნი არიან, რომ თუნდაც ყველაზე მშვენიერი ქალი ულოგიკოდ აზროვნებს, არ შეუძლია დამოუკიდებლად გამოცვალოს მანქანის ბორბალი, არ იცის კომპიუტერის გამოყენება და შეიძლება ფიცხიც იყოს... მაგრამ, ქალებო, გჯეროდეთ, რომ გულის სიღრმეში მამაკაცებს ჩვენი შურთ!

რატომ?

1. თუნდაც იმიტომ, რომ მშვენიერ არსებებს არ გვაწუხებს პოტენციის პრობლემა;

2. სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენ მათზე სულ ცოტა, 10 წლით მეტხანს მაინც ვცოცხლობთ და თანაც სიმელოტეზე დარდიც აგვაცილა ღმერთმა თავიდან;

3. კოსმეტიკის საშუალებით ჩვენ ადვილად ვასწორებთ ბუნების შეცდომებს და ასაკობრივ ნაკლს;

4. რაც არ უნდა დაგვატყდეს თავს, ყოველთვის მოიძებნება ვიღაც მამაკაცი, რომელიც გზას დაგვითმობს, პალტოს ჩაცმაში დაგვეხმარება, რესტორანში დაგვპატიჟებს და ქათინაურებსაც გვეტყვის;

6. საგზაო ინსპექტორები ძალიან ხშირად გვპატიობენ შეცდომებს.

აბა, წარმოიდგინეთ მამაკაცი, რომელიც ჯარიმისაგან თავის დასაღწევად ინსპექტორს „მომხიბლავად“ უღიმის.

კარავანი №6

ოთეოთ აცვია თქვენს ადამს?



იმედი გვაქვს, ევას არ ავიწყდება, რომ მუდმივად უნდა იზრუნოს ადამის იმიჯზე.

თუ გსურთ, რომ თქვენი საყვარელი ადამიანი ნამდვილად დაემსგავსოს ჯენტლმენს, აუხსენით მას, რომ:

1. არ ჩაიცვას ღია ფერის ფეხსაცმელი და თეთრი წინდა მუქი ფერის კოსტიუმთან.

2. არ წავიდეს ოფისში სვიტერით, სპორტული ბლუზით და შორტით;

3. არ ჩაიცვას ვიწრო ტანსაცმელი, ძალიან გრძელი ან ძალიან მოკლე შარვალი;

4. არ მივიდეს დაწესებულებაში სპორტული ფეხსაცმლით;

5. არ იაროს ქუჩაში სპორტული ფორმით;

6. არ მიიღოს სტუმრები საშინაო სამოსში გამოწყობილმა;

7. არ ჩაიცვას კოსტიუმზე სპორტული ქურთუკი;

8. არ ეცადოს მელოტი ადგილის დაფარვას კეფიდან წამოღებული თმით;

9. არ ჩაიცვას ჭუჭყიანი ფეხსაცმელი;

10. ჯიბეში ყოველთვის ედოს სუფთა ცხვირსახოცი;

11. მუდამ ასდიოდეს სასიამოვნო სურნელი, ოღონდ ზომიერად.

ოტდორნი №23

ქალები და მამაკაცები განსხვავებულნი ვზროვნებენ

გერმანიის ქ. ულმას უნივერსიტეტის ნეიროფიზიოლოგები საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ, როცა შეისწავლეს ქალებისა და მამაკაცების თავის ტვინის მუშაობა. 12 ქალმა და ამდენმავე მამაკაცმა სპეციალური ტესტები გაიარეს, რომლის მიხედვითაც მათ კომპიუტერის მიერ შექმნილ ვირტუალურ ქალაქში გზა უნდა გაეგნოთ. ამ დროს ყოველ მათგანს თავზე დამაგრებული ჰქონდა სპეციალური ელექტროდები, რომლებიც თავის ტვინის აქტივობას აფიქსირებდნენ. ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ ლაბირინთიდან თავის დასაღწევად მამაკაცებს საშუალოდ 2 წუთი და 22 წამი დასჭირდათ, ხოლო ქალებს — 3 წუთი და 15 წამი.

ასეთი განსხვავებული შედეგის მიზეზი განსაზღვრა ხელსაწყომ, რომელიც თვალყურს ადევნებდა ექსპერიმენტში მონაწილეთა თავის ტვინის მუშაობას. როგორც აღმოჩნდა, დასმული ამოცანის გადასაწყვეტად მამაკაცებმა გამოიყენეს ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, ქალებმა კი — მარჯვენა. მეცნიერების ვარაუდით, ასეთ განსხვავებას აზროვნებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის საყოველთაო ხასიათი აქვს.

ნლო №25

ფესვი — იცნობთ თუ არა თქვენს „მეორე ნახევარს“?

ზოგჯერ გგონია, რომ ადამიანს, რომელთანაც თუნდაც მხოლოდ ორი წელი იცხოვრე, ძალიან კარგად იცნობ.

ასეა თუ არა ეს? მართლაც არის თუ არა თქვენთვის თქვენი პარტნიორი „წაკითხული წიგნი“? იქნებ ყველაზე საინტერესო ფურცლები ამ „წიგნში“ წაუკითხავი დაგრჩათ? შეეცადეთ ორივემ, ისე, რომ რჩევა არ ჰკითხოთ ერთმანეთს და არ უკარნახოთ, უპასუხოთ ტესტის შეკითხვებს. თითოეული თქვენგანი იწერს ფურცელზე შეკითხვათა ნომრებს და შემდეგ პასუხობს — ჯერ საკუთარი თავისთვის, შემდეგ კი გვერდით, პარტნიორის მაგივრად. ამის შემდეგ თქვენი პასუხები შეუდარეთ პარტნიორისას. საინტერესოა, დაემთხვევა თუ არა ბევრი პასუხი! თითოეული თანხვედრისას ერთი ქულა გეკუთვნით.



1. სად გავატარებდი მორიგ შვებულებას?

2. ახლა რომელი ტანსაცმელი უფრო მჭირდება?

3. რას ვიყიდდი სახლისთვის პირველ რიგში?

4. რაზე ვოცნებობ ახლა?

5. რას ავირჩევდი დასვენების დღეებში?

6. რომელია ჩემი საყვარელი ფერის ტანსაცმელი?

7. მაქვს კარადაში ისეთი სამოსი, რომელსაც ვიცვამ, მაგრამ არ მიხდება?

8. ვის ვცემ ყველაზე მეტ პატივს ჩვენი მეგობრებიდან?

9. რომელი წიგნი წავიკითხე ახლახან?

10. რომელია ჩემი საყვარელი წიგნი?

11. რომელია ჩემი საყვარელი ფილმი?

12. რომელია ჩემი ზოდიაქოს ნიშანი?

13. სამსახურში როგორ მიდის საქმეები?

14. როგორია ჩემი ჯანმრთელობა?

15. მე უნდა:
— ვივარჯიშო სპორტში, მივყვე ცხოვრების ჯანსაღ წესს;
— მეტი დრო დავუთმო ოჯახს;
— ნაკლებად ვუყურო ტელევიზორს.

16. ხასიათით რომელ ტიპს მივეკუთვნები?
— გაზაფხული;
— ზაფხული;
— შემოდგომა;
— ზამთარი.

17. საკმარისად ვესაუბრებით ერთმანეთს?

18. რამდენჯერ უნდა მითხრას, რომ ვარ საყვარელი ადამიანი?
— ყოველდღე და ბევრჯერ;
— შემიძლია უამისოდაც გავძლო.

19. ვიგრძნობთ თავს კომფორტულად „მხოლოდ ორნი“, — უსინათლოდ, უტელევიზოროდ, მუსიკისა და წიგნის, საუბრისა და სექსის გარეშე?

20. ამბობენ, დრო მეგობრობას განამტკიცებს, მაგრამ სიყვარულს ანელებსო...

ეს ჩვენც გვეხება?

გული არ გაიტეხოთ, თუკი თანხვედრილი პასუხები ცოტა აღმოჩნდა. ეი. გაქვთ მშვენიერი შესაძლებლობა, უკეთ გაიცნოთ ერთმანეთი. ფსიქოლოგთა შეფასებით კი, თუკი თქვენი პარტნიორის სურვილებიდან და ჩვევებიდან, თუნდაც ხუთს გამოიცნობთ, ეს უკვე შესანიშნავი შედეგია.

ეძებეთ საკუთარ თავში ნიჭი!

ცნობილია, რომ დიდ მეცნიერთა შორის მამაკაცები ჭარბობენ.

ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, რომელსაც აბსტრაქტული კუნთები მართავენ, ჩვეულებისამებრ, მამაკაცებში უფრო აქტიურია, ხოლო მარჯვენა ნახევარსფერო, რომელიც მართავს ემოციას, ინტუიციას და წარმოსახვის უნარს, სუსტი სქესის წარმომადგენლებში უფრო ინტენსიურად მუშაობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანდილოსნები უფრო უგუნურნი არიან. მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი გონიერებით ბევრ მამაკაცს ჩამოიტოვებს უკან.

ერთ-ერთი ნახევარსფეროს განვითარება დამოკიდებულია სიცოცხლის პირველ წლებში მის სტიმულაციაზე.

უფროსებსაც შეუძლიათ განავითარონ საკუთარ თავში არსებული ბუნებრივი ნიჭი. ყველასათვის არის ცნობილი, რომ ხშირად ზრდასრული ადამიანი მოულოდნელად გამოავლენს უდიდეს ნიჭს. მაგალითად, ვან გოგმა ხატვა დაიწყო სიკვდილამდე 2 წლით ადრე, პოლ გოგენმა უძრავი ქონებით ვაჭრობას მიანება თავი და ფერწერას შეალია სიცოცხლე, უოლტ უიტმენმა შუახანს გადაცილებულმა დაიწყო ლექსების წერა...

არ ღირს უარის თქმა გონებრივ აქტიურობაზე ღრმა სიბერემდე — ის აახალგაზრდავებს ადამიანს.

პოსლედნიე ნოვოსტი №24

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი და მასთან არსებული კოლეჯი

აცხადებს მიღებას (სექტორები — ქართული, რუსული; სწავლება — დღის და დაუსწრებელი).

1. იურიდიული ფაკულტეტი. 2. ეკონომიკური. 3. უცხო ენები.

სტაჟირება უცხოეთში. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია. უნივერსიტეტი იძლევა სახელმწიფო დიპლომს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლინგაფონისა და კომპიუტერული ცენტრი სერტიფიკატის მინიჭებით. სტუდენტები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. კოლეჯის მოსწავლეები მიიღებენ ერთდროულად როგორც პროფესიულ, ისე საშუალო ზოგად განათლებას.

მის: კოსტავას №70, IX კორპ, IV სართ,
მ. „პოლიტექნიკური“. ტ: 36-60-59; 36-63-36; 33-53-92; 77-03-69

სიყვარული და ტყვიები

ჰყავდა მეფეს სამი ვაჟი, როგორც ზღაპარში. უფროსი — მომავალი იმპერატორი ნიკოლოზ II, საშუალო — გიორგი, 28 წლის ასაკში გარდაცვლილი და უმცროსი — ალექსანდრე III-ის საყვარელი ვაჟი, მიხაილი, რომელიც ბუნებით ძალიან ჰგავდა მამას, მასავით არ შეეძლო ტყეული და ბოროტება. მიხაილი 1878 წლის 22 ნოემბერს დაიბადა.

საყვარელი მიშა

უფროსი ძმის, ნიკოლოზ -ის მსგავსად, მიხაილსაც ჰქონდა უნარი, მოეხიბლა თანამოსაუბრე და შემთხვევითი არც ისაა, რომ ახლობლები დიდ თავადს „საყვარელ მიშას“ უწოდებდნენ. სკიპტრისა და გვირგვინის ბრწყინვალებას არასოდეს მოუხიბლავს მიხაილი და მისი ცხოვრების უმძიმეს პერიოდად იქცა წლები, როცა საშუალო ძმის, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, 1899 წელს, მისთვის მოულოდნელად, სამეფო ტახტის მემკვიდრეთა კიბეზე საფეხურით მაღლა გადაინაცვლა.

სამეფო ოჯახის წევრებს ტრადიცია აიძულებდათ, ყოფილიყვნენ პროფესიონალი სამხედროები. წესისა და რიგის თანახმად, მიხაილი უნდა გამხდარიყო ჯერ გვარდიის პოლკის, შემდეგ დივიზიის და ბოლოს მთელი გვარდიის მეთაური. ჯერჯერობით კი, იგი მისი უდიდებულესობის ლეიბგვარდიის პოლკის მეთაური გახლდათ.

ამ დროს პოლკში მსახურობდა ვინმე როტმისტრი ალექსეი ვულფერტი. ძნელია მის სამხედრო დამსახურებაზე მსჯელობა — ისტორიის ანალებმა ცნობები ამის შესახებ არ შემოინახა. სამაგიეროდ, როტმისტრს ულამაზესი ცოლი ჰყავდა — ნატალია სერგეევნა. მოსკოველი ნაფიცი ვექილის ქალიშვილი 17 წლის ასაკში ცნობილი მუსიკოსის სერგეი მამონტოვის ცოლი გახდა, გააჩინა ქალიშვილი, 2 წლის შემდეგ ქმარს გაეყარა და ვულფერტს გაჰყვა. გარდა არაჩვეულებრივი სილამაზისა, ჰქონდა ამ ქალს რაღაც განსაკუთრებული კეთილშობილება, რაც ყველაზე მეტად ხიბლავს ნამდვილ მამაკაცს, აიძულებს მას დაკარგოს კეთილგონიერება, უღალატოს საქმეს, მეგობრებს...

მიხაილს და ნატალიას ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი. მალე აშკარა გახდა, რომ უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეეძლოთ. მეფის კარზე ჭორაობა დაიწყეს, მათ სახელებს ახსენებდნენ ყველა კუთხეში, განსჯას ბოლო არ უჩანდა. რბილი, ოჯახის ერთგული ნიკოლოზ გაოგნებული იყო ძმის საქციელით და გადაწყვიტა, ემოქმედა პრინციპით — „შორს ჩემს თვალაგან და გულიდან“. ერთ მშვენიერ დღეს მიხაილს უხმო. აუდიენცია ძალზე ხანმოკლე იყო. „ჩერნოგოვოს ჰუსარებს ჩაიბარებ“, — უბრძანა იმპერატორმა.

ასე აღმოჩნდა დიდი თავადი ორიოლში, სადაც ჩერნოგოვოს ჰუსართა პოლკს მეთაურობდა.

უჩვეულო ცხოვრება დედაქალაქიდან მოშორებით და გაურკვეველი მომავალი მძიმედ დააწვა მიხაილს. 1910 წელს შეყვარებულებს ვაჟი შეეძინათ და მიხაილმა მას გარდაცვლილი ძმის ხსოვნის ნათელსაყოფად გიორგი დაარქვა.

მაგრამ ამ ამბავს მეფისაგან მორგანისტული (სამეფო სახლის წევრის ქორწინება არასამეფო გვარის ქალთან) ქორწინების ნებართვა არ მოჰყოლია. მეტიც, ურთიერთობა ძმებს შორის უკიდურესად დაიძაბა. „ჩემსა და მას შორის ყველაფერი დამთავრდა“, — წერდა ნიკოლოზ დედას.

მაშინ შეყვარებულები საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. საფრანგეთში მათ ყურამდე ვეღარ აღწევდა ნიკოლოზის რისხვა, ქვრივი დედოფლის მარია ფეოდოროვნას უკმაყოფილება და სამეფო კარის ჭორები, მაგრამ საიდუმლო პოლიციის ფხიზელი თვალი მუდმივად აკვირდებოდა მეფის უმცროს ძმას.

შემონახულია ჯაშუშის საიდუმლო წერილი, რომელიც პოლიციის შეფს ატყობინებს მიხაილისა და ნატალიას მოგზაურობის დეტალებს და იმას, თუ როგორ დაიწერეს მათ ჯვარი ერთ-ერთ ეკლესიაში.

ქორწინების შემდეგ მიხაილმა მონანიების წერილი მისწერა ძმას. მას შეწყალების იმედი ჰქონდა, მაგრამ ნიკოლოზი სულის სიღრმემდე აღშფოთებული იყო. დიდ თავადს რუსეთში ჩამოსვლა აეკრძალა, მის ქონებაზე

მეურვეობა დაწესდა და არმიიდანაც გააგდეს.

მაგრამ მალე გაისმა გასროლის ხმა სარაევოში, რასაც პირველი მსოფლიო ომი მოჰყვა.

რუსეთის თავზე დაკიდულმა საშიშროებამ შეარიგა ძმები. მიხაილი სამშობლოში ბრუნდება, მის ცოლს გრაფინიას ტიტული უბოძეს. მაგრამ მორგანისტულმა ქორწინებამ მიხაილს დააკარგვინა უფლება სამეფო ტახტზე. თუმცა, რაა გვირგვინი საყვარელ ქალთან შედარებით?

ომის დაწყებიდან მალევე მიხაილი მოქმედ არმიაში გაამწესეს — მეთაურობდა „ველური დივიზიის“ საკავალერიო ნაწილს, რომელიც კავკასიელი მთიელებისაგან შედგებოდა, ლაშქრობისას იგი თავის ოფიცრებთან ერთად ინაწილებდა ყოველგვარ სიმძიმეს. ერთ-ერთი შესვენებისას მიხაილი ნატალიას წერს „27 აგვისტო, 1916 წ. „ჩემო ძვირფასო და უმშვენიერესო ნატაშეჩკა. გწერ მოკლედ, რადგან იმედი მაქვ, ამ დღეებში გამომგზავრებისა. რა წარმოუდგენელი სიხარული იქნება შენთან ბრასოვოში ჩამოსვლა, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო!.. აქ დიდი და სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენთვის წარმატებული. გუშინ გერმანელებმა დამხმარე ჯარი მიიღეს და ჩვენ დროებით შევჩერდით. სწორედ ამ მომენტით მინდა ვისარგებლო და ჩამოვიდე...

თუმცა შენ მიგაჩნია, რომ მე არასოდეს ვყოფილვარ ხალისიანი, მაგრამ გარწმუნებ, რომ ვიყავი და ძალიანაც, ახლა კი მართლაც გამიქრა ყოველგვარი სიხარულის განცდა და უკეთესი ცხოვრების იმედი და ამის მიზეზი ისაა, რომ დავკარგე რწმენა ადამიანებისა, რადგან ძალიან ბევრ ბოროტებას ვხედავ ირგვლივ და საერთოდ, ყველგან...

საშინლად მოქმედებს განშორება ნერვებზე. ნებისმიერი სისულელე მაღელვებს და გულს მტკენს. დღეს, რატომღაც, სულ არ შემიძლია წერა, მე კი ისე მინდოდა მეაბნა ჩემი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების შესახებ — რომ იცოდე, ჩემო ძვირფასო, როგორ მიჭირს ამგვარი ცხოვრება — უშენოდ, უალერსოდ, უსიყვარულოდ!

ღმერთმა დაგიფაროს და დაგლოცოს, ჩემო კეთილო ანგელოზო. გეხვევი სიყვარულით, ოცნებაში.

მარად შენი მიშა“.

დიდმა თავადმა ამ ომში ბევრი ჯილდო მიიღო. მაგრამ ზღურბლზე უკვე იდგა საშინელი 1917 წელი...

მიხაილი შიშით აკვირდებოდა ცვლილებებს ქვეყანაში. ამ სევდიან, მოწყენილ ადამიანში აღარაფერი დარჩა უწინდელი ზეპური პეწიანობისა. მის სულიერ სამყაროში მოხდა გარდატეხა, რაც გარდაუვალია გამორჩეული ადამიანისათვის, როცა ახალგაზრდობის ემოციებს ცვლის ცხოვრებისეული გამოცდილება და სიბრძნე.

თებერვლის საბედისწერო მოვლენების წინ მიხაილმა იმპერატორს მისწერა წერილი, რომლის თითოეული სტრიქონი აღსავსეა სიმწრით და ბნელი წინათგრძნობით:

„მაშფოთებს და მაღელვებს ყოველივე ის, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება... დავრწმუნდი, რომ ვულკანზე ვდგავართ და სულ პატარა ნაპერწკალს, სულ პატარა მცდარ ნაბიჯს შეუძლია გამოიწვიოს კატასტროფა შენთვის, ყველა ჩვენგანისათვის და რუსეთისათვის“.

სამწუხაროდ, მის ხმას ყური არ დაუგდეს. 1917 წლის 2 მარტს ნიკოლოზ -მ უარი თქვა სამეფო ტახტზე მიხაილის სასარგებლოდ. იგი დეპეშას უგზავნის ძმას:

„პეტროგრადი. მის უდიდებულესობას მიხაილ -ს. უკანასკნელი დღეების მოვლენებმა მაიძულა, გადამედგა ეს ნაბიჯი.

მაპატიე, თუ გაწყენინე და ვერ მოვასწარი წინასწარ გამეფრთხილებინე. ვრჩები სამარადისოდ ნამდვილ და ერთგულ ძმად. მხურვალედ ვევედრები ღმერთს, დაგეხმაროს შენ და შენს სამშობლოს. ნიკი“.

ვინ იტყვის, რა ხდებოდა მიხაილის გულში იმ წუთებში, როცა ნიკოლოზის წერილი მიიღო? ამ ამბის შემსწრეთა გადმოცემით, „ამ ისტორიულ მომენტში იგი გულაჩუყებული იყო პატრიოტიზმით, კეთილშობილებით და თავგანწირვით“. 3 მარტს, 6 საათზე მიხაილმა ხელი მოაწერა სამეფო ტახტიდან გადადგომის მანიფესტს.

უკანასკნელი იმპერატორი ოჯახთან ერთად გატჩინოში დასახლდა და მთლიანად გაემიჯნა პოლიტიკურ თამაშს. მაგრამ დადგა ჩვიდმეტი წლის ცივი შემოდგომა და მასთან ერთად დაიწყო ბოლშევიკური გადატრიალების კოშმარი. თავისი და ახლობლების უვნებელსაყოფად მიხაილმა საბჭოთა სახალხო კომიტეტის მმართველ ბონჩ-ბრუევიჩს მიმართა თხოვნით, მიეცა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ „ყოფილი დიდი თავადი არ არის საბჭოთა ხელისუფლების მტერი“.

საჭირო მანდატი გადასცეს, მაგრამ მალე მოქალაქე მ.ა. რომანოვი მცველთა თანხლებით იგზავნება პერმში. მას გაჰყვნენ ნატალია ბრასოვა, პოლკოვნიკი ზნამეროვსეკი, პირადი მდივანი ინგლისელი ჯონსონი, კამერდინერი ვასილ ჩელიშევი და მზარეული მიტრიველი (მეტრეველი ხომ არა?).

პერმში დიდი თავადი სასტუმროში დასახლდა და ყოველდღე ადიოდა „ჩეკაში“, რათა თავისი იქ ყოფნა დაეფიქსირებინა. რეჟიმი გამკაცრდა. ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ. მიხაილს ჯანმრთელობაც გაუუარესდა:აწუხებდა საშინელი ტკივილები მუცლის არეში. მკურნალი ექიმი არ გამორიცხავდა კიბოს.

ხანგრძლივი მოლაპარაკებებით მიხაილმა შეძლო დაეთანხმებინა ცოლი პერმიდან წასვლაზე, რათა ბავშვები უსაფრთხო ადგილას გადაეყვანათ. ქმარი დაჰპირდა, რომ პირველივე შესაძლებლობისას გაჰყვებოდა მათ კვალს, თან მშვენივრად ესმოდა ამ სურვილის განუხორციელებლობა. ახლოვდებოდა დრამის ბოლო აქტი...

1918 წლის 12 ივნისის გვიან ღამით სასტუმროში შეიარაღებული ხალხი შეიჭრა. ლოგინიდან წამოგდებულ დიდ თავადს ლაბადა მოასხეს და ქუჩაში გაიყვანეს, ერთგული ჯონსონიც გამოჰყვა. ისინი ეტლში ჩასვეს და ქალაქგარეთ გააქროლეს.

გაიარეს დაბა მიტოვილიხა, ეტლმა ტყეში შეუხვია და გაჩერდა. მიხაილი და ჯონსონი გარეთ გამოათრიეს.

ღამის ტყის სიჩუმე რევოლვერის გასროლამ გამსჭვალა. პირველმა ტყვიამ მხოლოდ დაჭრა დიდი თავადი და მხოლოდ თავში ნასროლმა მეორე ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს. ამის შემდეგ, როგორც მიღებულია ყველა დროის ბანდიტებში, გვამები გაძარცვეს, საათი, ბეჭდები, ფეხსაცმელები — მკვლელების ნადავლად იქცა. ირიჟრაჟა. მკვლელებმა გვამები ბუჩქებში დამალეს, რათა მეორე დღეს ტყეში დაემარხათ.

ამ დროს გატაცების ერთმა ორგანიზატორმა, ჩეკისტმა დროკინმა მილიციაში დარეკა და შეატყობინა, რომ უცნობებმა მიხაილ რომანოვი გაიტაცეს და აუცილებელია ძიების დაწყება.

მიმდინარეობდა „ხალხის მტრების“ ლიკვიდაციის ჩვეულებრივი, ჩეკისტური სამუშაო.

პეტროგრადში მყოფმა ნატალიამ არაფერი იცოდა ქმრის შესახებ. მან ძლივს მოახერხა ვაჟიშვილის გაგზავნა გუვერნიორთან ერთად საზღვარგარეთ. მალე იგი დააპატიმრეს.

როცა განთავისუფლდა, როგორც მოწყალების და, ოდესაში ჩავიდა, საიდანაც კონსტანტინოპოლში გაემგზავრა.

20-იანი წლების შუა რიცხვებში ბრასოვა პარიზში დასახლდა. მას ჯერ კიდევ აქვს ქმრის გადარჩენის იმედი, ცდილობს ითამაშოს დიდი თავადი მეუღლის როლი, ხსნის საკუთარ სალონს. მაგრამ დრო დაუნდობელია. ცხადი ხდება მიხაილის დაღუპვის ფაქტი; ილევა სახსრები; ქალიშვილი თხოვდება და საფრანგეთიდან მიემგზავრება. 1931 წელს ბრასოვას ახალი უბედურება ატყდება თავს — ავტოკატასტროფაში დაიღუპა ვაჟიშვილი — გიორგი.

გრაფინია ნატალია ბრასოვამ ქმრის შემდეგ 34 წელი კიდევ იცოცხლა. მისმა უკანასკნელმა დღეებმა გაჭირვებასა და ფიზიკურ ტანჯვაში განვლო. იგი გარდაიცვალა 1952 წლის 23 იანვარს. დასაფლავეს პარიზში, პასის სასაფლაოზე. დიდი თავადის მიხაილ ალექსანდრეს ძის მეუღლის გარდაცვალებამ შეუმჩნევლად ჩაიარა, თვით ემიგრანტული საზოგადოებისთვისაც კი...

ჩასტნაია ჟიზნ №12

ოთხი აცვია თქვენ ადამს?

იმედი გვაქვს, ევას არ ავიწყდება, რომ მუდმივად უნდა იზრუნოს ადამის იმიჯზე.

თუ გსურთ, რომ თქვენი საყვარელი ადამიანი ნამდვილად დაემსგავსოს ჯენტლმენს, აუხსენით მას, რომ:

1. არ ჩაიცვას ღია ფერის ფეხსაცმელი და თეთრი წინდა მუქი ფერის კოსტიუმთან.
2. არ წავიდეს ოფისში სვიტერით, სპორტული ბლუზით და შორტით;
3. არ ჩაიცვას ვიწრო ტანსაცმელი. ძალიან გრძელი ან ძალიან მოკლე შარვალი;
4. არ მივიდეს დაწესებულებაში სპორტული ფეხსაცმლით;
5. არ იაროს ქუჩაში სპორტული ფორმით;
6. არ მიიღოს სტუმრები საშინაო სამოსში გამოწყობილმა;
7. არ ჩაიცვას კოსტიუმზე სპორტული ქურთუკი;
8. არ ეცადოს მელოტი ადგილის დაფარვას კეფიდან წამოღებული თმით;
9. არ ჩაიცვას ჭუჭყიანი ფეხსაცმელი;
10. ჯიბეში ყოველთვის ედოს სუფთა ცხვირსახოცი;
11. მუდამ ასდიოდეს სასიამოვნო სურნელი, ოღონდ ზომიერად.

ოტდოხნი! №23

შაჯამ შენთან კაცებს ჩვენი

მამაკაცები ისე იქცევიან, თითქოს მთელი სამყარო მათ ეკუთვნოდეთ. ისინი ქალებს ცოტა არ იყოს, შემწყნარებლურად ეპყრობიან, ვინაიდან დარწმუნებულნი არიან, რომ თუნდაც ყველაზე მშვენიერი ქალი ულოგიკოდ აზროვნებს, არ შეუძლია დამოუკიდებლად გამოცვალოს მანქანის ბორბალი, არ იცის კომპიუტერის გამოყენება და შეიძლება ფიცხიც იყოს... მაგრამ, ქალებო, გჯეროდეთ, რომ გულის სიღრმეში მამაკაცებს ჩვენი შურთ!

რატომ?

1. თუნდაც იმიტომ, რომ მშვენიერ არსებებს არ გვაწუხებს პოტენციის პრობლემა;
2. სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენ მათზე სულ ცოტა, 10 წლით მეტხანს მაინც ვცოცხლობთ და თანაც სიმელოტეზე დარდიც აგვაცილა ღმერთმა თავიდან;
3. კოსმეტიკის საშუალებით ჩვენ ადვილად ვასწორებთ ბუნების შეცდომებს და ასაკობრივ ნაკლს;
4. რაც არ უნდა დაგვატყდეს თავს, ყოველთვის მოიძებნება ვიღაც მამაკაცი, რომელიც გზას დაგვიხმობს, პალტოს ჩაცმაში დაგვეხმარება, რესტორანში დაგვპატიჟებს და ქათინაურებსაც გვეტყვის;
6. საგზაო ინსპექტორები ძალიან ხშირად გვპატიობენ შეცდომებს.

აბა, წარმოიდგინეთ მამაკაცი, რომელიც ჯარიმისაგან თავის დასაღწევად ინსპექტორს „მომხიბლავად“ უღიმის.

კარავანი №6

ეძებეთ საკუთარი თაკში ნიჭი!

ცნობილია, რომ დიდ მეცნიერთა შორის მამაკაცები ჭარბობენ.

ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, რომელსაც აბსტრაქტული კუნთები მართავენ, ჩვეულებისამებრ, მამაკაცებში უფრო აქტიურია, ხოლო მარჯვენა ნახევარსფერო, რომელიც მართავს ემოციას, ინტუიციას და წარმოსახვის უნარს, სუსტი სქესის წარმომადგენლებში უფრო ინტენსიურად მუშაობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანდილოსნები უფრო უგუნურნი არიან. მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი გონიერებით ბევრ მამაკაცს ჩამოიტოვებს უკან.

ერთ-ერთი ნახევარსფეროს განვითარება დამოკიდებულია სიცოცხლის პირველ წლებში მის სტიმულაციაზე.

უფროსებსაც შეუძლიათ განავითარონ საკუთარ თავში არსებული ბუნებრივი ნიჭი. ყველასათვის არის ცნობილი, რომ ხშირად ზრდასრული ადამიანი მოულოდნელად გამოავლენს უდიდეს ნიჭს. მაგალითად, ვან გოგმა ხატვა დაიწყო სიკვდილამდე 2 წლით ადრე, პოლ გოგენმა უძრავი ქონებით ვაჭრობას მიანება თავი და ფერწერას შეალია სიცოცხლე, ჟოლტ უიტმენმა შუა ხანს გადაცილებულმა დაიწყო ლექსების წერა...

არ ღირს უარის თქმა გონებრივ აქტიურობაზე ღრმა სიბერემდე — ის აახალგაზრდავებს ადამიანს.

პოსლედნიე ნოვოსტი №24

ᲞᲐᲞᲐ ᲓᲘᲜᲝ ᲒᲐᲘᲫᲪᲐ

ფეხბურთში პოლიტიკაც ჩაერია, თუმცა იტალიაში მუსოლინის დროიდან დაწყებული, ეს არავის უკვირს.

ახლაც, ევროპის ჩემპიონატის ფინალის წაგების შემდეგ, ცნობილმა იტალიელმა მაგნატმა და პოლიტიკოსმა — მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერმა, სილვიო ბერლუსკონიმ არ დაიზარა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დინო ძოფი.

„ნებისმიერი რიგითი იტალიელი ფანი შეძლებდა იმ თამაშში თავისი გუნდის გამარჯვებამდე მიყვანას, მხოლოდ ზიდანის გაჩერება იყო საჭირო. ყოველ შემთხვევაში საღად მოაზროვნე მწვრთნელი ასე მოიქცეოდა“ — ბრძანა ბერლუსკონიმ. „პაპა დინომ“ კი ჩათვალა, რომ მხოლოდ „მილანის“ პრეზიდენტობა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ბერლუსკონი ეროვნული ნაკრების საქმეებში ჩაერიოს და მეორე დღესვე გამოაცხადა თავისი გადადგომის შესახებ, თუმცა ორი დღით ადრე, ტელევიზიით გამოსვლისას ნათქვამი ჰქონდა, — პოსტის დატოვებას არ ვაპირებ, გუნდი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვისაც მე უნდა მოვამზადოო. მაგრამ დავიდარაბა ამით არ დამთავრებულა — გულშემატკივრები და პრესა რომ თავგამოდებით იცავენ ძოფს და გუნდში დარჩენას სთხოვენ, ამაში გასაკვირი არაფერია, „სკუადრა აძურას“ სახელით ფაბიო კანავარომაც მოუწოდა იტალიის ფეხბურთის ფედერაციას, არ დაკმაყოფილოს ძოფის განცხადება, მაგრამ ყველაზე დიდი აჟიოტაჟი პოლიტიკოსებს შორის ატყდა: მემარცხენეთა პარტიამ უმალვე ისარგებლა თავისი ოპონენტის როყიო განცხადებით და გულშემატკივართა გრძნობებზე თამაშით ქულების დაწერაში დასდო ბრალი. ბერლუსკონიმაც მაშინვე დაიხია უკან და მოიბოდიშასავით: „ჩემგან წყენა არავის ახსოვს და მით უმეტეს ძოფს, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, როგორ მივაყენებდი შეურაცხყოფას. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ჯანსაღი კრიტიკის უფლება ყველა გულშემატკივარს აქვს“.

ასე გასინჯეთ, თავისი აზრის გამოთქმა იტალიის პრემიერ-მინისტრმა, ჯულიო ანდრეოტიმაც არ დაიზარა: „მე უსამართლობად ჩავთვლი თუ ძოფს ნაკრებს დაატოვებინებენ — ერთი თვის წინ ხომ, ევროპის ჩემპიონატში მეორე ადგილს ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდით“.

თუმცა, პრემიერ-მინისტრის „ვექილობამ“ ძოფს ვერ უშველა: იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ არც მისი, არც ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების აზრი არ გაითვალისწინა და სასწრაფოდ მოუძებნა შემცვლელი ნაკრების მწვრთნელს — „სკუადრა აძურას“ ამიერიდან სულ მცირე 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბოლომდე ჯოვანი ტრაპატონი უხელმძღვანელებს.

ხუთშაბათს, 6 ივლისს იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამაც ამცნო პრესას ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის შეცვლის შესახებ: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ნაკრებს თანამდებობიდან გადაყენებული ვუიადინ ბოშკოვის ნაცვლად, დრაგან სტოიკოვიჩი უხელმძღვანელებს.

ჰოლანდიის ფეხბურთის მესვეურებმაც არ აღლოდინეს დიდხანს სპორტული მედია და იმავე დღეს გამოაქვეყნეს განცხადება ნაკრების მწვრთნელად ფრანკ რაიკარდის მაგივრად ლუის ვან გაალის დანიშვნის შესახებ. ხელშეკრულება მასთანაც შესარჩევი თამაშების ბოლომდეა დადებული. თუმცა, ორივე ეს კონტრაქტი ოფიციალურად მხოლოდ ივლისის ბოლოს შევა ძალაში.

გერმანიის ნაკრების თავკაცი, ერიჰ რიბეკიც რომ განწირული იყო, ყველამ იცოდა და გერმანიის ფეხბურთის კავშირმაც არ დააყოვნა — რიბეკი რუდი ფიოლერმა შეცვალა, რომელმაც თავისი წინამორბედის შეცდომების გამოსწორება იმით დაიწყო, რომ ნაკრებში დაბრუნება შესთავაზა შტეფან ეფენბერგსა და მარიო ბასლერს.

ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔ ᲒᲐᲮᲓᲐ

დიეგო მარადონა რომ კუბაში მკურნალობს ნარკომანიისაგან, უკვე რამდენიმე თვეა მთელმა მსოფლიომ იცის. როგორც ექიმები აღნიშნავენ, ის გაცილებით უკეთ გრძნობს თავს ვიდრე კლინიკაში შემოსვლისას, რაშიც ბევრი ტელემაყურებელიც დარწმუნდა, როდესაც ერთი თვის წინ მან მონაწილეობა მიიღო გერმანიაში გამართულ ღოთარ მათეუსის გამოსათხოვარ მატჩში.

როგორც 80-იანი წლების უდიდესი ფეხბურთელი ამბობს, იგი უსაზღვროდ მადლიერია ფიდელ კასტროსი და კუბელი ექიმებისა, რომლებმაც მას ფაქტობრივად მეორე სიცოცხლე აჩუქეს. ეს მადლიერება „დიდმა დიეგომ“ ძალზე ორიგინალურად გამოხატა: შუამდგომლობა აღძრა კუბის შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების წინაშე და პარასკევს თანხმობა მიიღო მისთვის კუბის მოქალაქეობის მიკუთვნების შესახებ.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲐ

ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების გამარჯვებამ როუე ლემერის გუნდს ფიფას რეიტინგში თავისი ადგილის გაუმჯობესების საშუალება მისცა. „სამფეროვნები“ ამ სიაში მხოლოდ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს — ბრაზილიელებს ჩამორჩებოდნენ და ევროპის პირველობის დასკვნითი ეტაპის დაწყების წინ მათ მესამე საფეხური ეკავათ — ბრაზილიელთა გარდა, ჩეხებიც უსწრებდნენ. მაგრამ ჰოლანდიისა და ბელგიის მინდვრებზე ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ „ზიდანმა და კომპანიამ“ ადგილი გაუცვალეს ჩეხებს, რომლებმაც ამ ჩემპიონატზე ჯგუფიდან გასვლაც ვერ მოახერხეს.

„ევრო-2000“-ის ზოგიერთმა სხვა მონაწილემაც მოახერხა თავისი რეიტინგის გაუმჯობესება: იტალიელები მეთოთხმეტიდან მეექვსე ადგილამდე ამაღლდნენ, პორტუგალიელები — მეთხუთმეტიდან მეშვიდემდე, ხოლო ჰოლანდიელები — ოცდამეორიდან ერთბაშად ცამეტი ადგილით „გაუმჯობესდნენ“ და ამჟამად მსოფლიოში მეცხრე გუნდად ითვლებიან.

2006 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

ჯერ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები არ დაწყებულა და უკვე 2006 წლის პირველობასთან დაკავშირებულ სკანდალზე გვინევს საუბარი: ჯერ კიდევ პარასკევს მთელი გერმანია ზეიმობდა იმას, რომ ფიფამ ეს ქვეყანა დაასახელა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად. მაგრამ ცხრა ივლისს გაჩნდა ინფორმაცია, რომ გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა — ამბობენ, რომ გერმანელებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ფიფას მაღალჩინოსანთა მოქრთამვით აჯობეს.

შეუმოწმებელი ინფორმაციით (თუმცა ინტერნეტში ეს ცნობა უკვე გავრცელდა), ქრთამი აიღო ახალზელანდიელმა ჩარლზ დემპსიმ, რომლის ხმამაც გადაწყვიტა გერმანიის გამარჯვება. საბოლოო კენჭისყრის დროს მან როგორც ოკეანიის წარმომადგენელმა, თავი შეიკავა, რამაც გადაწყვიტა კიდეც კენჭისყრის ბედი — თორმეტი თერთმეტის წინააღმდეგ. დემპსის რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისთვის დაეჭირა მხარი (თანაც ეს ოფიციალურად ჰქონდა დავალებული ახალი ზელანდიის სპორტის მინისტრისაგან), მსოფლიოს ჩემპიონატი პირველად ჩატარდებოდა „შავ კონტინენტზე“ — ფიფას წესებით ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტი ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის (იოზეფ ბლატერის) აზრია, იგი კი აფრიკელებს ემხრობოდა.

მართალია, ქრთამის აღება-მიცემის ოფიციალური დადასტურება ჯერ არ არსებობს, მაგრამ ჩემპიონატამდე 6 წლით ადრე მისი ორგანიზატორების კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანა უკვე თავისთავად არასასიამოვნო ფაქტია.

ფიფამ იმავე საღამოს ოფიციალურად განაცხადა, რომ კენჭისყრის შედეგები არ გაუქმდება. მაგრამ აღმასკომის წევრებზე ზეწოლის ფაქტების შესახებ საკუთარ გამოძიებას მაინც დაიწყებს.

ᲛᲔᲢᲝᲥᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ

წილსყრამ უეფას თასის გათამაშების დებიუტანტ თბილისის „ლოკომოტივს“ საკვალიფიაციოს პირველ ეტაპზე ბრატისლავის „სლოვანი“ (სლოვაკეთი) შეახვედრა. რკინიგზელთა მეტოქემ 1969 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვება შეძლო. რვაჯერ იყო ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი და ხუთჯერ თასის მფლობელი. ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ „სლოვანი“ ხუთჯერ გაჩემპიონდა, ხოლო თასს სამჯერ დაეუფლა. თბილისელთა მეტოქე ბოლო სეზონში ეროვნულ თასს კი დაეუფლა, მაგრამ ჩემპიონატში „ინტერსა“ და „კოშიცეს“ ჩამორჩა და მხოლოდ მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

გვესაუბრება „ლოკომოტივის“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი.

— ბატონო რევაზ, ხომ არ გაშინებთ მეტოქის ტიტულები?

— „სლოვანმა“ ევროპის თასების მფლობელთა თასი 31 წლის წინ მოიპოვა. დამეთანხმებით, რომ საკმაო დროა გასული. ტიტულებს რა აზრი აქვს, მთავარია, ახლა რა ფორმაშია ჩვენი მეტოქე.

მიმდინარე წლის დასაწყისში სლოვაკებს ნაკრების დონეზე ვეთამაშეთ და 2:0 დავამარცხეთ. ისინი დაახლოებით ისეთსავე ფეხბურთს თამაშობენ, როგორსაც რუსები, ოღონდ შედარებით ტექნიკურს, უფრო ორგანიზებულს, გამოირჩევიან თავდადებითა და ფიზიკური მომზადებით. მათ შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას ამ დღეებში ველოდები.

— „ლოკომოტივი“ როგორ ემზადება მეტოქის შესახვედრად?

— ინტენსიურად ვვარჯიშობდით თბილისში. პირველ შეხვედრამდე, რომელიც სლოვაკეთში გაიმართება 10 აგვისტოს, დაგეგმილი გვაქვს ორკვირიანი შეკრება. შეგულებული გვყავს რამდენიმე ფეხბურთელი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდებიდან და კარგი იქნება, თუ უეფაზე თამაშის დროს გვათხოვებენ. ჯერჯერობით მათი დასახელებისაგან თავს შევიკავებ.

— თქვენ, როგორც საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელს, შეუძლებელია არ გკითხოთ ევროპის ჩემპიონატის შესახებ, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენმა მომავალმა მეტოქეებმა — იტალიამ და რუმინეთმა შესანიშნავად ითამაშეს.

— ჩემი აზრით, ეს ყველაზე კარგი ევროპის ჩემპიონატი იყო, რომელიც კი გამართულა ბოლო 20 წლის განმავლობაში, რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს — მე და დავით ყიფიანს გვქონდა საშუალება გვენახა გერმანია-რუმინეთისა და იტალია-ბელგიის შეხვედრები. რომ ველოდით, იმაზე ბევრად კარგი შთაბეჭდილება დაგვრჩა.

— გეორგე ჰაჯის ნაკრებიდან წასვლით რუმინეთი ხომ არ დასუსტდება?

— მაგის იმედად ვერ ვიქნებით. ვინ იცის, რომ ჰაჯიზე უკეთესი არ მოვა რუმინეთის ნაკრებში. იტალიელებს ვიერი არ ჰყავდათ, მაგრამ ტოტიმ ისახელა თავი. ჩემპიონატის წინ სათადარიგო მეკარედ დასახელებულმა ტოლდომ კი ნამდვილი სასწაულები ჩაიდინა და უდიდესი წვლილი შეიტანა იტალიელთა წარმატებაში. მთავარია, ვინ როგორ ფორმაში იქნება, თორემ სახელსა და ტიტულებს რა აზრი აქვს.

— ფინალის შესახებ რას გვეტყვით?

— არ აქვს მნიშვნელობა პირველ წუთზე გაიტან ბურთს თუ 90-ზე. ბევრად არა, მაგრამ 3-4 პროცენტით მაინც სჯობდნენ იტალიელებს ფრანგები და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

— მოდით, ჩვენს შინაურ პრობლემებს დავუბრუნდეთ და საქართველოს ნაკრებზე ვისაუბროთ. მართალია, ადრინდელთან შედარებით ნაკრები ბურთებს აღარ უშვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარც გააქვს. ბოლო სამ შეხვედრაში, თანაც ისეთი დონის ქვეყნებთან, როგორებიც სომხეთი, აზერბაიჯანი და ესტონეთია, ჩვენმა გუნდმა ერთი ბურთის გატანაც კი ვერ შეძლო...

— ამხანაგური შეხვედრები იმისაა, რომ ფეხბურთელები გამოვცადოთ. კონკურენციაა ნაკრებში ნახევარდაცვასა და თავდასხმაში. დაცვაში კი პირიქით, ფეხბურთელებს ვეძებთ. აღმოვაჩინეთ კიდეც ზურაბ ხიზანიშვილისა და სევასტი თოდუას სახით. დარწმუნებული ვართ, რომ კიდევ ბევრს აღმოვაჩენთ. საქართველოში ტალანტებს რა გამოლევს.

ესაუბრა ლევან იმერლიშვილი

ᲒᲐᲜᲘᲗᲗᲔᲗᲘᲚᲔᲑᲐᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ



დევიდ კულჰარდი

მიკა ჰაკინენი

მართალია, ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ლიდერის, „მაკლარენის“ გუნდისაგან ჯერ არ არსებობს არავითარი ოფიციალური განცხადება პირველი პილოტის არჩევის შესახებ, მაგრამ უმეტესობა ფიქრობს, რომ გუნდი ფინელ მიკა ჰაკინენს დაუჭერს მხარს. ამის მიუხედავად, დევიდ კულჰარდმა განაცხადა, რომ თუ იგი შეძლებს თავისი დღევანდელი ფორმის შენარჩუნებას და გაზრდის ქულათა სხვაობას თავის თანაგუნდელთან, მაშინ ფინელი აუცილებლად უნდა დაეხმაროს ჩემპიონის გვირგვინის მოპოვებაში. მან შეახსენა პრესას, რომ წინა სეზონებში ეხმარებოდა ჰაკინენს და იმედი აქვს, ისიც ხელს შეუწყობს სამაგიეროდ: „მე ყოველთვის ვეხმარებოდი მიკას და იმედი მაქვს, რომ გუნდი სთხოვს მას, რომ ახლა იგი დამეხმაროს. ჩემი აზრით, აქ არავითარი სირთულე არ უნდა იყოს. თუმცა ყველაფერი ერთ მომენტში შეიძლება შეიცვალოს და წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. ამჟამად მე მიკაზე ძლიერი ვარ, მაგრამ რეალობას თვალებში უნდა ვუყურო — მე ჯერ ვერ ვაჭარბებ მის მაჩვენებლებს. ის და მიხაელ შუმახერი იდეალური პილოტები არიან. ახლა ჰაკინენს ცუდი დრო უდგას, მაგრამ იმედია, ეს დროებითია. დღეისათვის კი, ვიმეორებ: მე უფრო ძლიერი ვარ“.

კულჰარდის ამ განცხადებას უმალ გამოეხმაურა კეკე როსბერგი, თვითონაც ყოფილი პილოტი და ამჟამად ჰაკინენის მენეჯერი: „მთელი გუნდი უნდა დაირაზმოს ჰაკინენის ირგვლივ და არ უნდა მისცეს კულჰარდს პირველ ნომრად გახდომის საშუალება. თუ შოტლანდიელს მხოლოდ წლევანდელი შედეგების გამო ვაქცევთ ლიდერად, ვშიშობ, რომ „მაკლარენი“ ჩემპიონატსაც წააგებს და კონსტრუქტორთა თასსაც, თუმცა არ უარვყოფ, რომ მიკამ აუცილებლად უნდა აღიდგინოს სპორტული ფორმა, რასთანაც ის უკვე ახლოსაა და გუნდის ლიდერიც ის უნდა იყოს, თორემ „ფერარისა“ და მიხაელ შუმახერს ვერაფრით გავუმკლავდებით“ — დაასკვნა როსბერგმა.

„ᲑᲐᲠᲘ“ ᲘᲡᲔ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲛᲐᲙᲚᲐᲠᲔᲜᲘ ᲐᲜ ᲤᲔᲠᲐᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ!“

„ბარის“ პილოტი ჟაკ ვილნევი უკმაყოფილოა იმ მოლაპარაკებებით, რომელსაც მასთან აწარმოებს თავისი გუნდი. კანადელს სთავაზობენ შემდეგი სეზონისთვისაც დარჩეს გუნდში, როგორც პირველი პილოტი. მისი ორწლიანი კონტრაქტი ამ წლის ბოლოს მთავრდება და როგორც ამბობენ, მას დაჟინებით იწვევს „ბენეტონის“ გუნდი. აქამდე ვილნევი მოლაპარაკებებს აწარმოებდა „ბარის“ აქციების ძირითად მფლობელთან, თამბაქოს კორპორაცია „ბრიითიშ ამერიკან ტობაკოსთან“, მაგრამ სპორტსმენმა ახლა განაცხადა, რომ უკეთესი იყო თავიდანვე უშუალოდ გუნდის შეფთან და თავის პირად მეგობართან კრეიგ პალოკთან ესაუბრა.

„ბარის“ გუნდი ისე იქცევა თითქოს „მაკლარენი“ ან „ფერარი“ იყოს, ეს მე მაღიზიანებს — თქვა კანადელმა — მე არ მომწონს მათი ქცევის მანერა, რომელიც ჩემთან მოლაპარაკებისათვის აირჩიეს“.

გვერდი მოამზადა მათე კბილაძემ

ჭრელ-ჭრელი ამბები

— ბუნების საოცრება — **მომლერალი კატა** — ქვეყანაზე მართლაც არსებობს, თანაც, როგორც ჩანს, იგი ერთადერთია!

თეთრ-წითურა კონსუელა — ასე ჰქვია კატას — 6 წლისაა, ცხოვრობს ბრაზილიაში და საკმაოდ ზუსტად კრუტუნებს 40-ზე მეტ მელოდიას, „ტრავიატათი“ დაწყებული „ბითლზების“ სიმღერებით დასრულებული. ფისუნია ხან მარტო მღერის, ხანაც პატრონთან, 80 წლის მარია გარსიასთან ერთად. კონსუელასა და მარიას, რომლებიც მთელ სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობენ, უამრავი მსმენელი ჰყავთ. ბრაზილიის ტელევიზიით რეგულარულად უჩვენებენ გადაცემებს მათი მონაწილეობით.

— **როცა ძაღლი იღრინება** და კბილს აღრჭენს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი პატრონს უღიმის. ამერიკელი ფსიქოლოგის სტენლი კორენის მრავალწლიანმა გამოკვლევამ, რაც მას თავის წიგნში, „ისწავლეთ ძაღლური ლაპარაკი“, აქვს აღწერილი, ცხადყო, რომ ძაღლები იმაზე უფრო გონიერები არიან, ვიდრე ეს საყოველთაოდაა მიღებული. ძაღლის ინტელექტი ორი წლის ბავშვის ინტელექტთან არის შეფარდებული. ძაღლს ესმის ორასამდე სიტყვა და გამოთქმა, ასევე თავისი პატრონის „ჟესტების ენა“, მაგრამ ადამიანებს ყოველთვის როდი ესმით მისი. მაგალითად, როცა ძაღლი კუდს აქიცინებს, ბევრს ჰგონია, რომ ამ დროს იგი შესანიშნავ გუნებაზეა. თურმე ნუ იტყვით, თუ კუდის ქიცინისას კუდი აპრეხილია ზურგისკენ, ეს ნიშნავს: „მე ყველაზე კარგი ძაღლი ვარ და მზად ვარ, ეს ბრძოლაში დავამტკიცო!“ თუ პირიქითაა, ქიცინისას კუდი დაშვებულია, ძაღლი ოდნავ მოწყენილი ყოფილა. მხოლოდ მაშინ, თუ კუდი მიწის პარალელურად და წრიულად ქიცინებს, ე.ი. მურია მართლაც კარგ გუნებაზე ბრძანდება. თუ ძაღლი გლოკავთ — მორჩილების ნიშანია, როცა დრუნჩს გაგკრავთ — თამაში უნდა.

— ამერიკულმა ჟურნალმა „ეარფორს თაიმსმა“ გამოაქვეყნა სენსაციური ინფორმაცია **მთვარის აფეთქების** შესაძლებლობის შესახებ. ეს მოვლენა უნდა მომხდარიყო ნახევარი საუკუნის წინ, რომელსაც თურმე, აშშ სერიოზულად გეგმავდა. ამ გიჟური პროექტის მიზანი იყო რუსების დაშინება და იგი ეკუთვნოდა კარლ საგანს, რომელიც დღეს ცნობილი ასტრონომია. მთვარეზე ბომბი რაკეტას უნდა მიეტანა, ხოლო ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებას დაიწყებდა რაკეტის მთვარეზე დაჯდომისას. საბედნიეროდ, სამხედროები დროზე მიხვდნენ, რომ მსგავსი შოუ სახიფათო იქნებოდა არა მარტო რუსების, არამედ მთელი კაცობრიობისათვის.

— თურმე, **ადოლფ ჰიტლერი** აქამდე ჩეხეთის ზოგიერთი ქალაქის მოქალაქედ ითვლებოდა. 1939 წელს, ფაშისტების მიერ ჩეხეთის ოკუპაციის შემდეგ, ფიურერმა ტურნე მოაწყო ქვეყნის ქალაქებში. თითქმის ყველგან მას საპატიო მოქალაქის ტიტულს ანიჭებდნენ. ომის დამთავრებისთანავე ბევრმა ქალაქმა ჰიტლერს ჩამოართვა ეს ტიტული, მაგრამ ზოგი ქალაქის არქივებში ცოტა ხნის წინ აღმოჩნდა ჩანაწერები ფიურერის მოქალაქეობის შესახებ და მუნიციპალურმა ხელისუფლებამ მისი გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

— ფსიქიკური და ფიზიოლოგიური დარღვევებისა და სხვა კატაკლიზმების თავიდან ასაცილებლად, მექსიკელი ანთროპოლოგი ხოსე პიგელიესი უტყუარ რეცეპტს გვთავაზობს: **საჭირო კალენდრის შეცვლა**. ნაცვლად ამჟამინდელი (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვარგისი) კალენდრისა, უნდა შემოვიღოთ უძველესი მაიას ტომის კალენდარი, რომელიც შედგენილია მზის 52 წლიანი ციკლის მიხედვით. მაშინ მივიღებთ შემდეგ სურათს: წელიწადში გვექნება არა 12, არამედ 28 დღიანი 13 თვე და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ცნობილია, რომ ადამიანის ბიორიტმის ციკლიც 28 დღეს გრძელდება. ადამიანები თავიანთ შინაგან საათს საჭირო რიტმის მიხედვით აამუშავებენ და სასურველ ჰარმონიულობას მიაღწევენ, გვერდს აუვლიან დღეისათვის დამახასიათებელ სტრესებსა და გაღიზიანებას. ამ იდეის მხარდამჭერებმა საგანგებო მოძრაობაც წამოიწყეს და მაიას კალენდრის შემოღების პროექტი წარადგინეს გაეროში. მექსიკელებს სჯერათ, რომ მათი ზღაპარი, „13 თვის“ სახელწოდებით, XX საუკუნეში სინამდვილედ იქცევა.

— თურმე, **დანაშაულს ძირითადად მწეველი დედების შვილები სჩადიან**. ეს მოულოდნელი აღმოჩენა მკლევართა საერთაშორისო ჯგუფმა გააკეთა. მათ შეისწავლეს კოპენჰაგენში 1959-1961 წლებში დაბადებული 4.169 დამნაშავის საქმე, რომლებიც 34 წლის ასაკში იქნენ დაპატიმრებულნი. მკლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ახალშობილის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ის გართულებები, რომლებიც ახლავს მშობიარობას. გაირკვა, რომ დაპატიმრებულ მამაკაცთა 25%-ის დედები ბევრს ეწეოდნენ, თამბაქოს ბოლი კი შეიცავს ქიმიურ შენაერთს, რომელსაც ანტისაზოგადოებრივი ქცევის პროვოცირება შეუძლია.

— ბრიტანელი მეცნიერები შეშფოთებულნი არიან მოულოდნელი მოვლენით: ინგლისის და შოტლანდიის ქალაქებიდან **გაუჩინარდნენ... ბელურები**.

საუკუნეების მანძილზე ისმოდა ლონდონის ქუჩებსა და პარკებში ბელურების ჟღურტული. სახელგანთქმულ კენსინგთონ-გარდენში, სადაც ერთ-ერთი სამეფო სასახლეა, სულ ცოტა ხნის წინ 3 ათასამდე ბელურა ბინადრობდა. ახლა კი ყველა გაქრა. ასეთივე მდგომარეობაა დედაქალაქის სხვა ცენტრალურ პარკებშიც. არც ლივერპულში, გლაზგოსა და შეფილდში ჩანან ბელურები. ბევრმა ეს ამბავი მომავალი ეკოლოგიური კატასტროფის მაუწყებლად მიიჩნია.

— **მალტელებს ძალიან უყვართ ბაზარში სიარული**. მათ ამის საშუალება ყოველდღე არა აქვთ, რადგან მალტა პატარა სახელმწიფოა და ბაზარიც კვირაში ორჯერ მუშაობს. კუნძულელები შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ და ამ დღეებში აუცილებლად ეწვევიან ბაზარს მეზობელი სიცილიიდან ჩამოტანილი ბოსტნეულის შესაძენად.

— შვეიცარიელები დიდ დროსა და თანხას უთმობენ **ძველმოძველებას**. მარკეტინგული სამსახურის გამოკითხვამ ცხადყო, რომ ყოველ მეორე შვეიცარიელს წელიწადში დაახლოებით 140 დოლარი შეაქვს დახმარების ფონდში. შვეიცარიელთა უმეტესობა ფულს სწირავს ბავშვებს, ხეიბრებს, გარემოს დაცვის ფონდს. ამას მოჰყვება შესაწირი სამედიცინო დარგში გამოკვლევებისთვის. ყველაზე ცოტას იმეტებენ ეკლესიისა და მრევლისათვის.

— ავსტრიელებს შეუძლიათ **ჯიბით ატარონ ბირჟა**. უკვე რამდენიმე თვეა, ავსტრიაში ფუნქციონირებს „ტელე-ტოკიდ-პოკიტი“ — ყველაზე მცირე ზომის მობილურ-საინფორმაციო საბირჟო სისტემა, რომელსაც სხვა ევროპულ ქვეყნებში ანალოგი არა აქვს. „პოკიტი“ პატრონს 24 საათის განმავლობაში ატყობინებს საბირჟო კურსს და აწვდის უმნიშვნელოვანეს ახალ ინფორმაციებს. ხელსაწყო სულ 100 გ-ს იწონის და სავიზიტო ბარათის ფორმა აქვს.

უცხოური პრესის მიხედვით

ლინტონი რიგში ჩაუყენეს

აშშ-ის გოლფის პრივილეგირებული კლუბების მეპატრონეებმა პირველებმა აგრძნობინეს კლინტონს, რომ მისი პრეზიდენტობის ვადა იწურება. ბილს გადაწყვეტილი ჰქონდა, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ სერიოზულად მოეკიდა ხელი გოლფისთვის და იქნებ პროფესიონალი სპორტსმენიც გამხდარიყო. მაგრამ ნიუ-იორკის შტატის ყველა კლუბმა (სადაც ბილი ოჯახით დასახლებას აპირებს), ბილის თხოვნას კლუბებში ურიგოდ გაწევრებაზე უარით უპასუხა.

კლინტონს შესთავაზეს, როგორც ჩვეულებრივმა მოქალაქემ, თავისი სახელი ჩვეულებრივ სიაში შეიტანოს და რიგში ჩადგეს. ზოგიერთ კლუბში გაწევრების პროცედურა 4 წლამდე გრძელდება. ამ გზით კლუბები არასასურველი პირებისგან თავისუფლდებიან, ახლა კი მათ სიაში პრეზიდენტი კლინტონიც მოხვდა. კლუბების მეპატრონეთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მათ არ სურთ სექსუალური სკანდალებით სახელგანთქმული პირის თავიანთ კლუბში მიღება. ამ დროს მათ სიხარულით მიიღეს ყოფილი პრეზიდენტები — ჯერალდ ფორდი და ჯორჯ ბუში.

ყველაზე საწყენი კლინტონისთვის კლუბ „უაკაბუკის“ პატრონის პასუხი იყო, — იქნებ სარეკომენდაციო წერილი მომიტანოთო. უფრო მეტიც, მან მეგობრებთან გაკვირვებით თქვა, — არ მესმის, რატომ უნდა დავუშვათ კლინტონისთვის გამონაკლისიო.

ნიუზუიკი

უნიკალური ჯანონპოექტი

ვინც კოღოს და ბუზს უხეშად მოეპყრობა, 3 წლით დაისჯება

ახლახან ლონდონის ზოოლოგიურ საზოგადოებაში შედგა საერთაშორისო სიმპოზიუმი. ცხოველების დამცველი საუნივერსიტეტო ფედერაციის შეხვედრის მთავარი თემა იყო ცხოველთა მგრძნობელობის საკითხი. ცივილიზებულ ქვეყნებში სწორედ ამ კრიტერიუმებზეა დაფუძნებული კანონები, რომლითაც ისჯება ცხოველების მიმართ უხეში დამოკიდებულება.

კემბრიჯისა და ბრისტოლის უნივერსიტეტების თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს სენსაციური აღმოჩენები: ბოლოდროინდელი ექსპერიმენტების თანახმად, მწერები და მოლუსკები განიცდიან ტკივილს, შიშს და, შესაძლებელია, ჰქონდეთ სხვა შეგრძნებებიც, უფრო განვითარებული ცხოველების მსგავსად. ბრისტოლელი მეცნიერებათა დოქტორი კრის შერვინი ამბობს, — როცა მაიმუნს ელექტროდარტყმაზე თითები უკან მიაქვს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სტკივა. ტარაკნები და ლორწოვანები ანალოგიურად რეაგირებენ — მათ კანონი არ იცავს. მაიმუნი იტანჯება, ბუზი კი — რატომღაც არა. ბუზები ელექტროდარტყმას სუნით შეიგრძნობენ, ანუ შეუძლიათ რეფლექსის გამომუშავება. რადგან მწერები და მოლუსკები ნამდვილად გრძნობენ ტკივილს, — საჭიროა დაისვას საკითხი მათდამი ჰუმანური დამოკიდებულების შესახებ.

ლონდონში შეკრებილი მეცნიერები, რა თქმა უნდა, არ უარყოფენ ავადმყოფობის გამავრცელებელ მავნებელ მწერებთან ბრძოლის საჭიროებას, მაგრამ ადამიანები ხშირად უმიზეზოდ აწამებენ მწერებს, ამის ნათელი მაგალითია პეპლების კოლექციონირება. ცხოველთა დამცველებმა კამპანია გააჩაღეს ნატურალური ბეწვის მომხმარებლების წინააღმდეგ და თვალსაჩინო შედეგსაც მიაღწიეს: ლონდონში 1985 წელს იყო ბეწვეულის 85 მაღაზია, დღეისათვის მხოლოდ 14-ია.

პეპლების გამო წუხილს მაშინ იწყებენ, როცა რომელიმე სახეობა ქრება. მოგვწონს, როცა ჩვენი პაწია პეპელას დასაჭერად გამოუდგება, მაგრამ, სინამდვილეში, ის განა განსხვავდება მათგან, ვინც კატას კუდს უწვავს?

საგანგაშო მდგომარეობაში არიან ტყის ჭიანჭველებიც. ბევრ ქვეყანაში ჭიანჭველებს ანადგურებენ ე.წ. „ჭიანჭველის კვერცხებისთვის“, რომლითაც გალიის ჩიტებს კვებავენ. იმაზე არავინ დაფიქრებულა, რომ შესაძლოა, ჭიანჭველებსაც სტკიოდეთ და, იქნებ, არა მარტო ფიზიკურად.

ცხოველთა დამცველთა აზრით, უნდა გამოვიდეს ოფიციალური ლიცენზია, ისეთი, როგორიც არსებობს მონადირეებსა და მეთევზეებზე. რაც შეეხება ბუზებს, კოღოებს, ტარაკნებს და ადამიანის სხვა შემაწუხებელ მწერებს, იგეგმება, გამოიკვლიონ, რამდენად მტანჯველია მათი სიკვდილი გავრცელებული გამანადგურებელი საშუალებებით. გამოკვლევას გაეცნობიან საკანონმდებლო ორგანოები. შესაძლებელია აიკრძალოს ბარბაროსული საშუალებები. რა თქმა უნდა, დაუშვებელია ყოველგვარი „წებოვანების“ გამოყენება, რომელზეც რამდენიმე საათი იტანჯებიან მწერები.

მეგაპოლის-ექსპრესი №26

ჯვარედინი



თარაზულად: 7. „ფორდი“, ქალიშვილი; 9. ევროპა, კენგურუ; 10. შესავალი, ხელშეკრულება; 11. ქილერი, მონადირე; 12. ხანჯალი, ფარი; 16. ელ. შენგელაია, „გარაჟი“; 18. აღდგომა, გოგია; 19. ეკლესია, დედა; 20. ჩვილი, თევზი; 21. სიმინდი, პური; 25. ეკვატორი, ვარსკვლავი; 26. ფშავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე; 27. საწოლი, ჩვილი; 30. აფრიკა, ჟირაფი; 33. ლექსი, საბერძნეთი; 34. ჯარი, ქვემეხი; 35. დრეზდენი, „პროცესი“; 36. თამაშები, კონცერტები.

ვერტიკალურად: 1. თებერვალი, შემოდგომა; 2. დოგი, ნაგაზი; 3. მშვილდი, საათი; 4. რძე, ხაჭო; 5. ქვევრი, გოგრა; 6. კვერნა, თრითინა; 8. განმარტება, შენიშვნა; 13. დიფთერია, მუცელი; 14. ავტობუსი, მანქანა; 15. ამერიკა, ინდიელი; 17. ბანჯო, რუსეთი; 22. კოლხეთი, სოხუმი; 23. კახეთი, „ვარციხე“; 24. დაღესტანი; ნიკოფსია; 28. სათვალე, კარნავალი; 29. ლოყა, ყბა; 31. ბეთჰოვენი, ნორვეგია; 32. ყანწი, ჯამი.

წინა კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. ტანზანია; 8. ბეჰემოთი; 10. ბარბი; 11. ფლავი; 12. არგონავტი; 15. არაგვი; 18. ბექობი; 19. ბერინგი; 20. პესეტა; 21. ნიკაპი; 23. არომატი; 26. კულული; 27. ორგანი; 31. ქანდაკება; 33. აღალი; 34. კერპი; 35. ალიმენტი; 36. აგრესორი.

ვერტიკალურად: 1. სალამური; 2. ბზობა; 3. გიტარა; 4. სენატი; 5. ემალი; 6. მთავრობა; 9. მანავი; 13. გვატემალა; 14. კელაპტარი; 16. ლექტორი; 17. ეგვიპტე, 22. კურდღელი; 24. მილანი; 25. სნაიპერი; 28. კარატი; 29. აბრაგი; 30. ალამი; 32. ზევსი.

როგორ იკვებებიან ტანწერწეტა ვარსკვლავები?

ჩვენ გვგონია, რომ ვარსკვლავები მხოლოდ შავი ხიზილალით, ანანასითა და ქოქოსით იკვებებიან, მაგრამ არ ყოფილა ასე. ზოგი მათგანი ჰამბურგერებზე გიჟდება. კამერონ დიასს კი ძალიან ჰყვარებია ტაფაზე დარჩენილი ცხიმი.

ბრიტნი სპირსის გასტრონომიული ვნება ჰოთ-დოგი, ბიგმაკი, სპაგეტი, პიცა და „სპრაიტია“.

პიტერ ლოკლისი ჩივის, რომ ასაკის მატებასთან ერთად ფეხებიც უსქელდება. არც არის გასაკვირი, რადგან ამ მშვენიერ ქალს ძლიერ უყვარს შემწვარი კარტოფილი, მექსიკური ბლინები, ჰამბურგერები და ვაჟინიანი თბილი რძე.

ალისა სილვერსტოუნის გასტრონომიული ლტოლვა ნაკლებსაშიშია მისი აღნაგობისთვის. მსახიობს ძალიან უყვარს გარგარის პიურე.

უცნაური გემოვნება ჰქონია **სანდრა ბალოკსაც**. მისი საყვარელი საჭმელია მიწის თხილის ზეთიანი სენდვიჩი, ჩიპსი და შოკოლადი, რომელსაც აუცილებლად აყოლებს სოდიან წყალს.

სულ სხვა საქმეა **მელ გიბსონი**. ამ ცისფერთვალება მულტიმილიონერს შეუძლია უგემრიელესი კერძი გაცვალოს ჩვეულებრივ დაკონსერვებულ ლობიოზე, რომელსაც ხელით მიირთმევს.

სილვესტერ სტალონეს ნერწყვი მოსდის ნებისმიერი სახისა და ჯიშის თევზის შეწვისას. **ჯულია რობერთსი** უპირატესობას ანიჭებს თავის მომზადებულ შემწვარ ინდაურსა და ალუბლის ნაყინს. **კორთნი კოქსი** ერთ დღესაც ვერ ძლებს უჩიპსოდ, ხოლო **მერაია ქერი** უნაყინოდ.

შოუბიზნესის ყველაზე მდიდარი ქალბატონი **ოფრა უინფრი** თანახმაა ნებისმიერ მსუბუქ საკვებზე, ოღონდ იგი ხრაშუნა და მარილიანი უნდა იყოს.

მადონა სულ ჯოხიან კანფეტებს წუწნიდა, მაგრამ მეორე ფეხმძიმობის დროს გაუთავებლად მიირთმევს ზეითუნის ზეთს. თან მხოლოდ შავი ფერის ტანსაცმელი აცვია — სხვა ფერები ისე მასქელებს, რომ ტახს ვემსგავსებიო.

გასაკვირია პირდაპირ, ასეთი მსუნაგი ვარსკვლავები როგორ ინარჩუნებენ შესანიშნავ ფორმებს. ბევრ მათგანს ეხმარება **რიჩარდ სიმონსი** — ჰოლივუდის მთავარი მწვრთნელი, მაგრამ, არც ის არის უცოდველი — გიჟდება პიცაზე.

პოსლედნე ნოვოსტი №24

№27 (196) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

რეიტინგს 704 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 246-მა ქალმა და 454-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა არის გართობა-დასვენების ყველაზე აუცილებელი ატრიბუტი?“**

რესპონდენტთა 66-ის აზრით, სრულფასოვანი დასვენებისათვის ყველაზე აუცილებელი ფულია. **7,34** საშუალო ქულით „ფული“ პირველ ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ „ფულმა“ და „განწყობამ“ თანაბარი რაოდენობის მინიმალური ქულა (0,73) დაიმსახურეს. „განწყობა“ მეორე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,33. მკითხველთა 18 თვლის, რომ დასვენებისათვის ფულზე მეტად განწყობაა საჭირო. რესპონდენტთა აზრით, არანაკლებ აუცილებელია მეგობრები, მკითხველთა 11-მა მაქსიმალური ქულით შეაფასა „მეგობრები“ და საშუალო ქულით 5,96 იგი მესამე ადგილზეა.

მკითხველთა უმრავლესობისათვის მუსიკა, ამინდი და ხალხმრავლობა შედარებით ნაკლებადაა საჭირო აქტიური გართობა-დასვენებისათვის. მათთვის მთავარია ჰქონდეთ ბევრი ფული, კარგი განწყობა, გვერდით ეგულებოდეთ საუკეთესო მეგობრები და სასიამოვნო დასვენებაც გარანტირებული ექნებათ.

განსხვავება სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პასუხებს შორის მხოლოდ ის არის, რომ მამაკაცებთან „ავტომობილი“ მეოთხე ადგილზეა, ისინი მიიჩნევენ, რომ გართობისათვის დროზე მეტად ავტომობილია საჭირო; ახალგაზრდა, 30 წლამდე ასაკის მკითხველები კი განწყობაზე წინ მეგობრებს აყენებენ — კარგი მეგობრები ხომ თავად გვიქმნიან საუკეთესო განწყობას.

საპრიზოს ზუსტად 15 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: თბილისელები — 40 წლის **ᲫᲔᲗᲘᲜᲝ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,** 47 წლის **ᲓᲐᲠᲘᲔᲕᲐᲜ ᲐᲡᲝᲑᲐᲫᲔ,** 63 წლის **ᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ,** 34 წლის **ᲫᲔᲗᲘᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲫᲚᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** 30 წლის **ᲛᲐᲘᲐ ᲐᲠᲗᲘᲚᲐᲨᲕᲐ,** 47 წლის **ᲒᲘᲕᲘ ᲝᲩᲘᲞᲘᲫᲔ,** 30 წლის **ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ,** 44 წლის **ᲒᲘᲕᲘ ᲛᲣᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** 47 წლის **ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲥᲜᲘᲚᲐᲫᲔ,** 32 წლის **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲘᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** 59 წლის **ᲒᲝᲜᲓᲝ ᲛᲐᲚᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔ,** 50 წლის **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲗᲝᲚᲝᲠᲐᲘᲐ;** 40 წლის ხაშურელი **ᲞᲐᲕᲚᲔ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ,** 34 წლის სამტრედიელი **ᲛᲐᲛᲣᲪᲐ ᲩᲮᲘᲠᲝᲫᲔ** და 31 წლის აბაშელი **ᲛᲔᲠᲐᲑ ᲡᲘᲠᲘᲐ.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 11 ივლისს, 17 საათზე.

№28 (197) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ᲚᲐᲠᲘ

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის პოლიცინეში.*

№28 (197) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 12 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 13 ივლისის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

ᲗᲔᲛᲐ №28 (197) — ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

რას ინატრებდით ზაფხულის პაპანაძებაში ყველაზე მეტად (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№28(197)	საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი	ქულა
1	გრილი შხაპი	
2	კონდიციონერი	
3	ნაყინი	
4	ბანაობა (ზღვა, აუზი, მდინარე)	
5	ცივი საზამთრო	
6	წვიმა	
7	გამაგრილებელი სასმელი	
8	ჩრდილი	

მკითხველის პოლიცინეი *

ვისი ინტერვიუს წაკითხვას ისურვებდით „კვირის პალიტრაში?“

✓ _____

_____

თქვენი სახელი, გვარი

_____

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲧᲣᲗᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

დამატებით კითხვას 672 მკითხველი გამოეხმაურა. კითხვა ასეთი იყო: **„ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ თუ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ?“**

რესპონდენტთა 17-ს გაუჭირდა კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა; 38 აცხადებს, რომ პროსტიტუციის ლეგალიზება დაუშვებელია. მკითხველთა 45-ის აზრით კი, პროსტიტუციის ლეგალიზაცია უნდა მოხდეს.

საინტერესოა, რომ განსხვავება სხვადასხვა ასაკისა და სქესის რესპონდენტების პასუხებს შორის არ ყოფილა; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქალებში, ისევე როგორც 50 წელს გადაცილებულ მკითხველებში, პროსტიტუციის ლეგალიზების მომხრენი სულ მცირედი სხვაობით სჭარბობენ მოწინააღმდეგეებს.



© · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ ·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

ᲠᲐᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲓᲘᲗ?

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ _____

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) _____

ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ — ᲜᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲟᲕᲐᲜᲘᲔᲑᲘ

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ:

— აი, როგორც კი ხელფასებზე და პენსიებზე იწყება ლაპარაკი, მამთქნარებს და მაძღარი ძილით მეძინება.

ნინო წერეთელი, თბილისი

Ო.Თ. (ავტორი) — აფსუს, დავით ონოფრიშვილს რა კარგი შეხორცება ჰქონდა, ამას რა გაასუქებს?...

ოთარ თათრიშვილი, ყვარელი

Ზ.ნ. — (მუშტებს აბრაგუნებს) ოხხ! გიაურ!!! აკი დამბლადაცემული წევსო აბდალაძე ცხინვალის ციხეში!!!

(კ/ფ „ბაში-აჩუკი“)

ნია, თბილისი

ფიზიკის ლექციაზე:

— ნოღაიდელო, რას ნიშნავს „ვაკუუმი?“

Ზ.ნ. — იცით, ზუსტად ამ წუთში თავში მიტრიალებს, მაგრამ ახსნა მიჭირს.

ლელა — „გო გიტა“, თბილისი

ნოღაიდელს პირში „ტრუპკა“ უჭირავს და პირით დამრგვალებულ ქაღალდებს ისვრის:

— ესეც თქვენ, აბა დამიდექით! ეს მისი კორუფციონერებთან ბრძოლის ახლებური მეთოდია.

ნანა ახალკაციშვილი, თბილისი

— ჯო, შენ იგრე დაგიჭერია კაიფი რომა, მინამ თვალებ გაახელ, ბიუჯეტში აღარაფერ დაგიტოვებენ.

ნ.გ. რუსთავი

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲝᲦᲐᲘᲓᲔᲚᲘ

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 143 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

ჩაფიქრებულა ზურაბა,
თუ როგორ გახსნას ყულაბა,
სულ ყველას ზურგი აქცია
მარტოს სურს ჭამოს „მურაბა“.

გივი მუზაშვილი, თბილისი

Ზ.ნ. (ფიქრობს) — ყველაფერი მზაკვრულად გათვალეს, როცა ფინანსთა მინისტრობა დამაბრალეს, ახლა ისღა დარჩენიათ ნელ-ნელა ჩამაბეტონონ და თან „შვილო ზურაბ, სადამდეო“ — მიძახონ.

რევაზ რაზმაძე, თბილისი

Ზ.ნ. (ფიქრობს) — გაიხსენე, ბიჭო, გაიხსენე!

ᲣᲪᲜᲝᲑᲘ — 300 მილიონიან დეფიციტს რა ეშველება, ბ-ნო ზურაბ?

Ზ.ნ. — უჰ, აგაშენა ღმერთმა, ზურაბი შე კაცო, ზურაბი!

ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო

ბატონო ზურაბ, შენ თუ პენსია-ხელფასების დაფინანსების უმოკლეს გზას შენი ყურივით ეძებ (მარცხენა ხელით, მარჯვენა ყური) ვერ ყოფილა საქმე მთლად კარგად!!!

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

Ზ.ნ. — ბიუჯეტის სეკვესტრთან დაკავშირებულ საკითხებზე ამდენი ფიქრით უკვე ტვინი მექავება, მაგრამ 50%-ზე მეტი მაინც ვერ შევკვეცე.

ᲙᲐᲮᲐ ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲔ (მოჩანს მისი ხელები) — მე კიდე ხელისგულები მექავება და მე მგონი შემომელახები, ამდენი თანხა რომ ჩამომაჭერი, იმიტომ.

ლ. ქაჩიბაია, თბილისი

— „დუმებში“ წასულა მთელი პარლამენტი.

გარეთ გაიხედავ, ისევ მიტინგია.

როგორ დარიგდება ნეტა ხელფასები?

როცა ბიუჯეტში შაური არ გდია.

დათო მაჭარაშვილი, საჩხერე

Ზ.ნ. (ფიქრობს) — კრიზისიდან ფინანსური სეკვესტრი ვერ გვიშველის, ამიტომ პარლამენტში შევიტან კანონპროექტს — მოქალაქეთა სავალდებულო „კუჭის სეკვესტრზე“

გივი კაციტაძე, თბილისი

დეპეშა

ვიუწყებით, რომ შემთხვევით ჩაეძინა საქართველოს ფინანსთა მინისტრს და თანაგრძნობას ვუცხადებთ უპენსიო პენსიონერებს.

პატივისცემით, საქართველოს მთავრობა.

„გორო“ სამადაშვილი, გომარეთი

ოქროს ბანდაჟიანი ლეოპარდი

— რა კარგი ყოფილა ჩერეში!

ლიანდაგიდან გადავარდა საგანგებო მატარებელი, რომელშიც პარლამენტის წევრები ისხდნენ. მისულმა მაშველებმა აღმოაჩინეს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ყველა დეპუტატის დაკრძალვა მოესწრო.

— ყველა დაიღუპა?

— დიახ. თუმცა, ზოგიერთი ცდილობდა, დავერწმუნებინეთ, რომ ცოცხალი იყო, მაგრამ ხომ იცით მაგათი ამბავი, ყოველთვის ტყუიან...

მაგნიტური დღეები

12/VII 11-13 სთ

15/VII 12-15 სთ

16/VII სავსე მთვარე

წინა სკანვორდის პასუხები


ია ონ ჭრ ილ ი ხ ელ ოვ ნ ებ ა
„კიდული ბალღების“ აბგრონი
აჩქიგ. სბილი XVI-XVII
თურქეთის აზიური ნაწილი
ვიგანგზარი სე
ქალის პალგის სახე
თანავე-სუფრე
ორგანოს გამოშვა ვედიცინაში
კაკუნი (ბრაბანგიკ.)
გაგაცდება
სათვალიანი გველი
უდანაშაულ-ლობის დასაბუთება
რიბალზე დაკეკრული
ქვითლშობილ ქალთა ინსტიტუტი
ცეზარის ვიერ გადარჩენილი ფლინარე
ქედლის ნათრა
ლიბოლის ფული
ქვეითი ელვეენი
ანსაგალი “4....”
ოლიკაქ. ოსტეოლის ქალლაბი
ძირითადი დებულება ლეთმისე